

ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის  
პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო  
კანონმდებლობებთან

ნიკოლოზ ფიცხელაური

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2015 წლის 22 ივნისი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ვალერი ხრუსტალი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
თბილისი 2015

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი „ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან” ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკური ასპექტები.

ნიკოლოზ ფიცხელაური

## რეზიუმე

### შესავალი:

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები. ვითარდება ეკონომიკურ - სამართლებრივი ურთიერთობები. აღნიშნული პროცესების სრულფასოვნად წარმართვისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია სამართლებრივი ინტეგრაცია. მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მოწესრიგებული, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დავის გადაწყვეტის ეფექტური სისტემის დამკვიდრებას, რომელიც მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნას უწყობს ხელს. ეკონომიკური ურთიერთობების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული მეთოდებიდან არბიტრაჟი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ეფექტურია. მისი გაძლიერება მეწარმეობის, ეკონომიკური სფეროს წინსვლისა და ამ პროცესის დროს წარმოშობილი დავების ეფექტურად გადაწყვეტის ერთ-ერთი უპირველესი წინაპირობაა.

### მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია, როგორც ზოგად-მეცნიერული, ასევე კერძო მეთოდები: ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, სტატისტიკური, დოკუმენტური და სხვა. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი, წარმოდგენილია ინფორმაციულ-შემეცნებითი და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები. ამასთან, კვლევა ხორციელდება ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. რამდენადაც მსჯელობის საგანი პრაქტიკული საკითხებია, ნაშრომში განხილულია სასამართლო პრაქტიკა. შედარებითი ანალიზის შერჩევითი გამოყენებულია იმ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებსაც არბიტრაჟებთან დაკავშირებით დიდი ტრადიციები და გამოცდილება აქვთ.

### **კვლევის შედეგები:**

1. კვლევის შედეგად გამოვლინდა იმ ზოგადი და სპეციალური ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტების ეფექტურად ფუნქციონირებაზე.
2. გამოიკვეთა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, მომზადდა კონკრეტული წინადადებები „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, რაც კვლევის სიახლეა და, ამავე დროს, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.
3. საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტებისთვის ნდობის აღდგენისა და განვითარების, მათი პოპულარიზაციისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობაზე.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა:**

1. პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავების გადაწყვეტისას, ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე წარმოჩნდა მედიაციისა და არბიტრაჟის უპირატესობა საერთო სასამართლოებთან შედარებით.
2. განისაზღვრა არბიტრაჟებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი ასპექტები და გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საარბიტრაჟო ინსტიტუტის განვითარებასთან საქართველოში და დაისახა მათი აღმოფხვრის გზები.
3. სადისერტაციო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები, მეცნიერულადაა წარმოჩენილი მათი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. საერთაშორისო კანონმდებლობებისა და ნორმატიული აქტების საფუძვლიანად შესწავლის ფონზე წარმოდგენილი და დასაბუთებულია შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

4. ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოსა და სხვა ქვეყნების საარბიტრაჟო საკანონმდებლო აქტები და სასამართლო პრაქტიკა. გავლებულია პარალელები და გამოკვეთილია თავისებურებანი. გაანალიზებულია ქართული რეალობა, აღნიშნულია არბიტრაჟთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზები და განსაზღვრულია მათი დაძლევის გზები.

## **ABSTRACT**

### **Introduction:**

During the recent years, reforms have been actively carried out in Georgia. Economic-legal relations are being developed. Legal integration is one of the principal factors for successful accomplishment of the mentioned processes. Existence of adjusted legislation conformable with international standards and requirements is very important for entrepreneurs and foreign investors. In this respect, special attention should be given to establishment of the effective system of dispute resolution that provides creation of attractive business environment. Among the alternative methods of resolution of the conflicts emerged on the basis of economic relations arbitration is one of the most popular and effective. Enhancing arbitration is one of the major preconditions for further development of entrepreneurship, economy and effective resolution of the disputes emerged during this process.

### **Methodology:**

The methodologic principles of survey are general-scientific as well as private methods: historic, comparative-legal, statistic, documented and other. The work mainly uses the logic analysis, represented by information-cognitive and comparative-legal aspects. In addition, survey is made using the analytical means. As far as the subjects of judgement are the practical issues, the work discusses the court practice. For selecting the comparative analysis the legislation and practice of those states are used which have great traditions and experience in relation to arbitrages. In relation to the work, Georgian court practice is slightly poor, though the subject of survey is significantly actual for that country, the aim of which is to integrate economically and legally with states of West and become the member of European Union.

### **Results of the Survey:**

1. The unity of those general and special factors has been revealed during the survey process which impact on the effective functionality of the arbitration and mediatory institutes.
2. The legislative and practical gaps have been distinguished, specific recommendations about arbitration have been prepared for making modifications to Georgian law that is the novelty of survey and at the same time has practical meaning.
3. The whole range of events is determined as recommendations that are directed to the renewal and development of trust for arbitration and mediatory institutes, for assisting their effective function and popularization.

**Scientific Novelties:**

1. On the basis of learning-analyzing the legislative base and court practice of Georgian and foreign countries the advantage of mediation and arbitration has been promoted in relation towards the common courts when solving the determined disputes.
2. The attempt for revealing the gaps and determining the main aspects of inter-relation of common courts and arbitrages have the practical meaning, which is directly associated with the development of arbitration institution in Georgia.
3. The novelties and modifications taking place currently in the legislative space of Georgia have been analyzed and examined in the dissertation work; the positive as well as negative sides have been revealed in scientific way. On the basis of learning the normative acts and international legislations basically, the necessity of maximal harmonization of Georgian arbitration legislation with international norms.
4. The legislative acts and court practice of Georgia and other countries have been learnt in the work. The parallels have been lined and the characteristics have been distinguished. Georgian reality has been analyzed and the basic reasons causing the problems related to the arbitrages. The basic aspects of inter-relations of common courts and arbitrages have been studied. On the basis of theoretical and

practical materials the proposals for making the arbitration legislation perfect and harmonizing have been processed. It creates the joint impression about arbitration function, their role and meaning in Georgia.



# სარჩევი

<b>თავი I შესავალი</b> .....	1
<b>თავი II დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები</b> .....	9
2.1. მედიაციის ცნება და შინაარსი.....	14
2.2. ქართული მედიაციის ისტორიული ტრადიცია .....	35
2.3. არბიტრაჟის ცნება, სახეები და განვითარების ძირითადი ეტაპები .....	44
2.4. არბიტრაჟის დანიშნულება .....	59
2.5. არბიტრაჟის დადებითი და უარყოფითი მხარეები სახელმწიფო სასამართლოებთან მიმართებაში.....	61
<b>თავი III საარბიტრაჟო სამართალწარმოების რეგულირების პრობლემები საქართველოში</b> .....	71
3.1. საარბიტრაჟო შეთანხმება.....	71
3.2. წინასაარბიტრაჟო მზადება.....	82
3.3. საარბიტრაჟო განხილვა.....	97
3.4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა.....	116
3.5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუქმება.....	121
3.6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება და მასზე უარის თქმის საფუძვლები .....	141
<b>თავი IV სახელმწიფო სასამართლოს როლი საარბიტრაჟო სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე</b> .....	156
4.1. არბიტრაჟებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთობის ზოგადი ანალიზი .....	156
4.2. არბიტრაჟებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებანი საქართველოში .....	166
4.3. სასამართლოს როლი არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტისას .....	175
4.4. სასამართლოს როლი არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას .....	181
4.4.1. საარბიტრაჟო კომპეტენციის პირდაპირი სასამართლო გადასინჯვა .....	183
4.4.2. საარბიტრაჟო კომპეტენციის არაპირდაპირი სასამართლო გადასინჯვა .....	187
4.4.3. საარბიტრაჟო ინსტიტუტის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო კომპეტენციაზე .....	187
4.4.4. კონცეფცია კომპეტენციის კომპეტენციაზე.....	189

4.5. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა და აღსრულება ....	194
4.6. სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში .....	202
<b>თავი V დასკვნები და რეკომენდაციები.....</b>	<b>205</b>
5.1. კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები .....	208
5.2. პრაქტიკულ საქმიანობაში გასატარებელი ზოგადი ღონისძიებები .....	218
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>222</b>

## გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

### 1. ინგლისურენოვანი შემოკლებანი

AAA	American Association of Arbitration
	ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაცია
DIS	Deutsche Institution für Schiedsgerichtsbarkeit
	გერმანული საარბიტრაჟო ინსტიტუტი
ICC	International Chamber of Commerce
	საერთაშორისო სავაჭრო პალატა
LCIA	London Court of International Arbitration
	ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო
NYC	New-York Convention
	ნიუ-იორკის კონვენცია
SCC	Stokholm Chamber of Commerce
	სტოკჰოლმის სავაჭრო პალატა
UNICTRAL	United Nations Commission on International Trade Law
	გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია

2. გერმანულენოვანი შემოკლებანი

IHK	Industrie- und Handelskammer
	მრეწველობისა და სავაჭრო პალატა
OLG	Oberlandsgericht
	მიწის უზენაესი სასამართლო
ZPO	Zivilprozessordnung
	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

## თავი I შესავალი

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები თანამედროვე სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბების მიზნით. სამართლებრივი ინტეგრაცია ერთ-ერთი წინაპირობაა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის. ადგილობრივი მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად საჭიროა მოწესრიგებული, საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა [8,1]. საერთაშორისო ეკონომიკური ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დავების მოგვარების თანამედროვე რეჟიმის დამკვიდრებას, რომლის თანახმად არბიტრაჟი უდავოდ ყველაზე პოპულარული და ეფექტური საშუალებაა [1, 182]. ვინაიდან კონფლიქტების თავიდან აცილება შეუძლებელია, აუცილებელია მისგან სარგებლის მიღება და მისი მართვის სწავლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია კონფლიქტების გამოყენება [55, 12]. ამისთვის კი შესაბამისი ინსტიტუტია საჭირო. თანამედროვე სახელმწიფოებრივი სასამართლოს სათავეები კერძო არბიტრაჟშია საძებარი [14, 150]. იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ საარბიტრაჟო განხილვა უკეთესია სასამართლო განხილვაზე, მხარეთა მორიგება უკეთესია, ვიდრე არბიტრაჟისადმი მიმართვა, ხოლო დავის შეწყვეტა უკეთესია, ვიდრე მორიგება [89, 438].

საინტერესოა რა მდგომარეობაა არბიტრაჟების პოპულარობასთან დაკავშირებით საქართველოში? რომელს ანიჭებენ უპირატესობას ფიზიკური და იურიდიული პირები: დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს, თუ საერთო სასამართლოებს? მართებულია თუ არა შეხედულება, რომ საარბიტრაჟო განსჯადობაზე დაქვემდებარებით მხარეები არაერთი ფორმალობისგან თავისუფლდებიან, რომელიც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს სასამართლოებთან ურთიერთობას და იგი უფრო მოქნილი და ნაკლებად მტკივნეული პროცესია ხარჯებისა და დროის დაზოგვის კუთხით? არის თუ არა საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობა ჰარმონიზაციაში საერთაშორისო ნორმებთან, თუ საჭიროებს შემდგომ დახვეწას? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემასა და საარბიტრაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას ემსახურება მოცემული ნაშრომი.

## საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა:

აღნიშნული თემის არჩევა მისმა აქტუალობამ განაპირობა. ჯერ კიდევ „არბიტაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მუშაობის დროს, იუსტიციის სამინისტროში გერმანელმა ექსპერტებმა ჩაატარეს „ტრენინგები“, სადაც სწორედ საარბიტრაჟო კანონმდებლობის დახვეწასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან მისი ჰარმონიზაციის აუცილებლობაზე გამახვილდა ყურადღება. ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტი 2013 წლის საინვესტიციო გარემოს შესახებ შემუშავებულ დოკუმენტში საქართველოს ურჩევს, რომ არბიტრაჟი დაინერგოს, როგორც დავის გადაწყვეტის უპირატესი მეთოდი საქართველოში, ეს კი მეტად რთულად განსახორციელებელი იქნება, თუ საარბიტრაჟო კანონმდებლობისა და არბიტრაჟების განვითარების დონე შესაბამისობაში არ იქნება აღნიშნულ მოთხოვნასთან.

ამჟამად, საქართველოში არბიტრაჟებთან დაკავშირებული პროცესი მანკიერად ვითარდება. თითქმის ყველა მსხვილ ორგანიზაციასთან (სამშენებლო, საბანკო, საკრედიტო) არსებობს პატარა-პატარა არბიტრაჟები. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ არბიტრაჟებს, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ მაკონტროლებელი ორგანო, დაკავშირებულნი არიან აღნიშნულ ორგანიზაციებთან და წარმოადგენენ ე. წ. „ჯიბის არბიტრაჟებს,“ რომელთა გადაწყვეტილებაც, უმეტეს შემთხვევაში, მიკერძოებულია. ეს პრაქტიკა ანგრევს საარბიტრაჟო ინსტიტუტს საქართველოში და ნდობას უკარგავს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს. პრობლემურია, აგრეთვე, არბიტრაჟებისა და სასამართლოების ურთიერთობა და კანონმდებლობაში მრავლად არსებული ხარვეზიც, რაც ერთიანობაში შეუძლებელს ხდის არბიტრაჟის, როგორც ქვეყნის ეკონომიკისა და ინვესტიციების მოზიდვისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის, სრულფასოვან განვითარებას.

საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ორგანიზაციათა ინტეგრაციის რთულ პროცესში. მიგვაჩნია, რომ ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის გაგრძელება საერთაშორისო ნორმებთან კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მის დახვეწასა და განვითარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მითითებული საკითხების კვლევა უაღრესად აქტუალური და პრაქტიკული ღირებულების მქონეა. მსოფლიო ეკონომიკურ პროცესში საქართველოს ინტეგრაციის ხარისხის ზრდასთან ერთად მისი როლი და

მნიშვნელობა ქართველი იურისტებისათვის უფრო საგრძნობი გახდება. ჩვენი კვლევა სწორედ ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას ემსახურება.

#### **კვლევის მიზანია:**

1. წარმოაჩინოს არბიტრაჟის მნიშვნელობა თავისუფალი ბაზრისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში.
2. გამოკვეთოს არბიტრაჟის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხელშემშლელი ფაქტორები და განსაზღვროს მათი დაძლევის გზები.
3. ჩამოყალიბდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და საერთაშორისო ნორმებთან მის ჰარმონიზაციას.
4. გამოავლინოს საქართველოში დამკვიდრებული, არბიტრაჟებთან დაკავშირებული, მანკიერი პრაქტიკისა და რეალობის გამომწვევი მიზეზები და განისაზღვროს მათი აღმოფხვრის გზები.

#### **კვლევის ამოცანებია:**

1. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებისა და ამ გზაზე წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის მეთოდების ისტორიული გაანალიზება;
2. საქართველოსა და სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი;
3. სხვადასხვა რელევანტური მონაცემის შეჯერება და გაანალიზება;
4. დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებთან დაკავშირებული საქართველოსა და საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმატიული აქტებისა და ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი და ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა;
5. დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებების განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული უარყოფითი მოვლენების შესწავლა და ანალიზი;
6. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზისა და სახელმწიფოს პოლიტიკის შესწავლა და შეფასება;
7. საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გაანალიზება;

8. საერთო სასამართლოებისა და არბიტრაჟების ურთიერთდამოკიდებულებაში არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენა;
9. საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით მეცნიერული დასკვნების ფორმულირება და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

#### **ნაშრომის ჰიპოთეზა:**

1. საქართველოში არბიტრაჟის ეფექტური ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი ხელშემშლელი ძირითადი ფაქტორია საარბიტრაჟო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.
2. არბიტრაჟისადმი ნდობის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია საკანონმდებლო და სასამართლო დონეზე მისი დამოუკიდებლობის ხარისხის შეზღუდვით.
3. არბიტრაჟებთან დაკავშირებული მანკიერი პრაქტიკა ყალიბდება შესაბამისი, საერთო კონტროლის მექანიზმის არარსებობის გამო.

#### **ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი:**

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა სამოქალაქო სამართალში, ჰუმანიტარული პროფილის სხვა მეცნიერებებში, საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტებთან დაკავშირებული ქართველი და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები. ქართულენოვანი ნაშრომებიდან, მიუხედავად მათი სიმწირისა, აღსანიშნავია ზ. გაბისონიას, ს. გამყრელიძის, გ. გორგაძის, ლ. გოთუას, გ. ცერცვაძის, თ. ზამბახიძის, ალ. იოსელიანის, თ. ლილუაშვილის, მ. ცისკაძის, გ. დავითაშვილის, პ. ბინდერის, ს.მ. ოსტერმილერისა და სხვათა პერიოდული გამოცემები და მონოგრაფიები.

უცხოელი ავტორებიდან გამოვყოფთ N. Andrews, M. Roberts, P. Sanders, G. Born, S. R. Cole, S. Kroll, S. Gabriel, A. Pointon, C. Wallgren, A. Lionnet, R. A. Schütze, A. Ю. Бушев და სხვათა ნაშრომებსა და კვლევებს.

ნორმატიულ ბაზად გამოყენებულ იქნა არბიტრაჟებთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საქართველოს სამოქალაქო



საპროცესო კოდექსი, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, ასევე სტატისტიკური მასალა, ინტერნეტ რესურსი, ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკა და სხვა.

შევისწავლეთ ნიუ-იორკის, ვეროპის, ჟენევის და სხვა კონვენციები, UNCITRAL - ის მოდელური კანონი, მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი არბიტრაჟის წესდება და რეგულაცია, IBA - ს ეთიკის კოდექსი და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

### **მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა:**

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია, როგორც ზოგად-მეცნიერული, ასევე კერძო მეთოდები: ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, სტატისტიკური, დოკუმენტური და სხვა. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი, წარმოდგენილია ინფორმაციულ-შემეცნებითი და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები. ამასთან, კვლევა ხორციელდება ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. რამდენადაც მსჯელობის საგანი პრაქტიკული საკითხებია, ნაშრომში განხილულია სასამართლო პრაქტიკა.

შედარებითი ანალიზის შერჩევით გამოყენებულია იმ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებსაც არბიტრაჟებთან დაკავშირებით დიდი ტრადიციები და გამოცდილება აქვთ. ნაშრომთან დაკავშირებით ქართული სასამართლოს პრაქტიკა შედარებით მწირია, თუმცა კვლევის საგანი მნიშვნელოვანად აქტუალურია იმ ქვეყნისთვის, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთის სახელმწიფოებთან ეკონომიკურ და სამართლებრივ ინტეგრაციასა და ვეროპის კავშირში გაწევრიანებას. განზოგადებულია საქართველოს სასამართლოების აქამდე არსებული პრაქტიკა.

კვლევის ისტორიული მეთოდი გამოყენებულია არბიტრაჟისა და მედიაციის განვითარების ტენდენციების შესასწავლად. მისი საშუალებით გამოვყავით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების წარმოშობისა და ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპი. წარმოვაჩინეთ არბიტრაჟისა და მედიაციის როლი და მნიშვნელობა განვითარების სხვადასხვა სტადიაზე როგორც საქართველოსთვის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

შედარებით - სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გამოვავლინეთ არბიტრაჟისა და მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები საერთო სასამართლოებთან მიმართებით. შევადარეთ ქართული და უცხოური სამართლებრივი სისტემები აღნიშნული თვალსაზრისით. პარალელები გავავლეთ ქართული და საერთაშორისო არბიტრაჟების ფუნქციონირების ძირითად თავისებურებებთან დაკავშირებით და სხვ.

სტატისტიკური და დოკუმენტური მეთოდები გამოყენებულია, რათა თვალსაჩინო გაგვეხადა ზოგიერთი მსჯელობის მნიშვნელობა, წარმოგვეჩინა არბიტრაჟთან დაკავშირებული სხვადასხვა ტენდენცია, შეგვეჩვენებინა მონაცემები, დაგვესაბუთებინა დასკვნები და სხვა.

ლოგიკური ანალიზის მეთოდით ვეცადეთ გამოგვევლინა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, წარმოგვეჩინა სხვადასხვა პრობლემის გამომწვევი მიზეზები, განგვესაზღვრა მათი აღმოფხვრის გზები.

კვლევაში გათვალისწინებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული რეკომენდაციები ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის თაობაზე. ამ ფონზე საფუძვლიანად შევისწავლეთ ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობა, გავეცანით პრაქტიკას, მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაში, გამოვყავით ძირითადი თავისებურებანი და ის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც ხელს უშლის საარბიტრაჟო ინტიტუტის განვითარებას საქართველოში. პარალელები გავავლეთ საერთაშორისო კანონმდებლობებთან, შევისწავლეთ სპეციალური ლიტერატურა და ანალიტიკური მასალა და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზების გზით და ქართული რეალობის გათვალისწინებით მივაგენით გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის გზებს.

### **კვლევის შედეგები:**

1. კვლევის შედეგად გამოვლინდა იმ ზოგადი და სპეციალური ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც გავლენას ახდენს საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტების ეფექტურად ფუნქციონირებაზე.

2. გამოიკვეთა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, მომზადდა კონკრეტული წინადადებები „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, რაც კვლევის სიახლეა და, ამავე დროს, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

3. საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტებისთვის ნდობის აღდგენისა და განვითარების, მათი პოპულარიზაციისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობაზე.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე:**

კვლევა ჩვენი მოკრძალებული მცდელობაა შეგვექმნა მასალების, ანალიზის, დასკვნებისა და რეკომენდაციების სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონშემოქმედებითი და პრაქტიკული მიმართულებით, სასწავლო - საგანმანათლებლო თვალსაზრისითა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომის მეცნიერული სიახლეებია:

1. პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავების გადაწყვეტისას, ქართული და უცხოური სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე წარმოჩნდა მედიაციისა და არბიტრაჟის უპირატესობა საერთო სასამართლოებთან შედარებით.

2. განისაზღვრა არბიტრაჟებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი ასპექტები და გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საარბიტრაჟო ინსტიტუტის განვითარებასთან საქართველოში და დაისახა მათი აღმოფხვრის გზები.

3. სადისერტაციო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები, მეცნიერულადაა წარმოჩენილი მათი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. საერთაშორისო

კანონმდებლობებისა და ნორმატიული აქტების საფუძვლიანად შესწავლის ფონზე წარმოდგენილი და დასაბუთებულია შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

4. ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოსა და სხვა ქვეყნების საარბიტრაჟო საკანონმდებლო აქტები და სასამართლო პრაქტიკა. გავლებულია პარალელები და გამოკვეთილია თავისებურებანი. გაანალიზებულია ქართული რეალობა, აღნიშნულია არბიტრაჟთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზები და განსაზღვრულია მათი დაძლევის გზები.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად კანონმდებლობაში გამოვლენილი ზოგიერთი ხარვეზი ასახული და აღმოფხვრილი იყო არბიტრაჟის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის პროექტში, რომელიც ამჟამად უკვე დაამტკიცა პარლამენტმა და შესულია კანონიერ ძალაში, რაც ჩვენ მიერ დაყენებული საკითხების სწორად გააზრების დასტურად უნდა ჩაითვალოს. საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ორგანიზაციათა ინტეგრაციის რთულ პროცესში [4, 70]. მიგვაჩნია, რომ ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის გაგრძელება საერთაშორისო ნორმებთან კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მის დახვეწასა და განვითარებას.

## თავი II დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები

ყველა ქვეყანაში მოქმედებს ეროვნული სასამართლოები, რომლებიც ამ ქვეყნების სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ [23, 166]. თუმცა სამართლის პროგრესულ განვითარებას მივყავართ იქამდე, რომ სახელმწიფო სასამართლოები გადატვირთულია, მაგრამ მეორე მხრივ ეს პრაქტიკა გვაიძულებს სწორი და ცალკეული გადაწყვეტილებების საშუალებით ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი კულტურა, რომელზეც დამოკიდებულია ეფექტური ეკონომიკური ოპტიმიზაცია [71, 23].

იმ პირობებში, როცა არსებობს გადატვირთული სასამართლოები, ასევე სახელმწიფო სასამართლოების ხარისხის, ობიექტურობისა და პატიოსნებისადმი უნდობლობის ფაქტორები, დავების მოგვარების ალტერნატიული ინსტიტუტები ერთგვარი გამოსავალია. გარდა ამისა, დავის ალტერნატიული მოგვარების გზების განვითარების არსებითი მიზეზი არის სურვილი სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციიდან გათავისუფლებისა – მისმა შედეგიანობამ იკლო. მეორე ფაქტორი არის სასამართლო წარმოების საზოგადოდ აღქმა, როგორც მოუქნელ, მოსაწყენ და განხილვის საგნისათვის უცხო პროცესად [85, 1].

დავების მოგვარების ალტერნატიულმა მეთოდებმა სამოქალაქო სამართლის სფეროში გასულ საუკუნეში მკვეთრი აღმასვლა განიცადა. განსაკუთრებით - სოციალურ და სადაზღვევო სამართლის მიმართულებით, ასევე სხვა სფეროებშიც მოქმედი არბიტრაჟების კონიუქტურა გაიზარდა [85, 1].

დავების მოგვარების ალტერნატიულ გზებში ძირითადად იგულისხმება სამედიატორო და საარბიტრაჟო ინსტიტუტები. მათი მთავარი საერთო მახასიათებელია საერთო შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელე მხარეების მიერ ალტერნატიული საშუალებების დანიშვნა. გარდა ამისა, მხარეებს წინადადება ეძლევათ მშვიდობიანად მოავგარონ უთანხმოება.

ხშირად საარბიტრაჟო და სამედიატორო ინსტიტუტებს ერთმანეთთან აიგივებენ. ისინი ნამდვილად ჰგავს ერთმანეთს, თუმცა მათი არევა დაუშვებელია. ეს გახლავთ ორი სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუტი. საარბიტრაჟო-სამედიატორო ფუნქციებში შეიძლება შედიოდეს

მხარეთა მორიგება, მაგრამ მოურიგებლობის შემთხვევაში, მის გადაწყვეტილებებს ისეთივე ძალა აქვს, როგორც სახელმწიფო სასამართლო აქტებს [14, 151]. რაც შეეხება სამომრიგებლო სასამართლოს, მისი ერთადერთი მიზანი არის მხარეთა მორიგება. უნდა აღინიშნოს, რომ თუ არბიტრაჟის დავის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონებრივ - სამართლებრივი დავა, სამომრიგებლო სასამართლოს შეუძლია გაარჩიოს ნებისმიერი ისეთი სახის დავა, რომელზედაც მორიგება შესაძლებელია. მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ისაა, რომ არბიტრაჟი უფრო მეტად ორიენტირებულია რომელიმე მხარის გამარჯვებაზე, ხოლო მედიაცია - მხარეთა მორიგებაზე.

სამედიატო და საარბიტრაჟო ინსტიტუტები მეტ-ნაკლებად ერთნაირად ვითარდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ საწყისზე ჩამოყალიბდნენ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ორ ტრადიციულ მეთოდთან ერთად, რომლებზედაც ამ თავში დაწვრილებით გვექნება საუბარი, არსებობს დავების გადაწყვეტის მთელი რიგი ახალი მეთოდებისა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში შემუშავდა. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი ამ მეთოდთაგანი:

მინი პროცესი - რომელზედაც მხარეები აწყობენ მოკლე პროცესს ნეიტრალური პირის წინაშე, წარუდგენენ მას ძირითად მტკიცებულებას და მოწმეებს და ასევე მოკლე შესავალ და დასკვნით გამოსვლებს. ნეიტრალური მხარე იძლევა საკონსულტაციო დასკვნას მტკიცებულებასთან დაკავშირებით. ეს დასკვნა ეხმარება მხარეებს, ივარაუდონ თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდება და მათ მოუწევთ სასამართლო პროცესში მონაწილეობა. მხარეები ამ ინფორმაციას იყენებენ დისკუსიების დროს მოლაპარაკების პროცესში. ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია, რომელიც ჩვეულებრივ დიდი, კომპლექსური დავების დროს გამოიყენება.

მის გარკვეულ სახესხვაობას ეწოდება შემაჯამებელი პროცესი მსაჯულთა მონაწილეობით, რომელიც მინი პროცესის მსგავსია, მაგრამ აქ გამოიყენება ნაფიც მსაჯულთა ჟიური მოსამართლის ნაცვლად არასავალდებულო გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ფორმა გამოიყენება დიდი დავებისთვის, რომლებიც განსახილველი იქნება ნაფიც მსაჯულთა მიერ მხარეთა შორის მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში [24, 293].

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ერთ-ერთი ახალი მეთოდია, აგრეთვე, ადრეული ნეიტრალური შეფასება (ENE). იგი მინი პროცესის მსგავსია, მაგრამ გაცილებით მოკლეა და ჩვეულებრივ სასამართლოსთან დაკავშირებული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროგრამის ნაწილია. თითოეული მხარე აკეთებს პრეზენტაციას ნეიტრალური მხარის წინაშე, რომელიც შემდეგ იძლევა მოკლე, არასავალდებულო პროგნოზს საქმის სავარაუდო შედეგის შესახებ სასამართლო პროცესის გამართვის შემთხვევაში, რაც მხარეებს ეხმარება საკუთარი პოზიციების გარკვევასა და მოლაპარაკებაში. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს სასამართლო პროცესის ადრეულ ან გვიან ეტაპზე [24, 293].

თათბირი მორიგებასთან დაკავშირებით - ეს მეთოდი თავდაპირველად გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მოგვიანებით ფართო აღიარება ჰპოვა სხვა ქვეყნებშიც. მორიგებასთან დაკავშირებული თათბირის დროს მოსამართლე ან სასამართლოს სისტემასთან დაკავშირებული მაგისტრატი ახორციელებს არაოფიციალურ, დამხმარე სახის მედიაციას, სადაც ის ცდილობს განსაზღვროს შესაძლებელია თუ არა მორიგება. ეს ყოველთვის სასამართლოსთან დაკავშირებული პროცედურაა და ჩვეულებრივ პროცესამდე ხანმოკლე პერიოდით ადრე ტარდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღნიშნულის მსგავს 217-218 -ე მუხლებით [97]. საქართველოში, როგორც ჩანს, იგივე მოსამართლე, რომელიც თავმჯდომარეობს საქმის განხილვას სასამართლოში, შეიძლება მონაწილეობდეს მედიაციაშიც. აშშ - ში ზოგჯერ ეს ასეა, მაგრამ ხშირად მოსამართლე ან მაგისტრატი, რომელიც მედიატორის როლს ასრულებს, არის განსხვავებული იმ მოსამართლის ან მაგისტრატისაგან, რომელიც მოსამართლის ფუნქციას ასრულებს სასამართლო პროცესზე [24, 294].

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდთაგან საინტერესოა აგრეთვე ე.წ. „მედ - არბი“. ეს მედიაცია - არბიტრაჟის შემოკლებული დასახელებაა. კონცეფცია მხარეებს აძლევს თავდაპირველად მედიაციის ცდის საშუალებას. თუ მედიაცია წარუმატებელი აღმოჩნდება, მაშინ მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს, სადაც არბიტრი იღებს სავალდებულო გადაწყვეტილებას. არსებობს გარკვეული უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა ერთსა და იმავე პირს იყოს მედიატორი და არბიტრი ერთ დავაზე. ერთი და იმავე პირის უპირატესობაა ის, რომ მას შეუძლია არბიტრაჟი წარმართოს მოკლე დროში, რამდენადაც მისთვის უკვე ცნობილია საქმე. თუმცა, ეჭვებმა კონფლიქტებისა და კონფიდენციალური

ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ბევრი პრაქტიკოსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია სხვა პირი ასრულებდეს არბიტრის ფუნქციას [24, 294].

ფაქტების ნეიტრალური მაძიებელი - ამ პროცედურაში ნეიტრალური მხარე შეისწავლის დავას. ის ჩვეულებრივ ითვალისწინებს მხარის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს და მის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებულ მტკიცებულებებს. ნეიტრალური პირი ამზადებს ანგარიშს ზოგჯერ რეკომენდაციებთან ერთად, რომელსაც მხარეები ითვალისწინებენ მორიგების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში. ეს მეთოდი ყველაზე გამართლებულია, როდესაც საქმეში არსებობს მნიშვნელოვანი დავა ფაქტებთან დაკავშირებით [24, 295].

თანამედროვე პრაქტიკაში მკვიდრდება არბიტრაჟის ისეთი სახე, როგორცაა ბეისბოლის არბიტრაჟი. ასეთი მეთოდის გამოყენების დროს მხარეები მტკიცებულებას წარადგენენ სტანდარტული არბიტრაჟის მსგავსი ფორმით, მაგრამ ბოლოს თითოეული მხარე წარადგენს ფულად შეთავაზებას არბიტრის წინაშე. არბიტრმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი შეთავაზებული თანხა მოდიფიკაციის გარეშე. პროცესი მხარეებს აიძულებს წარადგინონ დასაბუთებული წინადადებები და ზღუდავს არბიტრის დისკრეციას. ეს მეთოდი საუკეთესოდ გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ერთ კონკრეტულ პრობლემასთან, როგორცაა, მაგალითად, ხელფასის დონე ან ზარალის თანხა [24, 295].

ომბუდსმენი - ჩვეულებრივ წარმოდგენილია დიდ დაწესებულებაში. ის ჩვეულებრივ ასრულებს ნეიტრალური პირის როლს, რომელიც იკვლევს და ისმენს პრეტენზიებს და ცდილობს გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობას მედიატორის მსგავსად. ომბუდსმენს ჩვეულებრივ ნიშნავს დაწესებულება, რათა მოახდინოს კონფლიქტების გამწვავებისა და გაფართოების პრევენცია. მას ჩვეულებრივ არ გააჩნია დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება, მაგრამ შეუძლია ანგარიშის ან დასკვნის გამოქვეყნება, რომლის შესრულებაც დამოკიდებულია მოცემული დაწესებულების სურვილზე [24, 295].

საოჯახო სამართლის დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდი კოლაბორაციული კანონი. ის შემუშავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და უკანასკნელ პერიოდში პოპულარობა მოიპოვა სხვა ქვეყნებშიც. კოლაბორაციული კანონის თანახმად, მხარეთა ადვოკატები თანხმდებიან, რომ ისინი უარს იტყვიან მხარეების წარმომადგენლობაზე კონკრეტულ დავაში,



თუ ვერ შეძლებენ მორიგების მიღწევას სასამართლო პროცესამდე. ეს ოთხმხრივი შეთანხმება ხელს უწყობს მორიგებას, რადგან მხარეებს უწევთ ახალ ადვოკატებთან მუშაობა, თუ არსებული ადვოკატების შემთხვევაში ვერ მოხერხდება მორიგების მიღწევა. ამჟამად კოლაბორაციული კანონი ძირითადად შემოიფარგლება განქორწინების საქმეებით.

ბევრ ქვეყანაში სასამართლოსთან დაკავშირებული პროგრამები მხარეებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ მოკლე, არასავალდებულო არბიტრაჟში ან მედიაციაში. ამის მიზანია მორიგების ხელშეწყობა და დაგროვებული საქმეების რაოდენობის შემცირება. მედიაციის მეთოდი შეიძლება მკაფიო იყოს, მაგრამ არბიტრაჟი საჭიროებს განმარტებას. არასავალდებულო საარბიტრაჟო პროგრამის შემთხვევაში არბიტრი ჩვეულებრივ იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ადრეული შეფასების (ENE) მსგავსად ეხმარება მხარეებს მოლაპარაკების პროცესში. მაგრამ გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება, თუ მხარე უარს არ იტყვის მასზე მოკლე პერიოდის განმავლობაში. სასამართლოსთან დაკავშირებული ბევრი პროგრამა ქმნის მორიგების სტიმულს, სადაც მხარემ, რომელიც უარს ამბობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე, უკეთეს შედეგს უნდა მიაღწიოს მომავალში გამართულ სასამართლო პროცესზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება ფულადი ჯარიმა [24, 296].

ელექტრონული კომერციის განვითარებასთან ერთად აშშ-ში და სხვა ქვეყნებში დიდი პოპულარობა მოიპოვა დავების „ონლაინ“ გადაწყვეტის (ODR) მომსახურებამ. ეს შეიძლება წარმოადგენდეს დავის მთლიანად „ონლაინ“ განხილვის პროცესს, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Cybersettle და SquareTrade, სადაც მხარეები მთელ ინფორმაციას და შეთავაზებებს ცვლიან ელექტრონულად ინტერნეტის მეშვეობით [40, 331]. მხარეებმა ასევე შეიძლება მიმართონ ელექტრონული კომერციით დაკავებული ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის სერვისს დიდი ან მცირეთანხიანი დავებისთვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ Ebay - ს დავების „ონლაინ“ გადაწყვეტის სისტემა, რომელიც წყვეტს 60 მილიონ საქმეს ყოველწლიურად, ან დავების „ონლაინ“ გადაწყვეტის მომსახურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო შერეულ პროცესებში, რომელთა შეთავაზებაც წარმოებს ტრადიციული პროვაიდერების, მაგალითად, ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციის მიერ, სადაც მხარეები ინფორმაციას წარადგენენ ელექტრონულად, ვებ-ფორმებისა და ვიდეო კონფერენციების მეშვეობით, მაგრამ მაინც ხვდებიან ერთმანეთს პირისპირ ან საუბრობენ ტელეფონით [11].

## 2.1. მედიაციის ცნება და შინაარსი

მედიაცია დაახლოებით იმდენი ხანია არსებობს, რამდენი ხანიც არსებობს ადამიანთა ორგანიზებული საზოგადოება. რთული არ არის წარმოვიდგინოთ ოჯახის ან ტომის წევრი, რომელსაც უკავია ნეიტრალური პოზიცია და რომელიც ორ პირს ეხმარება დავის გადაწყვეტაში. მედიაცია სავარაუდოდ უფრო ძველია, ვიდრე პირველი სასამართლო სისტემა და გამოყენებულ იქნა, როგორც მოდელი საერთო სასამართლოების შესაქმნელად [57, 55]. უფრო მეტიც, დავის გადაწყვეტის ეს ალტერნატიული მეთოდი დამკვიდრდა მთელს მსოფლიოში. მედიაცია გამოიყენებოდა მთელი თანამედროვეობის წინა ისტორიის განმავლობაში ისეთ განსხვავებულ პერიოდებში და ქვეყნებში, როგორებიც იყო კონფუცის დროინდელი ჩინეთი, ალბანეთის სოფლები, მე-12 საუკუნის ინგლისი, კოლონისტების პერიოდისა და აბორიგენების ჩრდილოეთი ამერიკა და კოლონისტების წინა პერიოდის აფრიკა [24, 124]. მაგალითად, კონფუცის ჩინეთში ადამიანები შუამავლის გამოყენებას მიიჩნევდნენ როგორც სოციალურად მისაღებ გზას დავის გადასაწყვეტად. ანგლო-საქსონურ ინგლისში მხარეები ცდილობდნენ მედიაციის გზით დავის გადაწყვეტას მაშინაც კი, როცა სასამართლოს გამოტანილი ჰქონდა განაჩენი [57, 55].

შუა საუკუნეების ერების-სახელმწიფოების შექმნამ განაპირობა სამთავრობო სასამართლო სისტემების შექმნა. შედეგად მედიაციის პოპულარობა დაეცა, თუმცა მეოცე საუკუნეში მედიაცია დაბრუნდა, როგორც დავების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი და პოპულარული მეთოდი. ეს ბოლოდროინდელი პოპულარობა, გარკვეულწილად, გამოწვეულია იმ წარმოდგენით, რომ ფორმალიზებული სასამართლო სისტემა ნელია და ძვირადღირებული. ასევე იმიტაც, რომ მედიაციის შემთხვევაში მხარეები, სასამართლოს ფორმალიზებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, თვითონ აყალიბებენ გადაწყვეტილებას, რომელიც უკეთ გამოხატავს ორივე მხარის ინტერესებს [24, 125].

მედიაცია, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მესამე პირის დახმარებით წარმოებული მოლაპარაკების ტექნიკა, თავისი თანამედროვე ფორმებით საქართველოში სიახლეს წარმოადგენს [27, 28]. მოლაპარაკების გარეშე ელემენტარული ადამიანური მიზნის მიღწევაც კი შეუძლებელია, ამიტომ იგი სხვა პირებისგან სასურველის მიღების ერთ-ერთ ყველაზე ბუნებრივ

საშუალებად უნდა განვიხილოთ. ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრა კი მხოლოდ მოლაპარაკებით შეიძლება [41,3].

როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს: თავისუფალი საზოგადოება ეფექტური მართლმსაჯულების გარეშე წარმოუდგენელია. ლიბერალიზაციის გზა, რომელსაც ქართული სახელმწიფო ადგას, შესაძლოა დიდ წარმატებებთან ერთად დიდი ხიფათის მომტანიც აღმოჩნდეს, თუ თავისუფალი ბაზრის პირობებში სამართლებრივი ბალანსის არსებობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები დაკისრებულ ამოცანებს ვერ შეასრულებენ. სამოქალაქო ბრუნვის არასტაბილურობა თავისთავად გულისხმობს კერძო სამართლებრივი დავების რაოდენობის ზრდას. ასეთ პირობებში სამოქალაქო მართლმსაჯულება არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიც არის გამოიყენოს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო დონეზე გამოცდილი და მეტ-ნაკლებად ეფექტური მექანიზმები, არ ჩამორჩეს საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარებულ ტემპს და მომზადებული შეხვდეს იმ გამოწვევებს, რომლებსაც თავისუფალი ბაზარი თითქმის ყოველდღიურად სთავაზობს.

სასამართლოს „მომსახურების“ ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად დგას განვითარებული სახელმწიფოების წინაშე. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სასამართლო და იურიდიული მომსახურების ხარჯების განუხრელი ზრდა სხვადასხვა სამართლებრივი სტილისა თუ ტრადიციის მქონე მართლწესრიგს აიძულებს, ეძებოს უფრო იაფი და ეფექტური საშუალებები, რაც, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების განტვირთვას, მეორე მხრივ კი - არსებული დავების რეალურ გადაწყვეტას უზრუნველყოფს. არბიტრაჟი და მედიაცია სწორედ ის მექანიზმებია, რომლებსაც სამოქალაქო მართლმსაჯულებისთვის ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლიათ, თუ მათი სამართლებრივი რეგულირება და გამოყენების პრაქტიკა მსოფლიოს პროგრესულ ნაწილში არსებულ გამოცდილებასა და სტანდარტებს დაუახლოვდება.

მედიაცია ხშირად მოიაზრება, როგორც „მოსამზადებელი“, საწყისი და სასინჯი სტადია სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესის წინ [44, 35]. დავების გადაწყვეტის საშუალებების სხვადასხვა ისტორიულ გარემოებაში განვითარებამ უამრავი ფორმისა და მეთოდის წარმოშობა განაპირობა, რაც ყველა მათგანის მომცველი უნივერსალური დეფინიციის ჩამოყალიბებას თითქმის შეუძლებელს ხდის. ზოგჯერ დოქტრინაში მედიაციის ცნებას გაურკვეველსა და

ბუნდოვანსაც უწოდებენ და მოიხსენებენ როგორც საერთო სახელს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განსხვავებული მოდელებისთვის.

მედიაცია მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერა და ხელშეწყობაა [63, 1]. სხვაგვარად რომ ითქვას, ეს არის სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესი, რომელიც პროფესიონალი მედიატორის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს [56, 19]. მედიაცია დავების გადაწყვეტის სფეროში ორგანიზატორულ და მენეჯერულ საქმიანობას ნიშნავს. დავების პრევენცია და რისკების მენეჯმენტი კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა, რომელზეც ბიზნესის წარმატებაა დამოკიდებული [66, 12]. ვინაიდან კონფლიქტისა და აზრთა სხვადასხვაობის თავიდან აცილება ყოველთვის ვერ ხერხდება, ერთადერთ რაციონალურ გამოსავლად კონფლიქტური ურთიერთობების სტრუქტურირებული მართვა რჩება, რასაც რისკების მაქსიმალურად შემცირება შეუძლია. ამ ზოგადი შეფასების პრაქტიკული დადასტურებაა მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა. შეიძლება ითქვას, რომ „მედიაცია არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არმქონე მედიატორი სისტემატურად უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეთა თვითპასუხისმგებლობაზე დამყარებული შეთანხმების მიღწევა“ [27, 37]. ამ განმარტებაში ასე თუ ისე თავმოყრილია ყველა ის ნიშანი, რომელთა გარეშეც პროცედურის მედიაციად კვალიფიკაცია შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მას უნივერსალურს მაინც ვერ ვუწოდებთ. მედიაცია პრაქტიკაში წარმოადგენს მედიატორის მიერ მხარდაჭერილ მოლაპარაკებას. მოლაპარაკება მედიაციის გარეშეც შესაძლებელია, თუმცა მედიაცია მოლაპარაკებების გარეშე არ არსებობს [61, 8]. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა უბრალო მეთოდი არ არის. პირიქით, მედიაციას თვითონ აქვს მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი მეთოდები. მას ხშირად ახასიათებენ როგორც კონფლიქტების მენეჯმენტისა და მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის საუკეთესო შესაძლებლობას [43, 22].

სამედიატორო პროცესი შეიძლება განახორციელოს როგორც მედიაციის ინსტიტუციურმა პროვადერმა, ასევე ის შეიძლება ჩატარდეს საგანგებოდ (ad hoc) დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელსაც დროებითი ხასიათი აქვს. ბუნებრივია, ინსტიტუციური მედიაცია უფრო მაღალ ხარისხს გვთავაზობს, მაგრამ იზრდება ხარჯებიც [10, 73]. ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია ასევე ითვალისწინებს ინვესტორსა და ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის მედიაციის

პროცესის გამართვის შესაძლებლობას. ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს მისი გამართვა საინვესტიციო დავების საერთაშორისო წესების შესაბამისად. ცხადია, პროცედურაზე ორივე მხარის თანხმობა აუცილებელია [59, 11].

მედიაცია შეიძლება განხორციელდეს ორი განსხვავებული ფორმიდან ერთ-ერთის მეშვეობით, ესენია: კერძო მედიაცია და სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია. კერძო მედიაციის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთს უთანხმდებიან მედიაციის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება შეიძლება მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებისას, დავის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე, ან თუ კონტრაქტი არ შეიცავს ასეთ დათქმას, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მედიაციაზე დავის წარმოშობის შემდეგაც.

კერძო მედიაცია, როგორც სახელი მიუთითებს, არის კერძო შეთანხმება დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის შესახებ. ჩვეულებრივ, სასამართლო არ მონაწილეობს მედიაციის პროცესში. გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა სასამართლოს სთხოვენ მხარეებს შორის წინასწარ არსებული შეთანხმების აღსრულებას მედიაციის შესახებ. სხვა შემთხვევაში ის სრულიად კერძოა. კერძო მედიაცია შეიძლება შედგეს სასამართლო პროცესის არარსებობისას ან სასამართლო პროცესის დროს (რომელ შემთხვევაშიც სასამართლო პროცესის შეჩერება ხდება, სანამ მედიაციის შედეგი არ გახდება ცნობილი). თუ მედიაცია დასრულდა მორიგებით, მაშინ სასამართლო პროცესი შეწყდება, ხოლო თუ მედიაცია არ დასრულდება მორიგებით, მაშინ სასამართლო პროცესი გაგრძელდება სასამართლოს სისტემაში რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების გარეშე [24, 135].

სასამართლოსთან დაკავშირებულ მედიაციაში სასამართლო წარმართავს მედიაციის პროცესს ნაწილობრივ ან სრულად. მას ადგილი აქვს სასამართლო პროცესის დროს. მსოფლიოში არსებობს სასამართლოსთან დაკავშირებული პროგრამების ბევრი სახეობა. ზოგჯერ სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის პროგრამა ნებაყოფლობითია, სადაც მოსამართლე, ან ადმინისტრატორი აანალიზებს საქმეს და საჭიროების შემთხვევაში ურჩევს მხარეებს განიხილონ მედიაციაში მონაწილეობა. ამ ტიპის პროგრამაში მედიაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები შეთანხმდებიან მის განხორციელებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიმართავენ სასამართლო პროცესს. სხვა პროგრამებში მედიაცია სავალდებულოა, რომელიც მხარეებისგან მოითხოვს მედიაციაში ჩართვას სასამართლო პროცესის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს მოეთხოვებათ მედიაციაში მონაწილეობა, თუ პროგრამა

სავალდებულოა, მათ მაინც შეუძლიათ სრული კონტროლის შენარჩუნება მორიგებასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევაზე [24, 135].

ზოგიერთ სასამართლო სისტემაში მედიაციის შეთავაზება სარჩელის შეტანის წინაპირობაა. ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელეს მოეთხოვება მედიაციის შეთავაზება მოპასუხისთვის სასამართლოში საჩივრის შეტანამდე. თუ მოპასუხე თანახმაა, მაშინ მედიაცია შედგება. თუ მოპასუხე უარს იტყვის, მაშინ მედიაცია არ შედგება და მოსარჩელეს შესრულებული ექნება მოთხოვნა იმისთვის, რომ გაიმართოს სასამართლო პროცესი. სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის მოწყობის მიხედვით მედიატორი შეიძლება იყოს მოსამართლე, ადვოკატი, ან კონკრეტული დარგის ექსპერტი, რომელიც დაქირავებულია სასამართლოს სისტემის მიერ. ზოგჯერ მედიატორი არ არის დაქირავებული სასამართლოს მიერ, მაგრამ დაქირავებულია მედიაციის კერძო კომპანიის მიერ, რომელიც ეწევა მედიაციის მომსახურებას სასამართლოს სახელით [24, 136].

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც სასამართლო და კერძო მედიაციას განასხვავებს, არის აღსრულების წესები. როდესაც სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია სრულდება მორიგებით, ის ჩვეულებრივად რეგისტრირდება სასამართლოში და ავტომატურად ექვემდებარება აღსრულებას ისევე, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძო მედიაციის გადაწყვეტილების აღსრულება კი ამ ფორმით არ ხდება. კერძო მედიაციის აღსრულების წესები განსხვავებულია მსოფლიოს მასშტაბით. ავსტრალიის შტატების უმრავლესობაში მედიაციის მეშვეობით მიღწეული შეთანხმებები სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის სქემების ფარგლებს გარეთ არ რეგისტრირდება სასამართლოში, თუ სასამართლო პროცესი არ არის დაგეგმილი [24, 136]. მსგავსი წესებია დადგენილი აშშ - ში, თუმცა თუ იქ სასამართლო პროცესი დაგეგმილია, სასამართლოს ჩვეულებრივ შეუძლია გადაწყვიტოს ბრძანების გამოცემა, რომელიც ითვალისწინებს მორიგების შეთანხმების გადაწყვეტილებად გარდაქმნას და გადაწყვეტილება უკვე შეიძლება აღსრულდეს ისევე, როგორც სასამართლოს ბრძანება [24, 137]. თუ სასამართლო არ დაარეგისტრირებს შეთანხმებას ბრძანებად, მედიაციის შეთანხმება დარჩება უბრალო ხელშეკრულებად, რომელიც აღსრულდება ხელშეკრულების დარღვევის გამო შემდგარი სასამართლო პროცესით. გამონაკლისია საოჯახო სამართლის დავები (განქორწინება, ბავშვზე მეურვეობა, ბავშვის ნახვა და ფინანსური დახმარება), სადაც მედიაციით მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის მიიღება სასამართლოს გადაწყვეტილებად [57, 108]. ბოსნიასა

და ჰერცოგოვინაში ახალი კანონი მედიაციის შესახებ უზრუნველყოფს მედიაციით მიღწეული ყველა მორიგების აღსრულებას სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად [24, 137]. ზოგიერთ იურისდიქციაში, მაგალითად, გერმანიაში, ინდოეთში, ბერმუდებზე, ჰონგ კონგში და ჩინეთში კერძო მედიაციით მიღწეული მორიგება შეიძლება გარდაიქმნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად, რაც ითვალისწინებს ისეთივე აღსრულებას, როგორსაც ადგილი აქვს სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში.

მედიატორების აზრით, მედიაციაში უმთავრესი კომუნიკაციაა. იქ, სადაც კომუნიკაცია არ არსებობს, მედიაციაც ვერ იარსებებს [27, 45]. მედიაციის ეფექტურობისთვის მასთან დაკავშირებულ პირთა და ინსტიტუტთა სიმრავლე და განსხვავებულობა აუცილებელია. პარლამენტები ქმნიან კანონებს, განსაზღვრავენ მედიაციის მოქმედების ფარგლებსა და ძირითად პრინციპებს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია შეიმუშავებს მედიაციის რეგლამენტებს, ეთიკის კოდექსებს და ა.შ. სასამართლოები ახორციელებენ მედიაციის მხარდაჭერაზე ორიენტირებულ პროექტებს, ხოლო მხარეები მედიაციის შესახებ ხელშეკრულებაში განსაზღვრავენ იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც მათ ერთობლივ სურვილს წარმოადგენს [27, 45]. მედიაციის პროცესის გამართვის შესახებ მხარეთა შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ამ შეთანხმებით მხარეები ცალსახად ამბობენ უარს დავის გაგრძელებაზე და მეორეც - ეს მათ მიერ მიღწეული პირველი შეთანხმებაა, რომელიც სხვა, უფრო დიდი მნიშვნელობის შეთანხმებების მიღწევის პერსპექტივას უფრო რეალურს ხდის [34, 164]. დავის გადაცემა მედიაციისთვის ძალიან ჰგავს არბიტრაჟის არჩევის პროცესს. მხარეებს შეუძლიათ მედიაციის პროცესი რომელიმე ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ მედიაციის პროცედურას დაუქვემდებარონ, ან დამოუკიდებლად, თავიანთ შეთანხმებაში გაითვალისწინონ ის წესები, რომელთა დაცვითაც პროცესი უნდა წარიმართოს [27, 281]. შეთანხმება უნდა შეეხებოდეს მედიაციის დეტალებს, მაგალითად, მედიაციის ხანგრძლივობას, მედიატორის ჰონორარს და ა.შ. მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბება სასურველია მას შემდეგ, რაც გარკვეული ნაბიჯები მედიაციის კუთხით უკვე გადაიდგმება [49, 133].

მედიაციის შეთანხმება შესაძლებელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემადგენელ ნაწილადაც იქცეს. ამ მოსაზრებას ევროკავშირი განსაკუთრებით უჭერს მხარს, როდესაც საქმე მომხმარებელთან წარმოშობილ დავას ეხება. მომხმარებელი დავის საგნის ღირებულების სიმცირის გამო ხშირად ერიდება სასამართლოსათვის მიმართვას და ამის გამო

სათანადო სამართლებრივი დაცვის გარეშე რჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობათა შორის მედიაციის შეთანხმების გათვალისწინება დოქტრინაში ცალსახად დადებითად არის შეფასებული [27, 285].

კანონი არ ითხოვს სამედიატორო შეთანხმების რაიმე მკაცრად განსაზღვრულ ფორმას და ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში მედიაციის შესახებ ხელშეკრულება თავისუფლად შეიძლება დაიდოს [27, 285]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეთანხმებას უნდა ჰქონდეს რაიმე გამომხატველობითი ფორმა და მისი არსებობის დამადასტურებელი რაიმე ობიექტური მტკიცებულება, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მოუწევს მისი ნამდვილობის შემოწმება. სახელმწიფოთა უმრავლესობა სპეციალურ მოთხოვნებს მედიაციის შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით არ იცნობს. მაგალითად, გერმანიაში ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ამ შეთანხმების დადება და მედიაციის პროცესის წარმართვა დასაშვებად ითვლება. იგივე წესი გამოიყენება მომხმარებლის მონაწილეობით დადებული შეთანხმების მიმართაც. საარბიტრაჟო განხილვისგან განსხვავებით, გერმანიის მოქმედი კანონმდებლობით აქ რაიმე სახის შეზღუდვები არ არის. ჟენევის კანტონის კანონმდებლობა მედიაციის შეთანხმებისათვის რაიმე სპეციალურ ფორმას ასევე არ ითვალისწინებს. მისი დადება შესაძლებელია როგორც სამოქალაქო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე მის დაწყებამდე როგორც მხარეთა ინიციატივით, ასევე მოსამართლის რეკომენდაციით [27, 285].

ICC არბიტრაჟი თავის „კლიენტებს“ სთავაზობს მედიაციის შესახებ შეთანხმების შემდეგ ვარიანტებს: 1. ფაკულტატური მედიაცია, რომლის თანახმადაც მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სახელშეკრულებო დავები ICC მედიაციის წესების შესაბამისად გადაწყვიტონ. 2. „სავალდებულო მედიაცია,“ რომლის თანახმადაც მხარეები თანხმდებიან და იღებენ ვალდებულებას, რომ შეეცდებიან დავის გადაწყვეტას ICC მედიაციის წესების შესაბამისად. 3. „სავალდებულო მედიაცია შეწყვეტის ავტომატური მექანიზმით“ - მხარეები თანხმდებიან, რომ შეეცდებიან დავა გადაწყვიტონ ICC მედიაციის წესების შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის მიერ მედიაციის შესახებ მოთხოვნის წარდგენიდან 45 დღის, ან მხარეთა მიერ წერილობით შეთანხმებული ნებისმიერი სხვა ვადის განმავლობაში. თუ დავა შეთანხმებულ ვადაში არ გადაწყდება, მხარეებს აღარ ეკისრებათ მედიაციის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები. 4. „მედიაცია და არბიტრაჟი“ - თუ მხარეებს შორის წარმოშობილი დავა არ გადაწყდება 45 დღის, ან მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმებული ნებისმიერი სხვა ვადის



განმავლობაში, ICC მედიაციის წესების შესაბამისად, მაშინ დავას საბოლოოდ გადაწყვეტს ერთი ან რამდენიმე არბიტრი ICC არბიტრაჟის რეგლამენტის შესაბამისად [62, 178].

თუ შეთანხმება შინაარსობრივად არ შეიცავს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს, მაშინ მისი მედიაციის შეთანხმებად კვალიფიკაცია შეუძლებელი იქნება. ზოგიერთის მოსაზრებით, მედიაციის შეთანხმების ნამდვილობისთვის აუცილებელია სამი ძირითადი კომპონენტის არსებობა. შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს მესამე ნეიტრალური პირის მონაწილეობით დავის გადაწყვეტას, კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული რომელი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა უნდა გადაწყდეს მედიაციის გამოყენებით, და ბოლოს, მხარეებმა უნდა დანიშნონ მედიატორი, რომელიც შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად უნდა დაეხმაროს მათ საერთო გამოსავლის ძიებაში [27, 287]. მედიაციის შეთანხმება შესაძლოა ასევე შეიცავდეს: იმ ინსტიტუტის დასახელებას, რომელსაც მხარეები ანდობენ მედიაციის პროცესის წარმართვას, მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრას, მედიაციის პროცესის მსვლელობისას მხარეთა სავალდებულო მოქმედებების შეთანხმებას, მაგალითად, შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა მოლაპარაკებას მხოლოდ პირადად წარმართავენ, ყველა შეხვედრას პირადად დაესწრებიან და ა.შ.. შეთანხმება აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს მედიაციის ვადებს, ასევე კონკრეტულად რომელი ფორმის გამოყენება სურთ მხარეებს, რამდენ მედიატორს ირჩევენ, როგორ უნდა წარიმართოს პროცესი და ა.შ.. მხარეებს შეუძლიათ მედიაციის ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ მისი შეწყვეტის შემთხვევები [27, 287-288].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიაცია არ არის ერთადერთი გამოსავალი და მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი. არსებობს სიტუაციები და დავები, სადაც მედიაცია უძლურია და სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო სასამართლოს ან არბიტრაჟის ჩართვა საქმეში გარდაუვალია. სწორედ ამიტომ, საინტერესოა განვიხილოთ მართებულია თუ არა, რომ მხარეებმა იმთავითვე მიუთითონ ხელშეკრულებაში, რომ წარმოშობილი დავების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მედიაციას მიმართავენ. ეს, ფაქტობრივად, ავალდებულებს მხარეებს მოიქცნენ ხელშეკრულების შესაბამისად, მედიაციას კი თავის უპირველეს ნიშანს - ნებაყოფლობითობას უკარგავს. შესაძლოა, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დადასტურებული თანხმობა მედიაციაზე მხარისთვის ტვირთად და გამაღიზიანებელ ვალდებულებად იქცეს, რაც საერთოდ გამორიცხავს მედიაციის მთავარ მიზანს - შეთანხმებას. ასეთ მხარესთან მოლაპარაკება

თითქმის უპერსპექტივო და შეუძლებელი იქნება. საბოლოო ჯამში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მედიაციის შესახებ შეთანხმების ხელშეკრულების ნაწილად ქცევამდე უნდა გაანალიზდეს, რა სახის დავები შეიძლება წარმოიშვას და რამდენად ადეკვატური შეიძლება იყოს მედიაცია, როგორც პროცესი, დაარეგულიროს ეს დავები [44, 40-41]. მედიაციის პროცესის დაწყებას აქვს თავისი სამართლებრივი შედეგები როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო თვალსაზრისით. მეცნიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, კანონისა და სამართლიანობის დაცვა მედიაციისთვის აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტი და პრინციპია [27, 45]. როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, კანონის დაცვაზე მითითება მისაღებია, მაგრამ სამართლიანობის დაცვის მოთხოვნით ავტორი ეწინააღმდეგება მის მიერვე მხარდაჭერილ დებულებას იმის შესახებ, რომ მედიაციის დროს მხარეთა კონსენსუსი გადამწყვეტია - მთავარია მხარეები შეთანხმდნენ და ეს შეთანხმება კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს. მედიატორისთვის სამართლიანობის მოთხოვნის წაყენება ზედმეტი და არაფრის მომცემია. თუ მხარეები ეთანხმებიან კონკრეტულ პირობებს და ეს პირობები კანონს არ ეწინააღმდეგება, აუცილებელი არ არის, თითოეული მხარე მიღწეულ შეთანხმებას სამართლიანობის აპოთეოზად თვლიდეს. მედიაციის მიზანი ამის გარეშეც მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ბოლო წლებში შემუშავებულმა საკანონმდებლო ინიციატივებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მედიაცია მიჩნეულ იქნა, როგორც სასამართლო პროცესის ეფექტური, ალტერნატიული მეთოდი [79, 278].

ტერმინი მედიაცია „შუამავალს“ ნიშნავს და წარმოადგენს სამართლებრივი დავის გადაწყვეტის მოქნილ პროცესს, სადაც მესამე მხარე – მედიატორი – ეხმარება მოდავე მხარეებს დავის მორიგებით გადაწყვეტაში [73, 244]. ეს მოითხოვს ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომას. სამართლებრივი შეფასება მეორე ადგილზე ინაცვლებს. მოსამართლისაგან და არბიტრისგან განსხვავებით, მედიატორის ვალდებულება არ არის გადაწყვეტილების გამოტანა. პირიქით, მას არ შეუძლია გამოიტანოს მხარეთათვის აუცილებლად შესასრულებელი გადაწყვეტილება [15, 8]. პროცესის შედეგს განსაზღვრავენ მხარეები. ეს ნიშნავს, რომ მხარეები მოქმედებენ ნებაყოფლობით და საკუთარი პასუხისმგებლობით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში მონაწილეობა ყოველთვის ნებაყოფლობითი არ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებში დავის მოგვარების ალტერნატიული გზების ზოგიერთ პროგრამებში (*court ADR programs*) დაწესებულია პირველ სხდომაში მონაწილეობის ვალდებულება, თუმცა ამას დიდი ცვლილება

არ შეაქვს მოლაპარაკებების ნებაყოფლობის პრინციპებში და პროცესის შემადგენლობა არაფორმალურია [73, 244].

მედიაციის ინსტიტუტის დაყოფა შეიძლება იმდენ ფორმად, რამდენიც თავად მედიატორი არსებობს: თუ როგორ როლს აირჩევს იგი პროცესის განმავლობაში, მოლაპარაკებას წარმართავს თუ სამართლებრივ ან ფაქტობრივ შეკითხვებს დასვამს. მედიაციის ფორმა ასევე დამოკიდებულია დავის სახეზე.

მართალია, არ არსებობს მედიაციის ინსტიტუტის ზუსტი სახე, მისი საფუძველი ძირითადად არის წერილობითი სამედიატორო ხელშეკრულება, რომელიც აწესებს პროცესის განმავლობაში მიღებულ ინფორმაციაზე საიდუმლოების შენახვის ვალდებულებას და აწესრიგებს მედიატორის ხარჯებს.

გავრცელებული შეხედულებით, მედიაცია ემყარება ხუთ განსხვავებულ პრინციპს: კონფიდენციალობას, ნებაყოფლობითობას, უფლებამოსილებათა მინიჭებას, ნეიტრალურობას, გადაწყვეტის გზის უნიკალურობასა და ორიგინალურობას. რომელიმე მათგანის გარეშე მედიაცია ან არასრულფასოვანია, ან მოცემულ პროცესს საერთოდ ვერ ვუწოდებთ მედიაციას [64, 3]. მედიაციის პრინციპების ხუთეული სხვადასხვა ავტორთან ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. მაგალითად, შვეიცარულ დოქტრინაში გამოყოფენ შემდეგ 5 ძირითად პრინციპს: მედიატორის მიერ ყველა მხარის სასარგებლოდ მოქმედება, მედიატორის მიერ საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა, კონფიდენციალურობა, დავის მორიგებით დამთავრებისთვის აუცილებელი გარემოებების შესახებ მხარეთა ინფორმირებულობა და ნებაყოფლობითობა [27, 46].

ფორმალურად, შეიძლება მედიაციის პროცესის დაყოფა ხუთ ფაზად [73, 245]. პირველი არის შესავლის ფაზა, რომლის განმავლობაშიც მედიატორი მიმართავს მხარეებს. ამ ეტაპზე საქმის განხილვის ძირითად წესებზე თანხმდებიან. მას მოჰყვება საინფორმაციო (ინფორმაციული) ფაზა. მხარეები აცნობენ მედიატორს საქმის არსს და გარემოებებს. ამ ეტაპზე ხდება ასევე მედიატორის ცალკეული შეხვედრები მხარეებთან. მესამე არის ინტერესის ფაზა, რომლის დროსაც მედიატორი ცდილობს დაეხმაროს მხარეებს გამოავლინონ საერთო და ნეიტრალური პრობლემები, გამოიკვლიოს მხარეების მატერიალური და არამატერიალური ინტერესი და

გამიჯნოს გადასაჭრელი პრობლემები. მეოთხე ფაზაში მხარეებს აქვთ საშუალება თვითონ წამოაყენონ იდეები პრობლემის გადასაჭრელად [45, 5]. არც ერთ მათ იდეას წინასწარი ღირებულება არ გააჩნია. დავის მორიგებით გადაწყვეტის შემთხვევაში, მედიატორი ეხმარება მხარეებს კომპრომისის მიღწევაში და მისი ხელშეკრულებით გაფორმებაში [15, 8]. ბოლოს, მეხუთე ფაზაში მხარეებს შორის ფორმდება ხელშეკრულება [45, 245].

იბადება კითხვა: რატომ უნდა მიმართონ მხარეებმა სამედიატორო სასამართლოს? რა უპირატესობა გააჩნია მედიაციის ინსტიტუტს? მედიაციის დადებით მხარედ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება მორიგების დიდი შესაძლებლობა. მედიაციის პროცედურის დროს მხარეები ურთიერთშეთანხმებით გამოიმუშავენ საკუთარ გადაწყვეტილებას და ინარჩუნებენ შედეგზე კონტროლს. მედიაციის პროგრამები გამოირჩევა მორიგების მაღალი მაჩვენებლით. ისინი წარმატებულია მთელ მსოფლიოში: ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მორიგების მაჩვენებელი 67 % ია, გერმანიაში მორიგების მაჩვენებელი 50 – 60 % -ს შეადგენს [24, 141], აშშ -ს ილინოისის შტატში ეს მაჩვენებელი 62 % - ია, ხოლო ტექსასის შტატში 80-85 %. ამ მაჩვენებლების საფუძველზე მედიაცია, სავარაუდოდ, ყველაზე უფრო წარმატებული ინსტიტუტია მორიგების დარგში, რაც განპირობებულია მთელი რიგი მიზეზებით: პირველი, მხარეებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა შეხვდნენ ერთმანეთს და მოისმინონ ერთმანეთის ვერსიები არაოფიციალურ გარემოში, მეორე, მედიაციის შემთხვევაში კომუნიკაცია არის უფრო მკაფიო და პირდაპირი, მესამე, მედიაცია საშუალებას აძლევს ნეიტრალურ მხარეს დაეხმაროს პრობლემების გადაწყვეტაში და მეოთხე, ორმხრივი ეჭვის შემთხვევაში, მორიგების წინადადებები, რომლებიც წარმოდგენილია მედიატორის საშუალებით, შეიძლება უფრო სერიოზულად და ნაკლები ეჭვით იქნეს მიღებული, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნებოდა მოპირდაპირე მხარის ადვოკატის მიერ.

მედიაციას შედეგად მოჰყვება მორიგების ხელშეკრულებასთან მაღალი შესაბამისობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მედიაციის ხელშეკრულების მხარეები იცავენ მორიგების ხელშეკრულებას. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მედიაციის პროცესი ჩვეულებრივ მონაწილეთა მიერ განიხილება როგორც სამართლიანი და დავის გადაწყვეტის მისაღები გზა. ეს ასევე განპირობებულია იმ მიზეზით, რომ მედიაცია მხარეებს აძლევს საკუთარი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, განსხვავებით მოსამართლის ან არბიტრის გადაწყვეტილებისა. მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, უნდა მოხდეს თუ არა მორიგება და რა

პირობებით. მხარეები ასევე წყვეტენ პროცესი არის თუ არა დროის ფუჭი ხარჯვა და უნდა დასრულდეს თუ არა იგი. არავის შეუძლია მედიაციის მხარეების იძულება რაიმე ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით. როგორც მოლაპარაკების შემთხვევაში, მედიაციაც მხარეებს აძლევს მორიგების მიღწევის შესაძლებლობას ურთიერთობის შენარჩუნებასთან ერთად [24, 138]. ეს მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, რადგან პირადი ურთიერთობები გადაწყვეტია ბიზნესისთვის, პოლიტიკისა და საქმიანობის სხვა სფეროებისთვის. მაგალითად, თუ ბიზნეს პარტნიორებს აქვთ დავა ქონებასთან დაკავშირებით და შეუძლიათ მოლაპარაკება შეთანხმების მისაღწევად, ისინი შეძლებენ ურთიერთობის შენარჩუნებას და გააგრძელებენ მომგებიან, საქმიან თანამშრომლობას. სასამართლო პროცესში, სადაც მესამე მხარე იღებს გადაწყვეტილებას, შედეგი შესაძლოა არ იყოს იმდენად მისაღები ორივე მხარისთვის, რომ მათ შეძლონ თანამშრომლობის გაგრძელება.

კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ სასამართლო პროცესთან შედარებით მედიაციის პროცედურა უფრო ნაკლებ დროში და ნაკლები დანახარჯებით მთავრდება. მედიაცია მხარეებს აძლევს რთული დავების მოკლე პერიოდში გადაწყვეტის შესაძლებლობას. სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვე და წელიც კი. მოლაპარაკებაც ასევე იძლევა საკითხების სწრაფად გადაწყვეტის საშუალებას, მაგრამ რამდენადაც მას თან არ ახლავს დადგენილი ვადა, შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მედიაცია კი საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, ერთჯერადი მოვლენაა, მცირე დროის განმავლობაში მიმდინარეობს და ამგვარად პრობლემის გადაჭრაც დროულად ხდება [24, 138]. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ მედიაციის ხარჯები ზოგადად უფრო დაბალია, ვიდრე სასამართლო პროცესის და არბიტრაჟის ხარჯები [24, 138]. გამომდინარე პროცესის ხანგრძლივობიდან, ადვოკატების მომსახურებისა და მედიაციის ცენტრის საფასური დაბალია. დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, კონფიდენციალურობა. იურისდიქციების უმეტესობა იცავს მედიაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას, მაშინაც კი, თუ ამ პროცესს არ მოჰყვება მორიგება და დავა გადაეცემა სასამართლოს. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონი იძლევა შემდეგ განსაზღვრებას: თუ მხარეთა შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, დაცულ უნდა იქნეს მორიგების პროცესთან დაკავშირებული მთელი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, და როცა ეს მორიგების ხელშეკრულების შესრულების ან აღსრულების მიზნებისთვის არის საჭირო. ეს გავრცელებული დათქმაა, რომელიც ბევრ

იურისდიქციაში გვხვდება. მედიაცია ნაწილობრივ იმიტომაც გამოიყენება, რომ მხარეებს შეიძლება სჯეროდეთ, რომ მათი დისკუსიები და მორიგების შეთავაზებები არ იქნება გამეორებული ან გამოყენებული მათ წინააღმდეგ მომავალში. სასამართლო პროცესები კი საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, საზოგადოებისთვის ღიაა.

მედიაციის უპირატესობებს მიეკუთვნება მედიატორის კონკრეტულ სფეროებში სპეციალიზაცია, რაც ხელს უწყობს დავის მორიგებით დასრულებას, მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალია მედიატორის არჩევანი, ასევე ისიც, რომ მხარეები თვითონ ნიშნავენ დავის განხილვის ვადას. რადგან გადაწყვეტილება მიიღება ურთიერთშეთანხმებით, მისი ნებაყოფლობითი აღსრულების ალბათობაც დიდია. მედიაცია შეიძლება მაშინაც სასარგებლო იყოს, როდესაც დავა არ წარმოშობილა. თუ ორივე მხარე ხედავს, რომ საქმე რთულდება, მედიაციის პროცესის დაწყებით მათ შეუძლიათ ერთად იპოვონ სირთულეების გამომწვევი მიზეზები და ერთად იმუშაონ მათ აღმოსაფხვრელად. ასეთი მიდგომა დავის წარმოშობას საერთოდ გამორიცხავს [44, 37]. მსგავსი რამ სასამართლოს ან არბიტრაჟის შემთხვევაში წარმოუდგენელია, ვინაიდან მხარე მათ ვერ მიმართავს და ვერ მიუთითებს, რომ მართალია ჯერ დავა არ წარმოშობილა, მაგრამ მისი წარმოშობის შემთხვევაში მას ექნება კონკრეტული მოთხოვნები. როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, ეს სრული აბსურდი იქნება, ვინაიდან მხარეები ვერ შეძლებენ მოთხოვნის საბოლოო ფორმულირებას და შესაბამისად არც არბიტრაჟსა და არც სასამართლოს უბრალოდ არ ექნებათ შესაძლებლობა არსებითად იმსჯელონ საქმეზე.

მედიაციის უპირატესობა ვლინდება აგრეთვე იმ ფაქტშიც, რომ ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოების სხვადასხვა ეტაპზე აღდგება მხარეთა შორის დარღვეული ურთიერთობები [61, 9], რაც კვლავ ბიზნეს გარემოს სტაბილურობას უწყობს ხელს. ბუნებრივია, მედიაცია დროისა და ხარჯების დაზოგვის ეფექტური საშუალებაა არა მარტო მონაწილე მხარეებისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც, რომელსაც უამრავი რესურსი ეხარჯება სხვადასხვა რთული, ხანგრძლივი პროცესის წარმოებისას. ბიზნესმენს მედიაციაში განსაკუთრებით ის ხიბლავს, რომ ის შეზღუდული არ არის რაიმე სახის პროცესუალური ვალდებულებით. თუ ჩათვლის, რომ მედიაცია დროისა და ფულის ფუჭი ხარჯვაა, ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს მოლაპარაკება და მიმართოს არბიტრაჟს (საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში), ან სასამართლოს [34, 28].

მოქნილობა მედიაციის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. მხარეებს დიდი თავისუფლება აქვთ მედიაციის პროცესის შემუშავებაში. მედიატორს შეუძლია მარტივი ხელშემწყობი როლის შესრულება, თითოეული მხარის მოსმენა და მხარეების წახალისება ან მედიატორს შეუძლია გაცილებით უფრო აქტიური როლის შესრულება, თითოეულ მხარესთან ცალ - ცალკე შეხვედრა, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს მათი ინტერესების და პოზიციების შესახებ და საბოლოოდ შესთავაზოს კიდევ შესაბამისი გადაწყვეტა. მედიაციის შედეგებიც შეიძლება ასევე მოქნილი იყოს. რამდენადაც თავად მოდავე მხარეები აღწევენ მორიგებას, მათ შეუძლიათ შეთანხმება, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სასამართლო პროცესის დროს. მაგალითად, დავაში სამსახურიდან გაშვებულ თანამშრომელთან კომპანიამ შესაძლოა განაცხადოს თანხმობა მასთან საკონსულტაციო ხელშეკრულების გაფორმებაზე იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი კონკურენციას არ გაუწევს მის ყოფილ დამსაქმებელს. მიუხედავად იმისა, რომ სრულად დასაშვებია მხარეებს შორის მსგავსი შეთანხმება, სასამართლოებს ზოგადად არ აქვთ უფლება ის შეიტანონ გადაწყვეტილებაში [24, 138].

მედიატორული მორიგების ნებაყოფლობითი ხასიათი განაპირობებს მონაწილეთა ნაკლებ მისწრაფებას კორუფციის მიმართ. მედიატორს არ შეუძლია არაოფიციალური გადახდის განხორციელება და მას არ გააჩნია კონტროლი და ძალაუფლება მხარეებზე. მედიაციის სესიაზე მხარეები ჩვეულებრივ ირჩევენ ნეიტრალურ პირს სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, სადაც მოსამართლის გამოყოფა ხდება. ეს არჩევანი მხარეებს თავდაჯერებულობას მატებს, რომ მედიატორი არ იქნება მიკერძოებული.

მედიაციის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა ფსიქოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარეობს. მედიაცია გამორიცხავს გამარჯვებულსა და დამარცხებულს. აქ ყველაფერი შეთანხმებით, მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს. ეს გამორიცხავს ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც ადამიანური ფაქტორების ზეგავლენით თვითონ დამარცხების მოვლენა აზარტში აგდებს მხარეს და იგი აგრძელებს უაზრო კონფლიქტს. ეს მხარეებს საშუალებას აძლევს უფრო თავისუფლად ეძებონ ისეთი გამოსავალი, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება და რომელსაც სასამართლო მათი თანხმობის გარეშე ვერასოდეს დაადგენდა [27, 56]. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება,

ხოლო სასამართლო თავად იღებს მათთვის ამ გადაწყვეტილებას, როდესაც მხარეები ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ [61, 13].

მიუხედავად ჩვენ მიერ განხილული მედიაციის უპირატესობებისა, იგი არ წარმოადგენს ერთადერთ გამოსავალს დავების გადაწყვეტის სფეროში. მედიაცია ვერ აიღებს თავის თავზე სრულად მართლმსაჯულების ფუნქციას. მედიაცია უფრო მომსახურების სახეა, რომელსაც აშკარად გამოკვეთილი კომერციული ხასიათი აქვს [27, 218]. ის უფრო მართლმსაჯულების დანამატია, ვიდრე მისი ალტერნატივა. შეუძლებელია ყველა დავის მედიაციის გზით მოგვარება. მისი მოქმედების საზღვრები იქ მთავრდება, სადაც შეუძლებელი ხდება მხარეთა შორის შეთანხმება სხვადასხვა მიზეზის გამო. მედიაცია ეფექტურია მხოლოდ სპეციფიკური დავების მიმართ, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონტაქტები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გაწყვეტილი. მათ კარგად უნდა ესმოდეთ თავად მედიაციის მიზანი, რომ უნდა წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე და მიაღწიონ შეთანხმებას. მათ უნდა სჭირდებოდეთ მედიატორი, რომელიც დაეხმარება პოზიციების განსაზღვრაში, დაანახებს რეალურ სიტუაციას და შესთავაზებს ყველაზე მისაღებ გამოსავალს, ანუ მათ უნდა სურდეთ დავის შეთანხმებით დასრულება და კონფლიქტისთვის თავის არიდება, ხოლო სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვაში ამ გზაზე მათ მედიაცია დაეხმარებათ.

მედიაცია არ არის დავის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალება, თუ მხარეთა პოზიციებს შორის არის აშკარა დისბალანსი. თუ დაპირისპირებულთაგან ერთ-ერთის სამართლებრივი მდგომარეობა გაცილებით ძლიერია მეორესთან შედარებით და ის დარწმუნებულია, რომ მოიგებს დავას არბიტრაჟისა თუ სასამართლოს მეშვეობით, ბუნებრივია, ის არ მიმართავს მედიაციას. მას აღარაფერში სჭირდება შეთანხმება, დათმობებზე წასვლა და მოლაპარაკება, როდესაც სასამართლოს მეშვეობით გაცილებით მეტს მიიღებს [37,5], ამიტომ ხშირად, მედიაციის შეთავაზების ინიციატორად გამოდის შედარებით უფრო სუსტი პოზიციის მქონე მხარე, თუმცა გავრცელებულია მოსაზრება, რომ შეიძლება შეგვხვდეს საწინააღმდეგო სიტუაციაც. კარგი მენეჯერი, რომელმაც იცის, რომ მისი პოზიცია უფრო ძლიერია, მაინც თანხმდება მედიაციაზე. ამით პოზიცია არ სუსტდება, მედიაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კომპანია იმ ზედმეტ ხარჯებს აიცილებს, რაც სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვას ახლავს თან [58, 19]. ამ დროს, როგორც წესი, მხარეები ინტენსიურ კონსულტაციებს გადიან თავიანთ იურისტებთან. ზოგადად, მხარეთა წარმომადგენელი იურისტების



დამოკიდებულებას მედიაციისადმი დიდი მნიშვნელობა აქვს [34, 164]. თუ მხარეები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, მედიაცია შეიძლება მეტად სახიფათო აღმოჩნდეს სუსტი მხარისთვის. მაგალითად, დიდ კომპანიას შეიძლება გაცილებით ხელსაყრელი მდგომარეობა ეკავოს ბაზარზე, ვიდრე ოჯახის მიერ მართვად მცირე მაღაზიას. თუ ორივე მხარე გადაწყვეტს მედიაციის გზით შეთანხმებას, დიდ კომპანიას შეუძლია სუსტი მხარის დაშინება ან მუქარის გამოყენება მის დასათანხმებლად არასამართლიან გადაწყვეტილებაზე. ასეთ შემთხვევაში სუსტი მხარე შეიძლება უკეთ იყოს დაცული მოსამართლის ან არბიტრის დასწრების შემთხვევაში. მედიაცია გაცილებით ეფექტურია, როდესაც ორივე მხარე ერთობლივად ითხოვს მის გამართვას. ხოლო როდესაც მხარეები აშკარად არათანაბარი სიმძლიერითა და ავტორიტეტით გამოირჩევიან, მათ შორის შეთანხმება თითქმის შეუძლებელი ხდება [51, 403-404].

მედიაციას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მედიაციის პროცესი არც ისეთი იაფია, როგორც ამაზე ხშირად მიუთითებენ [27, 58]. ძვირია მედიაცია თუ იაფი, შეფასების საკითხია. სავსებით შესაძლებელია, რომ ერთმა და იმავე პირმა ერთი და იმავე ფორმის მედიაცია ხელმისაწვდომად, ან ნაკლებად ხელმისაწვდომად მიიჩნიოს. თუ მხარეს მობეზრდა გაწეილი სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვა და ძვირადღირებული ადვოკატების მთელი არმიის ჰონორარების გადახდა, ცხადია, მისთვის მედიაცია არ იქნება ძვირი, და პირიქით, თუ მხარეს ხარჯების დიდი ნაწილი უკვე გაღებული აქვს და იცის, რომ მეტის გაღება აღარ მოუწევს, მედიაციის ინიციატივა ფულის ფუჭ ხარჯვად მოეჩვენება. მედიაცია სწორედ იმიტომ არის საინტერესო, რომ აქ ზოგადი კრიტერიუმების გამოკვეთა შეუძლებელია. აქ ყველაფერი უფრო სუბიექტურია, ვიდრე ობიექტური, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, გარკვეულწილად, უფრო ხელოვნებაა, ვიდრე იურისპრუდენცია [27, 58]. 1979 წელს საფრანგეთში წერდნენ, რომ იურისტი (ადვოკატი) სიამოვნებას უნდა განიცდიდეს არა იმდენად პროცესის მოგების შემთხვევაში, რამდენადაც დავის შეთანხმებით დამთავრების დროს [39, 31-32]. მედიაცია შესაძლოა იყოს უფასო, თუ მედიატორი არის ოჯახის წევრი ან ორივე მხარის მეგობარი, მაგრამ თუ დავა მიმდინარეობს ორ პირს ან კომპანიას შორის, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ მედიატორი ნეიტრალური მესამე მხარეა, რომელიც იღებს გასამრჯელოს. მხარეებს შესაძლოა არ სურდეთ ფულის დახარჯვა მედიაციაზე, მაგრამ ამჯობინონ მოლაპარაკება, რათა დარწმუნდნენ, არის თუ არა შესაძლებელი დავის გადაწყვეტა გარეშე პირისთვის ფულის გადახდის გარეშე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიაციის შედეგი მიმართული არ არის სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანისკენ. მისი გადაწყვეტილების აღსრულება არ არის უზრუნველყოფილი, აქ ყველაფერი ნებაყოფლობითია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს შეიძლება რომელიმე მხარემ დროის გაჭიანურების საშუალებადაც გამოიყენოს. მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ის იურისდიქცია, სადაც ისინი აპირებენ ხელშეკრულების გაფორმებას, რათა სათანადოდ გაერკვნენ აღსრულების მოქმედ წესებში. თუ ისინი იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც არ არის გათვალისწინებული აღსრულების პროცედურა კერძო მედიაციით მიღწეულ შეთანხმებებთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორცაა ავსტრალია, მედიაცია შესაძლოა ნაკლებ მიმზიდველი აღმოჩნდეს.

კრიტიკოსები თვლიან, რომ მისი არასავალდებულო ხასიათის გამო მედიაცია დროისა და ფულის ფუჭი ფლანგვაა. არბიტრაჟში დაკავებული ბევრი იურისტი თვლის, რომ მედიაცია ხელს უშლის მხარეს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში და ყოველთვის შეიცავს მოწინააღმდეგე მხარის მიერ ამ დროს მიღებული ინფორმაციის არასათანადოდ გამოყენების საფრთხეს [44, 50]. ზოგჯერ, მედიაციას იურიდიულ მომსახურებადაც განიხილავენ [27, 219]. მედიაციის არასავალდებულო ხასიათი, როგორც ჩანს, წარმოადგენს მის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარესაც. პირველი იმიტომ, რომ ის მხარეთა ნდობით ატმოსფეროს შექმნას განაპირობებს, მეორე, იმიტომ, რომ ამ ატმოსფეროს დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მეტად ბუნდოვანია.

მაშინ, როცა მხარეებს შორის არსებული კომუნიკაცია მედიაციასთან დაკავშირებით უნდა იყოს კონფიდენციალური კანონის შესაბამისად, ზოგიერთ ქვეყანას არ აქვს მედიაციის კანონმდებლობა, რომელიც განსაკუთრებულად იცავს მედიაციასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას. ამგვარად მხარეები ვერ იქნებიან სრულად დარწმუნებულნი პროცესის კონფიდენციალურობაში. ისეთ იურისდიქციებშიც კი, სადაც კონფიდენციალურობა დაცულია, ისინი მაინც უნდა ენდონ მედიატორს, რომ ის არ გაამჟღავნებს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

სამედიაციო პროცესის შედეგი მიმართულია არა დავის სამართლიან გადაწყვეტაზე, არამედ იმაზე, თუ მხარეები როგორ ხედავენ კონფლიქტიდან გამოსვლის გზას [15, 8]. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედიატორი. მის განათლებასა და პროფესიულ ჩვევებზე ბევრია

დამოკიდებული. მედიატორს შეუძლია (1) დაეხმაროს მხარეებს პრობლემის გადაჭრაში აზრთა დისბალანსის შემსუბუქებით, (2) მიუთითოს კლიენტს, რომ მასზე არ უმოქმედია მეორე მხარის ვერსიას სამართლებრივ დავაზე და ბოლოს (3), მედიატორი აღმოჩნდება მათი სიტუაციის თანაზიარი, ამასთან, შეაჯამებს ორ ვერსიას [45, 11].

მედიაციის პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მედიატორი. მედიატორობა, როგორც „პროფესია“, თანამედროვე გაგებით საკმაოდ ახალგაზრდაა. გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ხშირად მედიატორობა არ არის გამოკითხულთა ძირითადი საქმიანობა. საინტერესოა რა ხდება, თუ მედიატორი არის ადვოკატი, აუდიტორი, ან სხვა პროფესიის მქონე პირი და ამ პროფესიის ვალდებულებებს კანონი არეგულირებს, უნდა გავრცელდეს თუ არა ეს რეგულირება იმ პირებზეც, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროფესიულ საქმიანობასთან ერთად მედიაციის სფეროშიც საქმიანობენ. იურისტების ნაწილის პასუხი უარყოფითია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს სასამართლოში საქმისწარმოებას, თუმცა, თუ არსებობს ზოგადი ხასიათის ნორმები, რომელიც შეიძლება ეხებოდეს იურიდიული განათლების მქონე ყველა პირს, მიუხედავად მათი ვიწრო სპეციალობისა, ამ შემთხვევაში ეს ნორმები შეიძლება გამოიყენებოდეს მედიატორთა მიმართაც [48, 127].

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება მედიატორთა შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმი. სასამართლოს მიერ მხარდაჭერილი მედიაციის დროსაც კი ამერიკელი მოსამართლეები ცდილობენ მედიატორის მათთვის მისაღები კანდიდატურა მხარეებმა შეარჩიონ, ამისთვის სასამართლოები თანამშრომლობენ ადვოკატთა გაერთიანებებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით არიან დაინტერესებულნი. მათთან თანამშრომლობის შედეგად სასამართლო ადგენს მედიატორთა სიას, რომელსაც მხარეებს წარუდგენენ და სთხოვენ მედიატორის კანდიდატურაზე შეთანხმებას. სიაში შეყვანისას სასამართლო ხელმძღვანელობს ტრადიციული კრიტერიუმებით: განათლება, გამოცდილება, განსაკუთრებული ცოდნა ან სპეციალიზაცია და ა.შ. [27, 252]. როდესაც მედიატორს სთხოვენ სადავო საკითხების ნეიტრალურ შეფასებას, ამ დროს მისი საქმიანობის შედეგი, გარკვეულწილად, ემსგავსება ექსპერტის დასკვნას, თუმცა სამართლებრივად მათ შორის არსებითი განსხვავებებიც არსებობს. მედიატორის ნეიტრალური შეფასება კონფიდენციალურია, მხარეებს მისი სხვაგან გამოყენების უფლება არ აქვთ [67, 88].

როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, მედიაციის შესახებ შეთანხმების გარდა, მხარეები დებენ ხელშეკრულებას მედიატორთან, რომელიც თანახმაა წარმართოს პროცესი. როდესაც მედიაციის შესახებ შეთანხმება წინასწარ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, ხშირად ეს შეთანხმება და ხელშეკრულება მედიატორთან ერთ დოკუმენტად ერთიანდება და დეტალურად არეგულირებს როგორც მედიატორსა და მხარეებს შორის, ასევე უშუალოდ ამ უკანასკნელთა შორის ურთიერთობებს [27, 252]. მედიატორთან დადებული ხელშეკრულების ფორმის სპეციალური სამართლებრივი რეგულირების არარსებობის გამო შესაძლებელია მისი ნებისმიერი ფორმით დადება. მედიატორთან დადებული ხელშეკრულება და მედიაციის დასრულების შესახებ მხარეთა შეთანხმება ერთმანეთთან სამართლებრივად დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, პირველთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს მეორეზე და პირიქით.

ბუნებრივია, სამედიატორო პროცესის წარმატებით დასრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა მედიატორის პროფესიონალიზმია. იგი უნდა ფლობდეს როგორც იურისტისთვის, ასევე ფსიქოლოგისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს. ასევე, ზოგიერთი საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება სჭირდებოდეს სპეციფიკური ცოდნა-გამოცდილებაც. არსებობს მოსაზრება, რომ მედიატორს კვალიფიკაციას უნდა ანიჭებდნენ უმაღლესი ან სპეციალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ, რისთვისაც უნდა შედგეს სასაწავლო პროგრამა ბოლონის პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით [27, 254]. მედიატორისთვის წაყენებული მოთხოვნების განსაზღვრა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორსა და კრიტერიუმზე. კვალიფიკაციისა თუ გამოცდილების სტანდარტი ამ მხრივ განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. მედიატორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პროფესიისთვის დამკვიდრებული ქცევის წესები, რომელსაც მედიატორი მიეკუთვნება. მას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისთვის, გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევისთვის და ა.შ. [64, 197]. განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უნივერსალური წესი მედიატორებთან მიმართებაშიც ძალაშია. ამავე დროს, მხარეთა სპეციალური შეთანხმებით მედიატორისთვის დაკისრებულ ვალდებულებას უპირატესობა აქვს მის ჩვეულებრივ, „სტანდარტულ“ ვალდებულებებთან მიმართებაში [70, 205].

როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, მედიატორს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და რაიმე მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას აქვს უფლება უარი განაცხადოს პროცესის გაგრძელებაზე. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს მედიატორის ქმედუუნარობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ჰონორარის მიუღებლობა, რომელიმე მხარის აშკარად არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მედიაციის პროცესის მიმართ [70, 213-214]. ბუნებრივია, ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, სადავო სიტუაციაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მედიატორს.

იმ შემთხვევაში, როდესაც მედიაციის პროცესი წარუმატებლად დასრულდება, ამ მიზეზით მხარეს შეუძლია უბრალოდ განაცხადოს, რომ აღარ სურს მედიაციაში მონაწილეობა, მაგრამ როდესაც ამას მედიატორი აკეთებს, მან თავისი პოზიცია სათანადოდ უნდა დაასაბუთოს და მიუთითოს მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობაზე [27, 264].

მედიაციის პროცესს აქვს ერთი მეტად მყარი პრინციპი: დაუშვებელია მედიატორს დაეკისროს პასუხისმგებლობა მედიაციის პროცესის უშედეგოდ დასრულებისთვის [27, 264]. ამ პრინციპს რაიმე დამატებითი განმარტება და დასაბუთება არ სჭირდება, ვინაიდან მედიატორი არ ფლობს რაიმე იძულებით ბერკეტს იმისთვის, რომ მხარეები შეთანხმებაზე დაიყოლიოს. მათ არა მხოლოდ შეთანხმებაზე შეუძლიათ უარის თქმა, არამედ ნებისმიერ დროს შეუძლიათ დატოვონ მედიაციის პროცესი.

იურიდიულ მეცნიერებაში უარყოფითად ფასდება მედიატორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მისი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მაქსიმალური თანხის დასახელებით [70, 222]. მედიაციის ზოგიერთი ცენტრი თუ არასამთავრობო ორგანიზაცია თავისი წევრი მედიატორებისთვის ითხოვს პასუხისმგებლობის დაზღვევას. ზოგჯერ ასეთი დაზღვევის არსებობა წევრად მიღების წინაპირობადაც კი არის მიჩნეული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაცია წარმოადგენს მართლმსაჯულების დანამატს, ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც ზოგიერთი დავის შემთხვევაში, პროფესიონალი მედიატორის საშუალებით უზრუნველყოფს მხარეთათვის მათი პოზიციების გარკვევას და მიმართულია შეთანხმების მიღწევისკენ. მედიაციის დროს დავის „სწორი

გადაწყვეტა” სუბიექტური, შეფასებითი ტერმინია [46, 28]. შესაძლოა, რომ პროფესიით იურისტი მედიატორი სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით თვლიდეს, რომ იცის როგორია სწორი გადაწყვეტა, მაგრამ მხარეებმა ეს სულაც არ მიიჩნიონ „სწორად”. ამ შემთხვევაში სწორი არის ის, რაც ორივე მხარისთვის მაქსიმალურად მისაღებია [27, 270]. როგორც წესი, პრობლემა არსებობს არა ობიექტურ რეალობაში, არამედ ადამიანის გონებაში. სინამდვილე ამ დროს ერთ-ერთი არგუმენტია. კარგია ეს არგუმენტი თუ ცუდი, - შეფასებაზეა დამოკიდებული.

მედიაციას შეუძლია დახმარება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ზოგიერთი პრობლემის მოგვარებაში. კვლევები მიუთითებს, რომ მედიაციას შეუძლია მართლმსაჯულებასთან წვდომის გაუმჯობესება სხვადასხვა ფორმით. მედიაციას შეუძლია საზოგადოების ღარიბი ფენების დახმარება კონფლიქტების გადაწყვეტის თვალსაზრისით, როცა მხარეებს არ შეუძლიათ ადვოკატის დაქირავება ტრადიციული სასამართლო პროცესისთვის. მედიაცია შეიძლება შედგეს სოფლად ან სასამართლოსგან მოშორებულ ადგილებში. იგი შეიძლება შედგეს შაბათ-კვირას ან საღამოობით, რათა მონაწილეები არ მოცდნენ სამუშაო პროცესს. მედიაციის არაოფიციალური ბუნება შეიძლება ასევე ნაკლებად დამთრგუნველი იყოს ადამიანებისთვის, რომლებიც სამთავრობო ან სასამართლო სისტემას ეჭვით ან შიშით შესცქერიან [24, 127].

მედიაციას შეუძლია აგრეთვე ადამიანების დამოკიდებულების გაუმჯობესება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. მედიაციის აქცენტი მხარეზე ფოკუსირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მხარეებს აძლევს საქმეების გადაწყვეტის საშუალებას მათი ინტერესების შესაბამისად. რამდენადაც საქმის გადაწყვეტა ნებაყოფლობითია, მედიაცია გამორიცხავს იძულებას, რომელიც დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. კვლევების მიხედვით, მედიაციისთვის დამახასიათებელია მომხმარებლის კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი [24, 127]. შედეგად, მედიაციის მხარეებმა შეიძლება დაიწყონ მართლმსაჯულების საერთო სისტემის პოზიტიური განხილვა, რამაც უნდა გააუმჯობესოს კანონის უზენაესობა.

მედიაცია ასევე ხელს უწყობს ქართული დემოკრატიის გაძლიერებას. ბევრ ქვეყანაში მედიაცია ასრულებდა მნიშვნელოვან როლს საზოგადოების ლიდერების მომზადებაში, სამოქალაქო

მონაწილეობის ზრდასა და საჯარო პროცესების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს სარგებლის მომტან რესტრუქტურირებასა და დადებით სოციალურ ცვლილებებს [24, 127].

ამჟამად, საერთაშორისო მედიაცია იმყოფება განვითარების იმ სტადიაზე, რომელზეც არბიტრაჟი იმყოფებოდა დაახლოებით 50 წლის წინ. ოპტიმისტური პროგნოზების თანახმად, მედიაციაც მიაღწევს არბიტრაჟის ანალოგიურ გავრცელებასა და მასშტაბებს. ამაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს [31, 269]. მედიაციის მზარდი გამოყენება და შესაბამისი ტრენინგები მაღალი ალბათობით ხელს შეუწყობს საქართველოში კომპრომისების კულტურის ფორმირებას. დროის მსვლელობასთან ერთად მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა შეიძლება სულ უფრო მეტად მიმართონ არაკონფრონტაციული გზების გამოყენებას კონფლიქტების მოსაგვარებლად და დაიწყონ პირადი პასუხისმგებლობის აღება მათ გადასაწყვეტად. აუცილებელია მედიაციის შესაძლებლობების საყოველთაო აღიარება, მედიატორების, როგორც კერძო პროფესიის პირთა, რიცხვის ზრდა და შესაბამისად დავის გადაწყვეტის ამ ფორმის გამონაკლისიდან წესად გადაქცევა [30, 4-5], რაც, უდავოდ, დადებითი შედეგების მომტანი გახდება.

## 2.2. ქართული მედიაციის ისტორიული ტრადიცია

მედიაციის ისტორიული ტრადიციების მიმოხილვა მეტად საინტერესოა იმ კუთხით, რომ გავავლოთ თანამედროვე პროცესებთან ისტორიულ - სამართლებრივი პარალელები. ვნახოთ, როგორი იყო მედიაციის პირველსახე და რა ნორმები და ჩვეულებები შემორჩა თანამედროვე რეალობაში.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა იმით, რომ აქ უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა სასამართლო პროცესისა და სასამართლოების უძველესი ფორმები. კერძოდ, საქართველოს მთიანეთის იმ კუთხეებში, სადაც ჩვეულებითი სამართალი იყო გაბატონებული, ვხვდებით სასამართლო ფუნქციების განხორციელებას როგორც თვითმმართველობის ინსტიტუტების (მაგალითად,

სახალხო კრებების) მიერ, ასევე სამედიატორო სასამართლოს აქტიურ საქმიანობასაც [17, 3]. ეთნოგრაფიული მასალა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე სახალხო კრებებისა და სამედიატორო სასამართლოს პარალელურ საქმიანობას ადასტურებს. სახალხო კრებებსაც და სამედიატორო სასამართლოსაც განსახილველ საკითხთა საკუთარი წრე ჰქონდათ. სამედიატორო სასამართლოების მოქმედება პირვანდელი, უძველესი სახით, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (განსაკუთრებით კი სვანეთსა და ხევსურეთში) მე-20 საუკუნის ბოლოსაც შეინიშნებოდა, თუმცა არა ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს ადრე იყო. სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაცია და საპროცესო მოქმედებანი, რომელსაც ის ახორციელებდა, ხდებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე.

სამედიატორო სასამართლოს ხევსურეთში „რჯულს“ უწოდებდნენ, რომელსაც ხევსურები უდიდეს პატივს სცემდნენ. იგი სინდისის, პატიოსნების, სიბრძნისა და საკმაოდ მაღალი იურიდიული აზროვნების გამოვლინებას წარმოადგენდა და მოდავე მხარეები სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას სწორედ მას ანდობდნენ. სახელმწიფო სასამართლოს არასოდეს მიმართავდნენ. როგორც ვაჟა - ფშაველა აღნიშნავდა: „თუ რომელიმე მხარე, მომჩივანი ან მოპასუხე არ დასთანხმდა მედიატორთ გადაწყვეტილებას და თიანეთში გაემგზავრა საჩივრელად, მთელი თემი და სოფელი დაუხვდება წინ და დააბრუნებს უკან - სირცხვილი არა იც, რად გვყრი სხვის ხელადა“ [17, 1]. უკეთ რომ შევისწავლოთ სამედიატორო სასამართლოს საქმიანობა ხევსურეთსა და სვანეთში, აუცილებელია ზოგადად შევეხოთ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედ სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაციისა და პროცესის ძირითად პრინციპებს.

სამედიატორო სასამართლოს დანიშნულება იმთავითვე ემსახურებოდა მიზანს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავიდან ყოფილიყო აცილებული კონფლიქტი და შურისძიება და მხარეები მორიგებულიყვნენ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ქონებრივი საზღაურის დაკისრების საფუძველზე. სამედიატორო სასამართლოს უმთავრესი ფუნქცია მაშინაც იყო მხარეთა შერიგება და შეთანხმება. მას ისეთი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა და მას სამართლიანად მიიჩნევდა.

სამედიატორო სასამართლო არ იყო მუდმივმოქმედი სასამართლო დაწესებულება. მხარეები მის შემადგენლობას თვითონ განსაზღვრავდნენ ყოველი კონკრეტული საქმისთვის. ორივე მხარე



ძირითადად მოსამართლეთა თანაბარ რაოდენობას ასახელებდა. დავის მოსაგვარებლად სამედიატორო სასამართლოს გამოყენება მთლიანად მხარეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მხარეები ნებაყოფლობით ირჩევდნენ მედიატორებს მას შემდეგ, რაც დათანხმდებოდნენ დავის შერიგებით გადაწყვეტას [17, 5]. სამედიატორო სასამართლოში პროცესის ჩატარება ისეთი წესით ხდებოდა, რომ მაქსიმალურად შეექმნათ ატმოსფერო შეთანხმებისთვის. მედიატორ-მოსამართლეებად ირჩევდნენ ავტორიტეტით, პატიოსნებითა და ჩვეულებითი სამართლის უბადლო ცოდნით გამორჩეულ ადამიანებს. ისინი ისე უნდა დალაპარაკებოდნენ მხარეებს, რომ უნდობლობის მარცვალი არ ჩამოეგდოთ მათ შორის და პირიქით, შეერბილებინათ არსებული წინააღმდეგობა. მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაფუძნებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს და, შესაძლოა, მხარეთა შორის გარკვეული კომპრომისის გამომხატველიც ყოფილიყო, რათა განაჩენის აღსრულება პრობლემად არ ქცეულიყო. მ. კოვალევსკი სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას ფაკულტატურად მიიჩნევს. თვლის, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულება მხარეებზე იყო დამოკიდებული და სავალდებულო იყო იმდენად, რამდენადაც აკმაყოფილებდა ორივე მხარეს [91, 191-192]. თანამედროვე გადასახედიდან თუ შევხედავთ აღნიშნულ საკითხს, დავეთანხმებით მ. კოვალევსკის, იმ გაგებით, რომ მხარეები სამედიატორო სასამართლოს საშუალებით წყვეტდნენ დავებს ჩვეულებით სამართალზე დაყრდნობით. მათ არ გააჩნდათ სახელმწიფო ინსტიტუტები. თვით სამედიატორო სასამართლოც არ წარმოადგენდა მუდმივმოქმედ ორგანოს. არ არსებობდა ისეთი დაწესებულება, რომელიც იძულებით უზრუნველყოფდა სამედიატორო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, თუ რომელიმე მხარე უარს აცხადებდა ამაზე და არ ასრულებდა მას. იმ შემთხვევაში, თუ მოდავე მხარე სამედიატორო გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევდა, შეეძლო არ დამორჩილებოდა მას, თუმცა დავა მოუგვარებელი რჩებოდა. ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდებოდა სასამართლოს ხელახალი არჩევა და იმართებოდა ახალი პროცესი.

ხევსურეთში, თუ ერთ-ერთი მხარე არასწორად ჩათვლიდა სასამართლოს განაჩენს, შეეძლო ხელახალი „რჯული“ მოეთხოვა. შესაძლებელი იყო ერთსა და იმავე საქმეზე სასამართლო პროცესის რამდენჯერმე ჩატარება მოსამართლეთა სხვადასხვა შემადგენლობით თუ, რასაკვირველია, ორივე მხარე დასთანხმდებოდა ახალი „რჯულის“ გამართვას. სასამართლო პროცესთა ჩატარება შესაძლოა მანამდე გაგრძელებულიყო, სანამ ორივე მხარისთვის მისაღები განაჩენი არ იქნებოდა გამოტანილი. მსგავსი რამ შედარებით იშვიათად ხდებოდა, რადგან

უმრავლეს შემთხვევებში მხარეები ასრულებდნენ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მედიატორებად ირჩევდნენ ყველაზე პატივცემულ და პატიოსან ხალხს, რომელთა ავტორიტეტი გამოტანილი განაჩენის გარანტი იყო, მით უმეტეს, რომ მოსამართლეები მოქნილობასაც იჩენდნენ და განაჩენის გამოტანისას ითვალისწინებდნენ, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო ორივე მხარისთვის მისაღები. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გარანტად ხშირ შემთხვევაში ფიციც გვევლინებოდა. ასეთი ფიცი სავალდებულო იყო სვანეთსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც. ხევსურეთში ასეთ წესს არ ვხვდებით. სამედიატორო გადაწყვეტილების ფაკულტატური ხასიათი ყველაზე აშკარად სწორედ ხევსურეთში შეინიშნება. შესაძლოა მხარეებს დაესახელებინათ კერძო პირები, თავიანთი რწმუნებულები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ განაჩენის აღსრულებას. თუ მხარე, რომელსაც დაეკისრა გადასახადის გადახდა, არ შეასრულებდა ამას, მაშინ სწორედ რწმუნებული უნდა ჩარეულიყო საქმეში თავისი ფუნქციის შესასრულებლად. ამ ფუნქციაზე უარის თქმა ან მათი შეუსრულებლობა კავკასიაში დიდ სირცხვილად ითვლებოდა და, ამგვარად, შერცხვენილი პიროვნება საზოგადოებისგან გარიყული აღმოჩნდებოდა. ძირითადი სასჯელი, რომელსაც გამტყუნებულ მხარეს აკისრებდა სამედიატორო სასამართლო, იყო კომპოზიცია - ქონებრივი საზღაური, - ხევსურეთში მას „დრამას“ უწოდებენ [17, 7-8].

მიხეილ კეკელიას დაკვირვებით, სიტყვა მედიატორს მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე ქართული სინამდვილე არ იცნობს. ამ სიტყვას მხოლოდ 1802 წლიდან ვხვდებით [19, 5]. სვანეთში მედიატორს „მორვალს“ უწოდებდნენ. ვიდრე მედიატორთა მიერ საქმის არსებით განხილვაზე მიდგებოდა საკითხი, მანამდე, სოფლის თავკაცს მახვშს (მამასახლისს), დიდი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული მის მისაღწევად. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა გამოირკვეოდა, რომ სასამართლოს გარეშე შეუძლებელი იყო მოდავეთა შერიგება, იდგმებოდა კონკრეტული ნაბიჯები მორიგებით საქმის განსახილველად [18]. ზეს. ნიჟარამის ცნობით, მომჩივანი იჩენდა ინიციატივას მედიატორთა დასახელებაში, რომლის შემდეგაც, თავის მხრივ, მოპასუხეც ასახელებდა მათ. ზეს. ნიჟარამე არ მიუთითებს კონკრეტულად როგორი დავის საქმეების განხილვა ექვემდებარებოდათ მედიატორებს - „ყველაზე რთულისო“- წერს იგი. მედიატორთა სასამართლოს რთული და დახვეწილი საპროცესო საქმიანობა ნათელს ხდის, რომ მათი განსჯადობის ქვეშ ყოველგვარი საქმე შეიძლებოდა მოხვედრილიყო. „რთულში“ მოდავეთა

შორის გართულებული ურთიერთობა უნდა ვიგულისხმოდ და არა მხოლოდ სიტუაციის სიმძიმე.

მომჩივან-მოპასუხენი ან თავთავიანთ ნათესავთაგან ირჩევდნენ მედიატორებს, ან გარეშე პირთაგან. რაოდენობა მტკიცედ არ იყო განსაზღვრული. ძირითადად 6 მედიატორს ირჩევდნენ: სამს მომჩივანი და სამს მოპასუხე. ისეც ხდებოდა, რომ მხარეები ცალ - ცალკე ამირჩევდნენ ორ-ორ მედიატორს და მეხუთეს ერთად ასახელებდნენ. ბეს. ნიჟარაძე მიუთითებს კონკრეტულ შემთხვევებზე, როცა 12 მედიატორი იხილავს დავას.

მედიატორები ვითარების გასარკვევად პირველად მომჩივანის ოჯახში მიდიოდნენ. ვიდრე სუფრას მიუსხდებოდნენ, მასპინძელი ფეხზე ამდგარი სასმელიანი კათხით ხელში ეხვეწებოდა მათ „სინდისით საქმის გადაჭრას” და აყალიბებდა თავისი „სარჩელის” შინაარსს. მედიატორებიც ხელში სავსე კათხებით უსმენდნენ. მედიატორთაგან განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა სარჩელის შინაარსს საამისოდ ამორჩეული 2 მედიატორი, რომელთა მოვალეობაც დაზარალებული მხარის პრეტენზიების მოპასუხისთვის შეუცდომლად გადაცემაში მდგომარეობდა. მედიატორები აღუთქვამდნენ, რომ შეეცდებოდნენ კეთილსინდისიერად გაერჩიათ მათი დავა. მეორე დღეს მედიატორები მოპასუხის ოჯახში მიდიოდნენ, სადაც ზემოთ მითითებული ორი მედიატორი საჩივრის შინაარსს გადასცემდა მოპასუხეს. როგორც ბეს. ნიჟარაძე აღნიშნავს, შემრიგებელი მედიატორები „ერთავეს დასახვეწს ერთმანეთის წინაშე მთხოვნელად, მოსაწინებლად და მხოლოდ სამართლის მაძიებლად”. მოდავე მხარეებთან საკითხების გარკვევის შემდეგ, თუ ამის საჭიროება არსებობდა, მედიატორები საყდარში ფიცქვეშ კითხავდნენ მოწმეებს და მსჯელობდნენ გადაწყვეტილებაზე. მათ კარგად იცოდნენ ჩვეულებითი სამართალი და მის მიხედვით წყვეტდნენ დავას. საქმის ვითარებასთან დაკავშირებით პირველად თავის მოსაზრებას ყველაზე უფრო ავტორიტეტული მედიატორი გამოთქვამდა, რომლის შემდეგაც თითოეული ცალ - ცალკე აყალიბებდა საკუთარ შეხედულებას საქმესთან დაკავშირებით.

როდესაც მედიატორები მორჩებოდნენ მსჯელობას და შეთანხმდებოდნენ საერთო მოსაზრებაზე, ერთი მათგანი აიღებდა პატარა ქვას და ჩაფლავდა მიწაში. ეს ნიშნავდა, რომ განაჩენი გამოტანილი იყო, თუმცა მის გამოცხადებამდე საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. თუ დაირღვეოდა ჩვეულებითი სამართლის ეს მოთხოვნა და მოდავეები მედიატორთაგან

ოფიციალურად გამოცხადებამდე გაიგებდნენ განაჩენის შინაარსს, უკმაყოფილო მხარეს შეემლო არ შეესრულებინა იგი.

განაჩენის დადგენის დროს, ხდებოდა იმის გაანგარიშება და ერთმანეთთან შეწონასწორება, თუ რომელმა მხარემ როგორი ზარალი მიაყენა მეორეს და როგორ უნდა ანაზღაურდეს იგი. ამის შემდგომ ხდებოდა საზღაურთა გადაფარვა და რაც დარჩებოდა, იმის გადახდა ეკისრებოდა მოპასუხეს. მედიატორების მიერ სადავო საქმის განხილვის მომდევნო ეტაპი იყო ეკლესიაში მომჩივან - მოპასუხის დაბარება, იქ მღვდლის ან მომჩივანის მიერ მედიატორებისთვის ტოლობის ფიცის ჩამორთმევა და პირიქით, მედიატორთა მიერ მხარეების ერთმანეთის ერთგულებაზე დაფიცება. აღნიშნულის შემდეგ მედიატორთა ერთი ნაწილი დაზარალებულის, ხოლო მეორე ნაწილი დამნაშავეს ოჯახში მიდიოდა გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად.

ბეს. ნიჟარაძის ცნობით, განაჩენის სისრულეში მოყვანა არ შედიოდა მედიატორთა მოვალეობაში, ეს იმიტომ, რომ „მისჯილის გადახდის ან მიღების უარს ვერვინ გაბედავდა“. გადაწყვეტილ საზღაურს მახვშის ან ნათესავის ხელით მიიღებდა დაზარალებული. განჩინების დადგენის შემდეგ, მაგრამ მის გამოცხადებამდე „მორვებს ეძლეოდათ გასამრჯელოდ თითო ლერქვაში“. ლერქვაში წარმოადგენდა დაახლოებით 3 მანეთის ღირებულების ნივთს.

ხევსურეთში მედიატორ-მოსამართლეებს „რჯულის კაცებს“ უწოდებდნენ, რომელთაც თვითონ მხარეები ირჩევდნენ დავის გადასაწყვეტად. მათი ფუნქცია „გარჯულვა“ და ამის შედეგად „ნარჯულევის გამოტანა“ იყო, რითაც ერთ-ერთ მხარეს აკისრებდნენ განსაზღვრული რაოდენობის საზღაურის გადახდას. შუაკაცები როგორც კი დაითანხმებდნენ მხარეებს „რჯულის“ მეშვეობით მოეგვარებინათ მათ შორის დავა, დღის წესრიგში დგებოდა „რჯულის კაცების“ არჩევის საკითხი. მათი ძირითადი ამოცანა იყო ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა მხარეთა შერიგება - შეთანხმება. შუაკაცები კონფლიქტის უაზრობაში არწმუნებდნენ მხარეებს და მოუწოდებდნენ, რომ მედიატორებისთვის, ხევსურულ სამართალში გათვითცნობიერებული პირებისთვის მიენდოთ საქმის გადაწყვეტა და სამართლიანი, ხევსურული „რჯულის“ საფუძველზე მორიგებულიყვნენ. თავად შუაკაცებს საქმის განხილვის უფლება არ ჰქონდათ, ამ ფუნქციას მხოლოდ „რჯულის კაცები“ ახორციელებდნენ [17, 37].

„რჯულის კაცის” მუდმივი თანამდებობა, როგორც დღეს მოსამართლის, - ხევსურეთში არ არსებობდა. მხარეებს თვითონ უნდა გადაეწყვიტათ, ვინ მიეწვიათ მედიატორებად. არჩევანში ისინი თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ, რადგან დათანხმდნენ „რჯულის” გამართვას და მისი მეშვეობით მორიგებას, ცხადია, დაინტერესებულნი იყვნენ „რჯულის კაცებად” მოეწვიათ ისეთი ხალხი, რომელიც უზადლოდ ერკვეოდა ჩვეულებით სამართალში, და გამორჩეული იყო თავისი პატიოსნებით, ავტორიტეტით, გონიერებით, სიდინჯით, ღვთის მოშიშობით, სიტყვა-პასუხით. „რჯულის კაცობა” ხევსურეთში საკმაოდ სამძიმო საქმეს წარმოადგენდა. უსამართლო განაჩენის გამოტანის შემთხვევაში მედიატორები ხალხური წარმოდგენით დიდ ცოდვას იღებდნენ საკუთარ თავზე, ამიტომ ისინი მხარეებს, მოწმეებს სთხოვდნენ სწორი ჩვენების მიცემას, რათა უნებურად ცოდვაში არ ჩამდგარიყვნენ არასწორი განაჩენის გამოტანით.

მედიატორთა რაოდენობა დავის სირთულეზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო ძნელი იყო საქმე, მით მეტი რჯულის კაცის არჩევა იყო საჭირო. მათი რაოდენობა დავის სირთულის მიხედვით ერთიდან თხუთმეტამდე მერყეობდა. მედიატორთა რიცხვი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ლუწი, ასევე კენტი. ეს მხარეთა შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული, თანაც განაჩენის გამოტანა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ხდებოდა და არა ხმათა უმრავლესობით, ამიტომ არ ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ რომელი მხარე რამდენ „რჯულის კაცს” დაასახელებდა და მათი რაოდენობა ლუწი იქნებოდა, თუ კენტი. მედიატორები ხშირად მის ამრჩევ მხარეს არც იცნობდნენ და ამიტომ მიკერძოებას მათი მხრიდან ადგილი არ უნდა ჰქონოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი კონკრეტული მხარის არჩეულნი იყვნენ. მედიატორების არჩევის უფლება ასევე შეიძლებოდა გადაეცათ შუაკაცებისთვისაც.

სამედიატორო პროცესის პირველ სტადიას წარმოადგენდა საქმის არსებითი განხილვა. ამ სტადიაზე მედიატორებს დაწვრილებით უნდა შეესწავლათ საქმე, ამიტომ შესაძლოა შუაკაცებისთვისაც გამოეკითხათ დავის არსი, რადგან ისინი ყველაზე გათვითცნობიერებულნი იყვნენ და საჭირო ინფორმაციის მიწოდებაც შეეძლოთ. ამის შემდეგ „რჯულის კაცები” დაჰკითხავდნენ მხარეებს. მომჩივანის ან მოპასუხის ნაცვლად, შეეძლო მესამე პირს - მაგალითად, გვარის უფროსს ესაუბრა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მჭევრმეტყველებას. მხარეთა დაკითხვის რიგითობა, შესაძლოა, წილისყრით გარკვეულიყო. ნ. ხიზანიშვილი წერს: „როგორც ბჭობა გაიმართება, მაშინვე წილს ჰყრიან ბჭენი და რომელ მხარესაც, მოჩივარს თუ მოპასუხეს, წილი ერგება, პირველად ის ილაპარაკებს, - ლაპარაკი წილით არის. როცა ერთი

მხარე გაათავებს ლაპარაკს, იმას დაითხოვენ. მერე მეორე მხარე ილაპარაკებს”. მედიატორებმა მხარეთა დაკითხვის დაწყებამდე იცოდნენ ზოგადად საქმის არსი და მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ვის დაკითხავდნენ პირველად. ისინი თვითონ მიდიოდნენ ჯერ ერთ მხარესთან და დაწვრილებით გამოკითხავდნენ საქმის ვითარებას, ხოლო შემდეგ მეორესთან. პროცესზე შესაძლოა მოწმეებიც დაეკითხათ. უდიდესი ყურადღება ექცეოდა მოწმეთა ზნეობრივ თვისებებს, მათ ობიექტურობას. ნ. ხიზანიშვილის განმარტებით, როცა მოწმეს წარადგენდა მხოლოდ ერთი მხარე, „რჯულის კაცები” მას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკითხავდნენ, თუ დარწმუნდებოდნენ მათ მიუდგომლობასა და კეთილსინდისიერებაში. თუ ორივე მხარე წარადგენდა მოწმეებს, მაშინ მათ ნებისმიერ შემთხვევაში დაკითხავდნენ, მაგრამ მათი ჩვენების შეფასებისას, აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მოწმის ზნეობრივ თვისებებს, მის ობიექტურობასა თუ ტენდენციურობას. ხდებოდა მოწმეთა დაპირისპირებაც. არ იყო გამორიცხული, იგი პირზე დაეყენებინათ მოპასუხისთვის და ეს მოწმე მთხრობელიც ყოფილიყო, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, როდესაც მოწმე საქმისთვის გადამწყვეტ ჩვენებას იძლეოდა, ე.ი. იყო ძირითადი მოწმე, შესაძლოა, მომხდარიყო დაფიცებაც ჯვარში.

საქმის არსებითად განხილვის შემდგომ იწყებოდა პროცესის მეორე სტადია - გადაწყვეტილების გამოტანა. მედიატორები განმარტოვდებოდნენ და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იწყებდნენ მსჯელობას, თუ რა განაჩენი გამოეტანათ. ისინი რიგრიგობით გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებას, თათბირობდნენ, კამათობდნენ, და ბოლოს, საერთო გადაწყვეტილებამდე მიდიოდნენ. დიდ ზეგავლენას ახდენდა გადაწყვეტილებაზე ე.წ. „ანდრეზები”, რომელიც, ფაქტობრივად, სასამართლო პრეცედენტს წარმოადგენდა. მედიატორები, როდესაც განაჩენის გამოტანაზე მსჯელობას დაიწყებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს მიმართავდნენ, თუ რა „ანდრეზი” გაუგიათ მსგავს საქმესთან დაკავშირებით. თუ „რჯულის კაცები” ვერ შეთანხმდებოდნენ საერთო გადაწყვეტილებაზე, რაც მეტად იშვიათ შემთხვევებში ხდებოდა, „რჯული” იშლებოდა. ასევე შესაძლებელი იყო მედიატორებს გადაედოთ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ვადით, თუ მათი აზრით, ამისთვის სათანადო საფუძველი არსებობდა. ისინი ამ დასკვნამდე განაჩენზე მსჯელობისას შეიძლება მისულიყვნენ.

პროცესის შემდგომი სტადია იყო გადაწყვეტილების გამოცხადება მხარეებისთვის. ეს ცერემონია „რჯულის” ჩატარების ადგილას იმართებოდა. განაჩენს ცალ - ცალკე უცხადებდნენ მხარეებს.

ერთ-ერთი მედიატორი დგებოდა, ქუდს მოიხდიდა და დაზარალებულსა თუ მოპასუხეს ამცნობდა „რჯულის“ გადაწყვეტილებას: საერთო წესით, ნარჯულევს ჯერ იმ მხარეს გამოუცხადებდნენ, რომელსაც ანაზღაურება ევალებოდა. ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი, უძველესი სასამართლო დაწესებულების, სამედიატორო სასამართლოს განაჩენი ფაკულტატურობის ნიშანს ატარებდა, მაგალითად, ხევსურეთში არ არსებობდა არავითარი დაწესებულება, რაც აღსრულებას უზრუნველყოფდა. განაჩენის აღსრულება მთლიანად მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული. თუ რომელიმე მხარე არაობიექტურად, უსამართლოდ ჩათვლიდა „რჯულის კაცების“ მიერ გამოტანილ განაჩენს, შეეძლო ახალი რჯული მოეთხოვა და არ იყო გამორიცხული შუაკაცების მეშვეობით სამედიატორო სასამართლოს მეორედ, მესამედ და ა.შ. ჩატარება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთსა და იმავე საქმეზე პროცესი ყოველთვის რამდენჯერმე ტარდებოდა. პირიქით, ძირითადად, მხარეები ეთანხმებოდნენ „ნარჯულევს“. უმეტეს შემთხვევაში მათ ობიექტური განაჩენი გამოჰქონდათ და მხარეთათვის სწორედ ეს იყო განაჩენზე დათანხმების საფუძველი.

სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შესაძლოა მაშინვე აღსრულებულიყო, ან გარკვეული დროის შემდეგ. ნ. ხიზანიშვილის განმარტებით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვადის დადგენა იყო საჭირო. „დრამის“ გადახდისას ვადას ბჭე-მედიატორები განსაზღვრავდნენ, თუმცა ვადის მომგებასაც ენიჭებოდა ამ მხრივ გარკვეული უფლებები. გადაწყვეტილების აღსრულება ძირითადად, მაინც მისი გამოცხადებიდან მოკლე ვადაში ხდებოდა, ცხადია იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე დათანხმდებოდა მას. რჯულის კაცები ვადის განხილვისთვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამედიატორო სასამართლოებთან ერთად სასამართლოს ფუნქციებით აღჭურვილი იყო აგრეთვე სახალხო კრებაც. საინტერესოა, როგორ ინაწილებდნენ ისინი კომპეტენციას და რომელ დავებს განიხილავდნენ. ჩვეულებითი სამართალი არ წარმოადგენდა მკაცრად რეგლამენტირებულ და კოდიფიცირებულ სამართლის ნორმებს, ამიტომ შეუძლებელი იყო მათი საშუალებით ზუსტად განგვესაზღვრა ზემოაღნიშნული, თუმცა მაშინდელი სასამართლო პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამედიატორო სასამართლოები განიხილავდნენ მხოლოდ კერძო სამართალდარღვევებს, როდესაც აუცილებელი იყო კერძო ხასიათის უფლება-მოვალეობათა დარეგულირება კერძო პირებს, ოჯახებსა და გვარებს შორის. კერძო სამართლის სფერო ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში, ჩრდილო

კავკასიაში, თანამედროვე გაგებით, სისხლის სამართლის დანაშაულებებსაც მოიცავდა. სამედიატორო სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობა, დავა ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით, ოჯახის გაყრის, განქორწინების დროს და ა.შ. იგი შეიძლება ჩატარებულიყო ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი დავის დროს, თუმცა ვერ ჩაეროდა თვითმმართველობის ორგანოთა განსახილველ საჯარო-სამართლებრივი საქმეების გადაწყვეტაში. თემის ან სოფლის ყრილობას შეეძლო ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ განეხილა სამედიატორო სასამართლოს კომპეტენციაში შემავალი საკითხები, თუ ჩათვლიდა, რომ შესაბამისი ქმედება მთელი საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

რაც შეეხება ამჟამინდელ სიტუაციას საქართველოში მედიაციასთან მიმართებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ახლახანს შევიდა ცვლილებები საქართველოს სამართლის სისტემაში სასამართლო მედიაციის შემოღების შესახებ [97]. სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სავალდებულო სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს შემდეგ შემთხვევებში: ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა; ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე; გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე; დ) ნებისმიერ დავაზე - მხარეთა თანხმობის შემთხვევაში; ამ მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავა მედიატორს შეიძლება გადაეცეს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით. კოდექსი ითვალისწინებს მედიატორის აცილების საფუძვლებსაც. სასამართლო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია და ამბობს, რომ მედიატორი არ შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც მედიატორისთვის ცნობილი გახდა მისი მედიატორობის როლის შესრულების შემთხვევაში. მედიაციის პროცესის შედეგად მხარეთა შორის მიღებული ორმხრივი მორიგება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილი და შესაბამისად ეს ხდება მისი აღსრულების გარანტი.

### 2.3. არბიტრაჟის ცნება, სახეები და განვითარების ძირითადი ეტაპები



დავის მოგვარების ალტერნატიულ სისტემებს საკმაოდ დიდი ისტორიული გზა აქვს გამოვლილი [15, 4]. საარბიტრაჟო სასამართლოში დავის გადაწყვეტა უფრო ძველი ინსტიტუტია, ვიდრე სახელმწიფო სამართალწარმოება. არსებობს მოსაზრება, რომ არბიტრაჟი სახელმწიფოს ფორმირებამდე წარმოიშვა [88, 1].

პლუტარქეს რჩეულ ბიოგრაფიებში აღწერილია ათონელი პოლიტიკური მოღვაწის, თემისტოკლეს ცხოვრება, სადაც უაღრესად საინტერესო ცნობაა დაცული. თემისტოკლე ათენელებისგან დევნილობამდე კუნძულ კერკირაზე მცხოვრებლებს გაჰყვა არბიტრად კორინთელთა წინააღმდეგ დავაში [26, 14]. მის ხანგრძლივ ისტორიას ისიც ადასტურებს, რომ ის მოხსენიებულია სხვადასხვა ძველ ბერძნულ ხელნაწერში, ისევე, როგორც ბიბლიაში [32, 9].

დავის მოგვარების ალტერნატიული სისტემები ძველი დროიდან განვითარებული იყო საქართველოშიც. მისი ერთ-ერთი მაგალითია ქართულ ლექსიკაში არსებული უძველესი სიტყვა „ბჰე“ („ბჰობა“) , რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სადავო საქმის გამრჩევს, მოსამართლე-მედიატორს ნიშნავს [15, 4]. ბჰე – მედიატორის საკითხს ეხება ჯერ კიდევ ლეონტი მროველი, რომელიც წერს, რომ ქართლოსიანთა შორის არავინ იყო „უწარჩინებულეს“, მხოლოდ მცხეთის მამასახლისი „იყვის მაზავებელი და ბჰე სხუათა ქართლოსიანთა“ [15, 4]. საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებობდა არბიტრაჟისა და მედიაციის ინსტიტუტები, რომელთა აღმნიშვნელი ტერმინები სხვადასხვა იყო: „შუაკაცი“, „სოფლის კაცი“, „უფროს კაცი“, „რჯულის კაცი“ და სხვა.

სახელმწიფოსა და სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების პარალელურად არბიტრაჟის როლი თანდათან სუსტდებოდა [88, 2]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი არსებობის საჭიროება განაპირობა ეკონომიკურმა, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გავრცელებამ [83, 1].

საარბიტრაჟო ინსტიტუტი მეორედ დაიბადა მას შემდეგ, რაც მის გადაწყვეტილებებს ძალა სახელმწიფო-სასამართლო გადაწყვეტილებით მიენიჭა [88, 2]. საარბიტრაჟო ინსტიტუტის ხელმეორედ განვითარება იწყება სასამართლო ხელისუფლების „ძალისხმევით“.

თანამედროვე კომერციული არბიტრაჟი თავდაპირველად ჩამოყალიბდა ევროპაში შუა საუკუნეებში [38, 318-320]. ვაჭრები ხშირად დიდ მანძილზე მოგზაურობდნენ იმ ბაზრამდე, სადაც ყიდულობდნენ და ყიდიდნენ საქონელსა და მომსახურებას. რამდენადაც მოგზაურობა სახიფათო და ძვირადღირებული იყო, დავები საჭიროებდა დროულ გადაწყვეტას და თანაც საჭირო ადათ-წესების გათვალისწინებას, თუმცა მუდმივმოქმედი, ადგილობრივი სასამართლოები ვერ ახერხებდნენ დავების სწრაფ გადაწყვეტას. გარდა ამისა, მათ არაფერი ესმოდათ დარგობრივი საჭირო სტანდარტების შესახებ, არადა მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანი იყო, რადგან ისინი მიმართული იყო სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობაზე იმ მხარეთა შორის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურას წარმოადგენდნენ. შესაბამისად, სასამართლოებთან დაკავშირებული გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ვაჭრებმა შექმნეს კერძო არბიტრაჟები, რომელთაც შეეძლოთ დავების ეფექტურად გადაწყვეტა, ხშირად დარგობრივი ექსპერტებისა და დარგობრივი სტანდარტების ჩართვით [38, 318-320]. როდესაც მეჩვიდმეტე - მეთვრამეტე საუკუნეებში ინგლისელი კოლონისტები ამერიკაში დამკვიდრდნენ, მათ იქ არბიტრაჟის ევროპული მოდელები შეიტანეს. მას შემდეგ, არბიტრაჟი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კომერციული დავების გადაწყვეტაში ამერიკის ინგლისურ კოლონიებში. 1768 წელს პირველი მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანიზაცია შეიქმნა ნიუ-იორკის სავაჭრო პალატის მიერ [32, 9]. გადმოცემის თანახმად, ამერიკის პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა შეიტანა არბიტრაჟის მუხლი საკუთარ ანდერძში, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა დავას მის მემკვიდრეებს შორის [57, 9]. თუმცა იმ დროს აშშ-ს სასამართლოებში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, არ ხდებოდა არბიტრაჟის გადაწყვეტილებების აღსრულება და ამგვარად, არბიტრაჟი განყენებული იყო სასამართლო სისტემისგან.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის ინსტიტუტი საბოლოო სახით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებებიც [26, 14]. ჯერ კიდევ 1892 წლიდან დაიწყო ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟმა დავების განხილვა. საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში დიდი გარდატეხა შეიტანა საერთაშორისო სავაჭრო პალატის დაარსებამ პარიზში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. გარდა ამისა, 1923 წელს მიღებულ იქნა ჟენევის ოქმი [122] და 1927 წელს ჟენევის კონვენცია [123]. მათი სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი. მეოცე საუკუნეში, დასავლეთში არბიტრაჟების დატვირთვა არსებითად გაიზარდა. მრავალი ქვეყნის სასამართლომ დაიწყო არბიტრაჟის, როგორც დავების

გადაჭრის ლეგიტიმური მეთოდის დანერგვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1925 წელს მიღებულმა ფედერალურმა არბიტრაჟის აქტმა (FAA) შესაძლებელი გახადა არბიტრაჟის მუხლების ამოქმედება და აღსრულება კომერციულ კონტრაქტებში. სხვა ქვეყნებმა მალე მიბაძეს მის მაგალითს, რასაც მოჰყვა საარბიტრაჟო ორგანიზაციების ზრდა მთელს მსოფლიოში [24, 207]. 1923 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ პარიზში დააარსა არბიტრაჟის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც გახდა ერთ-ერთი საუკეთესო საარბიტრაჟო ორგანიზაცია მსოფლიოში.

ამას მოჰყვა რიგი კონვენციების: ნიუ-იორკის კონვენცია (1958), ევროპის კონვენცია (1961), ვაშინგტონის კონვენცია (1965) და სხვა. თუმცა იმის მტკიცება, რომ არბიტრაჟმა განვითარება დაიწყო მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, უსაფუძვლოა.

არბიტრაჟის პოპულარობის ზრდამ სახელმწიფოები მიიყვანა მის რეგლამენტაციამდე, არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე. სწორედ ნაციონალური სამართალი განაპირობებს არბიტრაჟის მნიშვნელობისა და ეფექტურობის ხარისხს. ამ პრობლემას ყველაზე სრულფასოვნად აწესრიგებს საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის, ჰოლანდიისა და შვეიცარიის სამართალი. ამ ქვეყნებში საარბიტრაჟო წარმოება ხორციელდება შესაძლოდ მაქსიმალური ნების ავტონომიის საფუძველზე სასამართლო ხელისუფლების ჩარევის შეზღუდვის პირობებში [88, 3].

არბიტრაჟი დღესაც დიდი პოპულარულობით სარგებლობს, განსაკუთრებით, როცა სასამართლო ხელისუფლება დატვირთულია უამრავი სამართლებრივი დავის გადაწყვეტით. ამიტომ ეკონომიკური განვითარების პირობებში კერძო არბიტრაჟის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. მნიშვნელოვანი საარბიტრაჟო ორგანიზაციებია ამერიკის არბიტრაჟის ასოციაცია, რომელიც ნიუ-იორკში მდებარეობს, ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის სასამართლო და ა.შ. გასულ ათწლეულში აზიის ეკონომიკურ აღმავლობას მოჰყვა აზიური საარბიტრაჟო პლატფორმის ზრდა. სამი უდიდესი აზიური ფორუმი დღესდღეობით წარმოდგენილია ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკური და სავაჭრო არბიტრაჟის კომისიით, ჰონგ - კონგის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრით და სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრით. ჩვენს რეგიონში ამ მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურებულია თურქეთი, რომელიც ინტენსიურად შეიმუშავებს შესაბამის კანონმდებლობას. ამ ტენდენციის მაგალითი სტამბულის საარბიტრაჟო ცენტრია [24, 208].

რუსი და ქართველი ვაჭრები ასევე იყენებდნენ არბიტრაჟის სპონტანურ ფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებული ნორმები შემუშავებულ იქნა რამდენჯერმე, მათ საბჭოთა პერიოდამდე სავალდებულო ძალა არ მინიჭებიათ [24, 207]. საბჭოთა არბიტრაჟის კომისია შეიქმნა 1922 წელს კომერციული დავების მოსაგვარებლად, ხოლო საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის კომისია შეიქმნა 1932 წელს საერთაშორისო სავაჭრო დავების მოსაგვარებლად.

სახელმწიფო არბიტრაჟი შეიქმნა 1931 წელს და როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, გამოწვეული იყო სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის სამეურნეო ხელშეკრულებების როლის გაზრდით, საგემო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებით, აგრეთვე სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი დავის ოპერატიულად გადაწყვეტის აუცილებლობით [22, 281]. 1931 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო არბიტრაჟმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. ამ მხრივ საინტერესოა „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 23 აპრილის კანონით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელთა თანახმადაც აუცილებლად იყო მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების წარმოების კოდექსის შემუშავება, რომელსაც სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად უნდა განესაზღვრა საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი.

აღნიშნული კანონის თანახმად, არბიტრაჟი უნდა ყოფილიყო ისეთი ორგანო, რომელიც დაიცავდა დარღვეულ ან სადავო სამოქალაქო უფლებებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრაჟი იცავდა მხოლოდ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს. სახელმწიფო არბიტრაჟი იხილავდა დავებს მხოლოდ ორგანიზაციებს შორის. კანონის მიხედვით საარბიტრაჟო სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ასევე „ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში დავის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი თავიდან აცილება“ [22, 284]. მას უნდა აქტიური ზემოქმედება მოეხდინა საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რათა მათ განუხრელად დაეცვათ კანონები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას. კანონიერების დარღვევის გამომწვევი მიზეზების შესახებ შეიმუშავებდნენ წინადადებებს მათი აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით.

სამართალშეფარდებითი საქმიანობის გვერდით საარბიტრაჟო სასამართლოს ამოცანები ეკისრებოდა აგრეთვე სამართალშემოქმედებით სფეროშიც. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის კანონით საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოები კანონმდებლობის პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შეიმუშავებდნენ და დადგენილი წესით წარადგენდნენ წინადადებებს ეკონომიკური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებისა და საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის სრულყოფისთვის. ამავე კანონის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო სარგებლობდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. აღნიშნულმა კანონმა ფორმალურად განსაზღვრა არბიტრირების, საარბიტრაჟო სასამართლო პროცესის ოპერატიულობისა და სხვა პრინციპები. არბიტრი ყოველნაირად უნდა ცდილიყო მიეღო მხარეებთან შეთანხმებული გადაწყვეტილება. ისეთი შეთანხმება, რომელიც არ შეესაბამებოდა ან ეწინააღმდეგებოდა კანონს, ვერ დაედებოდა საფუძველად არბიტრაჟის გადაწყვეტილებას. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ მართალია, საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ კანონით არბიტრაჟს ეწოდა საარბიტრაჟო სასამართლო, ამით არბიტრაჟი სასამართლოდ ვერ გარდაიქმნა. საარბიტრაჟო სასამართლოები გამიჯნულნი იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოებისგან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საარბიტრაჟო სასამართლო არ განეკუთვნებოდა მართლმსაჯულების ორგანოების კატეგორიას და, ბუნებრივია, არ მოქმედებდა უფლებათა დაცვის ყველა ის გარანტია, რომელიც სასამართლოს მიერ იყო უზრუნველყოფილი [22, 285].

საქართველოში კერძო არბიტრაჟთან დაკავშირებული პროცესების განვითარება 1994 წლის 3 თებერვლიდან იწყება, როცა საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ. აღნიშნული კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად, საქართველოს პარლამენტმა დაავალა საქართველოს მთავრობას შეემუშავებინა შესაბამისი და საჭირო საკანონმდებლო ბაზა, აღნიშნული კონვენციის პრინციპების სრულად იმპლემენტაციის მიზნით.

საბჭოთა ტიპის საარბიტრაჟო სისტემამ 1997 წელს დაასრულა თავისი არსებობა თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს ფუნქციონირების შეწყვეტასთან ერთად [2, 108], მას შემდეგ, რაც 1997 წლის 17 აპრილს ამოქმედდა კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ [95]. აღნიშნული კანონი

წარმოადგენდა ნოვაციას ქვეყნის მატერიალურ სამართლებრივ სივრცეში, ასევე ადგენდა ახალ შესაძლებლობებს სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების მეშვეობით, რითაც ზღუდავდა სასამართლოს უფლებამოსილებას, როგორც ამ მომენტამდე ერთადერთ სამოქალაქო დავების განმხილველ ორგანოს. გარდა აღნიშნულისა, საარბიტრაჟო ინსტიტუტი ყალიბდებოდა, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და ამგვარად გარდა საჯარო უფლებამოსილებებისა, გააჩნდა კერძო ინტერესებიც და წარმოადგინა საქართველოს მოქალაქეთათვის ახალი ტიპის სამეწარმეო საქმიანობა.

საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ აყალიბებდა ზოგად წესებს შემდეგ საკითხებზე: 1. საარბიტრაჟო შეთანხმება; 2. არბიტრაჟის შემადგენლობა, მათი უფლებები, არბიტრების დანიშვნისა და განთავისუფლების წესი; 3. საარბიტრაჟო განხილვის პროცედურული საკითხები, როგორებიცაა სარჩელი, განხილვის ადგილი, შეტყობინება, მოწმეთა დაკითხვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მოთხოვნები და სხვა [95].

ყველაზე მთავარი, რაც აღნიშნულმა კანონმა დაადგინა, იყო არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და მისი გადაწყვეტილებების ძალა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მხარეებს მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში ჰქონდათ მისი გასაჩივრების უფლება. ამგვარ კომპეტენციას მიეკუთვნებოდა მაგალითად, არბიტრაჟის უფლება „საკუთარი ინიციატივით“ გამოიტანოს დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე შესრულდეს იძულებითი აღსრულება. აღნიშნულ პრინციპს ამყარებდა ის გარემოებაც, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლებრივ ნორმებს, ან დარღვეული იყო მხარეთა შეთანხმება. ყოველგვარი შემდგომი კონკრეტიკის გარეშე საკანონმდებლო დონეზე, ამგვარი უკონტროლო საჯარო კომპეტენციის გადატანა კერძო სამართლის სუბიექტზე, რომელიც თავისი არსითა და იდებით მიმართულია მოგების მიღებაზე, საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო. იგი შეიცავდა უამრავ ბუნდოვან და ორაზროვან ნორმას, წარმოადგენდა მხოლოდ ნაციონალურ დონეზე არსებული არბიტრაჟის მარეგულირებელ აქტს და საკმაოდ რთული იყო მისი გამოყენება საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან მიმართებაში. ამ ინსტიტუტის განვითარება ქვეყანაში არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა – ყველაზე მძიმე პერიოდი

კანონისათვის მისი საგადასახადო დავების გადასაწყვეტად გამოყენება იყო, რაც შემდგომში საკმაოდ ხმაურიანად იქნა შეჩერებული, რადგან ასოცირდებოდა კორუფციასთან და დარგობრივ მიკერძოებულობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟის წესით სამოქალაქო დავის გადაწყვეტა გახდა საკმაოდ პოპულარული, ამ პროცესმა მიიღო ძალზე მანკიერი და არაპროფესიონალური სახე, რაც ყველასათვის კარგად არის ცნობილი და განვითარდა მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივად, ანუ ვერ ჩამოყალიბდა როგორც დავების გადაწყვეტის ნეიტრალური ინსტიტუტი, რომელიც საინტერესო გახდებოდა დავების ამ წესით გადაჭრისათვის, მაგალითად, კავკასიის რეგიონში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ამ სფეროს უკეთ რეგულირება, ამიტომ 2010 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ. აღნიშნულ კანონში კონკრეტულად არის მოცემული შემდეგი საკითხები: 1. საარბიტრაჟო შეთანხმება და მისი ფორმები; 2. არბიტრაჟის შემადგენლობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი და პროცედურა; 3. არბიტრაჟის უფლებამოსილება, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პირობები და მისი აღსრულება სასამართლოს მიერ; 4. საარბიტრაჟო განხილვასა და პროცესთან დაკავშირებული საკითხები; 5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებასთან, გაუქმებასთან და მის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

ახალი კანონიდან გამომდინარე, მხარეს მიეცა უფრო მეტი შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს არბიტრაჟში წარმოშობილი პრობლემის გადასაწყვეტად, ხოლო სასამართლოს კი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების თუ მიმართვების განსჯისა. კერძოდ, ახალი კანონის მიხედვით, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით და კონკრეტული, კანონში იმპერატიულად ჩამოთვლილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. აგრეთვე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება და გასაჩივრება შესაძლებელი ხდება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსთან შუამდგომლობის მეშვეობით (საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დროს უზენაესის მიერ) და კონკრეტული, კანონში განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

იმ პირობების ჩამონათვალში, რის საფუძველზედაც სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ასევე შესულია (UNCITRAL) სამოდელო კანონის მიერ

გათვალისწინებული, მაგრამ საერთაშორისო არბიტრების მიერ „ბუნდოვნად“ განმარტებული საჯარო წესრიგისა და იმპერატიული ნორმების პრინციპები [54].

მართალია, ამ კანონს საფუძვლად უდევს საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, კონკრეტულად კი გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) 1985 წელს შექმნილი მოდელური კანონი, კიდევ რჩება გადაუჭრელი პრობლემები. განსაკუთრებით საყურადღებო არის სასამართლოს როლი საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში. კანონმა შემოიღო იმ დონის სასამართლო კონტროლი, რომ ისმება კითხვა: ხომ არ კარგავს არბიტრაჟი თავის მნიშვნელობას?!

კერძო დავების გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფო სასამართლოების პრეროგატივა რომ იყოს, ამ უკანასკნელთა ეფექტური ფუნქციონირება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა [3, 135]. მართლმსაჯულება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს და ამიტომ სახელმწიფო სასამართლო განიცდის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, პირველ რიგში, კადრების სიმცირესა და ტექნიკური აღჭურვილობის არასრულყოფილებას.

ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს, განტვირთოს სასამართლოები. საარბიტრაჟო სამართალწარმოებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობა ერთ-ერთი საშუალებაა ამ მიზნის განსახორციელებლად [3, 135].

საქართველოს კანონმდებლობა შემდეგნაირად განსაზღვრავს არბიტრაჟის ცნებას: არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. საარბიტრაჟო სამართალწარმოებისას სამოქალაქო - სამართლებრივ დავებს სახელმწიფო სასამართლოს ნაცვლად წყვეტს არბიტრაჟი, თუ მხარეები ამას საარბიტრაჟო შეთანხმებით ითვალისწინებენ [76, 591]. თანამედროვე გაგებით, არბიტრაჟი არის სამოქალაქო-სამეურნეო დავების განმხილველი ორგანო, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო მართლმსაჯულების შემადგენელ ნაწილს, მაგრამ მისი გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით [15,8]. აღსანიშნავია ის ასპექტი, რომ საარბიტრაჟო პროცესი „ურთიერთდაკმაყოფილების ეფექტის“ შემცველია. მხარეები პროცესის მსვლელობისას



ერთმანეთს მიიჩნევენ არა მოწინააღმდეგე მხარედ, არამედ როგორც აუცილებელ მონაწილეს „მეგობრულ პროცესში“ . საარბიტრაჟო სამართალწარმოების შედეგი არის უფრო ერთობლივი. არსებობს შეხედულება, რომ არბიტრაჟში სამართლებრივი დავა გადაწყდება უფრო „მშვიდობიანად“. ამის საწინააღმდეგოდ სახელმწიფო სასამართლოებს მიიჩნევენ უფრო „შეურაცხყოფლად“. სახელმწიფო მოსამართლე არის სამართლისა და კანონის მიმდევარი და მისი გადაწყვეტილება იცნობს მხოლოდ „გამარჯვებულსა და დამარცხებულს“ [83, 4].

ითვლება, რომ საარბიტრაჟო განსჯადობაზე დაქვემდებარებით მხარეები არაერთი ფორმლობიდან თავისუფლდებიან, რომელიც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს ჩვეულებრივ სასამართლოსთან ურთიერთობას [14, 150]. გამოდის, რომ მხარეები არბიტრაჟს მიმართავენ, რადგან იგი მოქნილი და ნაკლებად მტკივნეული პროცესია, ასევე ფორმლობების თავიდან ასაცილებლად, პროცესის ხანგრძლივობისა და ხარჯების დაზოგვის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო ინსტიტუტების უმრავლესობა ფოკუსირებულია კომერციული დავების რეგულირებაზე, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ არბიტრაჟი დასაშვებია და გამოიყენება კიდევ სხვა სფეროებშიც ზოგიერთ ქვეყანაში. ბევრგან შრომითი დავები სასამართლოს გარდა ასევე გვარდება არბიტრაჟის მიერ. კოლექტიური ხელშეკრულებები ხშირად შეიცავს არბიტრაჟის მუხლს, რაც მხარეებისგან მოითხოვს დავის გადაცემას არბიტრაჟისთვის. ბევრი პროფესიული სპორტის სახეობა იყენებს არბიტრაჟს ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავების მოსაგვარებლად. ოლიმპიური კომიტეტიც ასევე იყენებს არბიტრაჟს დავების გადასაწყვეტად [24, 209]. სამშენებლო კონტრაქტები მშენებლებსა და მფლობელებს შორის ხშირად შეიცავს არბიტრაჟის მუხლს. ამასთან ერთად, საარბიტრაჟო შეთანხმება სტანდარტი გახდა ფასიანი ქაღალდების, ინტელექტუალური საკუთრების ხელშეკრულებებისა და სამომხმარებლო გაყიდვების ხელშეკრულების ბევრი სახეობისთვის.

შესაძლებელია სამი სახის არბიტრაჟის შექმნა: დროებითი, ანუ საგანგებო არბიტრაჟი, რომელსაც ad hoc - საც უწოდებენ, ინსტიტუციური ანუ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი და ადმინისტრაციული ანუ შუალედური არბიტრაჟი.

ad hoc არბიტრაჟი იქმნება მხარეების მიერ ერთი კონკრეტული დავის განსახილველად და პროცესის დამთავრების შემდეგ იშლება. რაც შეეხება ინსტიტუციურ არბიტრაჟს, მას მყარი და მუდმივი ორგანიზაციული ფორმა აქვს. იგი იხილავს სხვადასხვა საარბიტრაჟო საქმეს.

დროებითი არბიტრაჟის შესახებ შეთანხმების დადება მონაწილეებს აყენებს დიდი მოთხოვნების წინაშე. ასეთი სახის არბიტრაჟი საჭიროებს დიდ გულმოდგინებასა და გამოცდილებას. ამიტომ, ხშირად, საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიყენება ინსტიტუციური არბიტრაჟი [82, 221]. იმ საერთაშორისო გარიგებების მონაწილეთათვის დახმარების გაწევის მიზნით, რომლებმაც გაითვალისწინეს დავების გადაწყვეტა ad hoc არბიტრაჟში, შემუშავებულ იქნა სპეციალური რეგლამენტები საერთაშორისო დონეზე. დღეისთვის ყველაზე პოპულარული ad hoc რეგლამენტებია:

1. ევროპის ეკონომიკური 1963 წლის საარბიტრაჟო რეგლამენტი;
2. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1976 წელს მოწონებული UNCITRAL საარბიტრაჟო რეგლამენტი [88, 27];

გაეროს ეგიდით შემუშავებულ დოკუმენტთაგან აღსანიშნავია:

1. გაეროს ეკონომიკის კომისიის საარბიტრაჟო რეგლამენტი ევროპისთვის, 1966 წელი;
2. გაეროს ეკონომიკის კომისიის საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის წესები აზიისა და შორეული აღმოსავლეთისთვის, 1966 წელი [90, 21].

ad hoc არბიტრაჟები თავიანთი გავრცელებითა და პოპულარობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან ინსტიტუციურ არბიტრაჟებს და ამას თავისი მიზეზები აქვს. როგორც წესი, მუდმივმოქმედი არბიტრაჟების მიერ ორგანიზებული საარბიტრაჟო განხილვების ხარისხი გაცილებით მაღალია, რასაც დაგროვილი გამოცდილება და პროფესიონალების პერმანენტული მუშაობა განაპირობებს. ad hoc არბიტრაჟის შექმნა და ფუნქციონირება დაკავშირებულია კონკრეტულ დავასთან, რომლის დასრულების შემდეგაც არბიტრაჟი წყვეტს ფუნქციონირებას. გარდა ამისა, მუდმივმოქმედი არბიტრაჟები ყოველნაირად ცდილობენ მიმზიდველი გახადონ თავიანთი მომსახურება, რისთვისაც კლიენტებს მომსახურებისა და ანაზღაურების რამდენიმე სისტემას ერთად სთავაზობენ [28, 50]. მართალია, სპონტანური არბიტრაჟი მხარეებს სთავაზობს

გაცილებით მეტ მოქნილობას დავის შესაბამისი პროცედურებისა და წესების შემუშავების თვალსაზრისით, მაგრამ ინსტიტუციურ არბიტრაჟს გააჩნია უპირატესობა ad hoc - თან შედარებით. ის უზრუნველყოფს მხარეებისთვის არა მხოლოდ ფორმულირებულ საარბიტრაჟო სამართლებრივ წესრიგს, არამედ მათ გააჩნიათ სამდივნო, საკონფერენციო ოთახები და ა.შ. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილების მოქმედება და აღსრულება უფრო ადვილია, რადგან ძნელია მეწარმისთვის, რომელსაც სურს სამეწარმეო ურთიერთობებში სერიოზულად აღიქვან, ინსტიტუციური არბიტრაჟის გადაწყვეტილება არ შეასრულოს [82, 221]. უმრავლეს შემთხვევებში მუდმივმოქმედი არბიტრაჟები იქმნებიან სავაჭრო პალატებთან, ბირჟებთან და ასოციაციებთან და მოქმედებენ საქმეთა წარმოებისთვის დადგენილი საკუთარი წესებით. მუდმივმოქმედი არბიტრაჟების საქმიანობის წესი და ორგანიზაცია ძირითადად მათივე წესდებებით რეგულირდება, ამავე წესდებით არის ხოლმე განსაზღვრული ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სტატუსი და მათი ფუნქციები. წესდებასთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟების არსებობისთვის აუცილებელია საარბიტრაჟო რეგლამენტი [28, 47-48].

შუტცე ჩამოთვლის ინსტიტუციური არბიტრაჟებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს: საკუთარი და დამოუკიდებელი ადმინისტრაცია, არბიტრთა შემადგენლობის ფორმირებაში მონაწილეობა, საარბიტრაჟო პროცესის რეგულირება (საკუთარი საარბიტრაჟო რეგლამენტის შემუშავება და მხარეებისთვის შეთავაზება), საარბიტრაჟო ხარჯებისა და არბიტრთა ჰონორარების საკითხის რეგულირება, სტანდარტული საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის შემუშავება და „კლიენტებისთვის“ მათი შეთავაზება [28, 48]. გარდა ამისა, ყველა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს აქვს არბიტრთა სია, რომლიდანაც მხარეები აკეთებენ არჩევანს [20, 88]. როგორც წესი, საარბიტრაჟო რეგლამენტით განისაზღვრება დავების განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურა, საარბიტრაჟო ხარჯების განსაზღვრისა და მათი გადანაწილების წესი და მოდელური საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი, რაც სარეკომენდაციო ხასიათის მქონეა იმ მხარეებისთვის, რომლებიც გადაწყვეტენ მათ შორის წარმოშობილი დავა განსახილველად გადასცენ ამ არბიტრაჟს.

განასხვავებენ აგრეთვე არბიტრაჟების მესამე სახესაც, რომელიც შუალედურ პოზიციას იკავებს მუდმივმოქმედ და დროებით არბიტრაჟებთან მიმართებაში. აქ იგულისხმება ე.წ. „ადმინისტრაციული არბიტრაჟები.“ მათი ფუნქციონირების პრინციპი აგებულია იმაზე, რომ

განსაზღვრული კომერციული ორგანიზაციები ან მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტები სპეციალურ რეგლამენტებში მითითებული საფუძვლის არსებობისას ახორციელებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ad hoc არბიტრაჟებისთვის [88, 2-3]. ასეთი „ადმინისტრაციული არბიტრაჟების“ ფუნქციას ასრულებს, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი იმ დაინტერესებული პირებისთვის, რომლებსაც სურთ მათ შორის წარმოშობილი დავები UNCITRAL – 1976 საარბიტრაჟო წესებით იქნეს განხილული. ეს წესები სპეციალურად შეიქმნა საგანგებო არბიტრაჟისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელება გარდა მუდმივმოქმედი არბიტრაჟებისა, შეუძლიათ სხვა ორგანიზაციებსაც, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს. ასეთი პრაქტიკა ხშირია საქართველოშიც. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას შემუშავებული აქვს რეგლამენტი დროებითი კერძო არბიტრაჟისთვის და თანახმაა შეასრულოს ადმინისტრაციული ფუნქციები, თუ მხარეები ამაზე შეთანხმდებიან [28, 49].

ინსტიტუციური კერძო არბიტრაჟების სფეროში ჩამოყალიბდა ერთგვარი ბაზარი, სადაც კონკურენცია საკმაოდ დიდია, ამიტომ მეწარმეებს სხვა არაფერი რჩებათ, გარდა იმისა, რომ საკუთარი ინიციატივით არბიტრაჟის ორგანიზების ნაცვლად უკვე არსებულ კონკრეტულ ორგანიზაციებს მიმართონ.

დროებითი არბიტრაჟი ერთი კონკრეტული დავისთვის იქმნება, ამიტომ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილენი ცდილობენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ ამ დავის სპეციფიკა. სავსებით შესაძლებელია, მხარეებმა დავის გადაწყვეტის ისეთი ორიგინალური წესები შეათანხმონ, რომელთა პროგნოზირებაც რთულია. ad hoc არბიტრაჟები შეიძლება აკმაყოფილებდნენ ნებისმიერ კრიტერიუმს, რის გამოც მათი კლასიფიკაცია თითქმის შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ [28, 50].

როგორც ვიცით, არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის სავალდებულო მეთოდია. არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოფილია მართლმსაჯულების სისტემის ჩართვით. მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს და არბიტრს გამოაქვს სავალდებულო გადაწყვეტილება, რომელიც მხარეებმა უნდა შეასრულონ. მათ აქვთ გადაწყვეტილების გასაჩივრების მეტად

შეზღუდული უფლება. ეს არის არბიტრაჟის ტრადიციული და ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელსაც ტექნიკური ტერმინი: „სავალდებულო არბიტრაჟი“ ეწოდება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბოლო ხანებში ასევე ხელმისაწვდომი გახდა არასავალდებულო არბიტრაჟიც. არასავალდებულო არბიტრაჟი ჰგავს სავალდებულო არბიტრაჟს, თუმცა ამ შემთხვევაში თითოეულ მხარეს შეუძლია არბიტრის გადაწყვეტილების უარყოფა გადაწყვეტილების მიღებიდან ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. არასავალდებულო არბიტრაჟი ზოგჯერ გამოიყენება მხარეებს შორის ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნაცვლად, არბიტრი იძლევა არჩევით გადაწყვეტილებას. მხარეები მას იყენებენ როგორც გარკვეულ ინსტრუმენტს მოლაპარაკების პროცესში. მათ შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება, თუ იგი აკმაყოფილებს ორივე მხარის ინტერესებს, თუმცა ნაკლი ასეთი გადაწყვეტილებისა არის ის, რომ ის შეიძლება აღმოჩნდეს დროისა და რესურსების ფუჭი ხარჯვა, თუ მხარეები უარს იტყვიან გადაწყვეტილების მიღებაზე და განაგრძობენ ბრძოლას სასამართლოში.

არასავალდებულო არბიტრაჟი მოგვაგონებს მედიაციას უფრო, ვიდრე სასამართლო სამართალწარმოებას, რადგან ის მოლაპარაკების პროცესის ნაწილია, რომლის შედეგსაც საბოლოო ჯამში, მხარეები აკონტროლებენ. აღნიშნულის საპირისპიროდ, სავალდებულო არბიტრაჟი უფრო სასამართლო სამართალწარმოებას მოგვაგონებს, ვიდრე მედიაცია, რადგან ის გულისხმობს ნეიტრალური მხარის მიერ მიღებულ სავალდებულო გადაწყვეტილებას [24, 212].

ზოგიერთი არბიტრაჟი საერთაშორისო დონეზე დიდი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობს. ამ კუთხით განსაკუთრებით დაწინაურებულნი არიან ინგლისურენოვანი საარბიტრაჟო ინსტიტუტები. მსოფლიოს 100 -ზე მეტი მეტნაკლებად პოპულარული და აღიარებული არბიტრაჟებიდან დაახლოებით 40-მდე ინგლისურია [92, 47]. არსებული ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ მსხვილ საარბიტრაჟო ცენტრებად ძირითადად გვევლინებიან არასახელმწიფო, ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ საარბიტრაჟო ცენტრებს ერთი კანონზომიერება ახასიათებთ. მათი წარმოშობა და განვითარება მთლიანად კერძო ინიციატივის შედეგია. ამ ზოგადი კანონზომიერებიდან გამონაკლისიც არსებობს. ამის მაგალითია რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი და ამავე პალატის საზღვაო - საარბიტრაჟო კომისია,

რომელთა რეგლამენტებიც განიხილება, როგორც „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონის შემადგენელი ნაწილი და თან ერთვის კანონს. იმის თქმა გვსურს, რომ არბიტრაჟის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქმიან წრეებში მის მიმართ არსებულ ნდობას. არბიტრაჟები საკმაოდ განვითარებულია სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიაშიც (სინგაპური, ჰონგ-კონგი, ინდონეზია, და ა.შ.), ასეთ არბიტრაჟებს შეიძლება პირობითად ზოგადი არბიტრაჟები ვუწოდოთ [28, 51].

ზოგადი არბიტრაჟები იმით განსხვავდებიან სპეციალიზებულიდან, რომ ეს უკანასკნელნი ორიენტირებულნი არიან კონკრეტული სახის დავებზე. როგორც წესი, ამ დავების განხილვისათვის არსებობს სპეციალური რეგლამენტები. ასეთი არბიტრაჟების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სავაჭრო სამრეწველო პალატებთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიები. საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების საკმაოდ ავტორიტეტულ არბიტრაჟად მიიჩნევა კოპენჰაგენის საარბიტრაჟო კომისია [28, 52].

სპეციალიზებულ არბიტრაჟებს აქვთ გარკვეული უპირატესობა, რადგან ისინი წლების განმავლობაში აგროვებენ დავების განხილვისა და გადაწყვეტის გამოცდილებას მხოლოდ ერთ სპეციალურ სფეროში, რაც მათ პროფესიონალიზმსა და არბიტრაჟის მაღალ დონეზე ორგანიზებას უზრუნველყოფს.

არბიტრაჟების დაყოფას ზოგად და სპეციალიზებულ არბიტრაჟებად თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნია, თუმცა ასეთი კლასიფიკაცია მაინც პირობითია. დღეისთვის არსებობენ ზოგადი და სპეციალიზებული არბიტრაჟების სინთეზური ვარიანტებიც. ასეთი სინთეზი საშუალებას იძლევა საარბიტრაჟო ცენტრმა გააფართოვოს მომსახურების სფერო და უფრო მრავალფეროვანი არჩევანი შესთავაზოს მხარეებს.

არბიტრაჟების კლასიფიკაცია მათი ფუნქციებისა და სამართლებრივი შინაარსის აღქმას აადვილებს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება უკვე არსებული კლასიფიკაციისგან განსხვავებული არბიტრაჟის ჩამოყალიბება. ამ შემთხვევაში გადაწყვეტია არა თეორიული კლასიფიკაციები, არამედ არბიტრაჟის არსებობის პრაქტიკული აუცილებლობა და

კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. თუ არსებობენ მხარეები, რომლებსაც მოცემული არბიტრაჟისთვის დავის გადაცემა სურთ და მათი სურვილი, ან თვით არბიტრაჟის არსებობა კანონს არ ეწინააღმდეგება, მაშინ ეს სავესებით საკმარისია საარბიტრაჟო განხილვისა და ამ განხილვის შედეგად სამართლებრივად ნამდვილი გადაწყვეტილების გამოტანისთვის [28, 52].

#### 2.4. არბიტრაჟის დანიშნულება

დავების მოგვარების ალტერნატიულ გზებს შორის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა არბიტრაჟი. ადგილობრივი მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისათვის ბიზნესის საწარმოებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დავების მოგვარების თანამედროვე სისტემის დამკვიდრებასაც, რომლის თანახმადაც არბიტრაჟი, უდავოდ, ყველაზე პოპულარული და ეფექტიანი საშუალებაა [1, 182]. არბიტრაჟი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადგილობრივი თუ საერთაშორისო დავების მოგვარების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი სამეწარმეო სფეროში წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ერთ-ერთ აღიარებულ და პოპულარულ მექანიზმად ითვლება. მხარეებს ნაკლებად აქვთ ხოლმე სურვილი, რომ მსხვილი ტრანსნაციონალური ეკონომიკური პროექტის წარმატება თუ წარუმატებლობა ერთი რომელიმე სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იყოს დამოკიდებული, ამიტომ საერთაშორისო არბიტრაჟი ასეთი პროექტებით დაინტერესებულ ბიზნესმენტა ყველაზე ხშირი არჩევანია. ის მოქმედებს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე [14, 152]. თუმცა, არბიტრაჟი არ წარმოადგენს სახელმწიფო

სასამართლო სისტემის ნაწილს და თავისი საქმიანობის შესრულებისას არ არის დამოკიდებული მასზე [90, 20].

საარბიტრაჟო სამართლისა და საარბიტრაჟო სასამართლოს ერთიანი, ყოვლად აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. არბიტრაჟის ერთიანი ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია. საჭიროა მხოლოდ მისი ძირითადი ნიშნების სისტემატიზაცია. საარბიტრაჟო სამართალწარმოება გავრცელებულია სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებში - განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობებში [69, 5]. ნიშანდობლივია, რომ საარბიტრაჟო სამართალწარმოების მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში, ანუ როდესაც ხელშეკრულების მხარეები სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოადგენენ. ივარაუდება, რომ საერთაშორისო ასპარეზზე დადებული ხელშეკრულებების 90% შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას [3, 135].

არბიტრაჟი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო-სამეურნეო დავების განხილვის ისეთი წესი, როდესაც გადაწყვეტილებას იღებს მხარეების მიერ შერჩეული პირი, ან ის ორგანო, რომელიც არ შედის სახელმწიფო სამართლის სისტემაში, მაგრამ აღჭურვილია მისი უფლებამოსილებით [15, 8]. ანუ გამოიკვეთა არბიტრაჟის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: პირველი ნიშანი – არბიტრაჟი იხილავს მხოლოდ კომერციულ (ქონებრივ) დავებს, მეორე – სამართლებრივ დავას იხილავს მხარეების მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე არბიტრი (უნდა იყოს აუცილებლად კენტი რაოდენობა და არ არის სავალდებულო არბიტრი პროფესიით იყოს იურისტი), მესამე – საქმის საარბიტრაჟო სასამართლოში წამოწყების საფუძველია მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო ხელშეკრულება. მეოთხე – საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და მეხუთე – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით.

არბიტრაჟის ინსტიტუტი უპრეცედენტო დემოკრატიული ბუნების მქონეა. მხარეებს საშუალება აქვთ ზეგავლენა მოახდინონ საარბიტრაჟო წარმოების ყველა სტადიაზე: მხარეთა შეთანხმება სავალდებულო პირობაა არბიტრაჟისადმი მიმართვისა. მხარეებს შეუძლიათ არბიტრის არჩევა და მისი აცილება, ასევე საქმისწარმოების ენისა და არბიტრაჟის ადგილმდებარეობის არჩევა, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ



მხარეებს საშუალება აქვთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით საქმე გადაწყვიტონ არა სამართლის მიხედვით, არამედ სამართლიანად [90, 19].

თუმცა ამ პროცესში ხშირად ერევა სასამართლო. სასამართლო ხელისუფლების მიერ საარბიტრაჟო წარმოების ჩარევის ფარგლები პირდაპირპროპორციულია არბიტრაჟის იმ დემოკრატიული ბუნების ხარისხისა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი.

არბიტრაჟის მნიშვნელობის უკეთ გააზრებისათვის, საჭიროა გამოიყოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები საერთო სასამართლოებთან შედარებით, რაც პარალელურ რეჟიმში უკეთ გამოკვეთს ამ ინსტიტუტის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებსაც.

## 2.5. არბიტრაჟის დადებითი და უარყოფითი მხარეები სახელმწიფო სასამართლოებთან მიმართებაში

თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს სამყარო წარმოუდგენელია არბიტრაჟის ინსტიტუტის გარეშე და მისი უდავო უპირატესობების გამო იგი არის კომერციული წრეებისათვის დავის გადაწყვეტის პრაქტიკულად უალტერნატივო ფორმა [15, 12]. ამის მიზეზი კი არის ის უპირატესობები, რაც მას გააჩნია სახელმწიფო სასამართლოებთან შედარებით.

საყოველთაოდ დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ საარბიტრაჟო სასამართლო შედარებით სწრაფი და ხელმისაწვდომი პროცესია. არბიტრაჟი ნაკლებად შეზღუდულია ფორმალური ნორმებისაგან ვიდრე სასამართლო. იგი არ არის სხვა პროცესებისგან დატვირთული, ამიტომ შეუძლია კონკრეტულ საქმეზე კონცენტრირება [83, 2].

დღეისათვის საკმაოდ ბევრს საუბრობენ მახასიათებლებზე, რომლებიც არბიტრაჟს გაცილებით მიმზიდველს ხდის სასამართლოსთან შედარებით. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტი 2013 წლის საინვესტიციო გარემოს შესახებ შემუშავებულ დოკუმენტში

საქართველოს ურჩევს, რომ არბიტრაჟი დანერგილ იქნეს, როგორც დავის გადაწყვეტის უპირატესი მეთოდი საქართველოში: რეკომენდებულია, რომ კონტრაქტები კერძო მხარეებს შორის შეიცავდეს დებულებას (მუხლს), დავების საერთაშორისო არბიტრაჟში განხილვასთან დაკავშირებით [24, 215].

ხშირად ახდენენ არბიტრაჟის, როგორც ხელსაყრელი ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი ნიშნების კლასიფიკაციას. ცალკე გამოყოფენ ნიშნებს, რომლებიც სასამართლოსთან მიმართებაში არბიტრაჟის უპირატესობას ადასტურებენ და, ამავე დროს, მიუთითებენ უშუალოდ არბიტრაჟის ნიშნების შესახებაც [26, 19].

არბიტრაჟის უდავოდ ყველაზე დიდ უპირატესობას და მიმზიდველ ფაქტორს წარმოადგენს მხარეთა შესაძლებლობა დავის გადაწყვეტის პროცედურა მაქსიმალურად შეუსაბამონ თავიანთ მოთხოვნებსა და ინტერესებს [49, 143]. ამ თვისებას განამტკიცებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლი, რომლის თანახმადაც „არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის“ [96]. კანონმდებელი მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას თავად მოაგვარონ დავა თავის მიერ არჩეული არბიტრებისა და მათთვის ხელსაყრელი გარემოებების გათვალისწინებით.

მიღებული მოსაზრების თანახმად, ეროვნული არბიტრაჟების უპირატესობად, როგორც წესი, გამოყოფენ მის კონფიდენციალურობას, მოსამართლეების სპეციალური კვალიფიკაციის შესაძლებლობას, პროცესის სისწრაფესა და სიიარსეს, მოქნილობასა და მხარეთა ნების უპირატესობას. იგი ალტერნატიული საშუალებაა, როდესაც საერთო სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი არსებობს უნდობლობა [82, 214].

საარბიტრაჟო პროცესის მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ მხარეებს შეუძლიათ დაასახელონ არბიტრის თავიანთი კანდიდატურა, ანუ მათ შეუძლიათ მოსამართლეები შეარჩიონ კონკრეტული სამართლებრივი დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი სპეციალობისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ეს დადებითად მოქმედებს შერჩეულ პირებზე და თავს ვალდებულად გრძნობენ სამართლებრივი დავა მოაგვარონ.

საარბიტრაჟო სამართალწარმოება დაფარულია. საარბიტრაჟო განხილვა დახურულია და არბიტრებს ევალებათ დაიცვან პროცესზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ეკონომიკური და ტექნიკური საიდუმლოების დაცვა გარანტირებულია. საპირისპიროდ, სასამართლო სხდომები ძირითადად ყოველთვის ღიაა. კონფიდენციალურობა არბიტრაჟის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია [28, 39]. კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული საშუალება (სასამართლო), ყოველთვის მისაღები არ არის სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის. ხმაურიანი სასამართლო განხილვები და საპროცესო ფორმალობები ხშირად საზიანო ხდება ფინანსურად არც თუ სუსტი კორპორაციებისთვისაც კი. საქმის განხილვის კამერულობა მიიღწევა დახურული საარბიტრაჟო განხილვის შედეგად. ამ დროს განხილვა მოკლებულია ფორმალიზმს და სასამართლოსთან შედარებით მიმდინარეობს უფრო უშუალო ატმოსფეროში [28, 40].

შვეიცარული საარბიტრაჟო რეგლამენტის თანახმად, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება გამოტანილია და უკვე გამოყენებულ იქნა მისი კორექტირების, განმარტების ან დამატებითი გადაწყვეტილების მოთხოვნის უფლება, სავაჭრო პალატა, არბიტრები, არბიტრაჟის მდივანი ან არბიტრების მიერ დანიშნული ექსპერტები არ არიან ვალდებული მისცენ განმარტებები სხა პირს ამ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე. მხარეს არ აქვს უფლება მოითხოვოს ზემოაღნიშნული პირების მოწმედ დაკითხვა სასამართლოში ან სხვა დაწესებულებაში იმ საქმეზე, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულად ამ საარბიტრაჟო განხილვასთან.

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ 1976 წელს შემუშავებული და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მოწონებული საარბიტრაჟო რეგლამენტის 32-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ მხარეთა თანხმობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა ინტერესს გადაწყვეტილების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით არ შეესაბამება თვით არბიტრაჟის განვითარების ინტერესი [28, 40]. 3. სანდერსი თვლის, რომ განვითარება მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისა და მათი საჯარო დისკუსიის საგნად ქცევის დროს არის შესაძლებელი. ამ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საარბიტრაჟო ინსტიტუტების უმრავლესობამ განავითარა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ე.წ. ანონიმური გამოყენების პრაქტიკა (მაგალითად, ICC არბიტრაჟი) [65, 4]. ასეთი კომპრომისის შედეგად დაცულია როგორც

მხარეთა, ასევე იურიდიული მეცნიერების განვითარების ინტერესები. არბიტრაჟის კონფიდენციალურობის დაცვას ემსახურება საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო არბიტრაჟის (ICC არბიტრაჟის) მიერ შემუშავებული რეგულირება, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი პირი, რომელიც სამეცნიერო მიზნებისთვის უნდა გაეცნოს ICC არბიტრაჟის მიერ ორგანიზებული საარბიტრაჟო განხილვის მასალებს, ვალდებულია გააკეთოს წინასწარი დეკლარირება, რომ დაიცავს იმ დოკუმენტების კონფიდენციალურობას, რომლის გაცნობის საშუალებაც მას მიეცემა. ამავე დროს, საბოლოო პუბლიკაციამდე გამოსაქვეყნებელი მასალები უნდა წარედგინოს ICC არბიტრაჟის სამდივნოს, რომელმაც უნდა დაადასტუროს გამოქვეყნების მიზანშეწონილობა. მკვლევარების კონფიდენციალურ მასალებთან დაშვების წესები აქვს აგრეთვე ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის არბიტრაჟსაც (AAA არბიტრაჟი) [28, 41].

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არბიტრაჟის კონფიდენციალურობის პრინციპი არ არის აბსოლუტური კატეგორია. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება შედის საჯარო ინტერესში, გამონაკლისის სახით, დაშვებულად უნდა ჩაითვალოს ასეთი გადაწყვეტილების შინაარსის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის [65, 174].

საარბიტრაჟო სამართალწარმოება მოხერხებული და მარტივია, რადგან მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ საარბიტრაჟო წარმოების ადგილი და ენა ან ენები, ასევე მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი, რაც განსაკუთრებით მოსახერხებელია მოდავე მხარეებისთვის, ხელს უწყობს მტკიცებულებების მოპოვებასა და აჩქარებს პროცესს [82, 224].

თანამედროვე სავაჭრო ბრუნვა აგებულია სისწრაფეზე, ამიტომ სამართლებრივი დავის არსებობის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტებისთვის დავის სწრაფად გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სასამართლოში სამოქალაქო დავები წლობით გრძელდება არა მარტო საქართველოში, არამედ ისეთ ქვეყნებშიც, როგორებიცაა: ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი და ბევრი სხვა. ამერიკაში, მაგალითად, შტატების სასამართლოებში სამოქალაქო დავა საშუალოდ ერთიდან ოთხ წლამდე გრძელდება, გერმანიაში და საფრანგეთში ორიდან ხუთ წლამდე და ა.შ. [49]. დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, არბიტრაჟები ანალოგიურ საქმეებს გაცილებით მცირე ვადებში განიხილავენ, რაც განპირობებულია იმით, რომ ისინი თავისუფალნი არიან მთელი რიგი ფორმალურობებისაგან, რაც საერთო სასამართლოებს

ახასიათებთ. წარმოებას აჩქარებს ისიც, რომ მხარეები თვითონ არიან დაინტერესებულნი დავის დროული გადაწყვეტით.

უფრო მოკლე საპროცესო ციკლის წყალობით, არბიტრაჟის ხარჯებიც გაცილებით მცირე უნდა იყოს საერთო სასამართლოებთან შედარებით. ეს, ბუნებრივია, მის დიდ უპირატესობაზე მეტყველებს.

საბოლოოდ, საარბიტრაჟო წარმოების დროს აშკარაა მხარეთა ერთობლივი ნების პრიმატი. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში გამოსაყენებელ წესებს. ამ შემთხვევაში პროცედურა უფრო სწრაფი და ნაკლებ ფორმალიზებულია სახელმწიფო სასამართლოებთან შედარებით. ასეთი ოპერატიულობა უმეტეს შემთხვევებში მიიღწევა მხოლოდ ერთი ინსტანციისა და საქმის განხილვის გამარტივებული წესების არსებობით [26, 21]. ფორმალურად, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ მისი გაუქმების მოთხოვნითაა შესაძლებელი და ისიც მეტად შეზღუდულ შემთხვევებში.

საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალწარმოების შემთხვევაში არბიტრაჟთა გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სახელმწიფოს შიგნით ადვილად ხდება [14, 155]. თუ უცხო ქვეყნის სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეიძლება განვიხილოთ ამ უკანასკნელის სუვერენიტეტის შეზღუდვად, საარბიტრაჟო სასამართლოს, როგორც კერძო დაწესებულების გადაწყვეტილების ცნობა, შედარებით მსუბუქი ფორმით ხორციელდება.

გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი, სასამართლოსგან განსხვავებით, უპირატესად მხარეთა ნებით ხელმძღვანელობს, რაც შეიძლება გამოხატული იყოს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და იმ სავაჭრო ჩვეულებებით, რომლებიც დამკვიდრებულად და აღიარებულად მიიჩნევიან ბიზნესის მოცემულ სფეროში. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელია დღეისთვის არსებულ სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ამ სფეროში არსებული რეგიონალური და უნივერსალური საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად [88, 6-7].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მხარეებისთვის, რომლებიც იყვნენ კომერციულ საქმიანობაში ჩაბმულნი, სამართლებრივი დავა გადაიჭრება ნაკლებად მტკივნეულად. არბიტრაჟი ორიენტირებულია მხარეებს შორის შედგეს კომპრომისი. საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც „კერძო ხასიათის“ შემცველია, მიმართულია მხარეების მხარდაჭერისა და რჩევების მიცემისკენ, ვიდრე კონკრეტულ სამართლებრივ დავაზე გადაწყვეტილების გამოტანაზე [83, 3]. აქედან გამომდინარე, არბიტრაჟში, სასამართლოსგან განსხვავებით, მეტი ალბათობაა არ გაუარესდეს მოდავე მხარეებს შორის ურთიერთობა და დავა დამთავრდეს მორიგებით.

საარბიტრაჟო საქმისწარმოების წამოწყება არ განიხილება არაკეთილგანწყობილ ქმედებად, როგორც ეს სასამართლო საჩივრის დროს ხდება. ეს იმიტომ, რომ, სასამართლოსგან განსხვავებით, არბიტრაჟის სხდომები დახურულია და სარჩელის აღძვრის ფაქტი დაფარულია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი შეხედულება ყალიბდება არბიტრაჟებთან დაკავშირებით. ზოგი მეცნიერი მიზანშეწონილად მიიჩნევს დავის განსახილველად არბიტრაჟების გამოყენებას, ზოგი კი ამ ინსტიტუტის უარყოფით მხარეებზე აპელირებს. ამერიკელი არბიტრის, მედიატორისა და ექსპერტის- არტურ მაზიროვის აზრით, არბიტრაჟს შემდეგი დადებითი მხარეები გააჩნია:

1. პროცესის სისწრაფე - არბიტრაჟებში დავის გადაწყვეტა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე საერთო სასამართლოებში.
2. ნაკლები ხარჯები - თუმცა ეს დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე.
3. კონფიდენციალობა - არბიტრაჟში საქმის წარმოება არ არის საჯარო, პროცესი დახურულია და კონფიდენციალობა დაცულია.
4. შესაძლებელია არბიტრების შერჩევა გამოცდილებისა და სპეციალიზაციის მიხედვით.
5. საარბიტრაჟო სამართალწარმოება უფრო მეგობრული პროცესია, ვიდრე სახელმწიფო სასამართლო პროცესი.
6. საარბიტრაჟო პროცესი სასამართლოსთან შედარებით ნაკლებ ფორმალობებს შეიცავს.

არტურ მაზიროვის მოსაზრებას ბევრი ეთანხმება, ერთ-ერთი წამყვანი იურისტი ბარბარა ქეით რეპა თავის სტატიაში „არბიტრაჟის დადებითი და უარყოფითი მხარეები“, პირდაპირ მოუწოდებს მხარეებს მიმართონ არბიტრაჟს და არა სახელმწიფო სასამართლოს და მიუთითებს

საარბიტრაჟო სამართალწარმოების მოქნილობასა და სიმარტივეზე. არბიტრი და იურისტი კლეიტონ ალენი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ საარბიტრაჟო პროცესში მთავარია მხარეთა ნება და ყველაფერი მათი სურვილისა და შეთანხმების საფუძველზე ხდება, რაც მათ თვითდაჯერებულობასა და სამართლიანი გადაწყვეტილების რწმენას აღუძრავს.

ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი, რომლებიც არბიტრაჟებს ახასიათებს, განაპირობებს მათ პოპულარობასა და აქტუალობას როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ცალკეულ და მათ შორის ჩვენს ქვეყანაში, თუმცა საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს დახასიათება არბიტრაჟის რეკლამას უფრო ჰგავს. მისი დადებითი მხარეები ცოტა გადაჭარბებულად არის წარმოდგენილი. მხარეთა მიერ არბიტრაჟის არჩევის მიზეზებზე საუბრისას გერმანულ დოქტრინაში პირდაპირ მიუთითებენ ზოგიერთი სახელმწიფოს სასამართლო სისტემაში არსებულ კორუფციაზე და მაგალითად სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებს ასახელებენ. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში კვლავ იმეორებენ კლასიკურ შეხედულებას საარბიტრაჟო პროცედურის ხელმისაწვდომობის შესახებ. ამ მოსაზრებას შეიძლება მეტი საფუძველი ჰქონდეს, როცა პროცესის ინტერნეტის გამოყენებით წარმართვაზეა საუბარი. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ხარჯებიც ნაკლები იქნება. არსებული ტენდენციების გათვალისწინებით არბიტრაჟის ხელმისაწვდომობაზე საუბარი ცოტა მოძველებულად უნდა ჩაითვალოს. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ევროპაში ამგვარად უფრო და უფრო ნაკლებად ფიქრობენ. საარბიტრაჟო სფეროში დასაქმებული პირების გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 41%-ის აზრით, არბიტრაჟი ზოგადად უფრო ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. 43% კი მიიჩნევს, რომ არბიტრაჟი სულაც არ არის დავის გადაწყვეტის უფრო იაფი საშუალება. სამაგიეროდ, გამოკითხულთა 67%-ის აზრით, არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის უფრო სწრაფი მექანიზმია. საერთაშორისო არბიტრაჟის სფეროში არსებული უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით დებულება არბიტრაჟის არაფორმალურობის, კონფიდენციალურობისა და ხელმისაწვდომობის შესახებ მოძველებულად ითვლება. ობიექტურ სინამდვილესთან ალბათ შუალედური შეფასება უფრო ახლოსაა. მართალია, არბიტრაჟი აღარ რჩება დავის გადაწყვეტის იაფ მექანიზმად და დროშიც არანაკლებ ჭიანჭურდება, ვიდრე სასამართლო პროცესი, თუმცა, სასამართლოსთან შედარებით ის უფრო მოქნილი და ეფექტურია. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საპროცესო საკითხი შეათანხმონ, სასამართლოში კი საქმის წარმოების წესებს კანონი განსაზღვრავს და არა მხარეთა შეთანხმება. როგორც წესი, მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ სასამართლო პროცესის

გაჭიანურებაზე, სასამართლოს გრაფიკი მათ ნებაზე არ არის დამოკიდებული. საარბიტრაჟო განხილვის დროს არბიტრაჟი ვალდებულია მაქსიმალურად გაითვალისწინოს მხარეთა ნება. ამავე დროს, პროცესის გაჭიანურება არც არბიტრების ინტერესებში შედის. მოსამართლისაგან განსხვავებით, არბიტრის სტატუსი დროებითია და კონკრეტული საქმის დასრულებასთან ერთად არბიტრის უფლებამოსილებაც წყდება. ამავე დროს, საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შემდეგ ყოველთვის არსებობს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის რისკი.

არბიტრაჟის მოსამართლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა შეიძლება შესუსტდეს, თუ არბიტრები თავს იგრძნობენ იმ მხარის წარმომადგენლად, რომელმაც იგი დაასახელა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია არბიტრს ასახელებს მხარე, და ამ მხარეს აქვს ნდობა მის მიერ დასახელებული არბიტრის მიმართ, მაგრამ მაინც არსებობს დასახელებული პირის მეორე მხარის მიერ მისი მიკერძოების საშიშროება.

თავის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრის შერჩევის დროც ზოგიერთ შემთხვევაში თვეობით გრძელდება. მაგალითად, მსოფლიო ბანკის საარბიტრაჟო სასამართლოში.

საარბიტრაჟო სასამართლოს კონსტიტუციურობის შესახებ დავა დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. საშიშროება დანახულ იქნა უფრო საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესში, ვიდრე ნაციონალურში.

შემდეგი გამოწვევით არ ხდება მყარი პრაქტიკის დამკვიდრება გადაწყვეტილების ფორმის განვითარების მხრივ. ამის საპირისპიროდ შესაძლებელია ანონიმური სახით არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოქვეყნება, რათა პრაქტიკა ჩამოყალიბდეს.

არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ პრეცედენტის ძალა, მაშინ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებას ასეთი ძალა აქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები არ არის სამართლის წყარო გერმანიასა და გერმანული სამართლის რეცეფციის ქვეყნებში, თუმცა უმაღლესი სასამართლოების მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება პრაქტიკული ზეგავლენა მოახდინოს სხვა სასამართლოების



გადაწყვეტილებებზე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც აქვს ამ მნიშვნელობით პრეცედენტის ძალა [81, 333].

არბიტრაჟის ხარჯები და ხანგრძლივობა, ისევე, როგორც ამ ნიშნების მიჩნევა კარგ თუ ცუდ მხარედ, დამოკიდებულია საქმის განხილვის ფორმაზე. განმსაზღვრელია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სამართლებრივ დავას საბოლოოდ ამთავრებს, როცა სახელმწიფო სასამართლო შედგება რამდენიმე ინსტანციისაგან. თუ შევადარებთ არბიტრაჟის პროცესის ხარჯებსა და ხანგრძლივობას პირველი ინსტანციისას, მაშინ შეიძლება ხარჯები და ხანგრძლივობა მივიჩნიოთ ნაკლოვანებად, ხოლო თუ შევადარებთ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოსას, ამ ასპექტში შეიძლება ვთქვათ, რომ ეს უპირატესობაა. გარდა ამისა, მხოლოდ დიდი ღირებულების დავებისთვის არის არბიტრაჟი ხელსაყრელი სახელმწიფო სასამართლოსთან შედარებით, ხოლო მცირე დავების გადასაჭრელად არბიტრაჟი უფრო ხარჯიანია, ვიდრე სასამართლო.

არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება უფრო ხარჯიანია, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებისა, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას წინ უსწრებს სასამართლოს მიერ მისი ცნობა.

საარბიტრაჟო სამართალწარმოების დროს მხარეების მიერ ბოიკოტირების ან მსგავსი ქმედებების შემთხვევაში არბიტრს არ შეუძლია სადამსჯელო ღონისძიებების გატარება განსხვავებით სახელმწიფო სასამართლოსა, სადაც მოსამართლეს შეუძლია აღკვეთოს ნებისმიერი დაუმორჩილებლობა.

ზოგიერთ იურისდიქციაში ხალხის ნდობა არბიტრაჟების მიმართ არის დაბალი წარსულში თაღლითობის, ინტერესთა კონფლიქტის ან ბიზნესისადმი მიკერძოებულობის ფაქტების არსებობის გამო [93].

ჟურნალ „FORBES“-ში გამოქვეყნებულ ნაშრომში მეცნიერი პრაქტიკოსი სეთ ლიპნერი არბიტრაჟის უარყოფით მხარეებზე გვესაუბრება და გვიჩვენებს ჯერ კარგად დავფიქრდეთ, სანამ საარბიტრაჟო სამართალწარმოებას დავთანხმდებოდეთ. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება, თუნდაც ის არ ტოვებდეს სამართლიანობისა და ლოგიკურობის განცდას, ობიექტურობის საეჭვოობა, დახურული

სხდომების გამო გამჭვირვალობის შეზღუდული ხასიათი და ზრდადი ხარჯების ტენდენცია არბიტრაჟის უარყოფით მხარეებად განიხილება. ასევე ბევრ იურისტს აზრობს არბიტრთა არაპროფესიონალიზმი და შეუსაბამობა კონკრეტულ საქმესთან. პროფესორ ჯონ ბოლდვინის აზრით, საარბიტრაჟო სამართალწარმოების ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს ისიც წარმოადგენს, რომ არ არსებობს ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ან რაიმე რეკომენდაცია თუ როგორ უნდა გადაწყდეს ამა თუ იმ სახის დავა. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არბიტრი ხელმძღვანელობს თავისი მოსაზრებების საფუძველზე.

იურიდიულ მეცნიერებაში ასევე ხშირად დაისმის კითხვა; უნდა იყოს თუ არა არბიტრაჟი სავალდებულო. ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც მხარეები ირჩევენ არბიტრაჟს, ეს არის დავის გადაწყვეტის სწრაფი და ეფექტური მეთოდი. თუ არბიტრაჟი არ იქნება სავალდებულო, მაშინ არც ერთი მხარე არ იღებს საბოლოო შედეგს არბიტრაჟისგან და გადაწყვეტილება იქნება უფრო რეკომენდაციის ხასიათის, ისევე, როგორც მედიაციის შემთხვევაში. ასეთ პირობებში პროცესი შეიძლება არ იყოს სწრაფი და ეფექტური. მეორე მხრივ, სწრაფი, არასავალდებულო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარეებს უზრუნველყოფს მათი საქმის ობიექტური შეფასებით და ამგვარად ზრდის მორიგების შესაძლებლობას [24, 225]. წარმოგიდგენთ დათქმის მაგალითს, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს არბიტრაჟის სავალდებულო ხასიათს: ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა უნდა წარედგინოს საქართველოს დავების განხილვის ცენტრს საარბიტრაჟო განხილვისთვის, რომელიც უნდა განხორციელდეს დავის წარდგენისას მოქმედი ცენტრის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა ორივე მხარისთვის შესასრულებლად.

აღნიშნული დადებითი თუ უარყოფითი ნიშნების გააქტიურებაზე პირდაპირი ზეგავლენა აქვს ეროვნულ საარბიტრაჟო კანონმდებლობას. კანონმდებელს შესაძლებლობა აქვს სწორი საკანონმდებლო პოლიტიკით სტიმულირება გაუკეთოს მის იმ ნიშანს - თვისებებს, რომლებიც ასე პოპულარულს ხდის ამ ინსტიტუტს და პირიქით.

ჩვენი აზრით, შეიმჩნევა მეტად უსიამოვნო ტენდენცია. თუ საერთაშორისო მუდმივმოქმედი არბიტრაჟების რეიტინგი და პოპულარობა საგრძნობლად მატულობს, საქართველოში პირიქით, ქონებრივი დავების გადაწყვეტის ეს ალტერნატიული საშუალება ნელ-ნელა სუსტდება და

ნდობას კარგავს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნეს გარემოს გაფართოების ფონზე ის მეტ მნიშვნელობას უნდა იძენდეს. ეს ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართულ საარბიტრაჟო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გარკვეული ხარვეზებია, რაც გამოსწორებას საჭიროებს და რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

### **თავი III საარბიტრაჟო სამართალწარმოების რეგულირების პრობლემები საქართველოში**

#### **3.1. საარბიტრაჟო შეთანხმება**

საარბიტრაჟო მზადება თავისთავად შედგება რამდენიმე სამართლებრივი ქმედებისაგან, რომელიც შეიძლება აღვიქვათ საარბიტრაჟო პროცესის წამოწყების წინაპირობად. პირველ რიგში, საჭიროა მხარეებს შორის დადებულ იქნას საარბიტრაჟო ხელშეკრულება, რათა დავის გადაწყვეტის უფლებამოსილება გადაეცეს არა სასამართლოს, არამედ არბიტრაჟს, რაც საარბიტრაჟო პროცესის საფუძველი და წინაპირობაა. ეს გულისხმობს, რომ მხარეები კერძო არბიტრაჟის სასარგებლოდ, მიღწეული შეთანხმებით, კომპეტენტურ სახელმწიფო სასამართლოს ცვლიან ალტერნატიულით, გამორიცხავენ მის იურისდიქციას [14, 156]. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ბევრია დამოკიდებული როგორც საქმის განხილვისა და გადაწყვეტის, ასევე მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს.

საარბიტრაჟო შეთანხმება გადაწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტია საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე და მის აღსრულებამდე და ფაქტობრივად განსაზღვრავს მთელ საარბიტრაჟო წარმოებას. მისი არსებობის გარეშე არბიტრაჟმა უარი უნდა თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებაზე. საარბიტრაჟო შეთანხმება მხარეებს შორის შეიძლება გაფორმდეს როგორც დავის წარმოშობამდე, ასევე უშუალოდ მისი წარმოშობის შემდეგ. შეთანხმებაში მაქსიმალურად ზუსტად და ამომწურავად უნდა იქნა განსაზღვრული ყველა დეტალი, რაც საარბიტრაჟო წარმოებას შეეხება, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობები და სხვაგვარი ინტერპრეტაციები [50, 123].

უნსიტრალის მოდელური კანონის მე-7 მუხლი, ისევე, როგორც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმების ცნების განმარტებას. ისინი, გარკვეულწილად, ჰგვანან ერთმანეთს. საარბიტრაჟო შეთანხმება არის მხარეთა შეთანხმება, გამოიყენონ საარბიტრაჟო სამართალწარმოება ყველა ან განსაზღვრული დავის გადასაჭრელად, რომელიც წარმოიშვა ან წარმოიშობა სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ურთიერთობისას. იმავე დეფინიციას შეიცავს გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §1029. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე [88, 7].

საარბიტრაჟო შეთანხმებაში მოიაზრება საარბიტრაჟო ხელშეკრულება ან საარბიტრაჟო დათქმა. საარბიტრაჟო ხელშეკრულება იდება უკვე წარმოშობილი დავის არსებობის შემთხვევაში, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ არსებული დავა გადაეცემა არბიტრაჟს გადასაწყვეტად. რაც შეეხება საარბიტრაჟო დათქმას, იგი აღინიშნება ძირითად ხელშეკრულებაში და მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც, შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. ჩვეულებრივ, მხარეები თანხმდებიან არბიტრაჟის გამოყენებაზე ხელშეკრულების ხელმოწერისას. ქვემოთ წარმოდგენილია სტანდარტული დათქმა არბიტრაჟის შესახებ, რომელიც შემოთავაზებულია ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციის მიერ. ეს სტანდარტული მუხლი შემოთავაზებულია მხოლოდ ნიმუშის სახით და მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი საარბიტრაჟო პირობების დამოუკიდებლად შემუშავება: ამ

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან მიმართებაში, ან მის დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა, ან დავა უნდა გადაწყდეს ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციის მიერ ადმინისტრირებული არბიტრაჟის გზით მისი საარბიტრაჟო (ან სხვა) წესების შესაბამისად და არბიტრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსასრულებლად უნდა წარედგინოს შესაბამისი კომპეტენციის ნებისმიერ სასამართლოს.

როცა მხარეებს არ აქვთ შეთანხმება არბიტრაჟთან დაკავშირებით, მაგრამ დავა წარმოიშობა და მხარეებს აქვთ მისი არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის სურვილი, შესაძლოა შემდეგი ხასიათის დათქმის გაკეთება: მხარეები ვაცხადებთ თანხმობას, შემდეგი დავა წარვუდგინოთ ადმინისტრირებულ არბიტრაჟს, მისი კომერციული (ან სხვა) საარბიტრაჟო წესების შესაბამისად გადასაწყვეტად. ჩვენ ასევე ვთანხმდებით, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება განხორციელდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სასამართლოს მიერ [24, 224].

საარბიტრაჟო შეთანხმება დამოუკიდებელია ძირითად ხელშეკრულებასთან მიმართებაში. საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა საარბიტრაჟო სამართლის ძირითადი პრინციპია. მას აღიარებს ინგლისური, ფრანგული, გერმანული და შვეიცარული სამართალი. ავტონომიურობის პრინციპის მნიშვნელობა ასევე უდავოდ არის მიჩნეული იურიდიულ მეცნიერებაში. საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა მიზნად ისახავს საქმის საარბიტრაჟო წესით განხილვის სასარგებლოდ მხარეთა მიერ გაკეთებული არჩევანის დაცვას. ზოგადი წესის თანახმად, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას. კონკრეტული ხელშეკრულების ბათილობაზე და ნამდვილობაზე წარმოშობილი დავა უნდა გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სასამართლომ.

შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენცია - განიხილოს კონკრეტული სამართლებრივი დავა, გამომდინარეობს მხარეთა ნებიდან, რაც აისახება საარბიტრაჟო შეთანხმებაში. საარბიტრაჟო შეთანხმების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სავალდებულოა მხარეებისათვის და დავის წარმოშობის შემთხვევაში არბიტრაჟისთვის გადაცემის ვალდებულებას გვერდს ვერ აუვლიან.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნიუ-იორკის სასამართლოს გადაწყვეტილება: ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება რუსულ ფირმასთან, რომელშიც

გათვალისწინებული იყო, რომ ყველა სამართლებრივი დავა უნდა გადაეწყვიტა არბიტრაჟს. მიუხედავად საარბიტრაჟო დათქმისა, ამერიკულმა კომპანიამ სარჩელი შეიტანა ნიუ-იორკის შტატის სასამართლოში. საქმის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელი არ იყო სასამართლოს განსჯადი, რადგან საარბიტრაჟო ხელშეკრულება ატარებს სავალდებულო ძალას ორივე მხარისთვის.

საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შესახებ არსებობს სამი თეორია: სახელშეკრულებო ანუ მატერიალური, საპროცესო და შერეული.

სახელშეკრულებო თეორიის თანახმად, არბიტრაჟი წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის ინსტიტუტს და მისი ერთადერთი მიზანია საარბიტრაჟო შეთანხმების მეშვეობით დავის გადაწყვეტა. საპროცესო თეორიის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება გულისხმობს სახელმწიფო სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვას და იგი ასევე მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიმართულებითაც. ამ თეორიების მიმდევრები არიან როგორც გერმანიაში, ისევე ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე სხვა ქვეყნებში. შერეული თეორიის წარმომადგენლები აღიარებენ არბიტრაჟის საპროცესო სამართლებრივ ბუნებას, მაგრამ, ამავე დროს, საარბიტრაჟო შეთანხმებას მიიჩნევენ მატერიალურ სამართლებრივ ხელშეკრულებად, რომელსაც საპროცესო სამართლებრივი შედეგები მოჰყვება [26, 115].

მნიშვნელობა ენიჭება საარბიტრაჟო შეთანხმების ბუნებას მაშინ, როცა საჭიროა გაირკვეს, რომელმა სამართალმა უნდა იმოქმედოს ამ შეთანხმებაზე. გერმანულ ლიტერატურაში საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შესახებ შეხედულება არაერთგვაროვანია. თუ მეცნიერებაში საარბიტრაჟო შეთანხმება კვალიფიცირდება როგორც საპროცესო-სამართლებრივი შინაარსის მქონედ, სასამართლო პრაქტიკაში მას მიიჩნევენ მატერიალურ-სამართლებრივ ხელშეკრულებად საპროცესო ურთიერთობებში. იმავე შინაარსისაა გერმანიის საპროცესო სამართლის § 1029 [86, 1581]. შესაბამისად, შეთანხმების განხორციელება და სამართლებრივი ქმედითობა ექვემდებარება ობიექტურად მოქმედ სამართალს, მხოლოდ საპროცესო მოქმედებებზე ვრცელდება ადგილის სამართალი.

არბიტრაჟისა და საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შესახებ თეორიებს, ფაქტობრივად, არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. მხარეთა ერთობლივი ნების გამოვლინებით იდება საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის ძალითაც დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება გადაეცემა არბიტრაჟს. ამიტომ, მნიშვნელოვანია არა საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება, არამედ თავად მისი შესაძლებლობა მიანიჭოს არბიტრაჟს კონკრეტული დავის გადაწყვეტის კომპეტენცია. ამისათვის საჭიროა, რომ შეთანხმება დადებულ იქნეს ქმედუნარიანი მხარეების მიერ („სუბიექტური არბიტრაჟუნარიანობა“) და იმ ურთიერთობაზე, რომელზედაც საარბიტრაჟო შეთანხმების დადება ნებადართულია („ობიექტური არბიტრაჟუნარიანობა“).

შეთანხმების მხარეების უფლებაუნარიანობა პირდაპირ კავშირშია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასთან, რომლის მონაწილენი შეიძლება იყვნენ: ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე სახელმწიფოები. შეთანხმება ნათლად უნდა გამოხატავდეს მხარეთა სურვილს დავა განსახილველად გადასცენ კონკრეტულ არბიტრაჟს [52, 130,141]. ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის განმსაზღვრელია იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის იგი. (გერმანია, შვეიცარია, ინგლისი, საფრანგეთი, საქართველო). იურიდიული პირების სტატუსის განსაზღვრისას იურისტთა ნაწილი დაფუძნების თეორიის მომხრეა. რაც შეეხება სახელმწიფოებს, თუ ისინი დადებენ საარბიტრაჟო შეთანხმებას, მათ აღარ აქვთ უფლება მიუთითონ საკუთარ კანონმდებლობაზე, რათა უარი თქვან საარბიტრაჟო შეთანხმებაზე (აშშ, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი).

საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასთან ასევე პირდაპირ კავშირშია მისი საგანი. საარბიტრაჟო შეთანხმებაში სწორად უნდა იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი განსაზღვრული. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი დავა არ შეიძლება განიხილოს არბიტრაჟმა. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილება შემოიფარგლება ქონებრივ-სამართლებრივი დავებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ითვალისწინებს იმ დავების ჩამონათვალს, რომელზეც საარბიტრაჟო შეთანხმება არ დაიშვება. მაგალითად: გერმანიასა და შვედეთში საოჯახო სამართლიდან გამომდინარე საქმეები არ შეიძლება დაექვემდებაროს საარბიტრაჟო სასამართლოს, თუმცა გერმანიაში არაქონებრივი დავები ასევე ითვლება საარბიტრაჟო განხილვის საგნად.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს სურთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი კანონმდებელი უშვებს ნებადართულად საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადებას მხოლოდ ქონებრივ დავებთან დაკავშირებით.

იყო შემთხვევა, როცა ქუთაისის ერთ-ერთმა არბიტრაჟმა განიხილა საქმე მერიის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიერ მრავალბინიან სახლში ცალკეული ბინის მესაკუთრეებად ცნობის შესახებ. არბიტრაჟმა დააკმაყოფილა მოთხოვნა, თუმცა მხარეთა პრეტენზია, მიმართული მერიის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიმართ, არც ქონებრივი დავაა და არც სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის დავა. არბიტრაჟმა, ფაქტობრივად, განიხილა არა დავა მხარეთა შორის, არამედ უდავო წარმოების წესით იმ პირთა საკუთრების უფლებით ბინის ფლობის იურიდიული ფაქტის დადგენა, რისი უფლებამოსილება და კომპეტენციაც კერძო არბიტრაჟს არ გააჩნია [118]. შესაბამისად სახელმწიფო სასამართლომ დაადგინა, რომ არბიტრაჟი ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასცდა საკუთარ კომპეტენციას.

არსებითი მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმას. საარბიტრაჟო შეთანხმება მოითხოვს წერილობით ფორმას [77, 1213]. მოდელური კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება იდება წერილობითი ფორმით. გარდა ამისა, საარბიტრაჟო შეთანხმება დადებულად ითვლება, თუ იგი შესულია მხარეთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, ან დადებულია წერილების გაცვლის, სატელეგრაფო შეტყობინებების ან ელექტრონული კომუნიკაციების სხვა საშუალებების გამოყენების გზით, ასევე შეთანხმება დადებულია სასარჩელო განცხადებისა და მასზე პასუხის გზით, რომელშიც ერთ-ერთი მხარე მიუთითებს შეთანხმების არსებობაზე, ხოლო მეორე მხარე ამას სადავოდ არ ხდის. ხელშეკრულებაში არსებული მითითება რაიმე სახის დოკუმენტზე, ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმებად იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობითი ფორმით და ეს მითითება დათქმას ხელშეკრულების ნაწილად აქცევს.

ნიუ-იორკის კონვენცია ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობით ფორმას ადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს მხარეების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ან სხვა რაიმე წერილობითი ფორმის სახით (წერილი, ფაქსი ან ტელეგრამა), რომლებიც მხარეებს გაცვლილი აქვთ. გერმანიის საარბიტრაჟო საპროცესო სამართალს გადმოღებული აქვს მოდელური კანონის



მიერ დადგენილი საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა [74, 4-5]. 1995 წელს ზეპირად დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილად იქნა ცნობილი ჰამბურგის ერთ-ერთი არბიტრაჟის მიერ.

საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ იმპერატიულად აწესებს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით. იმავე კანონის მე-8 მუხლი თითქმის იმავე შინაარსის მქონეა, რაც მოდელური კანონის მე-7 მუხლი. ქართველმა კანონმდებელმა უცვლელად გადმოიტანა ის ნორმები, რომლებიც ეხებოდა საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმას. ეს იმას ნიშნავს, რომ წერილობით ფორმად ჩაითვლება, როგორც მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები, ისე წერილების გაცვლა, სატელეგრაფო შეტყობინებების ან ელექტრონული კომუნიკაციების სხვა საშუალებების გამოყენება, ასევე შეთანხმების დადება სასარჩელო განცხადებისა და მასზე პასუხის გზით, რომელშიც ერთ-ერთი მხარე მიუთითებს შეთანხმების არსებობაზე, ხოლო მეორე მხარე ამას სადავოდ არ ხდის. ხელშეკრულებაში არსებული მითითება რაიმე სახის დოკუმენტზე, ასევე ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმებად იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობითი ფორმით და ეს მითითება დათქმას ხელშეკრულების ნაწილად აქცევს. კანონის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა. საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის. საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებელის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას. ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად. თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ასეთ შეთანხმებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-4–მე-6 პუნქტები. თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ორივე მხარე ფიზიკური პირია, საარბიტრაჟო შეთანხმებას ხელი უნდა მოაწერონ

მხარეთა ადვოკატებმაც ან საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა გარკვეული ცვლილებები კანონში შესატანად. ერთ - ერთი მათგანი ამ მუხლის მე-8 პუნქტს შეეხება, რომელიც შემდეგი რედაქციით არის ჩამოყალიბებული: თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ასეთ შეთანხმებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები. ამით, ფაქტობრივად, აღმოიფხვრება უზუსტობა და თავიდან იქნება აცილებული რიგი სადავო სიტუაციები.

ზემოთ მოყვანილ სასამართლო საქმეში საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც მიიღო და განიხილა საქმე არბიტრაჟმა, ხელს არ აწერდა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის წარმომადგენელი, ამიტომ, სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი „საარბიტრაჟო შეთანხმება“ ვერ ჩაითვლება კერძო არბიტრაჟში საქმის განხილვის საფუძველად.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, საარბიტრაჟო შეთანხმების საკითხები სრულყოფილად არ არის რეგულირებული კანონმდებლობაში. არსებულ ხარვეზებს კი პრაქტიკაში საკმაოდ დიდი დაბრკოლებები მოჰყვება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ მაშინაა კანონშესაბამისი, თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული არბიტრაჟი (არბიტრი), თანაც აღნიშნული დათქმა უნდა იყოს უალტერნატივო. აღნიშნული კიდეც ერთხელ ადასტურებს, რომ რეალობაში საბაზრო ძალაუფლების მქონე დომინანტი მხარე იყენებს არბიტრაჟზე ზოგად მითითებას, ან ტერმინს “მოსარჩელის არჩევით”, რასაც სააპელაციო სასამართლო არ მიიჩნევს კანონშესაბამის შეთანხმებად. სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხშირად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების კანონშესაბამობა არჩევის უფლების რეალურად არარსებობის გამო. “არბიტრაჟის შესახებ” კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი

ურთიერთობიდან გამომდინარე. თუმცა, კანონში არ არის მითითებული, რომ მხარემ ერთ რომელიმე კონკრეტულ არბიტრაჟზე უნდა შეაჩეროს არჩევანი. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არცთუ იშვიათად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ იდება თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე. პრობლემატური საკითხია საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება, რაც, სამწუხაროდ, “არბიტრაჟის შესახებ” კანონით სრულად და ამომწურავად არ არის განმარტებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია სააპელაციო სასამართლოს შემდეგი განმარტება: “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ.ა ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა ნამდვილ ნებას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვაზე. თუ ასეთი დათქმა არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა, ხოლო დავის განხილვის შემთხვევაში არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები კონკრეტულ მუდმივმოქმედ არბიტრაჟზე არ შეთანხმებულან, დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს. მოქმედი კანონმდებლობა უშვებს არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვას მხოლოდ კონკრეტულ არბიტრაჟზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება: სასამართლოს შემადგენლობამ მიუთითა, რომ მხარეები ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობლივად და თანასწორად განსაზღვრავენ უკვე წარმოშობილ ან სამომავლო შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანასწორობის საწყისებზე შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის. განსახილველ შემთხვევაში დავა არ

შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი, ამიტომაც უარი ეთქვას განმცხადებელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

სააპელაციო სასამართლომ სხვა შემთხვევაშიც უარი უთხრა განმცხადებელს ცნობასა და აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაში არ იყო განსაზღვრული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელსაც უნდა განეხილა დავა. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას. შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბათილია ის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს [109].

ერთ-ერთ საქმეში წარმოდგენილი იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, გაფორმებული 2009 წლის 21 აგვისტოს, რომლის მე-2 პუნქტი შეიცავდა ზოგადი ხასიათის საარბიტრაჟო დათქმას - „შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება კერძო არბიტრაჟის მიერ ერთი არბიტრით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

სასამართლომ დაადგინა, რომ არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ ცნობას, თუ მხარეთა შეთანხმებაში პირდაპირ არ არის მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხემ წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი ან გამოცხადდა საქმის განხილვაზე და არ განაცხადა პრეტენზია არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს არც საარბიტრაჟო შესაგებელი წარუდგენია და არც მონაწილეობა მიუღია საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვაში, ანუ მას არც საარბიტრაჟო დათქმით და არც კონკლუდენტური მოქმედებით არ უღიარებია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენცია ხსენებულ საქმეზე. რაც შეეხება მეორე მოპასუხეს - მან წარადგინა შესაგებელი, რომლითაც განაცხადა პრეტენზია არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით [109].

როგორც ვხედავთ, აღნიშნულმა ხარვეზმა არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბათილობამდე მიგვიყვანა, რაც, ფაქტობრივად, მოუგვარებელ დავას გულისხმობს და არბიტრაჟის ინსტიტუტის სუსტი მხარეა. საარბიტრაჟო ტრადიციების მქონე ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოვიკვლიეთ აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

რაც შეეხება საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების გავრცელებას მესამე პირებზე, საქართველოს პრაქტიკა ამ საკითხთან მიმართებაში ძალიან მწირია. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი, სადაც მოსარჩელე მხარის მოთხოვნას წარმოადგენდა, გაუქმებულიყო შპს "არბიტრაჟის" მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჩ. ცნობილ იქნა სამხატვრო სახელოსნოს 90 კვ.მ-ის მესაკუთრედ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობის დაცვით, მიიღო საჩივარი წარმოებაში. ჩვენი კვლევის მიზნებისთვის ეს განჩინება საინტერესოა, რადგან სასამართლომ ამ საქმით საფუძველი დაუდო საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი შედეგების გავრცელებას მესამე პირებზე. საჩივრით სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხება საჩივრის ავტორების უფლებებსა და მოვალეობებს, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ისინი მიჩნეულ იქნენ საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილ პირებად. კერძოდ, ა. ჩ.-ს წარმომადგენელმა სასამართლო პროცესზე დაადასტურა, რომ ხ. კ.-ს სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული ფართი და ის ფართი, რომელიც შპს „არბიტრაჟის“ გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა ა. ჩ.-ს საკუთრებად, ერთი და იგივეა. პალატა აქვე განმარტავს, რომ წინამდებარე საჩივრის განხილვისას პალატა არ მსჯელობს ხ. კ.-ს საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერებაზე. ფაქტობრივი გარემოებებიდან ნათელია, რომ ხ. კ. არც საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე იყო და არც საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობდა. მასზე გავრცელდა საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი. ჩემი აზრით, სასამართლოს პოზიცია მართებულია შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო საჩივრის ავტორზე, ყველა წესის დაცვით, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო სადავო ფართი; იგი არ ყოფილა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე; მას საარბიტრაჟო განხილვაში არ მიუღია მონაწილეობა როგორც მესამე პირს; საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ცალსახად შეილახა მისი საკუთრების უფლება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ, სრულიად დასაბუთებულად, მიიღო საჩივარი წარმოებაში [გიორგი ჯუღელი]. რაც არ უნდა

გასაკვირი იყოს სასამართლოს ეს ქმედება, არც ერთ დოქტრინაში თუ მიდგომაში არ ჯდება, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურ მიდგომას ითხოვს.

### 3.2. წინასაარბიტრაჟო მზადება

წინასაარბიტრაჟო მზადება, როგორც წესი, დაკავშირებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსთან, რომელშიც დარეგულირებულია საარბიტრაჟო მზადების მარეგულირებელი წესები. კერძოდ, შეთანხმების შინაარსი მოიცავს მითითებას არბიტრაჟის ადგილზე, არბიტრების დანიშვნის წესზე, გამოსაყენებელ სამართალსა და ენაზე, ასევე შეთანხმებას საარბიტრაჟო სამართალზე [74, 5]. მხარეებს შეუძლიათ მიუთითონ რომელიმე რეგლამენტი, რომელიც დეტალურად არეგულირებს არბიტრაჟის მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურას.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილს მხარეები განსაზღვრავენ საარბიტრაჟო შეთანხმებაში. როცა საარბიტრაჟო შეთანხმებაში იგი ზუსტად არ არის მითითებული, საკითხის გადაწყვეტა რთულდება, რადგან გამოსაყენებელი სამართალი, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასება და სახელმწიფო სასამართლოს კომპეტენციის განსაზღვრა არბიტრაჟის მიმართ დაკავშირებულია საარბიტრაჟო განხილვის ადგილთან [20, 85]. არბიტრაჟის განხილვის ადგილის პრაქტიკული მნიშვნელობის გამო იგი მიჩნეულია საარბიტრაჟო შეთანხმების აუცილებელ პირობად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში პირდაპირ არის დარეგულირებული ეს საკითხი. მაგალითად, არბიტრაჟის შესახებ შვედეთის კანონში ნათქვამია, რომ საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება განხორციელდეს შვედეთში იმ მხარის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილსამყოფელი შვედეთში აქვს ან სხვაგვარად ექვემდებარება ამ ქვეყნის სასამართლოების იურისდიქციას დავის საგნის მიმართ, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არ არის დადგენილი, რომ განხილვას ადგილი უნდა ჰქონდეს საზღვარგარეთ [20, 86]. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ითვალისწინებს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის რეგლამენტაციას: საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

განსაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილს განსაზღვრავს არბიტრაჟი საქმის გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მოსახერხებელია ეს ადგილი მხარეებისათვის. არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ ადგილას მოიწვიოს სხდომა არბიტრთა შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა შესამოწმებლად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

არბიტრაჟის ადგილმდებარეობა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით საერთაშორისო დავებისთვის. არბიტრაჟის ადგილმდებარეობას შეუძლია გავლენა იქონიოს დავის ღირებულებაზე. თუ მხარეები, მოწმეები, მტკიცებულება, დოკუმენტები და ა.შ. გეოგრაფიული თვალსაზრისით შორსაა ერთმანეთისგან, მაშინ არბიტრაჟი შესაძლოა ძალზე ძვირი აღმოჩნდეს ერთ - ერთი მხარისთვის მაინც. ადგილმდებარეობაზე არის აგრეთვე დამოკიდებული იმ საკითხის განსაზღვრა, თუ რა დოზით და რა შემთხვევაში ჩაერევა ადგილობრივი სასამართლო არბიტრაჟის პროცესში. თითქმის ყველა საერთაშორისო საარბიტრაჟო დავის დროს დაისმის კითხვა: ვინ უნდა განიხილოს და წარმართოს პროცესი, ვინ უნდა იყოს დავის გადაწყვეტი არბიტრი [33, 3]. მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ შეთანხმებულ ადგილზე არის თუ არა ხელმისაწვდომი კვალიფიციური და მიუკერძოებელი არბიტრების შემადგენლობა. საბოლოოდ, ადგილმა შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე. თუ არბიტრაჟის ადგილია ქვეყანა, რომელიც არ არის ნიუ - იორკის კონვენციის ხელმომწერი, მაშინ არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. წარმოგიდგენთ დათქმის მაგალითს, რომელიც განსაზღვრავს არბიტრაჟის ადგილმდებარეობას: ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან მიმართებაში, ან მის დარღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა, ან დავა უნდა გადაწყდეს ამერიკის არბიტრაჟის ასოციაციის საერთაშორისო ბიზნეს დავების აზია/წყნარი ოკეანის ცენტრის მიერ სან-ფრანცისკოში მისი კომერციული [ან სხვა] საარბიტრაჟო წესების შესაბამისად და არბიტრ(ებ)ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულებულ უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სასამართლოს მიერ [24, 227].

საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეები ითვალისწინებენ გამოსაყენებელ საპროცესო და მატერიალურ სამართალს. მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ როგორც კონკრეტული საარბიტრაჟო საქმის წარმოების წესები, ისე რომელიმე საპროცესო კანონმდებლობა [14, 158]. თუ მხარეები

ვერ შეთანხმდებიან, როგორც წესი, მოქმედებს იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც კონკრეტული საქმის გარემოება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული [74, 6], (გერმანია) ან თავად არბიტრაჟი განსაზღვრავს გამოსაყენებელ სამართალს (საქართველო), ან პირდაპირ იმ ქვეყნის სამართალი გამოიყენება, სადაც საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე დავის განხილვა მოხდება (შვედეთი) [20, 87]. საქართველოში არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. არბიტრაჟი გადაწყვეტილების გამოტანისას ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობებს და იმ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც ასეთი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება.

არბიტრების შერჩევა დავის ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საწყის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს მხარემ. არჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს არბიტრების გამოცდილებას და ცოდნას, რასაც დიდი ზეგავლენა ექნება პროცესის ხარისხზე და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრები არსებითად უფრო მეტი ძალაუფლების მქონენი არიან, ვიდრე მოსამართლეები, რადგან, მოსამართლეებისაგან განსხვავებით, მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია შინაარსის ან კანონის ინტერპრეტაციის გამო. არბიტრმა შეიძლება მოახდინოს კანონის არასწორი ინტერპრეტაცია ან დაუშვას აშკარა შეცდომა საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, მაგრამ მხარეს აღარ შეეძლება გააუქმოს გადაწყვეტილება, რომელიც შეცდომით არის გამოტანილი. ამიტომ ეს აიძულებს მხარეებს დიდი სიფრთხილით მოეკიდონ და დაგეგმონ გადაწყვეტილების მიმღები პირების-არბიტრების შერჩევა.

საერთაშორისო არბიტრაჟში ინიშნება ერთი ან რამდენიმე არბიტრი. საჭიროა რიგი მოსაზრებების გათვალისწინება არბიტრების რაოდენობის განსაზღვრისას. ერთი არბიტრის შემთხვევაში არსებითი უპირატესობაა ნაკლები ხარჯი და მოსმენების დანიშვნის პროცედურის გაადვილება. გარდა ამისა, პროცესი უფრო სწრაფად წარიმართება, რადგან ერთადერთ არბიტრს გადაწყვეტილების გამოტანისას არ ესაჭიროება საკითხის განხილვა კოლეგებთან ერთად არბიტრაჟის არც ერთ ეტაპზე.



საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში, ხშირად უპირატესობა ენიჭება სამ არბიტრს, განსაკუთრებით თუ სადავო თანხის ოდენობა ამართლებს ხარჯებს. თუ დავა განსაკუთრებით მასშტაბური და რთულია, უფრო მოსალოდნელია, რომ სამი არბიტრის მიერ უკეთესი და ყოვლისმომცველი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ვიდრე ერთი არბიტრის პირობებში. გარდა ამისა, როცა მხარეები სხვადასხვა ქვეყნის და კულტურის წარმომადგენლები არიან, თითოეული მხარისათვის უფრო მისაღებია, თუ მხარეს ექნება საშუალება აირჩიოს ერთი ისეთი არბიტრი, რომელიც მისი მსგავსი გარემოცვიდან იქნება.

საზოგადოდ უფრო მისაღებია, რომ ხელშეკრულების საარბიტრაჟო მუხლში დაკონკრეტდეს რა სურთ მხარეებს: უნდათ ერთი, თუ სამი არბიტრი. მხარემ დავის დასაწყისში შეიძლება არ იცოდეს რამდენად რთული იქნება დავა, აგრეთვე რა ოდენობის იქნება სადავო თანხა. საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ საარბიტრაჟო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს პირობა იმის შესახებ, რომ თუ სადავო თანხის ოდენობა გადააჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ სიდიდეს, დაინიშნება სამი არბიტრი, სხვა შემთხვევაში სავმარისი იქნება ერთი არბიტრიც.

თუ მხარეები წინასწარ არ შეთანხმდნენ არბიტრების რაოდენობის შესახებ, სხვადასხვა საარბიტრაჟო კანონი ითვალისწინებს არბიტრების სხვადასხვა რაოდენობას. ზოგი საარბიტრაჟო კანონის შესაბამისად ინიშნება მხოლოდ ერთი არბიტრი, რთული საქმეების შემთხვევის გარდა [130]. არის სხვა წესებიც, რომლებიც არ ითვალისწინებენ არსებულ გარემოებებს და მათ შესაბამისად ინიშნება სამი არბიტრი [133].

არბიტრაჟის ერთ-ერთ უპირატესობაა ის, რომ მხარეებს შეუძლიათ თავად შეარჩიონ გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომელთაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება იმ სფეროში, რომელიც დავის საგანს შეადგენს. მსგავს არბიტრებს გაცილებით ნაკლები დრო და ძალისხმევის გამოყენება დასჭირდებათ შემთხვევით შერჩეულ არბიტრებთან შედარებით, რომლებიც არ იცნობენ განსახილველ სფეროს, მასთან დაკავშირებულ საკითხებს და გარკვეული დრო ესაჭიროებათ მათ გასაცნობად.

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრად დანიშვნისათვის არ არის აუცილებელი სამართლის ხარისხი, მხარეები არჩევენ არბიტრზე, რომელიც ამავდროულად არის იურისტი. არბიტრებმა უნდა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მოითხოვენ კანონების სრულყოფილ ცოდნას, მაგალითად, ისეთი საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა კონტრაქტის ინტერპრეტაცია ან მისი კანონიერება. სამი არბიტრის დანიშვნის შემთხვევაში, მხარეებმა შეიძლება მოინდომონ, რომ ერთი მათგანი იყოს იურისტი, რომელსაც ჩვეულებრივ თავმჯდომარის ფუნქცია აქვს და ერთი ან ორი ისეთი არბიტრი, რომლებსაც ექნებათ გამოცდილება განსახილველ სფეროში. თუ არბიტრაჟში განიხილება მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, მხარეებმა შეიძლება შეარჩიონ თავმჯდომარედ იურისტი, ერთი-მშენებელი არბიტრი და ერთი-არქიტექტორი.

რამდენიმე ენის თავისუფალად ფლობას დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხარეებისათვის. არბიტრმა, რომელიც კარგად არ ფლობს არბიტრაჟის ენას, შეიძლება ვერ გაიგოს ზოგი კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აუცილებელია დავის გადასაჭრელად.

არბიტრის შერჩევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი ხელმისაწვდომობა. მხარეებს ზოგჯერ სურთ დაიქირავონ ძალიან ცნობილი არბიტრები, მაგრამ აღნიშნული არბიტრები შეიძლება ისე იყვნენ დაკავებული სხვა არბიტრაჟებით, რომ შეუძლებელი გახდეს მათი მოსმენების განრიგის შედგენა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ იყოს გარკვეული რამდენად ხელმისაწვდომია არბიტრი და თავად არბიტრმა იკისროს ვალდებულება გარკვეული დროის გამოყოფის შესახებ მოცემული პროცესისათვის.

კვალიფიკაცია, რომლის თაობაზეც მხარეებს შორის არსებობს მოლაპარაკება, შეიძლება ჩამოყალიბდეს საარბიტრაჟო შეთანხმების მუხლში. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ ყველა არბიტრი უნდა ფლობდეს ფრანგულ ენას, ჰქონდეთ გამოცდილება სამშენებლო მრეწველობაში და არბიტრაჟის ენა იყოს ფრანგული. ამავე დროს, არსებობს დეტალებში გაზნვის რისკი, რადგან თუ საარბიტრაჟო ხელშეკრულება შეიცავს კვალიფიკაციის ძალიან დაწვრილმანებით ჩამონათვალს, შეიძლება ძალიან რთული იყოს ამ კვალიფიკაციის შესაფერისი არბიტრის პოვნა, რომელსაც ყველა ჩამოთვლილი სასურველი მახასიათებლები ექნება.

არბიტრებთან დაკავშირებით არსებობს მოლოდინი, რომ ისინი დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები იქნებიან. ისინი, აგრეთვე, უნდა იყვნენ ნეიტრალურები, რაც მოიცავს მოთხოვნას დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, მაგრამ შეიძლება, აგრეთვე, ეხებოდეს ნაციონალობას. ზოგადად, არის მოლოდინი, რომ არბიტრი-თავმჯდომარე ან ერთადერთი არბიტრი არ იქნება რომელიმე მხარის კონკრეტული ეროვნების. ინსტიტუციონალურ წესებში შეიძლება სპეციალურად დაფიქსირდეს მუხლი - ეროვნულ ნეიტრალიტეტზე [132].

არბიტრების შერჩევის პროცედურა შეიძლება იყოს განსხვავებული. თუ მხარეებს არა აქვთ დაკონკრეტებული ხელშეკრულების საარბიტრაჟო მუხლში როგორ სურთ არბიტრების შერჩევა და ამის ნაცვლად მათ ურჩევნიათ მოცემული პროცესის სამართავად გამოიყენონ არსებული წესები, შერჩევა წარიმართება საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესების შესაბამისად. თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები არ არიან შეთანხმებული შერჩევის მეთოდზე საარბიტრაჟო მუხლში და ისინი შეთანხმდებიან ამის თაობაზე არბიტრაჟის ჩატარებისას, მათ შეუძლიათ არბიტრების შერჩევა განახორციელონ არბიტრაჟის წესების შესაბამისად. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, თავად ინსტიტუტი შეარჩევს არბიტრებს.

ერთი არბიტრის დანიშვნის დროს მხარეებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას, თუ ვინ უნდა იქნეს არჩეული. ზოგადად არ არის კარგი იდეა, რომ არბიტრი წინასწარ იქნეს არჩეული, ხოლო მისი ვინაობა შეიტანონ მუხლში არბიტრაჟის შესახებ. იმ დროისათვის, როდესაც წარმოიშობა დავა, აღნიშნული არბიტრი შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი რიგი მიზეზების გამო, ან მას შეიძლება არ გააჩნდეს აუცილებელი კვალიფიკაცია წამოჭრილი დავის გადასაჭრელად. ამრიგად, უკეთესია მხარეები შეთანხმდნენ არბიტრზე მას შემდეგ, რაც წარმოიშობა სადავო საკითხი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არჩევის მეთოდი არ არის შესული საარბიტრაჟო მუხლში, თუ მხარეები შეთანხმდებიან იმ მომენტისათვის, როდესაც სადავო საკითხი წამოიჭრება, უმეტესი საარბიტრაჟო ინსტიტუტები მხარს დაუჭერენ მხარეთა არჩევანს. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მას შემდეგ, რაც წარმოიშობა დავა, ბევრი მხარე ვერ ახერხებს თანხმობის მიღწევას რაიმე საკითხთან დაკავშირებით.

როდესაც საქმე ეხება სამ არბიტრს, ყველაზე ხშირად გამოიყენება შერჩევის მეთოდი, რომლის დროსაც თითოეული მხარე ირჩევს ერთ არბიტრს, ხოლო ორივე მხარის მიერ შერჩეული

არბიტრები ირჩევენ მესამე არბიტრს, რომელიც იქნება სასამართლოს თავმჯდომარე. თუ მხარეებს სურთ აღნიშნული მეთოდის გამოყენება, მათ შეუძლიათ შეიტანონ მეთოდის ფორმულირება საარბიტრაჟო მუხლში. მეორე მხრივ, რიგი საარბიტრაჟო ინსტიტუტების წესები შეიძლება მოიცავდნენ შერჩევის მოცემულ მეთოდს რიგი ცვლილებებით. ICC (საერთაშორისო სავაჭრო პალატა) მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ინსტიტუტად. იგი დაფუძნებულია 1923 წელს. ახალი რეგლამენტი ძალაში შევიდა 1998 წლის პირველ იანვარს და შედგება ოთხი ნაწილისგან: ა. არბიტრაჟის სამართალწარმოების წესებისაგან; ბ. საარბიტრაჟო სასამართლოს წესებისაგან; გ. საარბიტრაჟო სასამართლოს შიდა რეგლამენტისაგან; დ. საარბიტრაჟო დავების განხილვის წესებისაგან [13, 419-420]. საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში დავის განხილვისას პროცედურული საკითხები რეგულირდება არბიტრაჟის რეგლამენტით, ხოლო გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი კი მთლიანად რეგულირდება მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპების საფუძველზე. მან დაადგინა წესები, რომელსაც აქვს 25-მდე სახელმწიფოში წარმატებით გამოყენების გამოცდილება და ტრადიცია, რომელიც ბიზნესის სხვადასხვა და ზოგჯერ ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებულ სფეროებს მოიცავს [35]. ამ წესების თანახმად, თითოეულ მხარეს შეუძლია ერთი არბიტრის არჩევა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები აღნიშნულზე სხვაგვარად შეთანხმდებიან, მესამე არბიტრი, რომელიც იქნება თავმჯდომარე, შეირჩევა ICC -ის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, არსებობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სხვა მეთოდიც, რომლის მიხედვითაც სასამართლო ნიშნავს მესამე არბიტრს.

არბიტრებისა და მედიატორების კომბინირებული მონაწილეობის კლასიკურ მაგალითად ითვლება IBM-FUJITSU დავა, რომელიც შეეხებოდა კომპიუტერულ პროგრამებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებას და რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. საარბიტრაჟო განხილვები და მოლაპარაკებები მონაცვლეობით მიმდინარეობდა. არბიტრაჟისა და მედიაციის ცვალებადობა იმდენად გაიწელა, რომ თავმჯდომარე არბიტრი გადადგა. მხარეებმა, იმის ნაცვლად, რომ მესამე არბიტრი აერჩიათ, თითოეული მხარის მიერ არჩეულ ორ არბიტრს მიანდეს პროცესი. ეს ორი არბიტრი საქმიანობდნენ ხან როგორც არბიტრები, ხან როგორც მედიატორები. შედეგად, გათვლილი მოქმედებების გეგმაზომიერი განხორციელებით დავის საბოლოო გადაწყვეტით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა [36, 255-259].

არბიტრები ვალდებული არიან იყვნენ მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები. აღნიშნული ვალდებულებები მოცემულია რიგ კანონებსა და წესებში. მიუკერძოებლობა ზოგადად ნიშნავს იმას, რომ არბიტრს არ უნდა ჰქონდეს არაობიექტური დამოკიდებულება საკითხის გარშემო წინასწარი ინფორმაციის მიღების გამო, ან მიზეზი, რის გამოც იგი უპირატესობას მიანიჭებდა ერთ მხარეს მეორესთან დამოკიდებულებაში. დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ არბიტრს არა აქვს ფინანსური ინტერესი საქმესთან ან მის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე, რომ არბიტრი არ არის დამოკიდებული ერთ-ერთ მხარეზე რაიმე სარგებელთან დაკავშირებით, როგორცაა დასაქმება ან კლიენტის რეკომენდაცია და რომ არბიტრს არა აქვს მჭიდრო ბიზნესი ან პროფესიული ურთიერთობა ერთ-ერთ მხარესთან [54, 130].

იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ინტერესთა სავარაუდო კონფლიქტი, რომელიც შესაძლოა არ იყოს სერიოზული, არბიტრმა, როგორც წესი, უნდა აცნობოს მხარეებს, ისე, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ გადაწყვიტონ, მისცენ თუ არა აცილება არბიტრის დანიშვნას.

უნსიტრალის მოდელური კანონის და რიგი საარბიტრაჟო კანონების მოთხოვნაა, რომ არბიტრმა დაუყოვნებლივ გაახმაუროს ნებისმიერი ვითარება, რომელსაც, როგორც მოსალოდნელია, შეუძლია გააჩინოს ეჭვის საფუძველი მისი მიუკერძოებლობის ან დამოუკიდებლობის შესახებ [133]. ეს ვალდებულება თავს იჩენს არა მხოლოდ მისი დანიშვნის მომენტისათვის, არამედ გრძელდება მთელი საარბიტრაჟო პროცესის დროს. მათ აქვთ კონფიდენციალურობის ვალდებულებაც, არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებული ფაქტები. ბევრი არბიტრისათვის ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა სახის ინფორმაციის გაცემა შეიძლება, რადგან ზოგიერთი მხარე შეიძლება დაინტერესებული იყოს, რომ არაობიექტური მიზეზების გამო მისცეს არბიტრს აცილება, რაც განპირობებულია აღნიშნული მხარის ინტერესით, გამოიწვიოს პროცესის დაყოვნება. გარდა ამისა, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ზოგიერთმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა უარყოს არბიტრი და არ დანიშნოს იგი რაიმე ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

პრაქტიკოსთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არბიტრის მიერ ფაქტების გამჟღავნებამ თავისთავად ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს, მისი დასჯა, როგორცაა არბიტრის აცილება ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. სამუშაო ჯგუფის შეხედულებით, “გაუმჟღავნებლობამ არ შეიძლება აქციოს არბიტრი მხარედ, რომელიც არის მიკერძოებული ან აკლია

დამოუკიდებლობა; მხოლოდ ფაქტები ან გარემოებები, რომლებსაც ის არ გახდის საჯაროდ, შეიძლება გახდეს საფუძველი ამგვარი დასკვნისათვის.”

აღსანიშნავია, რომ რიგი ზემოთ ნახსენები საკითხების გარკვევის მცდელობის მიზნით, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (IBA) შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა IBA-ს რეკომენდაციები საერთაშორისო არბიტრაჟში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. IBA-მ 1987 წელს გამოაქვეყნა ეთიკის წესები საერთაშორისო არბიტრებისათვის. სამუშაო ჯგუფის შეხედულებით, გამოქვეყნებული წესები უფრო მკაცრი და სავალდებულო იყო, ვიდრე ეროვნული წესების უმეტესობა, რომლებიც ეხებოდა იმავე საკითხებს. რეკომენდაციების შემუშავებისას, სამუშაო ჯგუფის განცხადების შესაბამისად, იგი ახორციელებდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებას მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მის მიზანს შეადგენდა მათი გამოყენების კონკრეტული მაგალითებისა და სასარგებლო სტანდარტების შემუშავება.

არბიტრებს აკისრიათ რიგი ვალდებულებები, ზოგი მათგანი ჩამოყალიბებულია წესებისა და კანონების სახით, დანარჩენი ეფუძნება ეთიკურ ცნებებს და ემყარება საერთაშორისო არბიტრაჟის ჩვეულ პრაქტიკას. ყველაზე მთავარი ვალდებულება მდგომარეობს აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღებაში, ან მაქსიმუმი ძალისხმევის გამოყენებაში, რათა იქნას მიღებული აღსრულებადი გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს ეთიკურ ან მორალურ ვალდებულებად, ზოგ საარბიტრაჟო ინსტიტუტს აღნიშნული ვალდებულება შეჰყავს თავის წესებში.

არბიტრები ყურადღებით უნდა გაეცნონ საარბიტრაჟო ხელშეკრულებას იმ მიზნით, რათა ნახონ ხომ არ შეიტანეს მასში მხარეებმა სპეციფიკური ვალდებულებები. მაგალითად, მხარეები შეიძლება იყვნენ შეთანხმებული იმის თაობაზე, რომ არბიტრმა გადაწყვიტოს საარბიტრაჟო საკითხი სამართლიანობის შესაბამისად, ანუ პირობა იმის თაობაზე, რომ იგი თავისუფალია ობიექტური შედეგის მისაღებად, რაც ეწინააღმდეგება კანონის მკაცრად გამოყენების პირობას [54, 138].

არბიტრს შეიძლება აგრეთვე ჰქონდეს სპეციფიკური მოვალეობები, რომლებიც მას დაევალა საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ, ან საარბიტრაჟო კანონების შესაბამისად, როგორცაა

ვალდებულება მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის თაობაზე და არ ჰქონდეს ცალმხრივი ურთიერთობა მხარეებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარე ირჩევს თავის არბიტრს ხელშეკრულების შესაბამისად. უფრო მეტიც, ადგილობრივი კანონის შესაბამისად არბიტრს მოეთხოვება, რათა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი, იმოქმედოს სათანადო სიფრთხილით, ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდეს მხარეებისადმი და მისცეს თითოეულ მხარეს სრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი საქმე [54, 138].

ეთიკის სხვადასხვა კოდექსი აგრეთვე იძლევა ახსნა-განმარტებას არბიტრების ვალდებულებებზე. მაგალითად, IBA-ს 1987 წლის წესებში ეთიკის თაობაზე საერთაშორისო არბიტრებისათვის, ჩამოყალიბებულია შემდეგი ვალდებულებები:

#### მუხლი 1

მუყაითი და მონდომებული მოქმედება, რათა მხარეები უზრუნველყოს სამართლიანი და ეფექტური გადაწყვეტილებით; გათავისუფლება წინასწარ განზრახული ქმედებისაგან;

#### მუხლი 2

შეხვედრაზე არ განაცხადონ თანხმობა, თუკი არ არის დაცული შემდეგი: მიუკერძოებლობა; საკითხების კომპეტენტური გადაწყვეტა; არბიტრაჟის ენის ცოდნა; საქმისათვის შესაბამისი დროის და ყურადღების დათმობა

#### მუხლი 3

იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი

#### მუხლი 4

გახმაურდეს ფაქტები და გარემოებები, რომლებიც საფუძველს იძლევიან დასაბუთებული ეჭვებისათვის მიკერძოების და დამოუკიდებლობის კუთხით;

#### მუხლი 5

პასუხი მხარეთა შეკითხვებზე არბიტრობის მიზანშეწონილობაზე, საქმის არსის თაობაზე მსჯელობის დაწყებამდე; ერთადერთი არბიტრის შეხვედრისას რომელიმე მხარესთან, ან თუ თავმჯდომარე-არბიტრი შეხვედება ერთი მხარის მიერ დასახელებულ არბიტრს, მეორე მხარის თანხმობის მოპოვება ამაზე და მეორე მხარისათვის საუბრის შინაარსის გაცნობა; ცალმხრივი საუბრების თავიდან აცილება, ნებისმიერ მხარესთან ან მათ წარმომადგენლებთან;

მეორე არბიტრის ინფორმირება იმის თაობაზე, თუ ერთი არბიტრი შემჩნეულია შეუფერებელ საქციელში, მაგალითად, როგორცაა ცალმხრივი კომუნიკაციები; ერთობლივი თხოვნის წაყენება არასწორ საქციელში შემჩნეული არბიტრისათვის, რათა მან თავი შეიკავოს არასათანადო საქციელისაგან. უდანაშაულო მხარის გაფრთხილება თუ მსგავსი საქციელი განგრძობადი ხასიათისაა;

არც ერთი მხარისგან არ იქნეს მიღებული რაიმე საჩუქარი; ნებისმიერ მხარესთან მნიშვნელოვანი პროფესიული ან სოციალური კონტაქტებისათვის თავის არიდება არბიტრაჟთან მიმართებით, თუ მას არ ესწრება ყველა მხარე.

#### მუხლი 6

არ მოხდეს ცალმხრივი შეთანხმება გადასახადზე ან ხარჯზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე განიცდის დეფოლტს ან მხარეებს შორის არსებობს სხვაგვარი შეთანხმება ამასთან დაკავშირებით;

#### მუხლი 7

სათანადო დროისა და ყურადღების დათმობა;

#### მუხლი 8

მორიგების შეთავაზება, თუ მხარეები თავად გამოხატავენ ნებას.

#### მუხლი 9

კონფიდენციალურობის შენარჩუნება საარბიტრაჟო სასამართლოს განზრახულობათა თაობაზე და გადაწყვეტილების შინაარსზე განუსაზღვრელი დროით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გამჟღავნდა თავად მხარეთა მიერ, ან როდესაც საჭიროა განმარტების გაკეთება შეუფერებელ საქციელთან დაკავშირებით [126].

თუ არბიტრი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, აქვს თუ არა მას ვალდებულება აანაზღაუროს ის ზიანი, რაც მიადგათ მხარეებს? არბიტრებისათვის იმუნიტეტის მინიჭების მხარდამჭერი არგუმენტების შესაბამისად, ისინი ასრულებენ კვაზი-სასამართლოს ფუნქციას და არ უნდა დაექვემდებარონ სარჩელს მხარეების მხრიდან. აგრეთვე კამათობენ იმაზე, რომ იმუნიტეტი ხელს უწყობს იმის გარანტიას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს საბოლოო ხასიათი ჰქონდეთ. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ თუ არბიტრები დაექვემდებარებიან ზიანის ანაზღაურებას, ამან შეიძლება წააქეზოს რომელიმე მხარე, რათა მან არბიტრაჟის დროს გავლენა მოახდინოს არბიტრზე, იმ მოტივით, რომ საქმის უარყოფითი განვითარების



შემთხვევაში, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს არბიტრის დათხოვნას. მიმდინარეობს ინტენსიური მსჯელობა იმის თაობაზე, რომ იმუნიტეტის გარეშე, ბევრი სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი აღარ მოინდომებს აღნიშნული ფუნქციის განხორციელებას.

არბიტრის ანაზღაურება ჩვეულებრივ განისაზღვრება საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ და მხარეები არ განიხილავენ ჰონორარს არბიტრებთან. არბიტრს აგრეთვე აქვს უფლება მიიღოს ანაზღაურება ხარჯებისათვის, რომელიც მან თავად გასწია. არბიტრაჟში ამ საკითხებს არეგულირებს არბიტრაჟის ადმინისტრაცია. არბიტრაჟმა შესაძლებელია დაუშვას ზოგიერთი ხარჯის შეზღუდვა, როგორცაა დღიური ანაზღაურება, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან. არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. მხარეები ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ არბიტრთა რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით.

დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით. არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას: სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში; ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში

მიღებიდან 30 დღის ვადაში. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არბიტრის დანიშვნისას არბიტრაჟმა (სასამართლომ) უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.

დაუშვებელია პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის:

- ა) შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;
- გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა.

აღსანიშნავია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წელს შევიდა შემდეგი ცვლილებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით: მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობისას ან შეთანხმებული პროცედურის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში:

- ა) სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;

ბ) ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.“

საინტერესოა, რატომ შევხებით ასე დაწვრილებით არბიტრთა შერჩევის საკითხებს? საქმე ისაა, რომ ზოგჯერ არბიტრები არ იქცევიან სათანადოდ. მაგალითად, პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როცა მხარე ხანგრძლივად ელოდება შეხვედრის დაგეგმვას, ან არბიტრაჟის დასრულების შემდეგ გადაწყვეტილების გამოტანას. მსგავსი საქციელი ძირს უთხრის არბიტრაჟისადმი, როგორც დავების გადაწყვეტის ეფექტური სისტემისადმი, ნდობას. საერთაშორისო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ასეთი არბიტრების დაჯარიმების, ან მათი ანაზღაურების შემცირების შემთხვევები. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, არბიტრთა არაკვალიფიციურობა და არაპროფესიონალიზმი ხშირად გამხდარა სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზი, ზოგ შემთხვევაში საქმე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდეც მისულა. სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც განმცხადებელს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების მიღებაზე იმ საფუძველზე, რომ ილაზხება მხარის საპროცესო უფლებები და კანონიერი ინტერესები, მაგალითად, მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა შესაგებელი; მხარეს არ ეცნობა სხდომის ჩატარების დრო და ადგილი; კრედიტორს პირდაპირ საკუთრებაში გადაეცა გირავნობის ან იპოთეკის საგანი; საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიცავს სამოტივაციო ნაწილს; მხარეთა შორის მორიგების ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება გადაწყვეტილებით დამტკიცებული ტექსტისაგან; საარბიტრაჟო განხილვის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხვა მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილებას კი სულ სხვა მოსამართლე; საქმეში არ არის სხდომის ოქმი (სააპელაციო სასამართლო ასეთ შემთხვევაში უთითებს სსსკ.-ის 394-ე მუხლზე და ამ ნორმაზე მითითებით ადგენს გადაწყვეტილების საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობას), ასევე გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრი მოქმედებდა არაობიექტურად და მიკერძოებულად; არბიტრაჟის მიერ მიღებულია სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, აგრეთვე დარღვეულია არბიტრაჟის მიერ დავის გადაწყვეტისათვის დადგენილი ვადები. ეს კი ზოგადად არბიტრაჟის ინტიტუტის პოპულარობას უთხრის ძირს. საქართველოში არც ერთი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული არბიტრთა

კვალიფიკაციის სტანდარტი, რაც ამ პრობლემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიგვაჩნია და შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით შევეცდებით გამოსავლის პოვნას.

წინასაარბიტრაჟო მზადების ერთ - ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ასევე, ინფორმაციის გაცხადება ან ინფორმაციის მოთხოვნა. ზოგიერთი სამართლის სისტემაში, როგორცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სისტემა, მხარეებს მოეთხოვებათ მტკიცებულებათა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა პროცესამდე, მათ შორის მოწმეებისა და მხარეებისგან მიღებული დოკუმენტებისა და განცხადებების ჩათვლით. საერთო სამართლის სისტემებში აღნიშნულს ეწოდება „ინფორმაციის მოთხოვნა.“ სამოქალაქო სამართლის სისტემებში, როგორცაა, მაგალითად, საფრანგეთის სისტემა, ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა შედარებით უფრო შეზღუდულია, თუმცა, მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რამდენად სურთ მათ საარბიტრაჟო მოსმენამდე ინფორმაციის ურთიერთგაცვლა [24, 251].

არბიტრაჟის შესახებ კანონის თანახმად, მხარეებმა ერთმანეთს უნდა წარუდგინონ „ყველა განცხადება, საბუთი თუ სხვა ინფორმაცია,“ რომელსაც მხარეები აწვდიან არბიტრაჟს, მაგრამ საქმე ისაა, რა უნდა წარუდგინოს არბიტრაჟს. 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსარჩელემ არბიტრაჟში უნდა წარადგინოს მისი სარჩელის დამადასტურებელი მტკიცებულებები და საარბიტრაჟო სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა, თუმცა მე-2 პუნქტი იმავეს არ მოითხოვს მოპასუხისგან და განსაზღვრავს მხოლოდ შესაგებელის წარმოდგენის საჭიროებას. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო სარჩელთან ან შესაგებელთან ერთად წარმოადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს, ან მიუთითონ იმ საბუთებსა და სხვა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი მოგვიანებით პროცესში წარმოადგენენ. ეს წესები მიუთითებს მხოლოდ, რომ მოსარჩელე ვალდებულია მტკიცებულებები წარუდგინოს არბიტრაჟს და მოპასუხეს. მოპასუხეს არ აქვს მკაფიო ოფიციალური ვალდებულება მეორე მხარისთვის ინფორმაციის გაცხადებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, კანონის 35-ე მუხლი არბიტრაჟს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას, მოსთხოვოს მხარეებს ნებისმიერი სათანადო დოკუმენტის ან მტკიცებულების წარმოდგენა მოწმის ჩვენების ჩათვლით. მხარეებს, ბუნებრივია, უფლება აქვთ, გაზარდონ გაცვლადი ინფორმაციის წრე. ასეთი შეთანხმება უნდა არსებობდეს წერილობით იმ შემთხვევისთვის, თუ მხარეებს მოუწევთ არბიტრაჟისთვის იმის მტკიცება, თუ რომელი საკითხები უნდა ყოფილიყო გაცხადებული წინასწარ და რომელი-არა. მაგალითად, მხარეებმა შესაძლოა აირჩიონ ამერიკის

იურისტთა ასოციაციის წესების გამოყენება საერთაშორისო არბიტრაჟში მტკიცებულებათა მიღების შესახებ. ამ წესებში მხარეებს მოეთხოვებათ ყველა სათანადო დოკუმენტის წარდგენა ერთმანეთისთვის და ასევე შეუძლიათ კონკრეტული მოთხოვნების წარდგენაც ერთმანეთისთვის დოკუმენტების მიწოდებასთან დაკავშირებით [24, 252].

განსაცხადებელი ინფორმაციის არეალის გაზრდა იწვევს არბიტრაჟის პროცესის გახანგრძლივებასა და ადვოკატთა მომსახურების საფასურის გაზრდას, თუმცა, მეორე მხრივ, ინფორმაციის შეზღუდულ გაცვლას შესაძლოა მოჰყვეს მოულოდნელობა და მოსმენების შეფერხება, რათა მხარეს, რომელიც პირველად შეიტყობს ამა თუ იმ ინფორმაციას, შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი დრო მოულოდნელ კითხვებზე და მტკიცებულებებზე პასუხის გასაცემად.

### 3.3. საარბიტრაჟო განხილვა

არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა შეიცავდეს პრეტენზიის ავტორის მოთხოვნასა და არგუმენტაციას.

საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს დანაწესი გამომდინარეობს უნსიტრალის მოდელური კანონიდან. ხშირ შემთხვევაში ეს არის მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც საქმე არსებითად არ იხილება და ემსახურება არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მომზადებას [15, 15].

მხარეებს შეთანხმებით უფლება აქვთ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა. თუკი არ არსებობს ამგვარი შეთანხმება, საარბიტრაჟო წარმოების ენას ადგენს არბიტრაჟი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით. გარდა ამისა,

შეიძლება დადგინდეს მტკიცებულებებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების და სხვა დოკუმენტების ოფიციალური ენა. სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტი ამ საკითხს ასე არეგულირებს: „არბიტრაჟი თავად იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო განხილვის ენის საკითხთან დაკავშირებით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული [6, 33].“ სამართალწარმოების ენის დადგენის კრიტერიუმები შეიძლება იყოს: მთავარი ხელშეკრულება, არბიტრაჟის გამართვის ადგილზე მოქმედი ენა, არბიტრაჟის მხარეების ან უმრავლესობის მშობლიური ენა [86, 1606].

მთავარ სხდომაზე საქმე არსებითად განიხილება. არბიტრაჟს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტები, დანიშნოს ექსპერტიზა, დაკითხოს მოწმეები და ა.შ.

თუ მხარეთა შეთანხმება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, საარბიტრაჟო სხდომები დახურულია, ხოლო არბიტრაჟის წევრი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მხარეთა შეთანხმებით, ასევე შესაძლებელია განსაზღვრული იყოს საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, ჩატარდეს თუ არა ზეპირი განხილვა, იყოს თუ არა განხილვა დახურული. თუკი მსგავსი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა წარმოდგენილი საბუთებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ამავე დროს, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე ჩაატაროს ზეპირი განხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე. ზეპირი მოსმენა სასამართლო პროცესს მოგვაგონებს. მხარეები ხშირად წარადგენენ მოკლე შესავალ სიტყვას, რომელშიც განსაზღვრულია ფაქტები და კანონის მოთხოვნები. შემდეგ მოსარჩელე წარადგენს საკუთარ მოწმეებსა და დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რასაც მოჰყვება მოპასუხის მიერ მოწმეებისა და მტკიცებულებების წარდგენა. მოწმეები ზოგჯერ დებენ ფიცს. არბიტრაჟი იღებს გადაწყვეტილებას, შეუძლია თუ არა მოწმეს, რომელიც არ არის მხარის მოწმე, დაესწროს საარბიტრაჟო მოსმენას [ახალი 253]. ჩვეულებრივ, საარბიტრაჟო მოსმენის მიმდინარეობისას, როგორც მხარეებს, ისე არბიტრს აქვთ მოწმეებისთვის შეკითხვის დასმის უფლება, თუმცა არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ვის შეუძლია ამის გაკეთება. იგი იმეორებს უნსიტრალის კანონს არბიტრაჟის შესახებ და არაფერს ამბობს მოკვლევის მეთოდის შესახებ. უნსიტრალის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, „მოწმეების, მათ შორის ექსპერტი მოწმეების მოსმენა და დაკითხვა უნდა

განხორციელდეს არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული ფორმით.” უნსიტრალის ოფიციალური შენიშვნები საარბიტრაჟო წარმოების ორგანიზების შესახებ მიუთითებს, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო წესების უმეტესობა არ განსაზღვრავს მოსმენის დეტალებს, როგორებიცაა, მაგალითად ბრძანების გაცემა მოწმის გამოსამძახებლად და დაკითხვის პროცედურები, ან შესავალი და დასკვნითი გამოსვლების ხელმისაწვდომობა, ან მოთხოვნა მათი მომზადების შესახებ. აღნიშნული შენიშვნების რეკომენდაციაა, რომ არბიტრაჟმა მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესებთან დაკავშირებით მხარეებთან ერთად პროცესის ადრეულ ეტაპზე [24, 254].

საარბიტრაჟო მოსმენა ზოგადად ნაკლებად ოფიციალურია, ვიდრე სასამართლო პროცესი. პროცედურული ან მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა შედარებით უფრო მოქნილია, ვიდრე სასამართლოში. მხარეების თანხმობის შემთხვევაში მათ ზეპირი მოსმენაც არ დასჭირდებათ. მხარეებს შეუძლიათ მხოლოდ დოკუმენტური მტკიცებულებების წარდგენა და დასაბუთებათა წერილობით მიწოდება არბიტრაჟისთვის განსახილველად. თუმცა, თუ ერთ მხარეს სურს ზეპირი მოსმენის განხორციელება, მაშინ უნდა შედგეს ზეპირი მოსმენა [24, 254]. კანონი არბიტრაჟის შესახებ ასევე მოითხოვს, რომ მხარეებმა მიიღონ დროული შეტყობინება ასეთი მოსმენის შესახებ.

მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს შეცვალონ თავდაპირველი შეთანხმება განხილვის ფორმის შესახებ. საარბიტრაჟო სასამართლო წყვეტს, თუ სად და როდის გაიმართება ზეპირი მოსმენა. იგულისხმება, რომ არბიტრაჟმა მხარეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი შეხედულება ამის შესახებ. არის მოსაზრება, რომ შესაძლებელია კონკრეტული საარბიტრაჟო განხილვა გაიმართოს როგორც ზეპირი მოსმენით, ისე წერილობით [86, 1609]. იმ შემთხვევაში, თუ ზეპირი მოსმენა ჩაინიშნა, მხარეებს ამის შესახებ უწყებით უნდა ეცნობოთ გონივრულ ვადაში, ასევე, ყველა განცხადება, საბუთი, ექსპერტების დასკვნები ან სხვა სახის მტკიცებულებები და ინფორმაციები, რომლებიც შესაძლებელია არბიტრაჟმა თავის გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად, უნდა ეცნობოს მხარეებს დაუყოვნებლივ. თუკი მხარეებს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პროცესის მსვლელობის დროს, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არბიტრაჟს აქვს უფლება დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი, მხარეებისგან მოითხოვოს მათ ხელთ არსებული ექსპერტიზისთვის საჭირო ინფორმაციის, საბუთის ან სხვა ნივთის

მიწოდება. არბიტრაჟს უფლება აქვს მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით მოიწვიოს ექსპერტი ზეპირი განხილვის დროს სადავო საკითხების გარკვევის მიზნით.

მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ დაწესებულ ვადაში მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით. მასში მითითებული უნდა იყოს მხარეთა სახელები (სახელწოდებები), მისამართები, მოთხოვნა, გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ამ მოთხოვნას ადასტურებენ. მოპასუხემ, თავის მხრივ, უნდა წარმოადგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელზე. მოპასუხის მიერ შესაგებელის წარმოდგენლობა არ დააბრკოლებს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებას, უბრალოდ შეპასუხების (შესაგებელის) წარმოდგენლობით ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე. მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს, ან მიუთითონ იმ საბუთებსა და სხვა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომ წარმოადგენენ. თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები ან შესაგებელი, ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის გაჭიანურებად.

რომელიმე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აფერხებს საქმის განხილვას და შეუძლია გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. თუ ერთ-ერთი მხარე თავს არიდებს საარბიტრაჟო სხდომაზე გამოცხადებას, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს საქმე ამ მხარის დაუსწრებლად. მოდელური კანონის მიხედვით, თუ მოსარჩელე არ გამოცხადდება ან გაუშვებს სარჩელის შეტანის ვადას, არბიტრაჟი უფლებამოსილია დაასრულოს პროცესი. ეს შედეგი არ დადგება, თუ გამოუცხადებლობა არასაპატიოდ არ ჩაითვლება, ან თუ მხარეები შეთანხმებაში სხვა რამეს გაითვალისწინებენ. მოდელური კანონიც ასეთ დათქმას აკეთებს: დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოვა მაშინ, როცა „საკმარისი საფუძველი“ განხილვაზე დაუსწრებლობისა არ არსებობს. მოდელური კანონის 25ბ მუხლის თანახმად, თუ მოპასუხე არ წარუდგენს არბიტრაჟს შესაგებელს, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით. იმავნაირად აწესრიგებს ამ საკითხს გერმანიის სამოქალაქო პროცესი.

მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟს უფლება აქვს გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც განხილვის დაწყებამდე, ისე განხილვის



ნებისმიერ სტადიაზე გადაწყვეტილების საბოლოო გამოტანამდე. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მხარეს შეუძლია მიმართოს პირდაპირ სასამართლოს, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესებით, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

მოწინააღმდეგე მხარის დაცვის მიზნით არბიტრაჟს აქვს უფლებამოსილება მოსთხოვოს მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. აღნიშნულის საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებით შესაძლებელია მხარეს მიადგეს ზიანი, ანუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამო მან ვერ შეძლოს რაიმე უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით კი არ დაკმაყოფილდეს საარბიტრაჟო სარჩელი, ანუ საბოლოო ჯამში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლებელია უშედეგო აღმოჩნდეს საარბიტრაჟო სარჩელის დაუკმაყოფილებლობის გამო და, ამავე დროს, მათმა გამოყენებამ მეორე მხარეს მიაყენოს გაუმართლებელი ზიანი, სწორედ ამ ზიანის ასანაზღაურებლად საჭირო უზრუნველყოფის ღონისძიების გარანტიის წარმოდგენა და სწორედ, ამ წარმოდგენილი გარანტიიდან დაკმაყოფილება დაზარალებული მხარის შელახული ინტერესები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს სავალდებულო ძალა აქვთ და მათი აღსრულება ხდება სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები. ანუ მხარემ, მას შემდეგ, რაც არბიტრაჟმა დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გამოყენებინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, უნდა მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვოს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა და მათი აღსრულება, ამავე დროს, მხარე ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.

არბიტრაჟის უფლებამოსილებას განეკუთვნება ნებისმიერი მტკიცებულებების დასაშვებობის შემოწმება და მტკიცებულებათა შეფასება. არბიტრაჟს აქვს უფლება, განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს წარუდგინოს მეორე მხარეს და არბიტრაჟს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი მტკიცებულება, გამოიძახოს მოწმე და საჭიროების შემთხვევაში დაკითხოს მოწმე საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს.

მტკიცებულებების მიღებისას, არსებითი ფაქტების დადგენის მიზნით, საარბიტრაჟო სამართალი არ იცნობს იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. მხარეები თვითონ ნებაყოფლობით წარუდგენენ აუცილებელ მტკიცებულებებს იმისათვის, რომ სადავო საკითხი გადაწყდეს. იმ შემთხვევაში თუ აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, ეს უკანასკნელი ეხმარება საარბიტრაჟო სასამართლოს [14, 160]. მაგალითად, თუ მოწმე არ ცხადდება და არ აძლევს ჩვენებას, მაშინ არბიტრაჟს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც იყენებს იძულებით ღონისძიებებს. ასეთ პირობებში, მოსაზრება, რომ არბიტრაჟი არ იყენებს იძულებით ღონისძიებებს, ზუსტი არ არის. საარბიტრაჟო სამართალი იცნობს იძულებით ღონისძიებებს, მხოლოდ მას ახორციელებს სასამართლოს მეშვეობით.

საარბიტრაჟო დავის განხილვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით არბიტრაჟში, როგორც წესი, დადგენილია შესაბამისი გადასახადი, რომელსაც ხშირად საარბიტრაჟო მოსაკრებელს უწოდებენ. მოსაკრებელის ოდენობა კანონით დადგენილი არ არის. ყოველ არბიტრაჟს (არბიტრს) ეძლევა საშუალება ინდივიდუალურად დააწესოს მოსაკრებელის ოდენობა. ხშირ შემთხვევაში მოსაკრებელის ოდენობა განსაზღვრულია არბიტრაჟის დებულებით [15, 15]. თუმცა მომზადებულ პროექტში „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მითითებული იყო: საარბიტრაჟო წარმოებაში მოწმის დასწრების უზრუნველყოფასა და მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარების შესახებ განცხადებაზე, არბიტრის დანიშვნასთან, აცილებასთან, უფლებამოსილების შეწყვეტასთან, კომპეტენციასთან დაკავშირებულ განცხადებაზე განსაზღვრულია 50 ლარი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული [99];

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებაზე განსაზღვრულია 150 ლარი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;“.

მსხვილ საერთაშორისო არბიტრაჟებში მოქმედებს დავების გადაჭრის პროცესის განსაზღვრული კონკრეტული ეტაპები. უპირველეს ყოვლისა, მოსარჩელემ უნდა წარადგინოს შეტყობინება არბიტრაჟის შესახებ, რომელზედაც უნდა უპასუხოს მოპასუხემ. შეტყობინება და პასუხი, გამომდინარე შესაბამისი წესებიდან, შეიძლება შეიცავდნენ დეტალურ განმარტებებს. ზოგჯერ შეტყობინება შეიძლება იყოს მოკლე, ხოლო წერილობითი დოკუმენტაცია და განმარტებები მოგვიანებით იქნება წარდგენილი. შემდგომი ეტაპია არბიტრების დანიშვნა, რაც, ძირითადად, მხარესთან არსებული შეთანხმების შესაბამისად ხდება, ან იმ წესების თანახმად, რომელზედაც მხარეები შეთანხმდნენ. როგორც წესი, ამას მოჰყვება საორგანიზაციო შეხვედრა, რომელზეც განიხილება არბიტრაჟის ჩატარების კონკრეტული დეტალები. შემდგომ წარმოებს წერილობითი დოკუმენტაციის წარდგენა და საქმის მოსმენამდე დაიწყება დეტალების გამჟღავნება, რაც მოიცავს დოკუმენტური მტკიცებულებების გაცვლას და წერილობით განცხადებებს, ყოველივე ეს ხდება ზეპირი მოსმენების მოსამზადებელ პერიოდში.

მოსმენაზე კეთდება მოკლე შესავალი განცხადებები, რომელსაც მოჰყვება ზეპირი ჩვენება, წერილობითი მტკიცებულების წარდგენა და შესაძლოა სამართლებრივი არგუმენტი რიგ საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამას მოითხოვს საარბიტრაჟო სასამართლო.

საარბიტრაჟო პროცესის დაწყება - როდესაც მხარეები ვერ ახერხებენ დავის გადაჭრას და რომელიმე მხარე გადაწყვეტს მიმართოს არბიტრაჟს, საარბიტრაჟო პროცესის დაწყებამდე, მხარე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეცნოს საარბიტრაჟო ხელშეკრულებას და დაიცვას ის წესები, რომლებიც მხარეებმა აირჩიეს და შეიტანეს მოცემულ ხელშეკრულებაში. არბიტრაჟის დაწყების პროცედურები განსხვავებულია სხვადასხვა საარბიტრაჟო ორგანიზაციებში. ერთ-ერთი ასეთი განსხვავება, რომელსაც ზოგ დავასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, არის ის, თუ როგორ ხდება არბიტრაჟის დაწყების დროის განსაზღვრა; ჩაითვლება თუ არა არბიტრაჟის დაწყებად ის მომენტი, როდესაც მოსარჩელე ჩააბარებს შეტყობინებას არბიტრაჟს, თუ როცა მოპასუხე მიიღებს შეტყობინებას, ან რაიმე სხვა დრო. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დროის ლიმიტთან დაკავშირებით, რომელიც სარჩელის

ხანდაზმულობის ვადის შესაბამისად არის დაწესებული, ზოგ შემთხვევაში მოცემული ლიმიტი შეიძლება იყოს განსაზღვრული მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებით.

ICDR წესების შესაბამისად, არბიტრაჟის დაწყების თარიღად ითვლება ადმინისტრატორის მიერ მოსარჩელისაგან წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღი [129, 2.2]. იგივე ეხება ICC -ის და CIA -ის წესებს (მუხ.4.2 და 1.2). UNCITRAL-ის წესების შესაბამისად, არბიტრაჟის დასაწყისად ითვლება მოპასუხის მიერ მოთხოვნის მიღების თარიღი არბიტრაჟის დაწყების თაობაზე (133, 3.2). გარდა ამისა, ზოგი საარბიტრაჟო კანონის შესაბამისად, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან სხვაგვარად, არბიტრაჟი არ დაიწყება მანამ, ვიდრე არ დაინიშნება არბიტრი, ან არ იქნება მიღებული თხოვნა არბიტრის დანიშვნის თაობაზე [124, 14.4].

კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც შეიძლება არსებობდეს პროცედურათა შორის, მდგომარეობს იმაში, თუ როგორ იწყება არბიტრაჟი. მოსარჩელემ უნდა ჩააბაროს საარბიტრაჟო სასამართლოს (და/ან მოპასუხეს) მარტივი შეტყობინება, რომელშიც იქნება მოცემული სასარჩელო განცხადება, რომელსაც შემდეგ დაემატება დეტალური დოკუმენტები, თუ მან დასაწყისშივე უნდა წარადგინოს უფრო სრულყოფილი სასარჩელო პაკეტი განცხადებასთან ერთად. მაგალითად, UNCITRAL - ის წესების შესაბამისად, საჭიროა მხოლოდ შეტყობინება, რომელშიც მოცემული იქნება “სარჩელის მხოლოდ ზოგადი მონახაზი” [133, 3.3]. ICDR თავის მხრივ, მოითხოვს წერილობითი შეტყობინების წარდგენას როგორც არბიტრაჟისათვის, ისე მოწინააღმდეგე მხარისათვის და მოითხოვს, რომ შეტყობინება შეიცავდეს სასარჩელო განცხადებს [129, 2.1-2.3]. წესების შესაბამისად სასარჩელო განცხადება უნდა შეიცავდეს:

- მოთხოვნას არბიტრაჟის ჩატარების თაობაზე;
- მხარეების საკონტაქტო ინფორმაციას;
- მითითებას საარბიტრაჟო ხელშეკრულებაზე;
- მითითებას კონტრაქტზე, რომლის გამოც წამოიჭრა დავა;
- სარჩელის აღწერას;
- მოთხოვნას ანაზღაურებას.

სურვილის შესაბამისად, განცხადება ასევე შეიძლება შეიცავდეს წინადადებას არბიტრების არჩევის შესახებ, მათ რაოდენობას, არბიტრაჟის ადგილს და საქმის წარმოების ენას. მოცემული

მახასიათებლები არ არის აუცილებელი, თუ ისინი უკვე მოცემულია მუხლში არბიტრაჟის შესახებ, ან თუ მხარეებს სურთ გამოიყენონ მეთოდი, რომელიც მოცემულია საარბიტრაჟო წესებში [129].

ICC - ის წესების შესაბამისად, მოსარჩელე გზავნის მოთხოვნას არბიტრაჟის შესახებ მხოლოდ ICC - ის სამდივნოში და არა მეორე მხარესთან [128, 4.1]. სამდივნო გზავნის მის ასლს მოპასუხესთან. მოთხოვნასთან ერთად, მოსარჩელემ ავანსად უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული ხარჯები.

მას შემდეგ, რაც მოპასუხე მიიღებს შეტყობინებას არბიტრაჟის ჩატარების თაობაზე, მას აქვს დროის გარკვეული პერიოდი, პასუხის გასაცემად, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი წესების მიხედვით. ზოგადად მიღებულია, რომ მოპასუხემ უნდა მოამზადოს საპასუხო სარჩელი აღნიშნული დროის ფარგლებში, ისევე, როგორც ნებისმიერი პროტესტი სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებით, ან განცხადება არბიტრაჟის მიერ თავისი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ. სხვაგვარად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოპასუხე უარს ამბობს საპასუხო სარჩელზე, რითიც კარგავს შემდგომი გასაჩივრების უფლებას [130].

არბიტრების დანიშვნის შემდეგ, მოსალოდნელია, რომ საარბიტრაჟო სასამართლო დანიშნავს თავდაპირველ შეხვედრას წინასწარი საკითხების განხილვის მიზნით და საარბიტრაჟო პროცესის ორგანიზებისათვის. აღნიშნულ შეხვედრაზე შესაძლოა არა მხოლოდ მხარის, არამედ მისი წარმომადგენლების (მაგალითად დირექტორების) დასწრება, რომლებსაც აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მოცემული მხარის სახელით.

სამი არბიტრისაგან დაკომპლექტებული პროცესის დროს მხარეები ხშირად მიდიან იმ შეთანხმებამდე, რომ მხოლოდ თავმჯდომარეს შეუძლია გააკეთოს დასკვნა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, თავმჯდომარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დოკუმენტების გახმაურების შესახებ, ან მოწმის ჩვენების დროის შემცირების შესახებ. UNCITRAL - ის მოდელური კანონის შესაბამისად და LCIA წესების მიხედვით, მხარეები შეიძლება არ დაეთანხმონ მსგავს მიდგომას, მაგრამ თუ თანაარბიტრები დაეთანხმებიან მას, თავმჯდომარეს შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება პროცედურულ საკითხებზე [132][130].

მოსმენების განრიგის შედგენა შეიძლება მოხდეს პროცესამდე, წინასწარი შეხვედრის დროს, ან თავად პროცესის განმავლობაში. მნიშვნელოვანია მოსმენის თარიღების წინასწარ დანიშვნა, რადგან მოსახერხებელი დროის მოძიება პრობლემატურია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვაქვს სამ არბიტრთან, ისევე, როგორც რამდენიმე ადვოკატთან, მხარეებთან და მოწმეებთან, როდესაც საჭიროა კოორდინაცია მათ განრიგთან. მხარეები ჩვეულებრივ გასაზღვრავენ დროის იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა მოსმენისათვის და გამომდინარე მოცემული შეფასებიდან, მიღებულ იქნება გადაწყვეტილება დაინიშნოს ერთი მოსმენა, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ერთი კვირა ან მეტი, ანდა დაინიშნოს რამდენიმე მოკლე მოსმენა. მოსმენების დანიშვნა მოკლე პერიოდების ხანგრძლივობით დიდად ზრდის ხარჯს, რადგან ეს მოითხოვს საერთაშორისო მასშტაბით გადაადგილებას დანიშნულების ადგილას ჩასასვლელად.

მოსმენის გამართვის ადგილის განსაზღვრა, როგორც წესი, ხდება საარბიტრაჟო მუხლში, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, არბიტრები თავად აირჩევენ მისი გამართვის ადგილს, რომელიც ან საარბიტრაჟო ორგანიზაციის ადგილია, ან ჩვეულებრივი ნეიტრალური ტერიტორია, რაც გულისხმობს, რომ იგი არ იქნება რომელიმე მხარის ქვეყანაში. მას შემდეგ, რაც არჩეულ იქნება ადგილი, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ზოგიერთი შეხვედრა გამართოს სხვაგან, საარბიტრაჟო სასამართლოს იურიდიული მისამართის შეუცვლელად. მაგალითად, თუ საჭიროა ადგილზე ვიზიტი, მოსმენების ერთი რაუნდი შეიძლება გაიმართოს ამ ადგილის სიახლოვეს, რადგან, როგორც წესი, ყველა მხარე უნდა დაესწროს ადგილზე გასვლას.

საარბიტრაჟო მუხლში, როგორც წესი, კეთდება მითითება მოსმენისა და პროცესის ენის თაობაზე. თუ ეს შეუთანხმებელია, ამ შემთხვევაში არბიტრები თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას. თუ ყველა საკონტრაქტო დოკუმენტი შედგენილია ერთ ენაზე, მაგალითად, ფრანგულ ენაზე, ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ არბიტრაჟის ენაც იქნება ფრანგული. მნიშვნელოვანია, რომ არბიტრებს ესმოდეთ არბიტრაჟის ენა. თუმცა ყველანაირი დოკუმენტაცია, მოწმეების ჩვენებები და სამართლებრივი არგუმენტები შეიძლება ითარგმნოს არბიტრისათვის, რომელიც არ ფლობს არბიტრაჟის ენას, ყოველივე ეს დაკავშირებული იქნება საკმაო ხარჯებთან და მნიშვნელოვნად შეანელებს პროცესს. IBA-ს ეთიკის წესების შესაბამისად, არბიტრმა არ უნდა მიიღოს დანიშვნის ოფერტი, თუ იგი სათანადოდ არ ფლობს არბიტრაჟის

ენას. კარგია, როდესაც არბიტრაჟის ენა წინასწარ არის ცნობილი, მაგრამ ზოგიერთ არბიტრაჟთან დაკავშირებით საქმე შეიძლება განსხვავებულად იყოს [126].

მხარეებს და მოწმეებს, რომლებისთვისაც არბიტრაჟის ენა უცხოა, უფლება აქვთ მისცენ ჩვენება თავიანთ საკუთარ ენაზე, მაგრამ მათ უნდა აანაზღაურონ თარგმანის თანხა.

იმის გამო, რომ არბიტრაჟი კერძო საქმეებთან არის დაკავშირებული, მოსმენა არ არის ღია, როგორც ეს შეიძლება მოხდეს სასამართლო დარბაზში. თუმცა მხარეებს აქვთ უფლება დაესწრონ მოსმენას. ის მოწმე, რომელიც არ იძლევა ჩვენებას, შეიძლება არ იქნას დაშვებული მოსმენაზე.

არბიტრებს შეუძლიათ თითოეული მხარისათვის ჩვენების მიცემისთვის დააწესონ დროის ლიმიტი. არბიტრი უნდა ეცადოს დაიცვას ბალანსი მოსმენის ეფექტურად მართვისა და ორი მნიშვნელოვანი შედეგის მიღების უზრუნველსაყოფად: მხარეებისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს თანასწორი და მათ უნდა გააჩნდეთ თანაბარი შესაძლებლობა საქმის წარმოსადგენად.

ზოგიერთი არბიტრი აწესებს ძალიან მკაცრი დროის ლიმიტს, აძლევს რა თითოეულ მხარეს წუთების ზუსტად თანაბარ რაოდენობას და ინახავს გარკვეულ დროს არბიტრებისათვის. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დიდი, რთული საქმეების შემთხვევაში და იმის უზრუნველსაყოფად, რომ არბიტრაჟი დასრულდეს განსაზღვრულ დროში. მხარეებმა ზუსტად იციან რა ხანგრძლივობის დრო აქვთ და იციან, რომ მათ უნდა დაიცვან რეგლამენტი.

დროის ლიმიტის დანიშნისას არბიტრებმა ყოველთვის უნდა გამოიყენონ კეთილგონივრულობა სამართლიანობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპის დასაცავად. შეიძლება ყოველთვის სამართლიანი არ იყოს მხარეებისათვის ზუსტად თანაბარი დროის გამოყოფა, რადგან ერთ მხარეს შესაძლოა ჰყავდეს უფრო მეტი მოწმე, ან ჰქონდეს მტკიცების მეტი სიმძიმე.

თუ მოპასუხე არ მოდის მოსმენაზე მიუხედავად მისთვის გაგზავნილი სათანადო შეტყობინებისა, მოსარჩელე ავტომატურად არ გამოცხადდება გამარჯვებულად. სასამართლომ უნდა მოისმინოს ჩვენება, გადასინჯოს დოკუმენტები და შეაფასოს მტკიცებულება იმ მიზნით, რათა დაასკვნას მოახერხა თუ არა მოსარჩელემ სათანადო დასაბუთების წარმოდგენა.

პროცესის ყველა ეტაპზე არბიტრაჟმა, აგრეთვე, უნდა გამოიყენოს სათანადო ძალისხმევა, რათა დაუკავშირდეს მოპასუხეს და მისცეს მას შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მოსმენაში და წარადგინოს წერილობითი მასალები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს, რომელიც არ მონაწილეობს განხილვაში, უფლება აქვს გაასაჩივროს მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება, პროცედურული ნორმების დარღვევის საფუძველით.

ზოგჯერ მხარეები მხარს უჭერენ დაჩქარებულ საარბიტრაჟო პროცესს. ზოგი საარბიტრაჟო ინსტიტუტი ითვალისწინებს მხარეების მოლაპარაკებას, რომლის დროსაც მათ შეიძლება მიაღწიონ შეთანხმებას დროის ლიმიტირების თაობაზე. როდესაც მხარეები თანხმდებიან დაჩქარებული განრიგის გამოყენებაზე, ამას უწოდებენ დაჩქარებულ არბიტრაჟს. ზოგი საარბიტრაჟო ინსტიტუტს აქვს შემუშავებული სპეციალური წესები დაჩქარებული არბიტრაჟისათვის.

საერთაშორისო არბიტრაჟის პროცედურული წესები, რომლებიც ეხება მტკიცებულების წარდგენას, როგორც წესი, თავად საარბიტრაჟო ინსტიტუტების კომპეტენციას წარმოადგენს. არბიტრაჟი უფლებამოსილია განსაზღვროს თუ რამდენად დასაშვებია მტკიცებულება და მტკიცებულების შესაბამისობა საქმესთან. არბიტრების უმეტესობას არ სურს გამოიყენოს მტკიცებულების წარდგენასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც წარმოადგენს არბიტრაჟის ჩატარების ადგილზე მოქმედი პროცესუალური სამართლის ნაწილს. ისინი საქმესთან დაკავშირებული ფაქტების დადგენის მიზნით უპირატესობას ანიჭებენ უფრო მოქნილ მიდგომას.

ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპული სამართლის სისტემებში არსებული სხვადასხვა მიდგომების გამო, მტკიცებულებასთან დაკავშირებით, IBA-მ 1999 წელს მიიღო წესები, რომლებიც ეხებოდა საერთო კომერციულ არბიტრაჟში მტკიცებულების მიღებას. IBA-ს მტკიცებულების წესები თავად მხარს უჭერენ მოქნილ მიდგომას, აცხადებენ რა პრეამბულაში, რომ მხარეებმა და სასამართლოებმა შეიძლება გამოიყენონ ისინი ერთიანობაში ან ნაწილ-ნაწილ, ან შეიძლება მოახდინონ მათი ვარიანტი ან გამოიყენონ წესები, დირექტივების სახით [126].



IBA-ს მტკიცებულების წესებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ბევრი საერთაშორისო არბიტრაჟის მიდგომის ჰარმონიზების საქმეში მტკიცებულების წარდგენასთან დაკავშირებით. მაგრამ, მხარეთა უმეტესობას ურჩევნია, IBA-ს მტკიცებულების წესები რჩებოდეს რეკომენდაციების კატეგორიაში, ვიდრე მოხდეს მათი იძულების წესით თავს მოხვევა არბიტრებისათვის, ხელშეკრულების მეშვეობით [126].

აღიარებულია, რომ თითოეულ მხარეს ექნება მტკიცების ტვირთი, რომელიც იქნება მისი სარჩელის ან დაცვის საფუძველი. საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის უმეტეს შემთხვევებში, ძირითადად გამოიყენება შესაძლებლობათა ბალანსი, თუმცა არბიტრებისათვის არ არის აუცილებელი განაცხადონ რა სტანდარტს იყენებენ ისინი გადაწყვეტილების მისაღებად. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც მიჩნეულია, საარბიტრაჟო სასამართლოს სრული თავისუფლება გააჩნია იმის განსაზღვრის საქმეში, თუ რომელი სტანდარტი იქნება გამოყენებული საქმის ფაქტების დადგენის დროს, რაც მინიჭებული უფლებამოსილების ნაწილია, რათა განისაზღვროს ყველა მტკიცებულების ძალა.

დოკუმენტური მტკიცებულების არბიტრაჟში წარდგენა ხდება საერთაშორისო ევროპული სამართლის სისტემის მოდელის შესაბამისად. მისი მიზანია, დიდი ოდენობით მიწოდებული დოკუმენტების ხარჯების შემცირება მოსმენამდე, მოსმენის წინა სტადიაზე ხანგრძლივი დაგვიანების თავიდან აცილება და დავის სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტისათვის ხელის შეწყობა. ბევრ არბიტრაჟში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტურ მტკიცებულებას. ზეპირი ჩვენება, საზოგადოდ, უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონეა, თუმცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული საქმის ფაქტებიდან და არბიტრების შეხედულებებიდან.

მხარეებს ევალებათ უზრუნველყონ არბიტრაჟი და მეორე მხარე ყველა სათანადო დოკუმენტით, რომელსაც ისინი ეყრდნობიან თავიანთი პოზიციის გასამყარებლად. გარდა ამისა, არბიტრებს საზოგადოდ აქვთ ჩამონათვალი, რომელიც შედგენილია მათი შეხედულებისამებრ და რომლის საფუძველზეც მხარემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები.

IBA-ს მტკიცებულების წესების შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხრიდან დოკუმენტების მიღებისათვის, მომთხოვნ მხარეს აქვს შედარებით მძიმე ტვირთი, კერძოდ: დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა უნდა შეიცავდეს: 1. მოთხოვნილი დოკუმენტის აღწერას, რომელიც

საკმარისია მისი იდენტიფიკაციისათვის ან აღწერას საკმარისი დეტალების მოყვანით (საკითხის არსის ჩათვლით); 2. აღწერილობას იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება მოთხოვნილი დოკუმენტები და მასალა საქმის შინაარსს; 3. განცხადება (დადასტურება) იმის თაობაზე, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები არ არის მომთხოვნი მხარის მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშ და მიზეზი, თუ რატომ მიაჩნია მომთხოვნ მხარეს, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები არის (უნდა იყოს) მეორე მხარის საკუთრებაში ან კონტროლის ქვეშ [126, 3].

მიუხედავად იმისა, რომ არბიტრებმა შეიძლება მოსთხოვონ მხარეებს დოკუმენტების წარმოდგენა, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ზოგი მოთხოვნილი დოკუმენტი არის იმათ ხელში, რომლებიც არ წარმოადგენენ მხარეს? მაგალითად, აშშ-ს კანონმდებლობა არბიტრებს ანიჭებს არბიტრაჟში ნებისმიერი პირის გამოძახების უფლებამოსილებას, რაც აძლევს მათ საშუალებას გაუგზავნოს არბიტრაჟში გამოძახების უწყება მათ, ვინც არ არის რომელიმე მხარის წარმომადგენელი, რათა ისინი გამოცხადდნენ მოწმეების სახით და წარმოადგინონ დოკუმენტები. იმ ქვეყნებში, სადაც ამგვარი კანონმდებლობა არ არსებობს, შესაძლებელია ეს უფლება განახორციელოს იმავე სასამართლოს დახმარებით. IBA-ს შესაბამისად, საარბიტრაჟო სასამართლოს, ან მხარეს, სასამართლოს თანხმობით, შეუძლია მოსთხოვოს დახმარება სასამართლოს მტკიცებულების მოპოვებაში. ინგლისში, თუ მხარეს შეუძლია დაარწმუნოს სასამართლო ან დაითანხმოს მეორე მხარე, შეუძლია გამოიყენოს სასამართლო პროცედურები, “რათა უზრუნველყოს მოწმის დასწრება სასამართლოს წინაშე ზეპირი ჩვენების მისაცემად ან დოკუმენტების ან სხვა მატერიალური მტკიცებულების წარსადგენად [126].”

დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს ავთენტურობის მოთხოვნებს. იგი ითვლება ავთენტურად, თუ ამასთან დაკავშირებით არ არის საწინააღმდეგო აზრი. თუ დოკუმენტის ავთენტურობა არის კითხვის ნიშნის ქვეშ, იმ მხარეს, რომელმაც წარმოადგინა დოკუმენტი, მოეთხოვება მისი ავთენტურობის დადგენა. ჩვეულებრივ ეს ხდება ორიგინალის წარმოდგენის მეშვეობით. თუ მხარეს არ შეუძლია ამის გაკეთება, შეიძლება დოკუმენტი უარყოფილ იქნას.

საერთაშორისო არბიტრაჟის დროს მოწმის ჩვენების გაცნობა ხორციელდება მოსმენამდე. თითქმის არ არის ნებადართული წერილობითი ჩვენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოწმეს ორივე მხარე უჭერს მხარს. მხარეებს სთხოვენ სასამართლოს წარმოების საკმაოდ ადრეულ ეტაპზე დაასახელონ მოწმეების ვინაობა და ჩვენების საგანი. შემდეგ, გარკვეულ

ეტაპზე, მათ სთხოვენ წარადგინონ განაცხადები თითოეულ მოწმესთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს მთელ, მათ მიერ წარმოდგენილ შესაბამის მტკიცებულებას, რომლის მიცემასაც აპირებს კონკრეტული მოწმე. მნიშვნელოვანია, რომ მოწმის განაცხადი იყოს სრული, რადგან ზოგჯერ მოწმეს, ფაქტობრივად, არა აქვს უფლება მისცეს ჩვენება, მაგალითად, თუ არბიტრები გადაწყვეტენ არ გამართონ მოსმენა, არამედ გადაწყვიტონ საქმე მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე, ან მოწმის განაცხადება შეიძლება გამოყენებულ იყოს პირდაპირი ჩვენების სანაცვლოდ და მოწმე შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ჯვარედინ დაკითხვას.

ბევრ ქვეყანაში, როგორც ეს საზოგადოდ აღიარებულია, მოწმის განცხადების მომზადება ხდება ადვოკატის მიერ. მიუხედავად ამისა, განცხადება უნდა დაიწეროს იმგვარად, რომ იგი იდენტური იყოს მოწმის საკუთარი სიტყვების და ლაპარაკის მანერის. იგი უნდა ეხებოდეს ფაქტებს, რომლებიც ცნობილია მოწმისათვის და არ მოიცავდეს სამართლებრივ დასკვნებს. მოწმეებმა არ უნდა გამოიყენონ სამართლებრივი ტერმინები, მაგალითად, როგორცაა “აუნაზღაურებელი ზიანი”. მიუხედავად ამისა, იურისტი საზოგადოდ მჭიდროდ მუშაობს მოწმესთან განცხადების მომზადების საქმეში, რადგან განცხადების შინაარსთან დაკავშირებით მოწმეს ჯვარედინ დაკითხვას ჩაუტარებს მეორე მხარე. ამრიგად, მოწმე თავს დარწმუნებულად უნდა გრძნობდეს იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილია განცხადებაში.

გარდა ამისა, განცხადება უნდა იყოს სრული, რადგან მოწმეს შეიძლება არ მისცენ ნება რაიმე დაამატოს განცხადებას ზეპირი მოსმენის დროს. წინასწარი მოსმენის დროს გაკეთებული ინფორმაციის გახმაურების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოსმენის დროს არაფერი არ უნდა იყოს მოულოდნელი. მეორეს მხრივ, IBA-ს მტკიცებულებების წესების შესაბამისად, მოწმეებს შეუძლიათ დროის იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც მათ არბიტრაჟმა განუსაზღვრა, წარმოადგინონ შესწორებული განაცხადი, ჩვეულებრივ შეზღუდული, თუმცა, იგი უნდა პასუხობდეს იმ საკითხებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო მოწმისა და მდებარე მხარის მოწმის განცხადებაში [126].

ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული ქცევის წესები ან პრეცედენტული სამართალი კრძალავს მოწმეებთან წინასწარ შეხვედრებს. თუმცა, ზოგადად საერთაშორისო არბიტრაჟებში მოსალოდნელია, რომ მოწმეები გაივლიან წინასწარ გასაუბრებას. IBA-ს მტკიცებულებების წესები შესაბამისად, სპეციალურად არის გათვალისწინებული, რომ “არ იქნებოდა ურიგო

რომელიმე მხარისათვის, რათა მის ოფიცრებს, თანამშრომლებს, მრჩეველებს სამართლებრივ საკითხებში ან სხვა წარმომადგენლებს ჩაეტარებინათ ინტერვიუ თავის მოწმეებთან ან პოტენციურ მოწმეებთან.”

იურისტებს სხვადასხვა იურისდიქციიდან შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს “გასაუბრება”. იურისტისათვის საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებიდან ეს ნიშნავს მოწმის მომზადებას. ეს არ ნიშნავს მოწმის „გაწვრთნას“, რათა მან წარმოადგინოს ჩვენება იმგვარად, რაც იქნება ყალბი და დამაბნეველი. მთავარი მოწმის მომზადებას შეიძლება დასჭირდეს დიდი დრო და ძალისხმევა იურისტის მხრიდან, იმაში დარწმუნება, რომ მოწმეს ესმის საკითხები და იმის გარკვევა, თუ როგორ ეხამება მისი ჩვენება ერთიან სამართლებრივ სტრატეგიას. მომზადება აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს ჯვარედინ დაკითხვას იმ მიზნით, რათა დაეხმაროს მოწმეს თავი იგრძნოს უფრო თავდაჯერებულად, როდესაც მისგან ჩვენება ხელახლად მიიღება. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თავის თავში დარწმუნებულ მოწმეს მეტი დამაჯერებლობა ექნება, ვიდრე ნერვიულ მოწმეს [54, 172].

იურისტები უნდა იყვნენ ფრთხილად, რათა მოწმესთან კონტაქტი არ გახდეს ადგილობრივი პროფესიული ქცევის კანონების დარღვევის . მიზეზი. ზოგადი წესების შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ თავად დაწერონ მოწმის ჩვენება მოწმის მაგივრად და მათ გავლენა არ უნდა მოახდინონ მოწმის ჩვენებაზე.

როგორც წესი, საერთაშორისო არბიტრაჟში ნებადართულია ჯვარედინი დაკითხვა. დაკითხვის ტონი უნდა იყოს პროფესიული და ზრდილობიანი. ნიკოლას სიმონი, არბიტრი და ადვოკატი ვენიდან, აღნიშნავს, რომ „არბიტრები ბევრს ფიქრობენ ჯვარედინი დაკითხვის მიზანზე. მათ არ მოსწონთ ჯვარედინი გამოკითხვა, სადაც მოწმეებს ტანჯავენ. კონტინენტური ტრადიციის შესაბამისად, არბიტრები განიხილავენ ჯვარედინ დაკითხვას, როგორც ინფორმაციის ამოქაჩვის მეთოდს და არა მოწმის სატანჯავ პროცედურას.”

ზოგი არბიტრი მიიჩნევს, რომ მიუხედავად განხორციელებული მცდელობისა, შეკვეცილიყო თვით საარბიტრაჟო პროცესი და იგი გამხდარიყო უფრო ეფექტური, შეიკვეცა ზეპირი პრეზენტაცია. სულ უფრო ხშირად არბიტრები არ აძლევენ უფლებას მხარეებს წარმოადგინონ საწყისი და დასკვნითი დასაბუთება, ან პირდაპირი ჩვენება. ეს კი ნიშნავს, რომ მოსმენებზე

უმეტესად წარმოებს მოწმეების ჯვარედინი დაკითხვა. ამჟამინდელ ტენდენციებს მხარი უნდა აუბან იურისტებმაც, რომლებსაც არა აქვთ გავლილი ჯვარედინი დაკითხვის წარმოების მომზადება.

როცა საერთაშორისო არბიტრაჟი განიხილავს მაღალტექნოლოგიურ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად, ბეტონში წყლის გამო გაჩენილი ნაპრალები ახალ ხიდზე და საკითხს იმის თაობაზე, არის თუ არა ნაპრალები უსაფრთხო ხიდისათვის, ან ვინ არის პასუხისმგებელი ახლად აგებულ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარ აფეთქებაზე, ამ ფაქტებთან დაკავშირებით შესაძლოა საჭირო გახდეს ექსპერტის ჩვენება. განსხვავებით მოწმეებისაგან, ექსპერტები უზრუნველყოფენ დასკვნას, რომელიც ემყარება მათ გამოცდილებას (ექსპერტიზას) და დაკავშირებულია არსებულ ფაქტებთან. როდესაც დგება ექსპერტის მოწვევის აუცილებლობის საკითხი, მხარეები საზოგადოდ იღებენ გადაწყვეტილებას, ესაჭიროება თუ არა თითოეულ მხარეს ექსპერტის გამოძახება, ან მათ ურჩევნიათ, რომ სასამართლომ თავად აირჩიოს ექსპერტი. სასამართლოს შეუძლია აირჩიოს ექსპერტი, თუნდაც მხარეების მიერ არ იყოს მოთხოვნა აღნიშნულთან დაკავშირებით.

არბიტრების არჩევის შემდეგ ექსპერტის შერჩევა შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მხარისათვის. მან უნდა გამოიჩინოს დიდი სიფრთხილე საუკეთესო საერთაშორისო ექსპერტის არჩევაში გარკვეულ სფეროში. თუ არბიტრაჟი თავად დანიშნავს ექსპერტს, მოსალოდნელია, რომ იგი ჯერ ჩაატარებს კონსულტაციებს მხარეებთან და მოიწვევს მათ ექსპერტის შესარჩევად.

ექსპერტი უფლებამოსილია მხარეებისგან მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც მას ესაჭიროება დასკვნის გასაკეთებლად. ამას შეიძლება ჰქონდეს დოკუმენტის, საქონლის, ნიმუშების ან თუნდაც საკუთრების ხელმისაწვდომობის ფორმა ადგილზე ინსპექტირების დროს. ექსპერტი ჩვეულებრივ ამზადებს ანგარიშს, რომელიც გადაეცემა თითოეულ მხარეს. ანგარიში შეიცავს საექსპერტო შეფასებას და დასკვნას და ჩვეულებრივ აღწერს მეთოდს, თუ როგორ მივიდა ექსპერტი მსგავს დასკვნამდე, რა ინფორმაციას და მტკიცებულებას დაეყრდნო იგი.

მხარეებს აქვთ უფლება არა მარტო გადასინჯონ ექსპერტის ანგარიში და წარადგინონ წერილობითი პასუხი, რომელიც მომზადებულია მხარის, ან მის მიერ დანიშნული ექსპერტის

მიერ, არამედ აგრეთვე შეამოწმონ ნებისმიერი დოკუმენტი, საქონელი, ან სხვა ინფორმაცია, რომელზედაც დაყრდნობით ექსპერტმა მოამზადა ანგარიში. თუ ერთ-ერთი მხარე მოითხოვს ან არბიტრაჟი თვლის ამას აუცილებლად, ექსპერტი ხელმისაწვდომი იქნება მოსმენაზე, რათა ჩვენება მისცეს და უპასუხოს შეკითხვებს. როდესაც საარბიტრაჟო პროცესზე განიხილება რთული საქმე, თითოეული მხარის ექსპერტს შეუძლია მოამზადოს ანგარიში და დაესწროს მოსმენას, რათა დასვას კითხვები, ან მისცეს ჩვენება.

ჩვეულებრივ, მოსმენის შემდგომი საარბიტრაჟო პროცესები მოიცავს მოკლე წერილობითი ინფორმაციის წარდგენას, რომელშიც შეჯამებულია მტკიცებულება და დასაბუთებები. ზოგჯერ არბიტრებმა შეიძლება მოითხოვონ მსგავსი მოკლე ანგარიშის წარმოდგენა კანონმდებლობის რამდენიმე საკითხზე. თუ ერთმა მხარემ მოიპოვა ახალი მტკიცებულება სასამართლო გარჩევის ბოლოს, მეორე მხარეს ექნება შესაძლებლობა პასუხი გასცეს აღნიშნულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით მოსმენის შემდგომი ანგარიშის საშუალებით.

თუ ახალი მტკიცებულება მოპოვებულია ერთ-ერთი მხარის მიერ მოსმენის დასრულების შემდეგ, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია ეცადოს თავიდან გახსნას მოსმენა. არბიტრაჟს ზოგადად აქვს მოქმედების თავისუფლება, თავიდან გახსნას მოსმენა.

პროცესუალური საკითხების ასეთი დეტალური შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ მათში ხარვეზის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს რიგი პრობლემებისა, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, მის გასაჩივრებასა და გაუქმებას უკავშირდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საერთო სასამართლო პრაქტიკის არარსებობის გამო, სააპელაციო სასამართლოები ხშირად თავისებურად განმარტავენ ამა თუ იმ ნორმას. ამ კუთხით საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ. პალატამ განმარტა, რომ საჯარო წესრიგის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართად თუნდაც რეგისტრირებული იურიდიული მისამართის მითითება, რომელზეც მოპასუხეს არ ბარდება არბიტრაჟის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია, არ ათავისუფლებს საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისთვის ცნობილი მოპასუხის ფაქტობრივი მისამართის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით შეტყობინების ვალდებულებისაგან. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხედ იურიდიული პირის მითითების

შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უნდა მოეთხოვოს ყველა შესაძლო რეკვიზიტის მითითება. ამასთანავე, იურიდიული პირის შემთხვევაში, გარდა მისი იურიდიული მისამართისა, ხელმისაწვდომია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობის დადგენა და მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მათი მონაცემებიც მოიძიოს და მიუთითოს არბიტრაჟს. შესაბამისად, საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე არბიტრაჟმა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს იურიდიული პირისა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საკონტაქტო მონაცემების მითითება და მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია იმსჯელოს საჯარო შეტყობინების გამოყენების აუცილებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიუთითა მოპასუხის მხოლოდ იურიდიული მისამართი, თუმცა საქმის მასალებიდან დგინდება, რომ სადავო ხელშეკრულებაში მოპასუხის იურიდიული მისამართის გარდა მითითებულია აგრეთვე დირექტორის მისამართიც, რომელზედაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა კორესპონდენცია უნდა გადაგზავნილიყო. ამდენად, პალატის აზრით, საარბიტრაჟო მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა, რომ მოპასუხეს იურიდიულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა, ასევე იცოდა მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის თაობაზე, თუმცა ამის შესახებ არ აცნობა არბიტრაჟს და შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალურად მოპასუხის იურიდიული მისამართის მითითებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული საარბიტრაჟო სხდომის თაობაზე, რის გამოც არბიტრაჟი არ იყო უფლებამოსილი მიედო გადაწყვეტილება მხარის დასწრების გარეშე, რის გამოც განმცხადებელს უარი უთხრა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება. პალატამ განმარტა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ცხადი ხდება, რომ არბიტრაჟს არ გამოურკვევია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობა, შესაბამისად არბიტრაჟი ვალდებული იყო საარბიტრაჟო წარმოებისას მხარედ მოეწვია უძრავი ნივთის მესაკუთრე, ვინაიდან გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. სააპელაციო პალატის მიერ არბიტრაჟიდან გამოთხოვილი მასალებით კი ირკვევა, რომ არბიტრაჟს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრისათვის არ გაუგზავნია შეტყობინება და არ უცნობებია მის საკუთრებაში არსებული

უძრავი ნივთის მიმართ საარბიტრაჟო წარმოების დაწყებისა და შესაძლო რეალიზაციის თაობაზე. პალატამ ასევე მიუთითა, რომ არ ეცნობა რა მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმართ საარბიტრაჟო წარმოების დაწყების თაობაზე. ამით დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი ნორმები და მოთხოვნები. კერძოდ, დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით დაცული პირის საკუთრების უფლება, რადგან აღსრულება მიექცა უძრავ ნივთზე ისე, რომ მესაკუთრისათვის არაფერი იყო ცნობილი ამის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მისთვის შეტყობინებას კი შეიძლება გამოეწვია ის შედეგი, რომ მესაკუთრე ისარგებლებდა სსკ-ის 292-ე მუხლით მინიჭებული უფლებებით, კერძოდ, უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს. ამდენად, პალატის აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეული იქნა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.ბ ქვეპუნქტი, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია.

### 3.4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არბიტრაჟი დავაზე გადაწყვეტილებას ღებულობს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად (იგულისხმება მატერიალური სამართლის ნორმები), თუკი ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. იგივე დათქმაა გაკეთებული გერმანიის სამართალში, რომელიც ადგენს, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოყენებულ იქნეს მატერიალური სამართალი. უნდა ითქვას, რომ მატერიალური სამართლის გამოყენება გადაწყვეტილების გამოტანისას როგორც გერმანულ, ისე ქართულ სამართალში გადმოღებულია მოდელური კანონის 28-ე მუხლიდან, რომელიც სამართლის ნორმების არჩევისას პრიორიტეტს მაინც მხარეებს აძლევს. მხარეთა შეთანხმებაში თუ



საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში არსებული ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მხოლოდ მატერიალურ სამართალს და არავითარ შემთხვევაში მის საპროცესო თუ კოლიზიურ ნორმებს. ასევე, გადაწყვეტილების გამოტანის დროს არბიტრაჟი ითვალისწინებს ხელშეკრულების პირობებს და იმ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც ასეთი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება.

რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უმრავლესობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აქ იგულისხმება ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. გადაწყვეტილების მიღების მომენტში არბიტრს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. იმავე შინაარსის ნორმას შეიცავს გერმანიის საპროცესო სამართალი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმის საკითხთან დაკავშირებით. გადამწყვეტი ხმა მოდელური კანონის გათვალისწინებით, როგორც გერმანული, ისე ქართული სამართლის მიხედვით ეკუთვნის თავმჯდომარეს. ამას აქვს უარყოფითი მხარეც - დგება საშიშროება იმისა, რომ ერთობლივი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

საარბიტრაჟო სამართალწარმოება, ისევე, როგორც ყველა სამართლებრივი დავა, შეიძლება შეწყდეს, თუ საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეები მორიგდებიან. მხარეთა მორიგება არის ყველაზე მისაღები და სასურველი გზა დავის გადაწყვეტისა. ამიტომ მოდელური კანონის გათვალისწინებით, საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ითვალისწინებს საარბიტრაჟო პროცესის შეწყვეტას მხარეთა მორიგებით. გარდა ამისა, დასახელებული კანონით მკაცრად არის განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის სხვა გარემოებებიც (მუხლი 40.), რომელიც სიტყვა-სიტყვით არის გადმოღებული მოდელური კანონის 32-ე მუხლიდან. იმავე შინაარსს შეიცავს გერმანიის საპროცესო კოდექსის § 1056. საარბიტრაჟო განხილვა წყდება გამოტანილი გადაწყვეტილების ხელმოწერისა და მხარეთათვის მისი გადაცემის შემდეგ. ასევე საარბიტრაჟო განხილვა წყდება შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი; ბ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე; გ) თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ

საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით არ არის აუცილებელი და/ან შეუძლებელია.

საქართველოს კანონის მიხედვით, საარბიტრაჟო დავაში გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო დავის განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შესაძლებელია გააგრძელოს არბიტრაჟმა, მაგრამ არა უმეტეს 180 დღისა.

გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მასში უნდა აღინიშნოს გამოტანის დრო და ადგილი. იგი უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს. უნდა ითქვას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ექნება თუ არა სამოტივაციო ნაწილი, მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. შესაძლებელია შეთანხმებაში მხარეებმა ჩაწერონ, რომ გადაწყვეტილებას არ ჰქონდეს სამოტივაციო ნაწილი. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კომერციული დავების განხილვისას მეწარმეთათვის აუცილებელია საბოლოო შედეგი და არა მოტივი. მოტივაცია შეიძლება იყოს საშიშიც, რადგან სწორედ ის ხდება წაგებული მხარის თავდასხმის მიზეზი [87, 234]. გერმანიის საპროცესო კოდექსის § 1054-ის მიხედვით, მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს. თუმცა გადაწყვეტილება არ უნდა იყოს უმინაარსო და არ უნდა შეიცავდეს ორაზროვან და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს [86, 1609].

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრი (არბიტრები), თუკი საქმეს განიხილავს რამდენიმე არბიტრი, გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს უმრავლესობამ, თუ არბიტრი უარს ამბობს ხელმოწერაზე ან განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. არ აქვს არსებითი მნიშვნელობა რა მოტივით არ ხდება არბიტრის ხელმოწერა გადაწყვეტილებაზე, - იქნება ეს არბიტრის მიერ ხელმოწერის შეუძლებლობა გარკვეული გარემოებების გამო (ავადმყოფობა, გარდაცვალება და ასე შემდეგ) თუ არბიტრი უარს ამბობს ხელმოწერაზე. მხარეებს გადაეცემათ გადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, საარბიტრაჟო განხილვის პროცესში წარმოშობილი მატერიალური სამართლის საკითხები შეიძლება შემდგომში სასამართლოს მიერ იქნეს გადასინჯული, ხოლო სხვა ქვეყნებში, სასამართლოს შეუძლია ნაწილობრივ ან მთლიანად გადასინჯოს არბიტრაჟის ჩატარების წესი და თავად საქმე [6, 33]. საქართველოში სასამართლოს შეუძლია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეამოწმოს მხოლოდ პროცესუალური კუთხით - დაცულია თუ არა არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

შესწორების, ინტერპრეტაციისა და დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესახებ მოდელური კანონისა და გერმანული საპროცესო სამართლის ნორმები სიტყვა-სიტყვით არის გადმოღებული არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში. გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში თითოეულ მხარეს მეორე მხარისთვის შეტყობინების შემდეგ აქვს უფლება, მოსთხოვოს არბიტრაჟს შეცდომების გასწორება, რომლებიც დაშვებულ იქნა გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, ასევე წერითი, ბეჭდითი ან სხვა ამგვარი შეცდომები; მხარეთა შეთანხმების არსებობისას, მოითხოვოს არბიტრაჟიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება. თუკი არბიტრაჟი მხარის მოთხოვნას შეცდომის გასწორებასა და განმარტების მიცემაზე დასაბუთებულად მიიჩნევს, განცხადების მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა შეიტანოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი შესწორება ან მისცეს შესაბამისი განმარტება, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია. თუკი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში არბიტრაჟი მასში აღმოაჩენს რაიმე შეცდომას, ის უფლებამოსილია გამოასწოროს შეცდომა თავისი ინიციატივით. მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა ისეთ საკითხებზე, რომლებიც, მიუხედავად საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნისა, არ იქნა აღწერილი გადაწყვეტილებაში. თუ არბიტრაჟი ამ მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, 60 დღის განმავლობაში მიიღებს დამატებით გადაწყვეტილებას. არბიტრაჟს, აუცილებლობის შემთხვევაში აქვს უფლება 30 დღით გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გამოასწოროს შეცდომა, უნდა მისცეს განმარტება ან უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. თუ მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, უკვე გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში რჩება შესწორების შეტანის, განმარტების მიცემის ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შედეგს და იმ გადამწყვეტ სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის მიღებაც მხარეთა უმთავრესი მიზანია [28, 462].

პარიზის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, არბიტრების მიერ შემუშავებული აქტი არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ ის მთლიანად ან ნაწილობრივ, საბოლოოდ წყვეტს არბიტრაჟისათვის წარდგენილ საკითხებს. გადაწყვეტილება შეიძლება იყოს არსებითი, რომელიც საქმის გარემოებებს შეეხება, ან ეხებოდეს ისეთ საპროცესო მოქმედებას, რომელიც იწვევს საარბიტრაჟო განხილვის დასრულებას [53, 129].

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსი განსაზღვრავს მოდავე მხარეთა უფლებებს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ამიტომ ის უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, რომელთა გარეშეც ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა მინიმუმამდე შემცირდება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი, დასაბუთებული და კანონიერი.

გადაწყვეტილება შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს, თუ საქმის გადაწყვეტის შედეგების მიმართ მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი პროფესიონალი მას სამართლიანად მიიჩნევს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში რამდენიმე ასპექტზე მახვილდება ყურადღება: 1. დასაბუთებაში მოყვანილი საფუძვლები არ უნდა იყოს აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო და უნდა შეესაბამებოდეს სარეზოლუციო ნაწილს; 2. პრეტენზიაში მითითებული მოთხოვნა, ან მოპასუხის პოზიცია ამ მოთხოვნაზე, შეფასების გარეშე არ უნდა დარჩეს. (იგულისხმება არსებითი ხასიათის მოთხოვნები); 3. დასაბუთება არ უნდა იძლეოდეს ორმაგი განმარტებების შესაძლებლობას.

კანონიერების მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პრაქტიკულ შედეგებს, ანუ მის ცნობასა და აღსრულებას. გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრების მიერ დაცული უნდა იქნეს არა მხოლოდ მხარეთა მიერ შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართლის ნორმები და საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნები, არამედ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობაც, სადაც შეიძლება აღსრულდეს ეს

გადაწყვეტილება. სავსებით შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილება იყოს როგორც სამართლიანი, ისე დასაბუთებული, მაგრამ თუ დაცული არ არის მისი ცნობისა და აღსრულებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ნორმები, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება სამართლებრივ შედეგებს ვერ წარმოშობს [25, 465].

### 3.5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუქმება

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების ძალა [72, 184]. თუ სასამართლო გადაწყვეტილება ატარებს გარანტირებული სამართლებრივი მოქმედების ძალას და მისი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო წინაპირობების გამო, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე დაწესებულია რიგი სასამართლო ჩარევებისა, რომლებიც თავს იჩენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და აღსრულების შემთხვევებში [81, 176]. სახელმწიფო სასამართლო იურისდიქცია ემსახურება საარბიტრაჟო სამართალწარმოების კონტროლსა და პრევენციას. ასეთი სახის ჩარევას ყველა სამართლებრივი სისტემა იცნობს.

გასაჩივრების საფუძვლები ჯერ კიდევ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციამ მოაწესრიგა. მოგვიანებით, მოდელურმა კანონმა 34-ე მუხლში გადმოიღო ცვლილებები, რაც გერმანულ და ქართულ სამოქალაქო პროცესშიცაა ასახული. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ ან ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. მიუხედავად ამისა, ამავე კანონის თანახმად (თავი VII), შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და მისი გაუქმება. გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოს მეშვეობით.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ყველაზე გავრცელებული მეთოდია ქმედების ბათილად ცნობა ან გადაწყვეტილების ლიკვიდაცია (ტერმინოლოგია განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციებში), არბიტრაჟის ჩატარების ადგილას

მდებარე სასამართლოში. იგი წარმოადგენს სათანადო ადგილს გადაწყვეტილების გასაუქმებლად, რადგანაც ადგილზე მდებარე სასამართლოს გააჩნია საარბიტრაჟო პროცესზე ზედამხედველობის უპირატესი იურისდიქცია იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ პროცესი წარიმართოს სამართლიანად, წესების დაცვით და გამოირიცხოს კორუფცია. ორმოცდაათ ქვეყანაზე მეტში პროცესუალური სამართალი, გადაწყვეტილების შესაცვლელად დაფუძნებული არის UNCITRAL - ის მოდელურ კანონზე, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების გასაუქმებლად აუცილებელი საფუძვლების არსებობას.

რაც შეეხება გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და მისი გაუქმების მეთოდებს, ამგვარი ქმედებები, გარდა სასამართლოს ცვლილებისა, ხელმისაწვდომია გარკვეული ტიპის არბიტრაჟებშიც. საზღვაო მიმოსვლის მრეწველობაში და ზოგიერთ სავაჭრო ასოციაციაში, მაგალითად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს მისი განხილვით სხვა საარბიტრაჟო შემადგენლობის მეშვეობით ან სააპელაციო საბჭოს მიერ. გარდა ამისა, ICSID-ის კონვენციის შესაბამისად, მათი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სხვა ICSID -ის საარბიტრაჟო სასამართლოში. თუ მეორე კომისია გააუქმებს თავდაპირველ გადაწყვეტილებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა (მესამე) საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად [127].

უმეტეს არბიტრაჟებში, რომელთა წარმომავლობა ეფუძნება საერთაშორისო კონტრაქტს, გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი იგზავნება სასამართლოში. წაგებულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიზნით მხოლოდ პროცედურული ან საჯარო სამართლებრივი საკითხების დარღვევის საფუძველზე. თუკი იგი წააგებს ადგილობრივ სასამართლოში, ან არ წამოიწყებს სასამართლო წარმოებას გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით, წაგებულ მხარეს კიდევ რჩება შესაძლებლობა აღუდგეს გადაწყვეტილების განხორციელებას. მას შეუძლია ედავოს მეორე მხარეს იმ ქვეყანაში, სადაც განთავსებულია წაგებული მხარის აქტივები და სადაც უნდა მოხდეს აღსრულება. ამრიგად, წაგებულ მხარეს გააჩნია ორი შესაძლებლობა, რათა შეცვალოს გადაწყვეტილება: პირველი, სასამართლოს წარმოების ადგილას და მეორე, სასამართლოში, სადაც მოგებული მხარე ცდილობს აღასრულოს გადაწყვეტილება.

იმის გამო, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება არის საბოლოო და სავალდებულო, უმეტეს ქვეყნებში არ არსებობს აპელაციის შესაძლებლობა, მაშინაც კი, თუ არბიტრებმა დაუშვეს შეცდომა სამართლის ან ფაქტების ინტერპრეტაციის შემთხვევაში. უფრო ზუსტად, არსებობს ძალიან მცირე საფუძველი იმისათვის, რომ მხარემ დაასაბუთოს თავისი საჩივარი გადაწყვეტილების გასაუქმებლად. უმეტეს ქვეყნებში, გაუქმების საფუძველი იყოფა ორ ფართო კატეგორიად: (1) მატერიალურ-სამართლებრივი და (2) პროცედურული [54, 195].

მატერიალურ-სამართლებრივი გასაჩივრების საფუძველი ძირითადად მხარეებს ეძლევათ არბიტრაჟის დასაწყისში, ვიდრე მას შემდეგ, რაც გამოტანილია გადაწყვეტილება. უმეტესობა ქვეყნებში თუკი მხარე არბიტრაჟის დასაწყისშივე არ განაცხადებს პრეტენზიას, მან შეიძლება დაკარგოს აღნიშნული უფლება [124]. ლოგიკურია, რომ განისაზღვროს არის თუ არა კანონი შესაბამისი ეფექტის მქონე საარბიტრაჟო პროცედურის დასაწყისში, ვიდრე მას შემდეგ, რაც მხარეები დახარჯავენ დროს და რესურსებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მატერიალურ-სამართლებრივი გასაჩივრების საფუძველი გადაწყვეტილებასთან მიმართებაში შეიძლება დაეყრდნოს პრეტენზიას, რომ სასამართლომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას. საარბიტრაჟო სასამართლოს შეიძლება გააჩნდეს იურისდიქცია საარბიტრაჟო ხელშეკრულების შესაბამისად, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოიტანა იმგვარი გადაწყვეტილება, რაც მის უფლებამოსილებას აღემატებოდა. მაგალითად, თუ მხარე მოითხოვდა ზარალის მხოლოდ ნაწილის ანაზღაურებას, ხოლო სასამართლომ აუნაზღაურა მას ამ რაოდენობაზე მეტი, ამ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვეწოდეს სასამართლოს მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებასთან. გადაწყვეტილების გაუქმება აგრეთვე შესაძლებელია, თუ არბიტრაჟი ვერ შეძლებს განიხილოს ყველა მის წინაშე გამოტანილი საკითხი ან იგი გამოიტანს გადაწყვეტილებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ყოფილა განსახილველად გამოტანილი.

გადაწყვეტილებების გასაჩივრება ყველაზე ხშირად ხდება პროცედურულ საფუძველზე. უმეტესი საარბიტრაჟო კანონების შესაბამისად საჭიროა რიგი სტანდარტული პროცედურების დაცვა. უნსიტრალის მოდელური კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, არსებობს ოთხი საფუძველი, რომლებზე დაყრდნობით მხარეს შეუძლია დააფუძნოს თავისი საჩივარი: (1) მხარე არ უნდა იყოს შეზღუდული ქმედებაში, ხელშეკრულება უნდა იყოს ძალაში; (2) მხარეს უნდა

გადაეცეს შესაბამისი შეტყობინება როგორც არბიტრის დანიშვნის შესახებ, ასევე პროცესის დანიშვნის შესახებ და უნდა შეეძლოს თავისი საქმის წარმოდგენა; (3) საკითხის არსი უნდა იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში; და (4) საარბიტრაჟო სასამართლო უნდა დაკომპლექტდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ნებისმიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხარეს, რომელიც ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, ეკისრება მტკიცების ტვირთი [132].

სახელმწიფო სასამართლოს მიერ თავისი საკუთარი სურვილის შესაბამისად შეიძლება იქნეს წამოყენებული და განსაზღვრული ორი სხვა საფუძველი: (1) არის თუ არა განხილვის საგანი საარბიტრაჟო თემა, და (2) წინააღმდეგობაში მოდის თუ არა გადაწყვეტილება სახელმწიფოს საჯარო წესრიგთან. საარბიტრაჟო საფუძველი არ გამოიწვევს ბევრი გადაწყვეტილების ანულირებას, რადგან ძლიერ ცოტა შემთხვევაა დღეისათვის, რომლებიც არ წარმოადგენს არბიტრაჟის საგანს. შემდგომი საფუძველი, რაც სასამართლომ შეიძლება წამოჭრას, არის საკითხი საჯარო წესრიგის დარღვევის შესახებ. საჯარო წესრიგთან სხვადასხვა იურისდიქციაში სხვადასხვაგვარად არის განმარტებული, მაგრამ უმეტეს მათგანში შესაძლებელია გადაწყვეტილების ანულირება, თუკი იგი არ შეესაბამება სამართლიანობის, პატიოსნების და სამართლიანობის ფუნდამენტურ წარმოდგენებს. ამრიგად, კორუფცია ან სიყალბე, შეიძლება ჩაითვალოს საჯარო წესრიგთან დაკავშირებულ დარღვევად, რის გამოც შეიძლება გადაწყვეტილება იქნეს ანულირებული.

ტიპური კანონმდებლობის უმეტეს იურისდიქციებში, სიყალბე ან კორუფცია, როგორც საჯარო წესრიგთან დაკავშირებული დარღვევა, ჩაითვლება სათანადო საფუძველად გადაწყვეტილების შესაცვლელად. აშშ ფედერალური საარბიტრაჟო კანონი (FAA) უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. იგი ითვალისწინებს, რომ საფუძველი გადაწყვეტილების შესაცვლელად უნდა მოიცავდეს შემდეგს: (1) “გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კორუფციის, სიყალბის ან შეუსაბამო საშუალებების მეშვეობით;”, (2) “არბიტრებში იგრძნობოდა აშკარა მიკერძოება ან კორუფცია”, (3) “არბიტრები დამნაშავეები იყვნენ არასათანადო ან .სხვა ტენდენციური საქციელის გამო, რის გამოც რომელიმე მხარის უფლებები შეილახა” [134]. ანალოგიურად, ინგლისური საარბიტრაჟო კანონის შესაბამისად, მხარემ შეიძლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება “კანონის სერიოზული დარღვევის საფუძველზე, რაც გავლენას ახდენს საარბიტრაჟო სასამართლოზე, საქმის წარმოებაზე ან გადაწყვეტილებაზე [124].” შესაბამისად,



მხარემ შეიძლება შეცვალოს გადაწყვეტილება, რისი საფუძველიც შეიძლება გახდეს “კანონის სერიოზული დარღვევა, რომელიც გავლენას ახდენს სასამართლოზე, საქმის წარმოებაზე ან გადაწყვეტილებაზე.”

შედავება გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს სწრაფად. მოქმედების დაყოვნებამ დროის შეზღუდვის პირობებში შეიძლება ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების გაუქმებას. დროის პერიოდი მოიცავს ოცდარვა დღეს (ინგლისი), ან ერთ თვეს (საფრანგეთი), ექვს თვემდე (ჩინეთი). ტიპური კანონის იურისდიქციებში და შეერთებულ შტატებში, აღნიშნული პერიოდი მოიცავს სამ თვეს. თუმცა ტიპური კანონი თავისუფალი მოქმედების ნებას აძლევს სასამართლოს, რაც საკამათოა, რადგანაც იგი თვლის, რომ “აპელაცია ანულისების თაობაზე შეიძლება არ განხორციელდეს სამი თვის შემდეგ (გადაწყვეტილების მიღებიდან).” მეორე მხრივ, აშშ კანონი მოითხოვს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ან ადვოკატს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს სამი თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც მიღებული ან დარეგისტრირებულ იქნა გადაწყვეტილება. აღნიშნული არ იძლევა მოქნილი მოქმედების საშუალებას.

განვიხილოთ ის სიტუაცია, როდესაც რომელიმე მხარე დაარწმუნებს ადგილობრივ სასამართლოს გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ამ სიტუაციაში, გარდა მცირე გამონაკლისებისა, გადაწყვეტილება გაუქმებული და არამოქმედი, მას არ გააჩნია შემდგომი სამართლებრივი ძალა. რა ხდება ამის შემდგომ? თუ გადაწყვეტილება გაუქმდა იმის გამო, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებას თავისთავად არ გააჩნდა კანონიერი ძალა, ამ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს დროის შეზღუდვა, მოგებულ მხარეს უნდა შეეძლოს სასამართლო წარმოების დაწყება. ჰოლანდიური კანონმდებლობა ნათლად ადგენს, რომ როდესაც საბოლოოდ იქნება მიღებული თანხმობა გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, უნდა აღდგეს სასამართლოს იურისდიქცია. თუმცა, თუკი გადაწყვეტილების გაუქმება ხდება რაიმე არსებითი პროცედურული დარღვევის გამო, დგება საკითხი იმის თაობაზე, დაუბრუნდეს თუ არა საქმე არბიტრებს, და ამ შემთხვევაში, უნდა იყოს თუ არა ეს იგივე ორგანიზაცია თუ სხვა. მოსალოდნელია, რომ სასამართლოები დადებითად მოეკიდებიან გარკვეული სახის ცვლილებებს, რათა მხარეებმა მთლიანად არ გააუფასურონ საარბიტრაჟო ძალისხმევა. თუ პრობლემა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაიჭრას მისი არაკანონიერად გამოცხადების გარეშე, უმეტესი სასამართლოები ეცდებიან მონახონ იმგვარი გადაწყვეტილება,

რაც არ აიძულებს მხარეებს დაიწყონ ყველაფერი თავიდან. არც ერთი მხარის ინტერესებში არ იქნება მოხდეს ძალისხმევის, დროის და რესურსების არსებითი დუბლირება. მაგალითად, ინგლისის საარბიტრაჟო კანონის შესაბამისად, სასამართლო არ “გააუქმებს ან გამოაცხადებს გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ, თუკი იგი არ დარწმუნდება იმაში, რომ არ იქნება შესაბამისი, რათა განსახილველი საკითხები დაუბრუნდეს სასამართლოს განმეორებითი განხილვისათვის.”

თუ გადაწყვეტილება მოითხოვს შესწორებას ან ინტერპრეტაციას, სასამართლო ზოგადად გადააგზავნის საქმეს იმავე საარბიტრაჟო სასამართლოში. გერმანული კანონების შესაბამისად, სასამართლოს უფლება აქვს, “საჭიროების შემთხვევაში გააუქმოს გადაწყვეტილება და დაუბრუნოს საქმე საარბიტრაჟო სასამართლოს.” გერმანული კანონმდებლობის შესაბამისად, საწინააღმდეგო აზრის არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების გაუქმება გამოიწვევს “საარბიტრაჟო ხელშეკრულებას, რომელიც კვლავ გახდება მოქმედი საკამათო საკითხი ძირითად თემასთან დაკავშირებით”. ეს კი გულისხმობს იმის შესაძლებლობას, რომ თუ საქმე არ დაუბრუნდება წინა სასამართლოს, მხარეებს შეუძლიათ თავიდან დაიწყონ პროცესი. ლოგიკური იქნებოდა, რომ თუ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პრობლემა იქნებოდა დაკავშირებული პროცესის ერთიანობასთან, როგორცაა არბიტრის მიკერძოებული დამოკიდებულება, ან რაიმე სახის უკანონო საქციელი, ამ შემთხვევაში სასამართლოს არ დაებრუნებინა საქმე იმავე სასამართლოში. ერთიანი საარბიტრაჟო კანონი შეერთებულ შტატებში, რომელიც მიღებულ იქნა აშშ-ს იურისდიქციაში, შესწორდა 2000 წელს იმ მიზნით, რათა უფრო ნათლად ყოფილიყო წარმოდგენილი, თუ რა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც სასამართლო გააუქმებდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. ერთიანი შესწორებული საარბიტრაჟო კანონის შესაბამისად, თუ სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას სხვა საფუძველზე გარდა იმისა, რომ საარბიტრაჟო ხელშეკრულება იყო უკანონო, “მან შეიძლება დანიშნოს ხელახალი მოსმენა”. ხოლო თუკი გადაწყვეტილება გაუქმდა კორუფციის, გაყალბების, ან არბიტრის უკანონო ან მიკერძოებული ბრალდების საფუძველზე, “ხელახალი მოსმენა უნდა შედგეს ახალი არბიტრის წინაშე.” თუკი საფუძველს შეადგენს პროცედურის გამოუყენებლობა, ან არბიტრის საქციელი, რომელიც მის უფლებამოსილებას აჭარბებდა, ამ შემთხვევაში ხელახალი მოსმენა “შეიძლება მოხდეს არბიტრის წინაშე, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება ან მისი შემცვლელი არბიტრის წინაშე”.

როგორც ცნობილია, ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეზღუდულია, არბიტრაჟების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სახელმწიფო სასამართლოებთან მიმართებაში და ფაქტობრივად მასზეა აგებული ყველა სხვა დანარჩენი უპირატესობა. სწორედ ერთი ინსტანციით დავის გადაწყვეტა არბიტრაჟების სისწრაფისა და სიიარაღის მთავარი მიზეზი. გასაჩივრებულ და გაუქმებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მიყვავართ მოუგვარებელ დავასთან, განმეორებით პროცესებთან, გაორმაგებულ დროსა და ხარჯებთან, რაც არბიტრაჟისადმი მიმართვას უაზრობად აქცევს. საერთაშორისო ცნობილ არბიტრაჟებს, რომელთაც მრავალწლიანი ტრადიციები, გამოცდილი პრაქტიკა და მუდმივი მსხვილი კლიენტურა ჰყავთ, შეუძლიათ თავს უფლება მისცენ, მხარი დაუჭირონ გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რეგულაცია, მათი ინტერესების შესაბამისად. ეროვნულ დონეზე კი, მაგალითად, საქართველოში, სადაც არბიტრაჟი ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა და განვითარებადი ინსტიტუტია და სამწუხაროდ, არც ისე პოპულარულია, კანონმდებელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ დეტალებს, რათა ძალაუნებურად, არ დავტოვოთ ეს ინსტიტუტი თავისი მიმზიდველი მხარეების გარეშე. ამჟამად, საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნულ სფეროს შემდეგნაირად არეგულირებს:

სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს საჩივრით სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:

ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

ა.ბ) მხარე, რომელიც ითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, არ იყო ჯეროვნად

ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

ა.გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება;

ა.დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – ამ კანონის მოთხოვნებს;

ბ) სასამართლო დაადგენს, რომ:

ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ.ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს.

მხარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში. მხარეთა მიერ ამ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში საჩივრის წარდგენის ვადა აითვლება აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით არბიტრაჟის მიერ გამოტანილი შესაბამისი გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარების მომენტიდან.

სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება, გარდა ამ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, დაუშვებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით, რომლითაც მხარემ მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა და რომელიც სასამართლომ არსებითი განხილვის შედეგად უარყო. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი არ დაიშვება, ხოლო თუ საჩივარი მიღებულია, მასზე საქმის წარმოება შეწყდება [96].

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე სასამართლო მსჯელობის დროს არ განიხილავს თვითონ საარბიტრაჟო დავას, არც მატერიალური სამართლის იმ ნორმას, რომელიც საფუძველად დაედო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებას. გადაწყვეტილების გაუქმების დროს სასამართლომ უნდა იმსჯელოს გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ასპექტებზე, რომლებიც შეეხება თვითონ დავის საარბიტრაჟო განხილვის დაწყების სამართლებრივ მხარეს. კერძოდ, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა იმსჯელოს იმ საპროცესო გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო საერთოდ მხარეებს შორის არსებული დავის არბიტრაჟში განხილვას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო განიხილავს მხოლოდ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს, რაც შეეხება უცხოეთში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, მათი გაუქმების უფლება ქართულ სასამართლოს არ აქვს. გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო არაუმეტეს 30 დღისა აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა.

პირველი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, არის პუნქტი, რომლის თანახმადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუქმება შესაძლებელია, თუ იგი ეწინააღმდეგება ე.წ. საჯარო წესრიგს. “საჯარო წესრიგის ცნება” ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლისათვის, მაგრამ მისი დეფინიცია არც დოქტრინით და არც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის [29, 444]. იგი გადაწყვეტილების გასაჩივრების, აგრეთვე მის ცნობასა და

აღსრულებაზე უარის თქმის ყველაზე ბუნდოვანი საფუძველია. მოდელური კანონი და ნიუ-იორკის კონვენცია შეიცავს საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის აკრძალვის მითითებას, როგორც სასამართლოს უკანასკნელ შესაძლებლობას უარი თქვას არასასურველი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. 1927 წლის ჟენევის კონვენცია შეიცავდა ჩანაწერს საჯარო წესრიგთან დაკავშირებით, „გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის დამატებით აუცილებელია: გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს და იმ ქვეყნის სამართლის ძირითად პრინციპებს, სადაც გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება იყო მოთხოვნილი [123].“ ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის ჩანაწერი ითვალისწინებს, მხოლოდ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის აკრძალვას, თუმცა არ მიუთითებს სამართლის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგობის აკრძალვასთან დაკავშირებულ დებულებას. იგი ამოღებული იქნა ბრაზილიელი დელეგატის მოსაზრების შესაბამისად. ვინაიდან მიჩნეული იქნა, რომ ძირითადი პრინციპების წინააღმდეგობაზე მითითება, უფრო ავიწროებდა საჯარო წესრიგის ცნებას [131].

კანონის ყველა ნორმის დარღვევა ან/და ადგილობრივ კანონთან ყველა შეუსაბამობა არ უნდა წარმოადგენდეს საჯარო წესრიგის დარღვევას. კონვენციის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულებით უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი იმპერატიული ნორმების დარღვევა. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს არ მოეთხოვება განსაზღვროს მთელი გადაწყვეტილება არღვევს თუ არა საჯარო წესრიგს, არამედ მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების აღსრულება თავისი ხასიათით საჯარო წესრიგის დარღვევაა.

საჯარო წესრიგის შესახებ მრავალი თეორია არსებობს და იგი ცალკე კვლევის საგანია. პროფესორი ბ. ზოიძე საჯარო წესრიგის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: „მასში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტალური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს“.

ნიუ-იორკის კონვენცია არ განმარტავს საჯარო წესრიგის ცნებას, რაც მის ერთ-ერთ სისუსტედ არის მიჩნეული. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო არის უფლებამოსილი, საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს საკუთარი საჯარო წესრიგი.

სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან თუ თეორიული მასალებიდან გამომდინარე, განისაზღვრა საჯარო წესრიგის თითქმის უნივერსალური დეფინიცია. “საჯარო წესრიგი წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ეკონომიკური, სამართლებრივი, მორალური, პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ფუნდამენტური სტანდარტების ერთობლიობას,” რაც უზარმაზარ სამართლებრივ სივრცეს მოიცავს.

საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საჯარო წესრიგის ნორმების მოქმედების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების დაცვაში, არამედ ასევე საჯარო სამართლის (მაგალითად ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის პოლიტიკური უფლებების) დაცვაში. ამრიგად, საჯარო წესრიგის ნორმები მოწოდებულია დაიცვას სასამართლოს ქვეყნის მართლწესრიგი უცხო ქვეყნის სამართლებრივი ნორმების მოქმედებისგან, რომლებიც ფუნდამენტურად შეუთავსებელია მასთან - ეკონომიკური, მორალური თუ პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე. სასამართლო მოწოდებულია უზრუნველყოს თავისი ქვეყნის ზემოთ აღნიშნული ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპების ხელშეუხებლობა - ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. სახელმწიფოთა მიერ ხორციელდებოდა საჯარო წესრიგთან დაკავშირებული პრაქტიკის განსხვავებული რეგულირება. თავად დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ მრავალი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონითაა გათვალისწინებული. სწორედ ასეთი მიდგომაა განსაზღვრული საქართველოს სკსკ-ის მე-5 მუხლით: „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს” [21, 95].

საჯარო წესრიგის დოქტრინით შვედური სამართალი უარყოფს უცხოური სამართლის დებულებების გამოყენებას, თუ მათი გამოყენება დაუპირისპირდება შვედეთის სამართლის სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს. უცხოეთის კერძო სამართლის დებულებები, რომლებიც აწესებს დისკრიმინაციას რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნის მიხედვით, ვერ იქნება გამოყენებული შვედეთში. რუსეთში საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა ერთ პუნქტშია გაერთიანებული რუსეთის სუვერენიტეტის დაცვისა და ამ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესების მოთხოვნებთან ერთად. გერმანიის სკსკ-ის მე-6 მუხლში, რომლის მიხედვითაც: „უცხო სამართლის ნორმა არ გამოიყენება, თუ მისი გამოყენება გამოიწვევს ისეთ შედეგს, რომელიც

შეუთავსებელია გერმანული სამართლის ძირითად პრინციპებთან. განსაკუთრებით იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ მისი გამოყენება შეუთავსებელია ძირითად უფლებებთან”.

საჯარო წესრიგის დაყოფა ხდება შემდეგნაირად: 1. ეროვნული, 2. საერთაშორისო, 3. ტრანსნაციონალური. ასევე, გამოყოფენ მატერიალურსა და საპროცესო - სამართლებრივ საჯარო წესრიგს.

ეროვნული ანუ ”შიდა” საჯარო წესრიგი მოიცავს სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული მორალისა და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს. იმპერატიული ნორმების გათვალისწინება ხდება ქვეყნის კანონმდებლობით, რათა დაცული იქნეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ინტერესები [9, 81-86].

საჯარო წესრიგის შინაარსი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. სახელმწიფო, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავს, თუ რა არის მისი კანონმდებლობის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პრინციპი [94, 20].

საერთაშორისო საჯარო წესრიგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: იგი წარმოდგენს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მორალისა და კანონის სავალდებულო ნორმების ერთობლიობას, და გამოიყენება იმ ურთიერთობების მიმართ, რომელშიც წარმოდგენილია საერთაშორისო ელემენტი. ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულების მხარეები სხვადასხვა ქვეყნიდან, ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართალი და აშ. საერთაშორისო საჯარო წესრიგი უფრო ვიწროა თავისი გაგებით და იგი უფრო ლიბერალურია, ვიდრე ეროვნული საჯარო წესრიგი, რომელიც ქვეყნის ეროვნული გადაწყვეტილების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული.

ყველაზე ბუნდოვანი და გაურკვეველი საკითხია ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის განმარტება. მასთან დაკავშირებული მოსაზრებები განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგოა. ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგი არ არის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იმპერატიული ნორმები, არამედ, მოიცავს ბუნებითი სამართლის ფუნდამენტურ წესებს, უნივერსალური სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლით გათვალისწინებულ წესებს, ცივილიზებული ერების მიერ ცნობილ ზოგად პრინციპებს -



მორალისა და საჯარო წესრიგის შესახებ, მორალის ზოგად პრინციპებს, როგორებიცაა კორუფციის, ნარკო-ტრეფიკინგის, ტერორიზმისა, კონტრაბანდის დაუშვებლობა და აშ. [21, 95].

ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგის ცნება მოიცავს ძირითადი წესებისა და პრინციპების ერთობლიობას, მათ შორის სტანდარტებს, ნორმებსა და ჩვეულებებს, რომელიც მიღებულია მსოფლიოს საზოგადოების მიერ. ასევე, ჩვეულებაზე დაფუძნებული სამართლის წესების ერთობლიობას, რომელიც არ არის სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ნაწილი, თუმცა იგი გამოყენებული უნდა იქნეს არბიტრის მიერ, რათა არ ითქვას უარი ცნობასა და აღსრულებაზე. აღნიშნული პრინციპები და წესები არ მიეკუთვნება არც საერთაშორისო და არც ეროვნულ სამართალს [9,88].

მთავარი განსხვავება ეროვნულ (ტრადიციულ) და ტრანსნაციონალურ საჯარო წესრიგს შორის არის ის, რომ პირველის მიზანია დაიცვას სასამართლო ქვეყნის სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, ხოლო მეორე მოწოდებულია დაიცვას ის ღირებულებები, რომლებიც საერთოა მოწინავე კაცობრიობისათვის (ანუ ცივილიზებული ერებისათვის) [21, 101].

საკმაოდ დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული ასევე, ტრანსნაციონალური და საერთაშორისო საჯარო წესრიგის განსხვავება. აღნიშნული საკითხი დავის საგანს წარმოადგენდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუმცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგი წარმოადგენს “შეთანხმების შედეგად მიღებულ ქვეყნის წესს”, ხოლო საერთაშორისო საჯარო წესრიგი “სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებსა და სტანდარტებს მოიცავს [94, 19]”.

პროფესორი პიერ ლალივე განმარტავს, რომ სახელმწიფოს საერთაშორისო საჯარო წესრიგი არის დადგენილი სავალდებულო წესები და ფუნდამენტური პრინციპები. მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაყიდვის აკრძალვა, თაღლითობა და კორუფციის გზით ჩადენილ მოქმედებათა აკრძალვა, მონობა და ემბარგოს ან სხვა სახის ეკონომიკური სანქციების დაწესება. არბიტრი ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელებისას გამოიყენოს საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილი საპროცესო ნორმები. კერძოდ, მხარეებს მიანიჭონ თანაბარი უფლება-მოვალეობები, მონაწილეობა მიიღონ საარბიტრაჟო წარმოებაში, წარმოადგინონ მტკიცებულებები. არბიტრი

ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება განახორციელოს დამოუკიდებლად და ობიექტურად. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგი მოიცავს შრომის სტანდარტებსა და ადამიანის უფლებათა დაცვას [12, 2].

პროფესორი კატერინა კესედჯიანი მიიჩნევს, რომ „არსებობს სახელმწიფოთა მიერ დადგენილი სოციალური კორპორატიული სტანდარტი“, რომელიც კომერციულ საწარმოებს უდგენს გარკვეულ სტანდარტებს გარემოს, შრომის პირობების დაცვასთან, კორუფციის აკრძალვასთან და თავისუფალი ბაზრის არსებობასთან დაკავშირებით. აღნიშნული სტანდარტი გათვალისწინებულია ან რატიფიცირებულია სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით. შრომით ურთიერთობებთან, გარემოს დაცვასთან ან სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები შეიძლება გამოყენებული იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ისინი გამოსაყენებელი სამართლის ნაწილია [12, 4].

სავაჭრო განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდება არბიტრაჟის როლი თანამედროვე კომერციულ ურთიერთობებში. უკანასკნელი ტენდენციის მიხედვით, კომერციულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებში შესაძლებელია სასამართლოთა ჩანაცვლება მოხდეს არბიტრაჟების მიერ. აღნიშნული ტენდენცია სავსებით მისაღებია სავაჭრო სუბიექტებისთვის, თუმცა ეს არ ნიშნავს, იმას, რომ ამით ხდება სასამართლოთა როლის მთლიანი გამორიცხვა. ბუნებრივია, ეს არც შეიძლება მოხდეს, ვინაიდან, არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხორციელდება სასამართლოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს გადაწყვეტილების სისწორე და ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას უარი თქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. აღნიშნული საფუძველი გათვალისწინებულია უნსიტრალის მოდელური კანონის 36-ე მუხლით. აღნიშნული ნორმის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო ვერ ჩაერეოდა არასასურველი გადაწყვეტილების შემოწმების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაყენებელი სამართალი არასწორად არის განსაზღვრული ან გამოყენებული არბიტრის მიერ, სასამართლოს გააჩნია დისკრეცია უარი განაცხადოს ამ გადაწყვეტილების აღსრულებაზე საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის არსებობაზე მითითებით. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არბიტრის უფლებამოსილების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ მხარეების მიერ საარბიტრაჟო შეთანხმებით არ არის განსაზღვრული გამოსაყენებელი სამართალი, არბიტრი უფლებამოსილია განსაზღვროს იგი.

საჯარო წესრიგის დიფერენცირება ხდება ასევე, მისი ბუნებიდან გამომდინარე. როგორც აღვნიშნეთ, საჯარო წესრიგი ქვეყნის კანონმდებლობის იმპერატიული ნორმების ერთობლიობას მოიცავს. საპროცესო-სამართლებრივი საჯარო წესრიგი დარღვეულად ითვლება, როცა საარბიტრაჟო წარმოების დროს დარღვეულია იმ ქვეყნის საპროცესო სამართლებრივი იმპერატიული ნორმები, სადაც, გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არის მოთხოვნილი. საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო სამართალწარმოება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებული იმპერატიული ნორმების დარღვევა საჯარო წესრიგის დარღვევაა. იგივე წესი ვრცელდება საარბიტრაჟო სამართალწარმოებაზე.

როგორც გიორგი ცერცვაძე აღნიშნავს, არბიტრაჟი ვალდებულია დავის განხილვისას დაიცვას სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ყველა პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს იტყვის კანონის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. საპროცესო სამართლებრივი საჯარო წესრიგი სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ყველა ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპის ერთობლიობაა. სახელმწიფო გადაწყვეტილების აღსრულებისას შებოჭილია საპროცესო სამართლებრივი საჯარო წესრიგის იმპერატიული ნორმებით და ვალდებულია დაიცვას „საპროცესო სამართლიანობის ფუნდამენტური ნორმები.“

ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო საპროცესო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებს არბიტრაჟთან დაკავშირებულ ურთიერთობას, ერთმანეთისაგან განსხვავებულია. საარბიტრაჟო პროცესებზე ერთგვარი კონტროლის დაწესების აუცილებლობა, ეწინააღმდეგება საერთაშორისო კომერციულ ინტერესებს და მხარეთა ავტონომიის ფარგლების შეზღუდვაა. საჯარო წესრიგი კი მიმართულია საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებთან დაკავშირებული კანონმდებლობის უნიფიცირებისა და ჰარმონიზაციისკენ.

საპროცესო სამართლებრივი საჯარო წესრიგის უმნიშვნელოვანესი ელემენტია სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელების შესაძლებლობის მინიჭება მხარისათვის. უნსიტრალის მოდელური კანონი “საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ”

ითვალისწინებს სავალდებულო ნორმას, რომ მხარეები თანასწორუფლებიანი არიან საარბიტრაჟო საქმის განხილვის დროს. თითოეულ მხარეს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს წარმოდგენილი იყოს საარბიტრაჟო საქმის განხილვისას. ამავე კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, “მხარეებს წინასწარ უნდა ეცნობოთ საქმის განხილვის შესახებ და უნდა მიეცეთ გონივრული ვადა საქმის სათანადოდ მოსამზადებლად.” ამავე კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, „ერთი მხარისათვის გადაცემული ყველა დოკუმენტი უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარეს“. არბიტრაჟთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული აქტი მოიცავს მხარის უფლებას მონაწილეობა მიიღოს საარბიტრაჟო განხილვაში, დროულად იქნეს ინფორმირებული არბიტრის დანიშვნისა და საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ, მიეცეს გონივრული ვადა წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება და შესაბამისი მტკიცებულებები საარბიტრაჟო სარჩელთან დაკავშირებით, დროულად გადაეგზავნოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა დოკუმენტი, საარბიტრაჟო განხილვისას წარმოდგენილი იქნეს ადვოკატის მიერ.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლოს პრაქტიკაში გამოყოფენ ასევე, მატერიალური საჯარო წესრიგის სახეს, რომელიც დარღვეულად ითვლება სახელმწიფოს მატერიალური სამართლის იმპერატიული ნორმების დარღვევის გამო. იგი დაკავშირებულია არბიტრაჟის მიერ გამოყენებული მატერიალური სამართლის ნორმებთან. მატერიალური საჯარო წესრიგი განმარტებულია, როგორც „კანონის იმპერატიული ნორმები, რომლებიც აწესრიგებს დავის საგანთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.“

დიდი ხნის განმავლობაში დავა მიმდინარეობდა იურისტებს შორის იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმებული სამართლის გამოუყენებლობა წარმოადგენდა თუ არა მატერიალური სამართლის ნორმებს. საჯარო წესრიგის პირობებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის შეთანხმებული გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება შეიცვალოს სასამართლოს ქვეყნის სავალდებულო ნორმებით ან უცხო ქვეყნის სამართლის სისტემით გათვალისწინებული სავალდებულო ნორმებით. ყველაზე ხშირად სავალდებულო ნორმების გამოყენებით ხდება გარემოს დაცვასთან, კონკურენციის სამართალთან, ემბარგოს გამოყენებასთან, გაკოტრების სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით დადგინდა, რომ არბიტრების მიერ იმ სამართლის გამოუყენებლობა, რომელიც მხარეებმა აირჩიეს, ან დავის გადაწყვეტა სამართლიანობის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, როცა მხარეებს არჩეული ჰქონდათ კონკრეტული სამართალი, არ ითვლება

მატერიალური საჯარო წესრიგის დარღვევად. არბიტრაჟის მიერ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ნორმის გამოუყენებლობა არა მატერიალური, არამედ საპროცესო სამართლებრივი საჯარო წესრიგის დარღვევაა. დერაინსი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული საფუძვლები არ მოიცავს გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის საკითხს.

რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მიჩნეულია, რომ კონკურენციის სამართალი იმპერატიული ნორმების ერთობლიობაა, რომელთა დარღვევაც საჯარო წესრიგის დარღვევაა. ევროკავშირის სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ევროკავშირის კონკურენციის სამართალი წარმოადგენს ევროპული შიდა ბაზრის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც გათვალისწინებულია ევროპის სადამფუძნებლო დოკუმენტის 81-ე მუხლში. აღნიშნული მუხლით იკრძალება წევრ სახელმწიფოთა შორის ნებისმიერი სახის კონკურენციის შეზღუდვა. ევროპული მართლმსაჯულების სასამართლო კონკურენციის სამართლის ნორმებს საჯარო წესრიგთან ათანაბრებს. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული დავები, თუმცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ უარი ეთქმება ნებისმიერი გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას, რომელიც 81-ე მუხლის დარღვევასთან არის დაკავშირებული.

მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ევროპული კანონმდებლობა უფრო მკაცრია. კერძოდ, ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი კრძალავს საარბიტრაჟო შეთანხმების დადებას მომხმარებელსა და კომერციულ პირს შორის. შესაბამისად, წევრი ქვეყნის სასამართლო ამგვარი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე ამბობს უარს საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაზე მითითებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, თუ რამხელა შინაარსისა და დატვირთვის შემცველია საჯარო წესრიგის ცნება. საქმე ისაა, რომ გასაჩივრების საფუძვლებში მასზე მითითებით შეიძლება როგორც დადებითი ტენდენციების შექმნა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების კუთხით, ასევე, ფაქტობრივად, არბიტრაჟის ინსტიტუტის დაკნინება ქვეყანაში, ვინაიდან ეს პუნქტი გვამლევს გასაჩივრებისა და გადაწყვეტილების გაუქმების ამოუწურავ შესაძლებლობას და ანგრევს შეხედულებას ერთ ინსტანციან საარბიტრაჟო წარმოებაზე. საინტერესოა რა ხდება ამ კუთხით საქართველოში. სააპელაციო სასამართლოების

პრაქტიკის შესწავლა - განზოგადების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო თვითონ ადგენს, როდის ჩაითვლება საჯარო წესრიგი დარღვეულად [29, 445].

საპროცესო საჯარო წესრიგთან მიმართებით მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება. პალატამ განმარტა, რომ საჯარო წესრიგის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართად თუნდაც რეგისტრირებული იურიდიული მისამართის მითითება, რომელზეც მოპასუხეს არ ბარდება არბიტრაჟის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია, არ ათავისუფლებს საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისთვის ცნობილი მოპასუხის ფაქტობრივი მისამართის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით შეტყობინების ვალდებულებისაგან. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხედ იურიდიული პირის მითითების შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უნდა მოეთხოვოს ყველა შესაძლო რეკვიზიტის მითითება. ამასთანავე, იურიდიული პირის შემთხვევაში, გარდა მისი იურიდიული მისამართისა, ხელმისაწვდომია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობის დადგენა და მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მათი მონაცემებიც მოიძიოს და მიუთითოს არბიტრაჟს. შესაბამისად, საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე არბიტრაჟმა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს იურიდიული პირისა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საკონტაქტო მონაცემების მითითება და მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია იმსჯელოს საჯარო შეტყობინების გამოყენების აუცილებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიუთითა მოპასუხის მხოლოდ იურიდიული მისამართი, თუმცა საქმის მასალებიდან დგინდება, რომ სადავო ხელშეკრულებაში მოპასუხის იურიდიული მისამართის გარდა მითითებულია აგრეთვე დირექტორის მისამართიც, რომელზედაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა კორესპონდენცია უნდა გადაგზავნილიყო. ამდენად, პალატის აზრით, საარბიტრაჟო მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა, რომ მოპასუხეს იურიდიულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა, ასევე იცოდა მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის თაობაზე, თუმცა ამის შესახებ არ აცნობა არბიტრაჟს და შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალურად მოპასუხის იურიდიული მისამართის მითითებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული საარბიტრაჟო სხდომის თაობაზე, რის გამოც არბიტრაჟი არ იყო უფლებამოსილი მიეღო

გადაწყვეტილება მხარის დასწრების გარეშე. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, რის გამოც განმცხადებელს უარი უთხრა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე [102].

ასევე მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება. პალატამ განმარტა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ცხადი ხდება, რომ არბიტრაჟს არ გამოურკვევია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობა, შესაბამისად არბიტრაჟი ვალდებული იყო საარბიტრაჟო წარმოებისას მხარედ მოეწვია უძრავი ნივთის მესაკუთრე, ვინაიდან გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. სააპელაციო პალატის მიერ არბიტრაჟიდან გამოთხოვილი მასალებით კი ირკვევა, რომ არბიტრაჟს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრისათვის არ გაუგზავნია შეტყობინება და არ უცნობებია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმართ საარბიტრაჟო წარმოების დაწყებისა და შესაძლო რეალიზაციის თაობაზე. პალატამ ასევე მიუთითა, რომ არ ეცნობა რა მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმართ საარბიტრაჟო წარმოების დაწყების თაობაზე, ამით დაირღვა საჯარო წესრიგი- საქართველოს კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი ნორმები და მოთხოვნები. კერძოდ, დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით დაცული პირის საკუთრების უფლება, რადგან აღსრულება მიექცა უძრავ ნივთზე ისე, რომ მესაკუთრისათვის არაფერი იყო ცნობილი ამის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მისთვის შეტყობინებას კი შეიძლება გამოეწვია ის შედეგი, რომ მესაკუთრე ისარგებლებდა სსკ-ის 292-ე მუხლით მინიჭებული უფლებით, კერძოდ, უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს. ამდენად, პალატის აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეული იქნა “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.ბ ქვეპუნქტი, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია [101].

მეტად საინტერესოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება. პალატამ განმცხადებლის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ სადავო უძრავი ქონება მამკვიდრებლის საკუთრებაში არც ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში და არც საჯარო რეესტრში

რეგისტრირებული არ ყოფილა; ამიტომ ასეთი ქონების თაობაზე მემკვიდრეთა შორის დავის განხილვა და მასზე უფლების დადგენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლომ სრულიად მართებულად მიიჩნია, რომ ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ისეთ ქონებაზე დავის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, რაც არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა საკუთრება, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს [29, 446], [117].

სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმის დარღვევით მიღებულ გადაწყვეტილებაზე მიუთითა სააპელაციო სასამართლომ და მიიჩნია, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს. სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შესაძლებელი იყო მხოლოდ დადგენილი ყოფილიყო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე და აღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაციით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება [100].

სამართლიანი იყო თუ არა სასამართლოების განჩინება აღნიშნულ მაგალითებში, მართლმსაჯულების საკითხია. უფრო საინტერესოა ფაქტი, რომ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით გაუქმებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა რიცხვი საკმაოდ დიდია. არ მიგვაჩნია სწორად, აღნიშნული ტერმინის განმარტების ტვირთი მხოლოდ სასამართლოებს დავაკისროთ. კანონი ან სასამართლო პრაქტიკა უფრო ზუსტად უნდა არეგულირებდეს ამ სფეროს, ვინაიდან, გარკვეულწილად გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზეა დამოკიდებული არბიტრაჟების განვითარების ბედი საქართველოში. რეკომენდაციებზე საჯარო წესრიგის ცნების დაზუსტების კუთხით ქვემოთ გვექნება საუბარი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის მიძღვნილ 42-ე მუხლში კანონმდებელს ჩადებული აქვს კიდევ ერთი სადავო პუნქტი, კერძოდ: „გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა უმეტეს 30 დღით, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა“. ერთი მხრივ, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს არბიტრაჟის მოქნილ და ეფექტურ ფუნქციონირებასა და გადაწყვეტილების სწრაფად სისრულეში მოყვანას, მაგრამ მეორე მხრივ, რა ხდება, თუ



გადაწყვეტილების აღსრულება განხორციელდა და შემდგომ სასამართლომ გააუქმა იგი? საკითხი რთულდება, როცა საქმე ეხება დიდ საერთაშორისო კომპანიებს შორის დავას, მსხვილ გადარიცხვებს, საწარმოო ნედლეულის მიწოდებასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს. როგორ უნდა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და შესაძლო ზარალის გამოთვლა - ანაზღაურება. ხომ არ ჯობია მოსარჩელეს მივცეთ საშუალება თავის თავზე აიღოს აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებული რისკი და აღსრულება შეჩერდეს?

ეს საკითხი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარადაა მოწესრიგებული. ერთნი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში მისი ავტომატურად შეჩერების მომხრეები არიან გადაწყვეტილების გამოტანამდე, მეორენი თვლიან, რომ ამით აღსრულების ეფექტურობა იკლებს და სჯობს ეს პროცესი მიმდინარეობდეს. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით შემუშავებულ რეკომენდაციას ამ საკითხის თაობაზე დასკვნაში გაგაცნობთ.

### 3.6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება და მასზე უარის თქმის საფუძვლები

დავების გადაწყვეტის საარბიტრაჟო მექანიზმის შემადგენელი ნაწილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხები. არანაირი აზრი არ ექნებოდა დავის საარბიტრაჟო განხილვას, რომ არ არსებობდეს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიები [20, 90].

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, მხარეები ასრულებენ ნებაყოფლობით, ისე რომ, სასამართლო ხელისუფლების ჩართვის საჭიროება არ დგება. საწინააღმდეგო შემთხვევაში საჭირო ხდება სახელმწიფო სასამართლოს მიერ მისი აღსრულების აუცილებლობა. მართალია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მხარეების მიმართ გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილებასთან გათანაბრებული სამართლებრივი ძალა, თუმცა თავად არ შეუძლია იქონიოს აღსრულების უფლებამოსილება. ეს იმიტომ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მართალია უთანაბრდება სასამართლო გადაწყვეტილებას, იგი არ არის სუვერენული სამართლებრივი აქტი. ეს ეხება როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს.

აღსრულების პროცესი სხვა არაფერია, თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის პროცესი, რომელიც თავისთავად აღსრულების წინაპირობაა. უცხოური სასამართლო აქტის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება არ არის მიზანშეწონილი მისი საფუძვლიანი გადამოწმების გარეშე. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად აღმოცენდა აღიარების ანუ ცნობის ინსტიტუტი. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ცნობის კონცეფცია: იგი, როგორც წესი, ხორციელდება ავტომატურად, ანუ საკუთრივ ცნობის პროცედურის გარეშე იმ მოსამართლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია, დავა განიხილოს. ეს ნიშნავს, რომ უცხოური სასამართლო აქტიდან გამომდინარე, ის საპროცესო შედეგები, რომლებსაც ითვალისწინებს აღსრულებადად გამოცხადების განმახორციელებელი სახელმწიფოს სამართალიც და რომლებიც, შესაბამისად, ცნობას ექვემდებარება, პრაქტიკულად ავტომატურად ვრცელდება ამ ე.წ. „მეორად ქვეყანაზე“. უცხო ქვეყანაში სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადობის ფაქტი, ყველა სამართლის მიხედვით, წარმოადგენს სწორედ ისეთ საპროცესო შედეგს, რომელიც მეორად სახელმწიფოში ცნობას არ ექვემდებარება [3, 116-117]. ცნობა და აღსრულება ერთ გადაწყვეტილებაში ხდება. თუმცა გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს აღსრულების გარეშე, აღსრულება თავის თავში გულისხმობს მის ცნობასაც.

როგორც წესი, გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები ერთნაირია. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და მისი აღსასრულებლად მიქცევა ნიშნავს, რომ უარის თქმის საფუძვლები არ არსებობს, აქედან გამომდინარე, არც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები შეიძლება არსებობდეს. ამ პროცესში გასაჩივრების მაგივრად ხდება დადგენა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარე მიმართავს სასამართლოს არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად, არამედ ადასტურებს მის სავალდებულო ძალას [80, 357].

იურიდიულ ლიტერატურაში არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობას განმარტავენ, როგორც სასამართლოს დასტურს, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეებისათვის. ის განიხილება, როგორც აღსრულების სამართლებრივი წინაპირობა. კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგი კი მხარეებისათვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს. სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან ერთად ადასტურებს ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობასაც.

სწორედ ამიტომ, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლოებს ერთდროულად მიენიჭა არბიტრაჟის გადაწყვეტილების როგორც ცნობის, ისე აღსრულების კომპეტენცია [29, 442].

ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ 1927 წლის ჟენევის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ [123]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას არ მოჰყვა ფართო გამოყენება, რადგან სახელმწიფოებს კვლავ დარჩათ ფართო უფლებამოსილება თავად განესაზღვრათ, თუ უცხოეთში გამოტანილი რომელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ექვემდებარებოდა მათ ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას [7, 51]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნიუ - იორკის კონვენციის წევრი ქვეყნა გახდა 1994 წელს, 2009 წლამდე ვერ მოხერხდა მისი რატიფიცირება. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ცნობა და აღსრულება“, ფაქტობრივად, არბიტრაჟის შესახებ ამჟამად მოქმედმა კანონმა დაამკვიდრა. 1997 წლის კანონი “კერძო არბიტრაჟის შესახებ” მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ, ეროვნული არბიტრაჟის საქმიანობას აწესრიგებდა და არ ითვალისწინებდა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონის პრინციპებსა და წესებს. შესაბამისად, ახალი კანონის ამოქმედებამდე, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული აქტი არ არსებობდა. რაც შეეხება შიდა რეგულირებას, არბიტრაჟებს მინიჭებული ჰქონდათ მეტად ფართო უფლებები. მათ არ სჭირდებოდათ სახელმწიფო სასამართლოების დასტური თავიანთი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად. აღნიშნულმა უკონტროლო სიტუაციამ სავალალო პრაქტიკამდე მიგვიყვანა. იმართებოდა ფიქტიური საარბიტრაჟო პროცესები, გაჩნდა კორუფცია, რასაც მოჰყვა გახმაურებული პროცესები, როდესაც დადგა ზოგიერთი არბიტრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ირღვეოდა მხარეთა არა მარტო საპროცესო უფლებები, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებიც. სწორედ ამიტომ, რომ “არბიტრაჟის შესახებ” ახალმა კანონმა გააფართოვა სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით [29, 442]. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამჟამად მოქმედ კანონში კანონმდებელმა ჩადო კონტროლის მექანიზმი, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სასამართლოს მიერ მისი ცნობაა

საჭირო. მივესალმებით ფაქტს, რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა ბოლო მოუღო მახინჯ პრაქტიკას.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას ეხება “არბიტრაჟის შესახებ” კანონის 44-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, საქართველოში გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლო. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ მხარე თავისი ნებით არ ასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად, დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფილია მის სასარგებლოდ გამოტანილი ასეთი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, რის გამოც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მოცემული ორგანო კერძო სამართლის სუბიექტების დარღვეული უფლების დაცვის საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს [29, 442].

“არბიტრაჟის შესახებ” კანონის შესაბამისად, შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, 2009 წლის 19 ივნისს ამ კოდექსს დაემატა მეშვიდე პრიმა კარი “სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში”. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით ერთმანეთისგან გამიჯნულია პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების უფლებამოსილებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე [29, 443].

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფორმით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე განჩინებასთან ერთად მხარეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი [29, 444]. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ განჩინებაზე საკასაციო ან კერძო საჩივარი არ დაიშვება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება

სააკელიციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი (საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებებისთვის) ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება არ არის შესრულებული ქართულ ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ასევე ქართულ ენაზე ამ საბუთების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

მხარეს, რომელსაც დაეკისრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა უმეტეს 30 დღით, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას, თუ სასამართლო მოახდენს ცნობასა და აღსრულებას. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძველები. 2009 წლამდე უცხო ქვეყნის სასამართლოსა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა ხდებოდა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. ამ კანონის 68-ე მუხლი ითვალისწინებდა გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებებს, თუმცა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ნორმების გათვალისწინება მოხდა “არბიტრაჟის შესახებ” ახალი კანონით. ამგვარად, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობით ხდება უცხოური აქტის შეყვანა, დაქვემდებარება მეორე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში [16, 13].

როგორც წესი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ექვემდებარება ნებაყოფლობით აღსრულებას [88 132]. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულება ერთ-ერთი საფუძველია, რომლის გამოც საერთაშორისო სფეროში ხშირად საარბიტრაჟო შეთანხმებას აფორმებენ. არბიტრაჟის უნარიანობა, როგორც წესი, დარეგულირებულია სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით, თუმცა მისი გადაწყვეტილების სავალდებულო ძალის გავრცელება არ არის დამოკიდებული ორმხრივობაზე [82, 182].

გერმანული სამართლის მიხედვით, აუცილებელია ე.წ. აღსრულებაუნარიანად გადაწყვეტილების აღიარება. გერმანიაში ქვეყნის შიგნით მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო ცნობა არ ხდება. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 1060 პირველი აბზაცი იცნობს მხოლოდ აღსრულების პროცესს [25, 546]. გერმანიაში სასამართლო ცნობა ხდება მხოლოდ ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისა.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საფუძველია მისი სასამართლოსმიერი დადასტურება.

ცნობას არ გააჩნია ფორმა. იგი გვხვდება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს შინაარსის საჭიროება [80, 357]. შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე იურიდიული ძალის მინიჭება დამოკიდებულია სახელმწიფო სასამართლოს მიერ კონტროლის განხორციელებაზე [75, 43].

ინგლისური სამართალი ყველაზე ახლოს დგას საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელიც იმეორებს ნიუ-იორკის კონვენციის ნორმებს. საქართველოს ახალი კანონი არბიტრაჟის შესახებ, განსხვავებით ძველი კანონისგან, ითვალისწინებს, როგორც ქვეყნის შიდა არბიტრაჟების, ისე უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, რომლის მიხედვით სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის გზით უნდა მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

თბილისის სააკველაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ცნობასა და აღსრულებაზე განცხადება, რადგან წარმოდგენილი განცხადებისა და საქმის მასალების მიხედვით მიიჩნია, რომ არსებობს

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი საფუძველი, რადგან საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის საგანს და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

ისევე, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების დროს სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი მხარე, ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ ცნობისა და აღსრულების განხილვის დროს არ ხდება იმ მატერიალური სამართლის ნორმების განხილვა, რომელიც გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად [72, 207]. აქ განიხილება მხოლოდ პროცესუალური მხარე, გადაწყვეტილების შესაბამისობა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ერთ-ერთ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მართლზომიერია კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის მოპასუხეებისათვის დაკისრების ნაწილში, რაც შეეხება ჯარიმის დაკისრებას 3962,70 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს სესხის დაფარვის გრაფიკის შესრულების ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებულ ჯარიმას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის 1%-ის ოდენობით, იგი ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილი კანონის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად, საჯარო წესრიგს. პალატის მოსაზრებით, ჯარიმის გონივრულ ოდენობად უნდა იქნეს მიჩნეული დაკისრებული თანხა 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიჩნეულ იქნა რა, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2010 წლის 04 ივნისის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოპასუხეთათვის 2962,70 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის ნაწილში ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, შუამდგომლობას აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დასახელებულ ნაწილში უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს [116].

სხვა საქმეში სამოქალაქო საქმეთა პალატა გაეცნო განმცხადებელის განცხადებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ და მიიჩნია, რომ არსებობს შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი საფუძველი, რადგან საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა

წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის საგანს და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს [112] [114].

უცხო სახელმწიფოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა. ყველა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც არ არის ქვეყნის შიგნით მიღებული, უცხოურია [80, 338]. უცხოურად ითვლება იმ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობს [14, 162]. როგორც წესი, შიდა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურა მსგავსია უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისა.

გერმანული სამართალი იცნობს ე.წ. კუმულატიურობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს მეორე სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ იმ სამართლებრივი შედეგების ცნობას, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობით არის დასაშვები. მხარეები ხშირად მიმართავენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა დაადასტუროს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება. ამ დროს დგება საკითხი, რომელი გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, საარბიტრაჟო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადასტურდა. გერმანიის უზენაესი სასამართლო მიემხრო დოქტრინაში რ. შლოსერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც კრედიტორს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება, რათა თვითონ გადაწყვიტოს, რომელს წარადგენს აღსასრულებლად. ფ. შვაბი, ვოლტერი და შუტცე ეწინააღმდეგებიან ამ მოსაზრებას რამდენიმე არგუმენტის გამო. ჯერ ერთი, ამ დროს ყოველთვის იქმნება ე.წ. ორმაგი აღსრულების საფრთხე, კრედიტორის მიერ ორივე მათგანის წარდგენის შემთხვევაში, და მეორეც, სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურა და უარის თქმის საფუძველები ერთნაირი არ არის. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე ვერ იქნება უარი ნათქვამი იმ საფუძველით, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც იყო მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არ იყო ნამდვილი და ა.შ. [25, 547-548].

ამერიკაც იცნობს აღნიშნულ ინსტიტუტს. ის გამოიყენება ქვეყნის შიგნით შტატებს შორის და ასევე უცხოური გადაწყვეტილების აღსრულების დროსაც. ანუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება



წარედგინება მისი გამოტანის ადგილის მიხედვით შტატის სასამართლოს, რომელიც დაადასტურებს მას. სხვა შტატის სასამართლო აღსასრულებლად მიაქცევს არა უშუალოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება იქნა დადასტურებული.

ხშირ შემთხვევაში, წაგებული მხარე ემორჩილება არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, ასე, რომ გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობა არ არსებობს. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც მხარეებს შეაქვთ მუხლი არბიტრაჟის შესახებ საერთაშორისო კონტრაქტებში, მდგომარეობს მისი გადაწყვეტილების აღსრულების დიდ ალბათობაში. აღსრულების დიდი ალბათობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ მრავალმა ქვეყანამ მოაწერა ხელი საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც მხარს უჭერენ გადაწყვეტილების აღსრულებას.

არბიტრაჟთან დაკავშირებული პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია 1923 წლის ჟენევის ოქმი საარბიტრაჟო დათქმების შესახებ [122], ხოლო 1927 წელს მიღებული იქნა უფრო სრულყოფილი ჟენევის კონვენცია [123], რომელიც ითვალისწინებდა დავის განხილვას სხვადასხვა სახელმწიფოში დომიცილებულ მხარეებს შორის. იგი ითვალისწინებდა ე.წ. „ორმაგი ეგზეკუტურის“ პრინციპს, რომლის შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებლად იყო მიჩნეული ეგზეკუტურის (გადაწყვეტილების იურიდიული ძალის აღიარება და ნებართვა მის აღსრულებაზე) მიღება იმ სახელმწიფოს სასამართლოსაგან, რომლის ტერიტორიაზეც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ხოლო ამის შემდეგ ეგზეკუტურა უნდა გაცემულიყო იმ სახელმწიფოს სასამართლოს მიერაც, რომელშიც მოითხოვებოდა გადაწყვეტილების აღსრულება [123].

ჟენევის კონვენციის არაეფექტურობის გამო აუცილებელი გახდა მისი გადახედვა და უფრო მოქნილი ნორმების მიღება. სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ მოითხოვა ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. კონვენციის მიღებამდე სახელმწიფო შიდა კანონმდებლობის შესაბამისად ახდენდა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას. საერთაშორისო სტანდარტის არარსებობის გამო, დავის მონაწილე მხარეს არ გააჩნდა უფლების რეალიზებისა და ინტერესების დაცვის ეფექტური გარანტია.

არბიტრაჟთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებასთან დაკავშირებით მუშაობა შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, რომელიც მიმართული იყო კანონმდებლობის უნიფიკაციასთან. საერთაშორისო სამართლის ასოციაციის მიერ შემუშავდა ე.წ „კოპენჰაგენის წესები“, რომელიც მოიცავდა საერთაშორისო დონეზე გამოსაყენებელი საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო რეგლამენტის მოდელებს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი, რომელიც არბიტრაჟთან დაკავშირებით არის მიღებული, ეს არის 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია “უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ”. აღნიშნული კონვენციის მიხედვით, ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოახდინოს ამ კონვენციით დადგენილი წესების შესაბამისად. კონვენცია ძალაში შევიდა 1959 წლის 7 ივნისს, მესამე სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების მომენტიდან, ხოლო მე-7 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ახალი კონვენციის მიღებამ გამოიწვია ჟენევის კონვენციისა და ჟენევის ოქმის ძალადაკარგულად გამოცხადება ამ კონვენციის ხელისშემკვრელი მხარეებისთვის, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ის სავალდებულო გახდა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსათვის [131].

ნიუ-იორკის კონვენცია განსაზღვრავს, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ გადაწყვეტილებათა მიმართ, რომელთა ცნობა და აღსრულება მოთხოვნილია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და ამასთანავე, იმ გადაწყვეტილებათა მიმართ, რომელიც იმ ქვეყნის შიდა გადაწყვეტილებას არ წარმოადგენს, სადაც ცნობა და აღსრულება არის მოთხოვნილი. ნიუ-იორკის კონვენცია ერთგვარი სახელმძღვანელოა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში. გაეროს კონვენცია გახდა საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის სფეროში ურთიერთობების მოწესრიგების „ცენტრალური სამართლებრივი ინსტრუმენტი“. იგი ერთგვარად მსოფლიო სამართალსაც კი წარმოადგენს, რადგან მის ნორმებს ითვალისწინებენ საარბიტრაჟო სასამართლოები ყველა კონტინენტზე” [16, 26]. ამ კონვენციის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება შესაძლებელია ნაცვალგების პრინციპის დაცვის გარეშეც, ანუ ისე, რომ ეს დამოუკიდებელია უცხო ქვეყანაში ანალოგიური მოქმედების განხორციელებისგან. ასეთი ნორმა არ გვხვდება სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონებში უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ [16, 27].

ნიუ-იორკის კონვენცია, რომელიც ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებად ითვლება [5, 78], თავად ითვალისწინებს, სახელმწიფოთა მიერ განსახორციელებელი მოქმედებების ჩამონათვალს. კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით, “ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მას წინამდებარე კონვენციის მუხლების გათვალისწინებით, იმ ტერიტორიის საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია. არ შეიძლება დაწესებული იქნას არსებითად უფრო მეტი დამაბრკოლებელი პირობები, ან უფრო მაღალი ბაჟი, ვიდრე შიდა გადაწყვეტილების აღსრულებისას.

კონვენცია უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტია საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში. კომერციული ურთიერთობათა განვითარებამ და გაღრმავებამ არბიტრაჟის განვითარება გამოიწვია. კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნა კონვენციით დადგენილი სავალდებულო ნორმები.

“არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი ნოვაციის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სასამართლოს უშუალო კონტროლს დაექვემდებარა. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების იურიდიული შედეგი მხოლოდ ამ მოქმედების შემდეგ შეიძლება დადგეს. ახალი კანონის შესაბამისად, სასამართლო ახდენს გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი. “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლისა და ნიუ-იორკის კონვენციის მეხუთე მუხლის შესაბამისად, “მხარეს შეიძლება უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე” მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: განმარტებას საჭიროებს ტერმინი - “შეიძლება უარი ეთქვას” - კანონში არსებულ ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენს, თუ მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას რომელიმე საფუძველის არსებობისას უარი განაცხადოს აღსრულებაზე ან აღსრულოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ამასთან დაკავშირებით მოსაზრება, რომ ამგვარი განმარტება მხოლოდ ტექნიკური შეცდომაა. ნიუ-იორკის კონვენციის ოფიციალური ავთენტური თარგმანი არსებობს ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ჩინურ და რუსულ ენებზე. თითოეული მათგანი თანაბარი ძალის მქონეა. ამ მუხლთან დაკავშირებული ჩანაწერი ინგლისურ და ფრანგულ ენებზე არსებულ დოკუმენტში ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, ინგლისური თარგმანი ითვალისწინებს დისკრეციულ ჩანაწერს, რომ მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, ხოლო ფრანგული ტექსტი გამორიცხავს ამგვარ დისკრეციას და სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას ყოველგვარი დისკრეციის გარეშე კონკრეტული საფუძვლის არსებობისას უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. სასამართლოსათვის დისკრეციის მინიჭება, ვფიქრობ, ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს, მივიჩნევ, რომ კონვენციით გათვალისწინებულია სასამართლოს ვალდებულება არ მოახდინოს კანონის დარღვევით მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული საფუძველები არსებობს. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას მოკლებულია შესაძლებლობას გასცდეს კანონით გათვალისწინებულ საფუძველებს და ცნობასა და აღსრულებაზე უარი განაცხადოს სხვა საფუძველზე მითითებით. აღნიშნულიც არბიტრაჟის ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა განვიხილოთ, რადგან სასამართლოს მოქმედების ფარგლები საკმაოდ შეზღუდულია. ვფიქრობ, აღნიშნული მხარის ინტერესის დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

კანონი უარის თქმის საფუძველებს ორ ჯგუფად ყოფს. პირველი ჯგუფში ჩამოთვლილია ის საფუძველები, როცა მხარეს ენიჭება უარის თქმის საფუძველზე მითითებისა და მისი მტკიცების ტვირთი. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს იმ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, სადაც დამარცხებული მხარე ვერ ახდენს უარის თქმის საფუძვლის მითითებას და ამ გარემოების სათანადოდ მტკიცებას. დამარცხებული მხარე ვალდებულია, სათანადო მტკიცებულებისა და ფაქტობრივი გარემოებების მითითებით დაამტკიცოს უარის თქმის რომელიმე საფუძვლის არსებობა. მეორე პუნქტით გათვალისწინებული საფუძველების მითითება და გამოკვლევა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს.

“არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლით განსაზღვრულია უარის თქმის საფუძვლები, რომლებიც იდენტურია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების საფუძვლებისა, იმ განსხვავებით, რომ ჩამატებულია მნიშვნელოვანი პუნქტი: იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში, ანდა გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი.

ცნობასა და აღსრულებაზე უარის საფუძვლების უკეთ გასაანალიზებლად სასურველია გადავხედოთ სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკას:

2012 წლის 3 აპრილს თბილისის სააპელაციო პალატას განცხადებით მომართეს სს ბანკი „რესპუბლიკის“ წარმომადგენლებმა და შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოითხოვეს. სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: გენერალური ხელშეკრულების იმ მუხლში, სადაც დავების გადაწყვეტის წესი იყო გაწერილი, დავის განმხილველი კონკრეტული არბიტრაჟი მითითებული არ იყო; ასევე, საარბიტრაჟო საქმის მასალების მიხედვით, მართალია, მხარეებს საარბიტრაჟო სასამართლოს უწყება ჩაბარდათ, თუმცა, მოპასუხეები სხდომაზე არ გამოცხადებულან და საარბიტრაჟო სასამართლომ საქმე მოპასუხეთა დასწრების გარეშე განიხილა. სს ბანკი „რესპუბლიკის“ საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული იყო, რომ მხარეთა შორის არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება დავის - შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ.

ამდენად, სასამართლომ წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ცნობა-აღსრულების შუამდგომლობაზე თანდართულ მასალებში და საარბიტრაჟო საქმის დედნებში მხარეთა შეთანხმება საქმის შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე არ მოიპოვებოდა, ამასთან, არ არსებობდა მხარეთა მიერ არბიტრაჟის კომპეტენციის დამადასტურებელი კონკლუდენტური მოქმედების ამსახველი მტკიცებულება, მაგალითად, სხდომაზე გამოცხადება და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობა. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ არ არსებობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და

აღსრულების სამართლებრივი საფუძველი. სასამართლო განმარტავს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად, თუმცა, თავისი იურიდიული ბუნებით, განსხვავდება ტიპური ხელშეკრულების პირობისაგან. მხარეები ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობლივად და თანასწორად წყვეტენ არსებულ თუ სამომავლოდ შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანაბარ საწყისებზე შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე.

ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა. ანალიზი ცხადყოფს, რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილ ნებას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი, განიხილოს დავა, მით უმეტეს, თუ საარბიტრაჟო წესით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარე მონაწილეობას არ იღებს. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიერ მხარეს უარი ეთქვა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

სხვა მიზეზით უარის თქმის შემთხვევის განსახილველად მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს „თერმას“ წარმომადგენელმა და შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოითხოვა. სასამართლომ განიხილა რა წარმოდგენილი განცხადება, საქმის მასალები, საარბიტრაჟო საქმის დედნები, მიიჩნია, რომ შპს „თერმას“ დირექტორს, მამუკა ჯიბუტს უარი უნდა ეთქვას განცხადების წარმოებაში მიღებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: განსახილველ შემთხვევაში, შპს „თერმას“ წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ საქმის

მასალებში არ იყო საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის ოქმი, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „თერმას“ საარბიტრაჟო სარჩელი სს „პარკ პლეისის“ წინააღმდეგ განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით, ზეპირი მოსმენის წესით. განსახილველ საქმეზე სხდომის ჩატარება დასტურდებოდა ასევე შპს „თბილისის საარბიტრაჟო პალატის“ გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილით, დგინდებოდა, რომ შპს „თერმას“ სარჩელის განხილვა სხვადასხვა საფუძველით რამდენჯერმე გადაიდო, შესაბამისად, საარბიტრაჟო საქმის მასალებს უნდა ერთვოდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე სხდომის ოქმი.

სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საარბიტრაჟო საქმის დედნებში საქმის ზეპირი განხილვის ამსახველი სხდომის ოქმები წარმოდგენილი არ იყო, ამიტომ შეუძლებელია სასამართლოს მხრიდან იმის შემოწმება, ხომ არ არღვევს არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჯარო წესრიგს.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, არ აკმაყოფილებდა აღნიშნული განცხადების დასაშვებობის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ წინაპირობებს, რის გამოც, შპს „თერმას“ დირექტორს, მამუკა ჯიბუტს, უარი ეთქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

აღნიშნული მაგალითებიდან ცხადი ხდება, თუ რამდენად ფრთხილად უნდა იყოს არბიტრაჟი, რათა არ დაუშვას ხარვეზიანი პროცესის წარმოება. კანონმდებლობაში მითითებული თითოეული საფუძველი შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის მიზეზი სააპელაციო სასამართლოს მხრიდან. გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა კი აზრს უკარგავს მთელ საარბიტრაჟო წარმოებას და მის უპირატესობებს უარყოფით მხარეებად აქცევს. ბუნებრივია, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებიდან აქაც წინ წამოიწევეს „საჯარო წესრიგის“ ცნების ბუნდოვანებასთან და აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებული საკითხები.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არბიტრაჟი ატარებს კერძო ხასიათს და შესაბამისად მხარეებმა უნდა მიმართონ სასამართლოებს საარბიტრაჟო შეთანხმებების და

აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის. აქედან გამომდინარე, რეალურად საარბიტრაჟო პროცესს არ აქვს ძალა სასამართლოს მხარდაჭერის გარეშე. ყოველივე ეს განმარტავს, თუ რატომ არ არის დაინტერესებული ზოგიერთი ქვეყანა საერთაშორისო არბიტრაჟით, და ეს ხდება მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი სასამართლო სისტემა არ უჭერს მხარს არბიტრაჟს. სწორედ ამავე მიზეზის გამო 1998 წელს ბელგია იძულებული გახდა გადაეხედა სასამართლოს არბიტრაციის პროცესში ჩართულობის პოლიტიკისათვის.

ის ფაქტი, რომ სასამართლოს გარეშე არბიტრაჟი არაეფექტურია, კიდევ უფრო მყარდება პაკისტანის მაგალითის საფუძველზე, რომელიც შედარებით ნაკლებად განვითარებულია საერთაშორისო არბიტრაჟში. SGS-ის პაკისტანის წინააღმდეგ საქმეში, პაკისტანის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც SGS-ს აეკრძალა ICSID-სში წარმოებაში მიღებული საარბიტრაჟო პროცესის გაგრძელება [143]. ასევე, Hubco-ს WAPDA-ს წინააღმდეგ საქმეში, იმავე სასამართლომ მიიღო საჩივარი, რომელიც აღძრული იყო პაკისტანის სასამართლოში [139], მაშინ, როდესაც ლონდონში მიმდინარეობდა საერთაშორისო ვაჭრობის პალატის არბიტრაჟი. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ სასამართლოს მხარდაჭერის გარეშე პაკისტანში არბიტრაჟი ვერ განვითარდა [60, 412-413]. სახელმწიფოებსა და კერძო კომპანიებს შორის საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდა მოითხოვს საერთაშორისო საარბიტრაჟო პროცესის მეტ ეფექტურობას, გამოსავალი მდგომარეობს ეროვნული საარბიტრაჟო კანონმდებლობის რეფორმირებასა და ეროვნული სასამართლოს სენსიბილიზაციაში საარბიტრაჟო პროცესის მიმართ, რის გარეშეც არბიტრაჟი კვლავ არაეფექტური იქნება, განსაკუთრებით ეკონომიკის განვითარების პირობებში.

## **თავი IV სახელმწიფო სასამართლოს როლი საარბიტრაჟო სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე**

### **4.1. არბიტრაჟებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთობის ზოგადი ანალიზი**



არბიტრაჟი იყო უძველესი დროიდან სადავო საკითხების გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმი საბერძნეთში, ეგვიპტესა და რომში. ძირითადი მიზეზები იმისა, თუ რატომ მიმართავდნენ მხარეები არბიტრაჟს უძველეს დროში სავაჭრო საქმეთა დავების გადასაწყვეტად, იყო საერთო სასამართლოების გადატვირთულობა, ვადაგადაცილება და სასამართლოებში სამოქალაქო პროცესის ძვირადღირებული სახე. აღნიშნული უცვლელი რჩება დღესაც კი [33]. თანამედროვე ეპოქაში, არბიტრაჟი გახდა უფრო მეტად მიმზიდველი სხვადასხვა მიზეზით, როგორც არის მისი კონფიდენციალურობა, პროცესის მართვა მხარის მიერ, საერთაშორისო აღიარება და არბიტრაჟის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სავალდებულო ხასიათი მსგავსად სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა.

პრაქტიკაში, საარბიტრაჟო საქმისწარმოების მონაწილე მხარეები გამოხატავენ მათ სურვილს წარმართოს სწრაფი და ეფექტური პროცესი; თუმცაღა ასეთი ქცევა თავდაპირველად იყო მიჩნეული როგორც სახელმწიფოს სუვერენული უფლებების უარყოფა სამართლის აღსრულებაზე ეროვნული სასამართლოს საშუალებით. მე-17 საუკუნიდან არბიტრაჟი წარმოადგენდა შუღლის საგანს სასამართლოებისა და კანონმდებლებისთვის, რომლებიც ამტკიცებდნენ სამართლებრივ სუვერენულობას სახელმწიფოსათვის. მაგალითად, ინგლისის შემთხვევაში საქმეში Kill vs. Hollister, სასამართლომ დაუშვა სადაზღვევო ქმედების ჩატარება საქმისწარმოების გასაგრძელებლად, იმ საფუძველით, რომ საარბიტრაჟო გადათქმა ვერ წაართმევდა უფლებებს სასამართლოს [140]. ამ გადაწყვეტილებამ წარმოშვა საჯარო პოლიტიკის კონცეფცია, გამოყენებული ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამართლებრივი შუღლის გამღვივებლების მიერ არბიტრაჟთან მიმართებაში. უარყოფითი დამოკიდებულების საინტერესო შემთხვევა დაფიქსირდა ინგლისში, სკოტი ეივერის წინააღმდეგ საქმეში, სადაც ლორდ კემპბელი განმარტავდა, რომ ინგლისელი მოსამართლეები მტრულად იყვნენ განწყობილნი არბიტრაჟის მიმართ, რადგან მოსამართლეები ანაზღაურებას იღებდნენ სასამართლოზე წარმოდგენილი მხარეებისგან მიღებული გადასახადიდან, ხოლო არბიტრაჟების საქმიანობის შედეგად გაიზარდა კონკურენცია [142]. არბიტრაჟებიცა და სასამართლოებიც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი კლიენტი მიეზიდათ შემოსავლის გაზრდის მიზნით [33].

აღნიშნულ დაპირისპირებაში არბიტრაჟებმა მარცხი განიცადეს, რადგანაც კერძო პროცესების წარმართვის ეფექტურობა დამოკიდებული იყო საერთო სასამართლოს მხარდაჭერაზე. თუმცა თანდათან შეიქმნა პრო-საარბიტრაჟო კონვენციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ

საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებას სახელმწიფოებსა და/ან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის. 1923 წლის ჟენევის ოქმი, 1927 წლის ჟენევის კონვენცია, ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია და 1985 წელს UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) მიერ მიღებული „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონი“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო კონვენციებს, რომლებმაც გააძლიერეს საერთაშორისო არბიტრაჟის თანამედროვე სტატუსი. ამ საერთაშორისო კონვენციების შედეგად, უმეტესობამ სახელმწიფოებისა ძალაში მოიყვანა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც კრძალავს უარყოფით ჩარევას სასამართლო ინსტანციების მხრიდან საარბიტრაჟო პროცედურებში. მაგალითად, კანონმდებლობები ინგლისსა და აშშ-ში, ისევე, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებები, მიმართულია გააძლიეროს ხელშეკრულების სამართლიანობის დოქტრინა, რითაც მოხდება საარბიტრაჟო პროცესების დაცვა [42, 331-332].

საარბიტრაჟო საქმისწარმოება, როგორც კერძო პროცესი, მთავრდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ ეროვნული სასამართლოს მიერ, აღსრულების ქვეყანაში [60, 13]. აქედან გამომდინარე, არსებობს ურდვევი კავშირი არბიტრაჟსა და საერთო სასამართლოებს შორის. საინტერესოა, თუ რა მიზეზით ეხმარებიან ეროვნული სასამართლოები არბიტრაჟებს და მხარს უჭერენ თუ არა ისინი საარბიტრაჟო პროცესის ეფექტურად წარმართვას, მოაგვარა თუ არა არბიტრაჟმა სასამართლოებთან დაპირისპირების პრობლემა და როგორ აიძულა საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ სახელმწიფოები მიეღოთ პრო-საარბიტრაჟო დამოკიდებულება, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციების საშუალებით.

თანამედროვე საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის გამოყენების აუცილებლობა მიეკუთვნება საერთაშორისო ვაჭრობის და სახელმწიფოებს შორის და უცხოურ კომპანიებს შორის ინვესტიციების უწყვეტ ზრდას. იგი ამგვარად სცდება ეროვნული ფარგლებს [60,14]. აღნიშნული, ბუნებრივია, ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობებზეც [47].

დაპირისპირებას საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟსა და სასამართლოებს შორის მიყვავართ ქალაქ რომში, სადაც სასამართლო არ აღიარებდა საარბიტრაჟო შეთანხმებებს. რომში

სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლები აფორმებდნენ ხელშეკრულებას ორმაგი დაპირებით (ე.წ. com-promissum), რის საფუძველზეც ისინი ეთანხმებოდნენ საქმის არბიტრაჟში გადაცემას [42, 286]. მაშინ სასამართლოები განიხილავდნენ არა საარბიტრაჟო შეთანხმებას, არამედ ორმაგი დაპირების არსებობას. ორმაგი დაპირების მეშვეობით, რომში სავაჭრო წარმომადგენლებს შეეძლოთ იმ სირთულეების გადალახვა, რასაც ისინი შეხვდებოდნენ სასამართლოებში. დაპირისპირება კომერციულ არბიტრაჟსა და სასამართლოებს შორის გავრცელდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიასა და აშშ-ში.

ინგლისში, სასამართლოს მტრული დამოკიდებულება დაიწყო Lord Coke -ის 1609 წლის სამარცხვინო გადაწყვეტილებით Vynior-ის საქმეზე [145], როდესაც არ მოხდა საარბიტრაჟო შეთანხმებისთვის სახელშეკრულებო ეფექტის მინიჭება. ინგლისის სასამართლოს დამოკიდებულება არბიტრაჟის მიმართ წარმოადგენდა მოქმედი კანონმდებლობის ასახვას, რომელმაც ხელი ვერ შეუწყო არბიტრაჟის განვითარების პერსპექტივას. სიტუაცია არ გაუმჯობესდება მას შემდეგაც, რაც Lord Campbell-მა განაცხადა Scott-ის Avery-ის წინააღმდეგ საქმეში, რომ არაფერი იყო უჩვეულო იმაში, რომ მხარეებმა თავად აიღონ ვალდებულება მათი დავების გადასაწყვეტად მათთვის მისაღები პირობებით [33, 23]. ინგლისის პარლამენტმა ზედიზედ მიიღო საარბიტრაჟო ოქმები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდა სასამართლოების სამეთვალყურეო უფლებამოსილების გაძლიერებას საარბიტრაჟო სამართალწარმოებაზე სპეციალური პროცედურის საშუალებით, რომელიც საშუალებას მისცემდა სასამართლოებს არ ეღიარებინათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები [42, 293].

დაპირისპირება დასრულდა ინგლისში, 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის ძალაში შესვლის შემდეგ, რამაც ეფექტური და მოქმედი გახადა საარბიტრაჟო შეთანხმებები და უფლებამოსილება მიანიჭა სასამართლოებს შეეჩერებინათ სასამართლო საქმისწარმოება მოქმედი საარბიტრაჟო შეთანხმებების საფუძველზე. ეს იყო ერთგვარი მხარდაჭერა საარბიტრაჟო პროცესისადმი. აქტის საშუალებით ასევე აღიარებულ იქნა საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენცია გარკვეული დავების გადასაჭრელად [52, 358].

საფრანგეთში, 1806 წლის ნაპოლეონის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე, შეიზღუდა საარბიტრაჟო შეთანხმებები და პროცედურები. 1843 წელს, საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მომავალ დავებზე საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელია

მხოლოდ აღსრულდეს, თუ იგი განსაზღვრავს კონკრეტულ დავებს და მიუთითებს ინდივიდუალურ არბიტრებზე. სასამართლოების მხრიდან სასამართლო დაცვის ხელმისაწვდომობასა და გარანტიებზე უარის თქმა არ იყო ნებადართული. მეორე მხრივ, არბიტრების წინასწარ დასახელება არ იყო რეკომენდებული თანამედროვე საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში, რადგან დასახელებული არბიტრები შეიძლება გარდაცვლილებიც ყოფილიყვნენ დავის წარმოშობის მომენტისთვის [60, 221-222]. დაპირისპირება დასრულდა, როდესაც საფრანგეთმა მოახდინა ჟენევის 1923 წლის ოქმის რატიფიცირება და მომავალ დავებზე საარბიტრაჟო შეთანხმებები გახდა ეფექტური.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, არბიტრაჟი უფრო ადრეულ პერიოდში განვითარდა ნიუ-იორკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებში [42, 287]. თუმცა, მე -19 საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში განვითარდა ნეგატიური დამოკიდებულება არბიტრაჟის მიმართ, რადგან მოსამართლეებმა ინგლისიდან შემოიტანეს კონცეფცია არბიტრაჟზე სასამართლო უფლებამოსილების შესახებ. სასამართლოებში სირთულეების ეტაპი დასრულდა მაშინ, როდესაც 1924 წელს ძალაში შევიდა ფედერალური არბიტრაჟის აქტი (FAA). აღნიშნული აქტის საფუძველზე საარბიტრაჟო დათქმა გახდა ეფექტური და შეუქცევადი, სხვა სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში. ამავე აქტის საფუძველზე ფედერალურ სასამართლოებს შეეძლოთ საქმის წარმოების გაგრძელება საარბიტრაჟო შეთანხმების მიუხედავად, თუ მხარე ამას მოისურვებდა.

გერმანიაში არბიტრაჟს იცავდა კანონი, მაგრამ სასამართლო ინსტანციების მხრიდან გამოვლინდა მტრული დამოკიდებულება და ცდილობდნენ გვერდი აეარათ არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისათვის იმ საფუძველით, რომ ტრიბუნალი ვერ ახერხებდა შესაბამისობაში ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსთან [33, 35]. მდგომარეობა უფრო გაუარესდა ომების დროს, რადგან არბიტრაჟი მიჩნეული იყო, როგორც საშუალება კერძო პირებისთვის, რათა გამოეყოთ მათი საქმიანობა სახელმწიფოს სუვერენული ძალაუფლებისგან. კომერციულმა არბიტრაჟმა მიიღო ახალი ფორმა მას შემდეგ, რაც გერმანიამ მოახდინა ჟენევის 1923 წლის ოქმის რატიფიცირება [60, 80].

აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში, სასამართლოები დაუპირისპირდნენ კომერციულ არბიტრაჟს, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონებს ჰქონდათ

ისტორიული და ტრადიციული გამოცდილება არბიტრაჟთან დაკავშირებით. უმეტესმა სახელმწიფოებმა ამ რეგიონებში, სახელმწიფოს უზენაესობის დოქტრინის თანახმად, ამოქმედეს კანონები და განახორციელეს პოლიტიკა, რამაც შეზღუდა კომერციული არბიტრაჟის ეფექტურობა, მანამდე, სანამ უმეტეს ქვეყნებში არ მოხდა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის რატიფიცირება, რამაც აიძულა ისინი მიეღოთ და ეღიარებინათ საერთაშორისო საარბიტრაჟო წესები [33, 39].

ევროპასა და ამერიკაში სასამართლოები იძულებულნი გახდნენ შეეცვალათ თავიანთი მტრული დამოკიდებულება კომერციული არბიტრაჟის წინააღმდეგ, კანონმდებლობის ამოქმედების გზით, განსაკუთრებით კი ჟენევის 1923 წლის ოქმის შემდეგ, რამაც განაპირობა მონაწილე სახელმწიფოების სასამართლოებისთვის საარბიტრაჟო შეთანხმებების აღიარების დაკისრება. აღნიშნული ოქმის შემდეგ, 1927 წელს მიიღეს ჟენევის კონვენცია, რომელიც გაფორმდა, რათა ოქმში მომხდარიყო აშკარად სუსტი დეტალების კორექტირება, რაც, ძირითადად, გადაწყვეტილების აღსრულებას შეეხებოდა [60, 80]. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების შესრულება შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ. თუმცა, კომერციულ არბიტრაჟს მაინც ხვდებოდა წინააღმდეგობები ორმაგი ეგზეკუტურას დოქტრინის სახით. ეს ყოველივე მოითხოვდა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღიარებულიყო სასამართლოებში, საარბიტრაჟო განხილვის ადგილებში და ასევე მონაწილე სახელმწიფოში. ნიუ-იორკში 1958 წელს მიღებულ იქნა კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ (შემდგომში ნიუ-იორკის კონვენცია), რომელიც დღემდე ავტორიტეტით სარგებლობს. კონვენციის შექმნის მიზანი იყო მნიშვნელოვნად გაეზარდა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის როლი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სწრაფი იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფით, რომელიც გამომდინარეობდა მხარეების ნებისგან. პროექტში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისას მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მხოლოდ მხარეთა ნების ავტონომიის გამოვლენა. თუმცა ეს იდეა სრულფასოვნად არ განხორციელებულა.

კონვენციის გამოყენება შეიძლება არა მარტო უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას, არამედ ნაციონალური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართაც. უნდა ითქვას, რომ კონვენცია ამკვიდრებს საკმაოდ სანდო გარანტიებს საარბიტრაჟო

გადაწყვეტილების აღსრულებისათვის, რომელიც მიღებულია არა მხოლოდ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოში, არამედ იმ ქვეყანაშიც, რომელიც არ არის წევრ-სახელმწიფო.

კონვენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი მოცემულია მე-3 მუხლში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მას წინამდებარე კონვენციის ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისას, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ შეიძლება დაწესებულ იქნეს არსებითად უფრო მეტი დამაბრკოლებელი პირობები, ან უფრო მაღალი ბაჟი, ვიდრე შიდა გადაწყვეტილებების აღსრულებისას.

ნიუ-იორკის კონვენციის წარმატება სამი ფაქტორითაა განპირობებული: ა. 130-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობს ამ კონვენციაში. კერძო სამართალში არსებობს მხოლოდ რამდენიმე კონვენცია, რომლებსაც ასეთივე ფართო საერთაშორისო გამოყენება აქვთ. ბ. ნიუ-იორკის კონვენციის მიერთების დანიშნულება არის ის, რომ ერთი ნაციონალური სასამართლო თვალყურს ადევნებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, რათა გაიგოს რომელი დებულება იქნა გამოყენებული შესაბამის სამართლებრივ დავაზე. გ. მესამე გამომდინარეობს წინა ორი ფაქტორიდან, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც მიერთებულნი არიან ნიუ-იორკის კონვენციას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს სასამართლოების მიერ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) არბიტრაჟის წესების გამოქვეყნება, UNCITRAL-ის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონის მიღება, საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო კონვენცია (ICSID) და 1980 წლებიდან თანამედროვე საარბიტრაჟო კანონმდებლობის ამოქმედებამ ხელი შეუწყო კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო აღიარებას. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების (BIT) მიღებამ ასევე ხელი შეუწყო არბიტრაჟის საყოველთაო აღიარებას, როგორც ტრანსნაციონალური საინვესტიციო დავების გადაჭრის საშუალებას [33, 45].

შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი თანდათანობით გახდა დამოუკიდებელი და მიმზიდველ და განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად არის დიდი

კონკურენცია არბიტრაჟის განხილვის ადგილის შერჩევაზე. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რამაც განაპირობა ბელგიაში, 1985 წელს, ეროვნული კანონების რეფორმა, სადაც სრულიად გამოირიცხა სასამართლოების ჩარევა საარბიტრაჟო საქმის წარმოებაში. თუმცა ბელგია იძულებული იყო გაეტარებინა ეს პოლიტიკა მისი სასამართლოებისთვის აუცილებელი საზედამხედველო უფლებამოსილების მიცემით, რომელიც საჭირო იყო საარბიტრაჟო პროცესის დასახმარებლად. ბელგიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საჭიროა ეროვნული სასამართლოების მხარდაჭერა საარბიტრაჟო პროცესის ეფექტურობისთვის. ის ასევე ადასტურებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა შეიძლება იარსებონ დამოუკიდებლად, მაგრამ არბიტრაჟს არ შესწევს უნარი განახორციელოს თავისი ფუნქციები საერთო სასამართლოების გარეშე [60, 389-390].

არბიტრაჟში უპირატესობა ენიჭება დავების მხარეების ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტას. აქედან გამომდინარე, აზრი აქვს იმის მოთხოვნას, რომ სასამართლო არ ჩაერიოს საარბიტრაჟო პროცესში. თუმცა, როგორც კერძო პროცესი, არბიტრაჟი არ არის თვითმმართველი ორგანო და იძულებულია დაეყრდნოს სასამართლოების უფლებამოსილებას საარბიტრაჟო საქმისწარმოების დროს და მის შემდეგ, რათა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება [60, 388]. საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ფუნქციონირება, გარკვეულწილად, მოქცეულია სუვერენული სახელმწიფოების სამართლებრივ ჩარჩოებში. მაგალითად, მასპინძელი სახელმწიფო, არბიტრაჟის შესახებ თავისი ეროვნული კანონის თანახმად, პროცესუალურად განსაზღვრავს, შეუძლია თუ არა არბიტრაჟს აიძულოს მოწმეს პროცესზე დასწრება და/ან დაადებინოს მას ფიცი. აღნიშნულის აღსრულებაში კი არბიტრაჟს ეხმარება სასამართლო. მიუხედავად ამისა, ეროვნული სასამართლოების ჩართვა არბიტრაჟში ჰგავს მხარის ავტონომიის პრინციპში შეჭრას, სინამდვილეში არბიტრაჟი კვლავ დამოკიდებულია სასამართლოებზე, რათა ეფექტურად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

დღესდღეობით, საერთაშორისო არბიტრაჟი სარგებლობს მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით, სასამართლოების საპროცესო ზედამხედველობის ფარგლებში. სასამართლოები აღიარებენ მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებას, აღიარებენ მხარეთა მიერ შერჩეულ სამართლებრივ ბაზასა და უფლებამოსილ არბიტრებს მათი დავის გადასაჭრელად და ასრულებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს.

საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობს იმაზე, თუ რა მასშტაბის სამართლებრივი ჩარევა შეიძლება იყოს დაშვებული სასამართლოების მხრიდან. არბიტრაჟის მხარეებს სურთ დავა მოაგვარონ სწრაფად, ნაკლები ხარჯებითა და საბოლოო სასურველი გადაწყვეტილებით, მაშინ, როდესაც სახელმწიფოებს სურთ უზრუნველყონ საარბიტრაჟო სამართალწარმოების პროცესუალური გამართულობა. ერთი მხრივ, არბიტრაჟი უნდა განთავისუფლდეს სასამართლოებისგან, რათა იყოს ეფექტური და დამოუკიდებელი, ხოლო მეორე მხრივ, არბიტრაჟს სჭირდება სასამართლოების მხარდაჭერა და დახმარება. ამ დილემიდან გამომდინარე, კანონები და წესები ჩამოყალიბდა საპირისპირო ინტერესების დასარეგულირებლად. ზოგადად, თანამედროვე კომერციულ არბიტრაჟში სასამართლოების ჩართულობა იწყება ჯერ კიდევ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბებამდე, როდესაც სასამართლოების ფუნქცია არის მტკიცებულების დაცვა და ზიანის თავიდან აცილება [52, 367]. სასამართლოები უზრუნველყოფენ საარბიტრაჟო შეთანხმების აღიარებას, საარბიტრაჟო განხილვის დროს გასცემს შუალედურ ბრძანებებსა და საარბიტრაჟო სამართალწარმოების ბოლოს იგი ან აღიარებს და აღასრულებს, ან უარყოფს და გააუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

საარბიტრაჟო პროცესი ეფუძნება მოქმედ საარბიტრაჟო შეთანხმებას. ნიუ-იორკის კონვენცია მოითხოვს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება იყოს წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი მხარეების მიერ. ეს კი სასამართლოებს აკისრებს ორ ვალდებულებას. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, არის თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება მოქმედი და შემდეგ უნდა აღსრულდეს თუ არა იგი. სასამართლოებმა ზოგადად შეიმუშავეს პროგრესული მიდგომა საარბიტრაჟო შეთანხმებების ვალიდურობასთან დაკავშირებით. მაგალითად, Arab African Energy Corp. Ltd -ის Olieprodukten Nederland BV-თან წინააღმდეგ საქმეში, ინგლისურმა სასამართლომ გამოიყენა მიმოწერა ორ ფირმას შორის და განსაზღვრა იგი, როგორც სავალდებულო საარბიტრაჟო შეთანხმება [136]. საარბიტრაჟო დათქმის ვალიდურობის განსაზღვრის დროს უმეტესი სასამართლოები უპირატესობას ანიჭებენ მის შინაარსს ფორმასთან შედარებით, რითაც აღასრულებენ მხარეთა სახელშეკრულებო მიზნებს [60, 160].

ნიუ-იორკის კონვენცია და მოდელური კანონი მოითხოვს, რომ მონაწილე ქვეყნების სასამართლოებმა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს.



ბრიტანეთის, კოლუმბიის და კანადის სასამართლოებმა შეიმუშავეს სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეების მიერ არჩეული ფორუმის ავტონომიას და მაქსიმალურად ზღუდავს სასამართლო ჩარევას.

საარბიტრაჟო განხილვის შესაძლებლობის კონცეფცია ეხება დავებს, რომლებიც შეიძლება დარეგულირდეს არბიტრაჟის მიერ განხილვის გზით და აღნიშნულის განხორციელება ჩვეულებრივ დამოკიდებულია სახელმწიფოების პოლიტიკაზე. ნიუ-იორკის კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ დავებისთვის, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია არბიტრაჟში [131]. სასამართლოების როლია, დაადგინონ ექვემდებარება თუ არა დავა არბიტრაჟული წესით განხილვას. ბოლო დროს, ზოგიერთმა სასამართლომ გააფართოვა არბიტრაჟის ფუნქციები, რათა თავიდან აეცილებინა უსაფრთხოებასთან და უნდობლობასთან დაკავშირებული პრობლემები [36, 60]. აშკარაა, რომ სასამართლოების დამოკიდებულებაზე გავლენა მოახდინა ასევე საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის აუცილებლობამ ისევე, როგორც საერთაშორისო არბიტრაჟებში საერთო სტანდარტის დაწესების მიზანშეწონილობამ. აშშ-ს უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდა Mitsubishi -ის საქმეს [141], რასაც შემდეგ მოჰყვა Vimar Seguros S.A. v. M/V Sky Reefer -ის საქმე, სადაც სასამართლომ აღასრულა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად, რომ მხარე აცხადებდა საარბიტრაჟო შეთანხმების კანონის მოთხოვნების დარღვევით დადების შესახებ. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პოზიციას, რომ მხარეებმა პატივი უნდა სცენ საარბიტრაჟო შეთანხმებებს [144]. ეს პროგრესული ნაბიჯია, რომელიც გააძლიერებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

სეპარაბელობის (გამოყოფადობის) კონცეფცია გულისხმობს კონტრაქტში შესული საარბიტრაჟო ხელშეკრულების დამოუკიდებლად არსებობას და ძირითადი ხელშეკრულების შენარჩუნებას. სასამართლოებმა აღიარეს ეს კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილების წყაროს. Heyman-ის Darwins Ltd -ის წინააღმდეგ ინგლისის საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ საარბიტრაჟო დათქმა შენარჩუნებულ იქნება, რათა მოხდეს დავების გადაწყვეტის ფორმის განსაზღვრა, მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება გაბათილდება [138]. Gosset-ის საქმეში, საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სეპარაბელობის კონცეფცია სამართალში რჩება შეუხებელი არაეფექტური კონტრაქტების მიერ [60, 194]. SNE-ს Joc Oil-ის წინააღმდეგ საქმეში, ბერმუდის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ხელშეკრულება ბათილად ცნეს, SNE-ს არაადეკვატური ხელმოწერის გამო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა შენარჩუნებულიყო და ეს იყო სათანადო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიმართ იურისდიქციის მისაღებად.

#### 4.2. არბიტრაჟებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებანი საქართველოში

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის ნათელი გამოხატულებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, სადაც გამოიხატება მანამდე არსებული სამართლებრივი სისტემისათვის უცხო ფორმით ახსნილი კერძო სამართლის ცნება, არსი და საერთოდ ნების ავტონომია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი აღიარებს კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს - მხარეთა კერძო ავტონომიას, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ისეთიც, რომელიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული.

სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კერძო ავტონომია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველი ხდება. სამოქალაქო სამართალი კერძო ინტერესებსა და ინიციატივებს ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება ხელშეკრულების თავისუფლებაში, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს, კერძოდ: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.“

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კერძო სამართლის სუბიექტებს გარანტირებული აქვთ არა მარტო იმის შესაძლებლობა, რომ თავის შეხედულებისამებრ მიიღონ გადაწყვეტილება-კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში შევიდნენ თუ არა კონკრეტულ პირებთან და ურთიერთშორის თვითონ განსაზღვრონ უფლება-მოვალეობები, არამედ ასეთი უფლება-მოვალეობების დარღვევის შემთხვევაშიც თვითონ აირჩიონ დაცვის სპეციალური ფორმები და საშუალებები. ცნობილია, რომ დარღვეული და სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საყოველთაოდ გავრცელებული ფორმაა სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა; მაგრამ სასამართლო არ განიხილება უფლების დაცვის ერთადერთ ორგანოდ, რადგან სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც დღითიდღე ფართოვდება უფლების დაცვის ალტერნატიული ფორმების გამოყენების შესაძლებლობა. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა არბიტრაჟი [29, 440].

საქართველოში 2010 წლის იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებულმა ახალმა კანონმა “არბიტრაჟის შესახებ”, პირველივე მუხლის მეორე პუნქტში მიუთითა, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. “არბიტრაჟის შესახებ” ახალმა კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დამოუკიდებლობა, თვითონ აირჩიონ არა მარტო უფლების დაცვის ესა თუ ის ფორმა, არამედ არბიტრაჟის მეშვეობით დავის გადაწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ თვითონვე განსაზღვრონ ის კონკრეტული არბიტრაჟი, რომელსაც მიანდობენ დავის გადაწყვეტას. მაგრამ აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია სამოქალაქო-სამართლებრივი წყობის სიმტკიცით, მართლწესრიგის შენარჩუნებით, ვერ მიანდობს თავისი მოქალაქეებისა თუ იურიდიული პირების სამართლებრივი დავების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს მხოლოდ კერძო არბიტრაჟებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დავები კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან არიან წარმოშობილი [29, 441].

სწორედ ამიტაა განპირობებული, რომ “არბიტრაჟის შესახებ” კანონით განისაზღვრა საქართველოში არბიტრაჟის დამოუკიდებლობისა და მის საქმიანობაში სასამართლო ჩარევის ფარგლები. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

ხოლო იმავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული [29, 441].

საარბიტრაჟო სასამართლო არის კერძო დაწესებულება. რამდენიმე სახის ღონისძიების, მაგალითად, იძულებითი ღონისძიების, გატარება მას დამოუკიდებლად არ შეუძლია, ამიტომ სახელმწიფოთა უმრავლესობა, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს მთლიანად აკუთვნებს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციას. სასამართლო ვალდებულია კანონით დადგენილი წესით ხელი შეუწყოს საარბიტრაჟო განხილვას და უსაფუძვლოდ არ ჩაერიოს მის კომპეტენციაში. სასამართლო ჩარევა საარბიტრაჟო განხილვაში უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი, და ამ გამონაკლისის დაშვების სიხშირე არ უნდა იქცეს წესად [25, 415].

მოდელური კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო, რომელიც შეასრულებს ამ კანონით დაკისრებულ მოვალეობებს, იქნება ეს სასამართლო, თუ სხვა დაწესებულება, უნდა განისაზღვროს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით. საქართველოში კანონმდებელმა ამ ორგანოდ აირჩია სასამართლო.

სამწუხაროდ, კანონმდებელს ვერ გადაუწყვეტს სახელმწიფო სასამართლოს გადასცეს არბიტრაჟის მიმართ მხოლოდ სამართლებრივი დახმარების, თუ სხვა ფუნქციაც [82, 237]. სასამართლოს ჩარევა განპირობებული უნდა იყოს აუცილებლობით, რადგან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხავენ სასამართლო იურისდიქციას და უპირატესობას ანიჭებენ სწრაფ საარბიტრაჟო განხილვას. მხარეებს საქმის დროში გაწეილი პროცესი რომ სდომოდათ, მიმართავდნენ სასამართლოს და არა არბიტრაჟს. სასამართლო ჩარევა საარბიტრაჟო პროცესში კი იწვევს პროცესის გაჭიანურებას. ძირითადი პრობლემა დღემდე სასამართლოს მხრიდან არამეგობრული და არასტაბილური დამოკიდებულებაა არბიტრაჟის მიმართ, ანუ ცალკეული მოსამართლეები ცალკეულ საკითხებს სხვადასხვანაირად წყვეტენ, შესაბამისად, ეს ქმნის არასტაბილურ პრაქტიკას და ბიზნესს უკარგავს ნდობას არბიტრაჟისადმი.

პირობითად, კერძო არბიტრაჟის საქმიანობაში სასამართლოს ჩარევა შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: საარბიტრაჟო შეთანხმების ცნობა; არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და

უფლებამოსილების შეწყვეტა; სასამართლოს მიერ არბიტრაჟისათვის მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეწყობა; სასამართლო უზრუნველყოფა; საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება და ბოლოს - საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების გაუქმება.

მხარეთა კერძო ავტონომია და მათ მიერ გამოვლენილი ნება, რომ დავა შეთანხმებული საარბიტრაჟო პროცედურის მიხედვით იქნეს გადაწყვეტილი, სასამართლოს ამ პროცესში ჩარევის მაქსიმალურად შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველია [75, 43].

გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასამართლოს საარბიტრაჟო განხილვისას აქვს როგორც მაკონტროლებელი, ასევე დახმარების ფუნქცია. დახმარების ფუნქციებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სასამართლოს უფლება დანიშნოს არბიტრი, თუ მხარე, რომელსაც ამის უფლება აქვს, ამ უფლებით არ ისარგებლებს, ან როცა მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე, როცა დავა ერთმა არბიტრმა უნდა განიხილოს, ან როცა მხარეთა მიერ არჩეული არბიტრები ვერ ირჩევენ მესამე არბიტრს. სასამართლოს დახმარების ფუნქციაა, ასევე, არბიტრაჟის თხოვნით იმ მოწმეებისა და ექსპერტების მოყვანა, რომლებიც თავიანთი ნებით არ ცხადდებიან, სახელმწიფო ორგანოებისადმი მიმართვა, რათა არბიტრაჟს გადაეცეს დოკუმენტები და ა.შ.

აღსანიშნავია, ისიც რომ, თუ, მაგალითად, არბიტრის დანიშვნა შესაძლებელია მოხდეს მხარის მიერ და გარკვეული აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს ჩარევა შესაძლებელია, არსებობს გარემოებები, რომლებიც მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაში შედის. ესენია: გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ფიცის ქვეშ მოწმეების დაკითხვა, დოკუმენტების გამოთხოვა, და სხვ. [84, 7].

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კონტროლის ფორმებია, ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა და მისი გაუქმება სასამართლოს მიერ.

სასამართლო მონაწილეობის მარეგულირებელ ნორმებს იცნობს ინგლისის, შვეიცარიის, გერმანიის, საფრანგეთის კანონმდებლობა, ასევე ყველა ცნობილი საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტის რეგლამენტი. არც საქართველოს კანონმდებლობაა გამონაკლისი.

გერმანული სამართალი დამატებით ახორციელებს მხარეებისა და საარბიტრაჟო ინსტიტუციების აღჭურვას სხვადასხვა პროცესუალური საშუალებით, რათა განამტკიცოს პროცესის წარმართვა [84, 7]. თუმცა პროცესის ამგვარი განმტკიცება ჩრდილს აყენებს საარბიტრაჟო ინსტიტუტის გამოყენებას.

სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო საქმიანობაში მეტად ფაქიზი საკითხია. კანონმდებელმა ზუსტად უნდა იპოვოს ოქროს შუალედი კონტროლსა და დახმარებას შორის, რათა, ერთი მხრივ, არ მივიღოთ უმართავი პროცესები და, მეორე მხრივ, არ დავაკნინოთ არბიტრაჟის ინსტიტუტი, არ შევზღუდოთ იგი თავის საქმიანობაში ისე, რომ ზიანი მიადგეს მის უპირატესობას სახელმწიფო სასამართლოებთან მიმართებაში, რაც მის პოპულარობასა და აქტუალობას მიაყენებს დარტყმას. მაგალითად, ჩაითვლება თუ არა პირგასამტეხლოს შემცირება საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილებებში უხეშ ჩარევად?

საქართველოს უზანაესი სასამართლოს მიერ გამოცემულ რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ყურადღებაა გასამახვილებელი თვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეზე. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონით მითითებული პროცესუალური (საპროცესო) საფუძვლით. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, ანუ მატერიალური საფუძვლით, დაუშვებელია და სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე, ასევე კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, უნდა უთხრას მხარეს უარი ამგვარი სარჩელის (განცხადების) მიღებაზე. როდესაც ერთ-ერთი მხარე ასაჩივრებს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორეს მატერიალურ - სამართლებრივი საფუძვლით, ამ შემთხვევაში რეკომენდებულია სასამართლომ მას უთხრას უარი სარჩელის (განცხადების) მიღებაზე. თუ მხარეებმა გამოავლინეს თავიანთი ნება და ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს პუნქტი, რომლის მიხედვითაც მათ შორის დავას გადაწყვეტს კერძო არბიტრაჟი და მხარეებს შორის მართლაც წარმოიშვა დავა გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, თუ კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროცესუალური კუთხით სწორად არის გამოტანილი, საერთო სასამართლო მის სისწორეზე ვერ იმსჯელებს. ხოლო როდესაც არბიტრაჟის გადაწყვეტილება არსებითად გამოტანილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით და მხარე მიუთითებს მასზე - ამ საფუძვლით სასამართლო უფლებამოსილია, რომ მიიღოს სარჩელი

(განცხადება) და განიხილოს იგი [121]. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უარი უნდა უთხრას მხარეს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვაზე, თუ, როცა მხარე ასაჩივრებს გადაწყვეტილებას პროცესუალური საფუძვლით, სასამართლო უნდა ჩაერიოს და განიხილოს იგი მატერიალური კუთხითაც?

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებითაც, რომ ხშირად ადგილი აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობასა და აღსრულებას შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გამო. როგორც ცნობილია, პირგასამტეხლო არის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. სსკ-ის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. ამოწმებს რა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისობას საჯარო წესრიგთან, მოპასუხისათვის დაკისრებული საჯარიმო სანქციების ოდენობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სრულყოფილად აქვს განსაზღვრული პირგასამტეხლოს დანიშნულება და განმარტავს, რომ მართალია მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, მაგრამ მიუხედავად ამ დათქმისა, სასამართლო თვლის, რომ ხშირად საქმეში მითითებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია. ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს დანიშნულება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მეთოდი, კარგავს თავის ამგვარ დანიშნულებას და იქცევა მოვალის დასჯის ერთ-ერთ მექანიზმად, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს სამართლიან პირგასამტეხლოს და ამის შემდეგ უქვემდებარებს იძულებით აღსრულებას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება. სასამართლომ შეამცირა პირგასამტეხლოს ოდენობა და დაადგინა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება პრეტენდენტის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის პირგასამტეხლოს 4512.73 ლარის დაკისრების ნაწილში ცნობასა და აღსრულებას უნდა დაექვემდებაროს ნაწილობრივ, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>23</sup>-ე მუხლის თანახმად,

სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარს განაცხადებს მხოლოდ “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ.ბ” ქვეპუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. მოცემულ შემთხვევაში, ბანკის სასარგებლოდ პირგასამტეხლო განისაზღვრა ყოველდღიურად სესხის ძირითადი თანხის 1%-ით. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც 7 თვეზე მეტი ვადაგადაცილების ჯარიმა (პირგასამტეხლო) გაცილებით აღემატება სესხის ძირითად თანხას, პირგასამტეხლო უნდა შემცირდეს, ვინაიდან სწორედ ასეთი შემთხვევებს ითვალისწინებს ზემოთ მითითებული 420-ე მუხლი. ამ მუხლში მითითებული ფრაზა “საქმის გარემოებათა გათვალისწინებით” შეეხება სწორედ მოცემულ შემთხვევას, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში 7 თვის ჯარიმამ (პირგასამტეხლომ) მნიშვნელოვნად გადააჭარბა ძირითად თანხას.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილით ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, მაგრამ მიუხედავად ამ დათქმისა, სასამართლო თვლის, რომ მითითებული ოდენობით პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია, რითაც იგი ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილი კანონის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად, საჯარო წესრიგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა შემცირდეს და ცნობასა და აღსრულებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს პირგასამტეხლოს სახით 1862.52 ლარის ნაწილში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს სახით 2652.21 ლარის ნაწილში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე ბანკს უნდა ეთქვას უარი.



ბანკს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იმ ნაწილის ცნობასა და აღსრულებაზე, პირგასამტეხლოს სახით 2652 ლარის და 21 თეთრის მოწინააღმდეგე მხარეებისათვის დაკისრების ნაწილში [115].

ვფიქრობთ, სააპელაციო სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებული პრაქტიკა სწორად დასაბუთებული და სამართლიანია, რადგან სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგებს. სასამართლო ახდენს პირგასამტეხლოს 'სამართლიან' შემცირებას მხედველობაში ღებულობს რა, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო განხილვის შედეგად არბიტრაჟი ხშირად არ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ დანაწესს არაგონივრულად მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ იკვეთება რეალობა, რომ ჯერ კიდევ სახელშეკრულებო ურთიერთობის სტადიაზე მხარეები თანხმდებიან არაგონივრული პირგასამტეხლოს ოდენობაზე, რაც შეიძლება განპირობებული იყოს, თავის მხრივ, ან სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივ სტანდარტებზე დაბალი ინფორმირებულობით ან/და სახელშეკრულებო მხარეთაგან ერთ-ერთი მხარის - კრედიტორის მხრიდან თავისი მონოპოლიური მდგომარეობის (საბაზრო ძალაუფლების) ბოროტად გამოყენებით.

თუმცა ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ პრობლემატურ საკითხთან მიმართებით, როგორცაა სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება თავისი ინიციატივით, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის მოპასუხე (მოწინააღმდეგე) მხარე თვითონ სადავოდ არ ხდის მისთვის დაკისრებული გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობას. ხომ არ ააქვს ადგილი ამ შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას სააპელაციო სასამართლოს მიერ? ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში არსებობს ორი შეხედულება: მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ნამდვილად ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგან მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს

ოდენობის შემცირება წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და მას შეუძლია იმსჯელოს ამ საკითხზე თავისი ინიციატივითაც, იმისდა მიუხედავად, მოითხოვს თუ არა მოპასუხე პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას.

ჩვენ ვეთანხმებით სწორედ იმას, რომ ამ მოსაზრებას, შემდეგი არგუმენტების გამო: მართალია, მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, თუმცა ეს თავისუფლება გარკვეული ფასეულობებითაა შეზღუდული, რომლის მიზანიცაა სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა. კრედიტორმა არ უნდა “აიძულოს” მოვალე აშკარად უსამართლო პირობებს მოაწეროს ხელი. ამიტომაცაა, რომ პირგასამტეხლოზე შეთანხმებისას მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. შესაძლებელია მხარეები იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდაც შემდგომ მძიმე ტვირთად დააწვება მოვალეს. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება კი არა, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებით გამოკვეთილია ნდობისა და კეთილსინდისიერების როლი, რომ მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. რადგანაც საჯარო წესრიგის შემადგენლად ითვლება ისეთი პრინციპები, როგორებიცაა ნდობა და კეთილსინდისიერება, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები, ამიტომაც მართებულია სააპელაციო სასამართლოს მოქმედება, როდესაც ამოწმებს რა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისობას საჯარო წესრიგთან მოპასუხისათვის დაკისრებული საჯარიმო სანქციების ოდენობასთან დაკავშირებით, თავისი ინიციატივით ამცირებს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს იმ საფუძველზე, რომ თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მითითებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია, ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს დანიშნულება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მეთოდი, კარგავს თავის ამგვარ დანიშნულებას და იქცევა მოვალის დასჯის ერთ-ერთ მექანიზმად.

### 4.3. სასამართლოს როლი არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტისას

არბიტრი საარბიტრაჟო განხილვის ცენტრალური ფიგურაა. ფაქტობრივად, საარბიტრაჟო განხილვის წარმატებულობა სწორედ მასზეა დამოკიდებული. არბიტრებისადმი, როგორც საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე სუბიექტებისადმი, გამოცხადებული ნდობა მათ უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, ამიტომ მათთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი წყდება არა თვით არბიტრაჟის, არამედ ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე კომპეტენტური სასამართლოს მიერ [25, 269].

არბიტრები შესაძლებელია დაინიშნონ მხარეების, სასამართლოს ან სხვა, მესამე პირის მიერ. როგორც წესი, არბიტრებს ნიშნავენ მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებით ან მოგვიანებით ცალკე შეთანხმებით. სასამართლო იმ შემთხვევაში ერევა ამ პროცესში, როცა გამოსაყენებელი საპროცესო სამართალი ამას პირდაპირ მოითხოვს, მაგალითად, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე, მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა არბიტრის დანიშვნის თაობაზე. საარბიტრაჟო ხელშეკრულება არასრულად აწესრიგებდა არბიტრის დანიშვნის საკითხს და არც არბიტრაჟის დებულება ითვალისწინებდა მას. გარდა ამისა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ კანდიდატურაზე და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ არ დანიშნა არბიტრი. შესაბამისად, მხარეებმა მიმართეს სასამართლოს, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>15</sup>-ე მუხლის გათვალისწინებით დააკმაყოფილა განცხადება [105].

მხარეებს შეუძლიათ არბიტრების დანიშვნა მესამე, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პირსაც მიანდონ. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, სავაჭრო პალატა, ავტორიტეტული მოსამართლე

ან სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც არა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, არამედ როგორც ობიექტურ მესამე პირს სთხოვენ მხარეთა ნაცვლად დანიშნოს არბიტრი (არბიტრები) [25, 272].

როგორც გერმანიისა და შვედეთის, ისე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ სამი არბიტრიდან თითო ინიშნება მხარეთა მიერ. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო. სასამართლო ნიშნავს არბიტრს იმ შემთხვევაშიც, როცა არბიტრაჟი შედგება ერთი არბიტრისაგან და მის დანიშვნაზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

როგორც ჩანს, ამ ქვეყნების კანონმდებლობაზე გავლენა იქონია უნსიტრალის მოდელურმა კანონმა, რომლის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი იცნობს ზუსტად იმავე დანაწესს, მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით დანიშნოს არბიტრი, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ან არ დანიშნავენ არბიტრს, თუმცა მოდელური კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას დანიშნოს არბიტრი ან სასამართლომ ან სხვა ორგანომ, რომელიც კომპეტენტური იქნება შეასრულოს ეს ფუნქცია. მოდელურ კანონში არ არის მითითება, რომ ორგანო აუცილებლად სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობის ნაწილი ან მაინცდამაინც სახელმწიფო ორგანო იყოს. არბიტრის დანიშვნის უფლებამოსილება გადაეცემა სხვა ორგანოს თუ სასამართლოს, ეს სახელმწიფოს არჩევანზეა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა არბიტრის დანიშვნაზე დააკმაყოფილა, რადგან მოპასუხემ განსაზღვრულ ვადაში არბიტრი არ დანიშნა. სასამართლომ არბიტრის დანიშვნის დროს იხელმძღვანელა მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით და არბიტრის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით. კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ წარმოდგენილი იყო არბიტრად დასანიშნი პირის წერილობითი თანხმობა, აგრეთვე მეორე მხარემ მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში არ დანიშნა არბიტრი, შესაბამისად, დაკმაყოფილდა განცხადება არბიტრის დანიშვნის თაობაზე [104].

უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო ინსტიტუტების რეგლამენტები იმავე საკითხთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოდ აღიარებენ არბიტრაჟის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოს. საინტერესო გამონაკლისია ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტი, სადაც არბიტრად დანიშვნის უფლება მხოლოდ საარბიტრაჟო ინსტიტუტს აქვს. გამოდის, რომ ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის რეგლამენტი არღვევს არა მარტო მხარეთა კერძო ავტონომიას, არამედ არბიტრაჟის ინსტიტუტის მახასიათებელ იმ ძირითად ნიშანს, რომლის მიხედვითაც მხარეებისთვის შეუძლიათ თავად განსაზღვრონ პირი, რომელიც განიხილავს მათ შორის წარმოშობილ სამართლებრივ დავას და ამით მხარეებისთვის უფრო მისაღები ხდება არბიტრაჟში საქმის განხილვა სასამართლოსთან შედარებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, შეიძლება მოხდეს არბიტრის აცილება. ეს მექანიზმი საარბიტრაჟო პროცესის მიუკერძოებლად და სამართლიანად წარმართვის წინაპირობაა. საერთაშორისო ეთიკის კოდექსი დიდ ყურადღებას აქცევს აღნიშნულ სფეროს და რეკომენდაციებს უწევს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლებს ამ პროცედურის დახვეწის მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას, ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ან უკვე დანიშნული არბიტრი ვალდებულია მისი დანიშნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე. შეთანხმების არარსებობისას მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ

კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშნვიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

სასამართლოს აღნიშნულ საკითხებზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ასეთ შემთხვევაში არბიტრს უფლება აქვს, გამოაცხადოს თვითაცილება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

მოდელური კანონის მე-13 მუხლი, ასევე საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ აცილების საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებს არბიტრთა შემადგენლობას, რომელშიც ის არბიტრიც მონაწილეობს, რომელსაც აცილება გამოუცხადეს. თუ არბიტრებმა აცილების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მაშინ მხარეს შეუძლია ამ გადაწყვეტილებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს.

მხარეს შეუძლია გააუქმოს არბიტრის დანიშვნა ან აცილოს იგი იმ დროისათვის, როდესაც არბიტრაჟი უკვე დაკომპლექტებულია, ან უფრო გვიან, თუ წარმოჩნდება აღნიშნულის

მაპროვოცირებელი ახალი ფაქტები. არბიტრის აცილების უპირველესი საფუძველია ინტერესთა კონფლიქტი, ასევე, მიუღებელი საქციელი (მაგალითად, იმისათვის, რომ მას არასათანადო ცალკე საუბრები ჰქონდა ერთ-ერთ მხარესთან) [54, 146].

ინსტიტუციური არბიტრაჟის დროს, საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესებზე დაყრდნობით შეიძლება აცილების უზრუნველყოფა. მაგალითად, LCIA-ს წესები ითვალისწინებენ, რომ არბიტრის აცილება შეიძლება “დამტკიცებადი ეჭვების საფუძველზე, რომლებიც ეხება მიკერძოებას ან დამოუკიდებლობას”, ან თუ მას “არ შეუძლია, ან არ არის შესაბამისი, რათა იმოქმედოს.” წესები შემდგომ იძლევიან განმარტებას, რომ არბიტრი შეიძლება ჩაითვალოს შეუსაბამოდ, თუ იგი არ იქცევა სამართლიანად, ან მიუკერძოებლად, ან თუ იგი არ წარმართავს სასამართლო პროცედურას სათანადო მონდომებით [130].

თუ მხარე აპირებს მისცეს აცილება არბიტრს, მან ეს უნდა გააკეთოს მომენტალურად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი უარს ამბობს ამაზე. LCIA -ს წესების შესაბამისად, LCIA-ს არბიტრაჟს და ყველა მხარეს უნდა გაეგზავნოს წერილობითი განაცხადი 15 დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ცნობილი გახდა აცილების მაპროვოცირებელ გარემოებათა შესახებ [130]. ICC-ის წესების შესაბამისად, აღნიშნული პერიოდი უნდა მოიცავდეს ოცდაათ დღეს [128]. ორივე შემთხვევაში, თუკი არბიტრმა თავად არ გადაწყვიტა გამოეთიშოს პროცესს, ინსტიტუტის ადმინისტრაციული ორგანო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, მოხდეს თუ არა არბიტრის აცილება.

იმ შემთხვევაში, თუ აცილება არ მოხდა, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მხარემ, რომელმაც წამოიწყო პროცესი აცილების თაობაზე, გადაიტანოს საქმე სასამართლოში. აპელაცია სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიუღებელია. თუ კონკრეტული იურისდიქცია არ უზრუნველყოფს უარყოფილი არბიტრის აცილების განხილვას, მხარეს მოუწევს დაიცადოს, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არ მიეცემა უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში.

არბიტრის აცილების ზოგადი ხასიათის საფუძველი მოცემულია გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც აცილების წინაპირობაა ნებისმიერი გარემოება,

რომელიც შეიძლება გახდეს არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში საფუძვლიანი ეჭვის შეტანის საფუძველი.

არბიტრის აცილების სასამართლო განხილვის პროცესი არ აბრკოლებს საარბიტრაჟო პროცესის გაგრძელებას. საარბიტრაჟო სასამართლო განხილვის პერიოდში და გადაწყვეტილების მიღებამდე ძველი შემადგენლობით განიხილავს საქმეს, ხოლო თუ სასამართლო აცილებას მისცემს არბიტრს, გამოდის, რომ აცილებული არბიტრის მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებაც შესაბამისად უნდა გაუქმდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვა და დავის გადაწყვეტა ხელახლა უნდა მოხდეს. ხომ არ არის უმჯობესი სასამართლოს მიერ არბიტრის აცილებაზე საბოლოო გადაწყვეტილებამდე არბიტრაჟში საქმის განხილვა გადაიდოს? მაგალითად, ბულგარეთში, აცილების საქმის განხილვამდე და გადაწყვეტამდე არბიტრაჟში საქმის განხილვა ჩერდება [88, 84]. თუმცა ამ მოდელსაც გააჩნია თავისი ნაკლი. ზოგიერთი მოსაზრებით ეს შეიძლება განვიხილოთ არბიტრაჟის მიერ საქმის დროულად განხილვის დამაბრკოლებლად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ უარესი შედეგი შეიძლება მოჰყვეს აცილებული არბიტრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას, კერძოდ, ხელახლა განხილვა უფრო გააჭიანურებს პროცესს, ასევე მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ა.შ., უპრიანი იქნება, რომ აცილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე საარბიტრაჟო პროცესი შეჩერდეს.

შვედური კანონმდებლობა ითვალისწინებს ახალი არბიტრის ჩანაცვლებას. ისევე, როგორც გერმანული და ინგლისური სამართალი მიიჩნევს, რომ უნდა გაგრძელდეს თავდაპირველი პროცესი [84, 8].

თუ მოხდა არბიტრის აცილება, ან თუ მან უარი განაცხადა, აუცილებელი იქნება მისი შემცვლელის მოძებნა. ზოგადად, არბიტრაჟის წესები ითვალისწინებენ ჩანაცვლების მეთოდს. თუ მხარეების მიერ არ იქნა მიღებული შესაბამისი წესები და მხარეებს არ შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის ჩანაცვლების მეთოდებზე, ამას გადაწყვეტს ადგილობრივი სასამართლო.

თუ არბიტრი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, მხარეებს შეთანხმებით შეუძლიათ შეცვალონ იგი. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე, სასამართლო



მიმართვის საფუძველზე გადაწყვეტს ამ საკითხს. შვეიცარიის კანონი განამტკიცებს, რომ თუ არბიტრი აჭიანურებს საქმის გადაწყვეტას, ის უნდა ჩამოსცილდეს საქმეს. არსებობს უამრავი საფუძველი, რომლის გამოც დაშვებულია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 1037-იც იცნობს უფლებამოსილების შეწყვეტის შესაძლებლობას და იგი იდენტურია მოდელური კანონისა [84, 8-9].

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მხარეს არა აქვს უფლება, ერთპიროვნულად შეცვალოს თავის მიერ დანიშნული არბიტრი. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი არბიტრი დაინიშნება იმ წესების დაცვით, რომლებიც გამოყენებულ იქნა წინა არბიტრის დანიშვნისას.

#### 4.4. სასამართლოს როლი არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას

საარბიტრაჟო კომპეტენციის გარანტირების საჭიროება არსებობს ყველა იმ სამართლებრივ სისტემაში, სადაც არბიტრაჟში დავის მოგვარება სასამართლოში პრეტენზიის განცხადების ალტერნატიული საშუალებაა. არსებობს ორი სახის გადაწყვეტილება კომპეტენციაზე, რომელსაც მხარეები შეიძლება შეხვდნენ [68, 5]. ეს შეიძლება იყოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოაქვს სახელმწიფო მოსამართლეს, ან გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს თავად საარბიტრაჟო ინსტიტუტი. ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია არბიტრაჟის მიერ მიღებული კომპეტენციის

შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - არა. ყველა ქვეყნის ნაციონალური სამართალი სხვადასხვანაირად წყვეტს ამ საკითხს.

საარბიტრაჟო კომპეტენციის სასამართლოსმიერი გადასინჯვა შესაძლებელია რამდენიმე შემთხვევაში. იგი შესაძლებელია გადასინჯოს პირდაპირ, მოსამზადებელი ან ძირითადი პროცესის დროს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე პროტესტის გაცხადებით ან არაპირდაპირ, კომპეტენციის შესახებ მიღებულ შუალედურ ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო გადასინჯვით [68, 5].

საქართველოს კანონმდებლობით არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხები შემდეგნაირად რეგულირდება: არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ იწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებელის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ უნდა გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში, ასევე ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება გამოტანიდან 30 დღის ვადაში გასაჩივრონ სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით უფრო დაიხვეწა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი, რომელიც ეხება არბიტრაჟის კომპეტენციას. კერძოდ, შეცვლილია მე-3 პუნქტი, შეტანილია მასში მეტი სიცხადე და ყალიბდება შემდეგი რედაქციით: განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის გადაჭარბების შესახებ უნდა გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში.

შესწორებები და დამატებებია შეტანილი აგრეთვე მე-5 პუნქტში: არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ განცხადებასთან დაკავშირებით, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად. თუ არბიტრაჟი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში გაასაჩივროს არბიტრაჟის გადაწყვეტილება სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული მუხლისთვის დაემატებინა აგრეთვე მე-6 პუნქტი: მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში არბიტრაჟი საკუთარ კომპეტენციაზე გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად.

#### 4.4.1. საარბიტრაჟო კომპეტენციის პირდაპირი სასამართლო გადასინჯვა

არბიტრაჟის მოსამზადებელ სხდომაზე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას განცხადება, რათა გადაიხედოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა. სადავოა რა ფორმით იღებს სასამართლო

გადაწყვეტილებას, გამოაქვს დადგენილება თუ განჩინება. საქართველოში სასამართლოს არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ გამოაქვს განჩინება.

შვეიცარიული სამართლის მიხედვით, მოსარჩელემ, პირველ რიგში, უნდა შეამოწმოს არის თუ არა კანტონის გამოსაყენებელ საპროცესო სამართალში სამართლებრივი დაცვის საშუალება მოცემული. ბუნებრივია, მხარეს გააჩნია პრეტენზია ორ შემთხვევაში: იგი უკმაყოფილოა არბიტრაჟის მიერ საკუთარი კომპეტენციის დადგენით ან უარყოფით.

არბიტრაჟის უარი საკუთარი კომპეტენციის დადგენაზე არ შეიძლება გამოიყენოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახით, რადგან არაკომპეტენტურობის ცნობით არბიტრაჟი აღიარებს უფლებაუუნარობას განიხილოს დავა. რადგან უარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახით არ მიიღება, მის წინააღმდეგ არ არსებობს რაიმე სახის პირდაპირი საჩივარი. ამიტომ, ამ სახის საარბიტრაჟო „გადაწყვეტილება“ არის საბოლოო. სადავოა, რა ხდება, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპეტენციის თაობაზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არასწორია. საყოველთაოდ მიღებული შეხედულებით, არბიტრთა ნეგატიური გადაწყვეტილების შედეგად საარბიტრაჟო დათქმა ძალას კარგავს. ხოლო თუ სახელმწიფო სასამართლო ამ გადაწყვეტილებას არასწორად მიიჩნევს, მას არ შეუძლია საქმე განსახილველად უკან დაუბრუნოს იმავე არბიტრაჟს, არამედ სასამართლომვე უნდა გადაწყვიტოს დავა. ამის საფუძველია ის, რომ არბიტრაჟის უუნარობა - განიხილოს დავა - არ უნდა ტოვებდეს მხარეებს სამართლებრივი დაცვის გარეშე.

დაუშვებელია სასამართლო განკარგულებით არბიტრაჟის იძულება გადაწყვიტოს საქმე. მართალია, არბიტრები თავს იშვიათად მიიჩნევენ არაკომპეტენტურად, მაგრამ თუ ასე მოხდა, მხარეებს უნდა ჰქონდეთ დავის მოგვარების ალტერნატიული შესაძლებლობა. თუმცა, ეს ალტერნატივა სავალდებულო სასამართლო განხილვა არ უნდა იყოს, არამედ ალტერნატივა უნდა დადგინდეს საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე. ამასთან, უნდა იქნეს გათვალისწინებული მხარეთა ინტერესი, მაგალითად, თუ მხარეებს სურთ, რომ საქმე ასეთი შემთხვევის არსებობისას გადაეცეს სხვა საარბიტრაჟო შემადგენლობას. შესაძლებელია ასევე, რომ თუ სასამართლო დადასტურებას მისცემს, არბიტრაჟმა განაგრძოს მოლაპარაკებები საკუთარი კომპეტენციის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარეობს, რომ დავა მხოლოდ კონკრეტულმა საარბიტრაჟო შემადგენლობამ უნდა

განიხილოს, ხოლო ეს უკანასკნელი უარს ამბობს კომპეტენციის დადგენაზე, შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება მიიჩნევა ძალადაკარგულად და დავა გადაეცემა სასამართლოს განსახილველად [68, 9-10].

სახელმწიფო სასამართლოს უარი არბიტრის დანიშვნაზე საარბიტრაჟო დათქმის არანამდვილობის გამო არ წარმოადგენს წინა ან შუალედურ გადაწყვეტილებას. დანიშვნის უარყოფით საარბიტრაჟო პროცესი სრულდება. ამიტომ არ არის შესაძლებელი მოსამართლეთა ეს გადაწყვეტილება მომავალში საარბიტრაჟო პროცესზე სადავო გახდეს, განსხვავებით პოზიტიური გადაწყვეტილების შემთხვევისა. ნეგატიური გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობის ერთ-ერთი საფუძველია უსაფუძვლო საჩივრების თავიდან აცილება.

ადასტურებს რა არბიტრაჟი თავის კომპეტენციას, განსხვავებით უარისაგან, არ არის გამორიცხული, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კომპეტენციის დადგენის თაობაზე გახდეს ცალკე ჩარევისუნარიანი. იგი არ ასრულებს საარბიტრაჟო პროცესს, ამიტომ არც საბოლოოა.

თუ მოსამართლე შვეიცარიის ფედერაციული კანონის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ 179-ე მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, დაადგენს, რომ მხარეთა შორის ნამდვილად დადებულია საარბიტრაჟო შეთანხმება, უკმაყოფილო მხარეს აქვს შეზღუდული შესაძლებლობა საარბიტრაჟო სასამართლოს არაკონსტიტუციურობა წარმატებით ამტკიცოს.

გერმანული სამართლის მიხედვით, შუალედური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც არც საარბიტრაჟო პროცესს მთლიანად და არც მის მატერიალურ ნაწილს ამთავრებს, არამედ იგი არის მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების პირველი საფეხური [68, 10]. კომპეტენციის დამადასტურებელი შუალედური გადაწყვეტილება 190-ე მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, უნდა აღიძრას პირდაპირ ფედერაციულ სასამართლოში. საყურადღებოა, რომ პრეტენზია კომპეტენციის დადგენაზე უარის გამო 186-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით აღიძვრება ყველა ვარიანტში მტკიცებამდე, მაგრამ არა ძირითადი საგნის მტკიცების შემდეგ. ინსტანციების ამოწურვის შემდეგ შეუძლებელია სახელმწიფო მოსამართლის მიერ კომპეტენციაზე მიღებული პოზიტიური გადაწყვეტილების წინააღმდეგ ფედერაციული სამართლებრივი საშუალების გამოყენება. ფედერაციული სასამართლოს შეხედულებით, ეს გამომდინარეობს საერთაშორისო კერძო სამართლის მიზნებიდან, რომლის მიხედვითაც ძალიან

შეზღუდულია სამართლებრივი საშუალების გამოყენება. ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება მოძღვრების იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომლის მიხედვით მოსამართლის გადაწყვეტილების წინააღმდეგ დაიშვება კონსტიტუციური სარჩელის შეტანა. თუ მხარეს სურს პოზიტიური კომპეტენციის გასაჩივრება, მან უნდა უცადოს საარბიტრაჟო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას. უარყოფითი მხარე ისაა, რომ შესაძლებელია განმეორდეს მთელი პროცესი.

სადავოა, შეიძლება თუ არა გადაწყვეტილება კომპეტენციის დადასტურებაზე გახდეს ცალკე დავის საგანი. მათ არ გააჩნიათ სამართლებრივი ძალა დაასრულონ პროცესი და შესაბამისად არც აღსრულებაუნარიანია. სასამართლოს არ უნდა შეეძლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გადასინჯვა მაშინ, როცა თავად არბიტრაჟს აქვს საშუალება გაასწოროს იგი. ეს არგუმენტი მაშინ არის სავალდებულო, როცა არბიტრაჟის შუალედური გადაწყვეტილება საკუთარ კომპეტენციაზე არსებითად არბიტრაჟის მიერ კიდევ შეიძლება შეიცვალოს. თუ მხარეებმა არბიტრაჟს მისცეს მითითება კომპეტენციაზე მიიღოს შუალედური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მაშინ სასამართლოს არგუმენტი არ არის დამარწმუნებელი.

არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენის შესახებ საკითხის განხილვა შეიძლება მოითხოვოს თავად არბიტრაჟმაც საქართველოს სამოქალაქო პროცესის 356<sup>13</sup> – ე და 356<sup>16</sup> – ე მუხლების შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლოს არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენაზე მიმართა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრმა. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არ დაადგინა არბიტრაჟის კომპეტენცია შემდეგ გარემოებათა გამო: იჯარის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო, რომ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდებოდა მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავდა სასამართლო ან კერძო არბიტრაჟი მოსარჩელის შეხედულებისამებრ.

სასამართლო განმარტავს, რომ ხსენებული საარბიტრაჟო დათქმა (შეთანხმება არბიტრაჟზე) არ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს და მიჩნეულ იქნეს, რომ მხარეები შეთანხმებული იყვნენ დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე, რადგან მხარეები არ შეთანხმებულან კონკრეტული მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ მათ შორის წარმოშობილი სადავო საკითხების განხილვის შესახებ. გარდა ამისა, მხარეთა შეთანხმება შეიცავს არსებით დეფექტს, ვინაიდან დავის გადასაწყვეტად მითითებული იყო ორი მექანიზმი – არბიტრაჟი ან სასამართლო. ამიტომ იგი არბიტრაჟზე შეთანხმებას არ წარმოადგენს.

სასამართლომ დაადგინა: არსებული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ იქნეს ცნობილი კომპეტენტურად [103].

#### 4.4.2. საარბიტრაჟო კომპეტენციის არაპირდაპირი სასამართლო გადასინჯვა

არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა შესაძლებელია მის საფუძვლად არსებულ საარბიტრაჟო შეთანხმების ქმედითობაზე. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღიძვრება სარჩელი შეთანხმების გაუქმების მოთხოვნით. ამ პროცესის დროს სასამართლოს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე საფუძვლიანად გადასინჯოს კომპეტენცია. ბუნებრივია, ამ სახის პროცესის წარმართვა, საარბიტრაჟო კომპეტენციის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მისი გამოყენება მხოლოდ საარბიტრაჟო პროცესის დასრულების შემდეგაა შესაძლებელი.

გერმანიის საარბიტრაჟო სამართლის მიხედვით, საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციის საკითხი ნებისმიერ დროს შეიძლება მიყვანილ იქნეს სასამართლო შემოწმებამდე. ეს შესაძლებელია მოსამზადებელ სხდომაზე ან პრეტენზიის წარდგენის დროს. კომპეტენციის დადგენა თუ უარი დადგენაზე, არ წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამიტომ, შესაძლებელია მისი გადახედვა იმ ინსტანციაში, რომელშიც ხდება ზოგადად აპელაცია. მრავალ ინსტანციის მქონე სასამართლოში პროცესის ხანგრძლივობის გამო კომპეტენციის ხელშეუხებლობა არ მიიღწევა, ამიტომ არბიტრაჟს აქვს კანონისმიერი უფლება განსაზღვროს საკუთარი კომპეტენცია. ასეთი გადაწყვეტილება, თუ მხარეებს სურთ და მიაღწევენ კომპრომისს, მიიღება როგორც შუალედური გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გადასინჯვას დაექვემდებაროს [68, 17].

#### 4.4.3. საარბიტრაჟო ინსტიტუტის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო კომპეტენციაზე

არბიტრაჟს ენიჭება უფლება იმსჯელოს, - წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის სამართლებრივი დავა საარბიტრაჟო შეთანხმებით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროს და მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ. კერძოდ, განიხილოს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა და ნამდვილობის საკითხი, განიხილოს და გადაწყვიტოს მხარის განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის გადამეტების შესახებ.

ხშირად, საარბიტრაჟო სამართალში ითვალისწინებენ სამრეწველო და სავაჭრო პალატის მე-6 მუხლის მე-2 აბზაცს და განსაზღვრავენ ერთიან საარბიტრაჟო შეთანხმების გადასინჯვას. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი იცნობს ამ სახის ერთიან შემოწმებას.

სასამართლო თვლის, რომ ინსტიტუციონალური ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დამოკიდებულია ადმინისტრაციულ აქტზე. ამით ინსტიტუციონალური ორგანოს გადაწყვეტილებაზე შემდგომი სახელმწიფო სასამართლოს კონტროლი არბიტრაჟის ადგილით განისაზღვრება. რა შესაძლებლობა აქვს მხარეს დაიცვას უფლებები კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს?

თუ საარბიტრაჟო ინსტიტუტი დაადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების იურიდიულ ძალას, შესაბამისი საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს არბიტრაჟი. მათი გადაწყვეტილება ფედერაციული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით არ საჩივრდება. პრეტენზიის განცხადება შესაძლებელია მხოლოდ საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად. თუ უკმაყოფილო მხარეს არ უნდა ლოდინი საბოლოო საარბიტრაჟო განაჩენის გამოტანამდე, მას შეუძლია არბიტრაჟის ადგილმდებარეობის განსაზღვრის შემდეგ მოითხოვოს წინასწარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება კომპეტენციაზე. არბიტრაჟი არ არის დამოკიდებული საარბიტრაჟო ინსტიტუტის გადაწყვეტილებაზე. ეს გამომდინარეობს საერთაშორისო კერძო სამართალის შესახებ შვეიცარიის ფედერაციული კანონის 186-ე მუხლის პირველი აბზაცით დადგენილი არბიტრაჟის კომპეტენციის კონცეფციიდან. 286-ე მუხლის მე-3 აბზაცით, არბიტრაჟი გადაწყვეტს კომპეტენციას წინასწარი განაჩენის წესებით. თუ კომპეტენციას არ დაადგენს, საქმე ეხება საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს 190-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით. თუ დაადგენს საკუთარ კომპეტენციას, საქმე ეხება წინასწარ გადაწყვეტილებას. ამ



შემთხვევაშიც დასაშვებია პირდაპირი მიმართვა სასამართლოსადმი.

ავსტრიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეს არც სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, შუალედური გადაწყვეტილების ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით და არც პროცესუალური ეკონომიის მიზნით აქვს სასამართლოში აღძვრის შესაძლებლობა.

საარბიტრაჟო ინსტიტუტის გადაწყვეტილებას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებას არ აქვს იურიდიული ძალა, არბიტრაჟი არ მიჰყავს ფორმირებამდე და პროცესი არ იმართება. 190-ე მუხლი ამ გადაწყვეტილებას გადახედვის უფლების გარეშე ტოვებს.

საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ მიღებული ნეგატიური გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ არსებობს შეცვლების საშუალება.

თუ არ არსებობს გადაწყვეტილება კომპეტენციის შესახებ, უნდა შეეძლოს მომჩივან მხარეს ასეთის მოთხოვნა. ხელმეორედ კომპეტენციის საკითხზე მოთხოვნის აღძვრა დაშვებულია ახლად გამოვლენილ გარემოებებთან ერთად.

საფრანგეთში დასაშვებია გასაჩივრება, რადგან უშვებს ამის შესაძლებლობას და თვითონ სასამართლო გადასინჯავს საქმეს.

#### 4.4.4. კონცეფცია კომპეტენციის კომპეტენციაზე

ამ კონცეფციის მიხედვით, საარბიტრაჟო სასამართლოს გააჩნია კომპეტენცია გამოიტანოს დადგენილება საკუთარ კომპეტენციაზე ან წინასწარი ხასიათის საკითხზე, ან საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, თუმცა მასზე სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა მაინც გათვალისწინებულია მოდელურ კანონში და მისი გავლენით საქართველოს კანონში არბიტრაჟის შესახებ.

ფედერაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები კომპეტენციის კომპეტენციაზე ჯერ კიდევ 1955, 1977 და 1988 წლებში იქნა მიღებული.

მხარეები არბიტრაჟის კომპეტენციის მოწესრიგებას ახორციელებენ საარბიტრაჟო შეთანხმებით. გერმანიაში კომპეტენციის კომპეტენცია დამკვიდრებულია სასამართლო პრაქტიკაში [68, 18-22].

მხარეები თავისუფალნი არიან არჩევანში გააფორმონ ცალკე ხელშეკრულება, თუ დადონ საარბიტრაჟო დათქმა. სასამართლო შემოწმებას ექვემდებარება დებულება კომპეტენციის კომპეტენციაზე და არა მთლიანად საარბიტრაჟო შეთანხმება. კომპეტენციის კომპეტენციის დებულების საგანი თავისთავად, ფაქტობრივად, საბოლოოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე მოქმედებს. ამასთან დაკავშირებით დიდი დისკუსია მიმდინარეობდა და კონცეფციას ხშირად აკრიტიკებდნენ. სასამართლოს პრაქტიკაში, მას შემდეგ, რაც მხარეებს მიენიჭათ უფლება არბიტრაჟის კომპეტენციის კომპეტენცია განესაზღვრათ, დისკუსია მასზე ნაწილობრივ შეწყდა. არსებობენ კომპეტენციის კომპეტენციის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამ კონცეფციას განსხვავებული საფუძვლით უარყოფენ. კრიტიკის ამოსავალი საფუძვლებია: კომპეტენციის კომპეტენციის ობიექტური საარბიტრაჟოუნარიანობა, მოსამართლის შეცვლა, სამართლიანი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დარღვევა.

საარბიტრაჟო შეთანხმების ნორმების გამოყენების წინაპირობა არის დავის საგნის არბიტრაჟში განხილვის ობიექტური შესაძლებლობა. ამიტომ სადავო - სამართლებრივი ურთიერთობები ანუ შესაძლო დავის საგანი განსაზღვრული უნდა იყოს მხარეების მიერ.

კომპეტენციის კომპეტენციის კონცეფციას ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო მოსაზრებებიც. მხარეებს წაერთვათ კანონისმიერი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როცა მხარეები თანხმდებიან კომპეტენციის კომპეტენციის პრინციპზე, ნებაყოფლობით ამბობენ უარს სამართლიან სასამართლოზე, ხოლო ასეთი ნებაყოფლობითი უარი კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, რადგან სამართლიანი სასამართლოს უფლების მაღარებელი ნორმები ბოჭავს სახელმწიფოს და არა პროცესის მონაწილეებს. სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვა სამართლებრივი დავის მხარეების უფლებაა და არა ვალდებულება.

მეორე მოსაზრება, რომელიც უთითებს კომპეტენციის კომპეტენციის არაკონსტიტუციურობას, არის სასამართლოსმიერი გადასინჯვის შეზღუდვა კონცეფციაზე და ამიტომ იგი კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოს პრინციპს ეწინააღმდეგება და შესაბამისად სახელმწიფო კონტროლი გადაჭარბებულად შეზღუდულია [68, 23-26].

თუ არბიტრაჟი კონსტიტუციის სამართლიანი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამო სახელმწიფოს უსაფუძვლო კონტროლს დაექვემდებარება, ვერ იქნება ეს უდავოდ კომპეტენციის კომპეტენციის მხარდამჭერი. ერთი მხრივ, არსებობს მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომ არბიტრაჟი ქმედითობისთვის სულ ცოტა სახელმწიფო დახმარების დამკვიდრებას საჭიროებს. თუ სახელმწიფო კონტროლის არარსებობა მოემსახურება აშკარად თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებას, ეს ნამდვილად იქნება სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპის დარღვევა. მეორე მხრივ, მხარეებს გადაწყვეტილების ავტონომიის საშუალებით შეუძლიათ გავლენა იქონიონ სასამართლოს კონტროლის შესაძლებლობაზე. ეს გამომდინარეობს კონსტიტუციაში გარანტირებული თავისუფალი მოქმედებისა და ნების ავტონომიის ძირითადი უფლებებისგან. სადავოა აქ მხოლოდ მასშტაბი დაშვებული კონტროლისა. ეს განისაზღვრება მნიშვნელობის სიდიდით, რომელიც ნების ავტონომიას არბიტრაჟის უნარიანობის მიმართებაში ერთ სიბრტყეზე მოქმედების თავისუფლების გარანტიასა და სამართლიანი და სოციალური სახელმწიფოს უსაფრთხოებას შორის არჩევანს აკეთებს.

არსებობს მოსაზრება, რომელიც ნების ავტონომიას უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივ ინტერესთან მიმართებაში, განსაკუთრებით, სამართლებრივ სიმშვიდესა და სამართლებრივ უსაფრთხოებასთან შედარებით. საარბიტრაჟო პროცესი დახურულია, რაც არ შეესაბამება განაჩენის საჯაროობას, რომელიც სასამართლოში არსებობს. ეს ფენომენი დამახასიათებელია მთლიანად არბიტრაჟისთვის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპეტენციის კომპეტენციაზე. სამართლებრივი მშვიდობა მოიცავს დაცული სამართალწესრიგის ნდობას. ეს ნდობა შეიძლება შეირყეს კომპეტენციის კომპეტენციის დებულების აღიარების შედეგად, როცა ერთი მხარე საარბიტრაჟო პროცესის ნების საწინააღმდეგოდ წავა. საარბიტრაჟო სასამართლოს აშკარა თვითნებური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა შეიძლება სასამართლოში საზოგადოებრივ წესრიგთან წინააღმდეგობის მიზეზით [68, 26-27].

ინგლისურ სამართალში არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხი ყოველთვის განსაზღვრული იყო. სასამართლოს შეუძლია არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებამდეც იმსჯელოს მის კომპეტენციაზე. სახელმწიფო სასამართლოს შეუძლია მხარის ან არბიტრის მოთხოვნით დაადგინოს არბიტრაჟის კომპეტენცია ან უარი თქვას მის დადგენაზე.

თუ არბიტრი უარს ამბობს იმ საარბიტრაჟო განხილვაზე, რომელზეც სასამართლომ კომპეტენცია დაადგინა, ამ უკანასკნელს შეუძლია შესაბამის საქმეზე სხვა არბიტრი მოიწვიოს. არბიტრს არ უნდა ჰქონდეს ინტერესი იმისა, რომ საქმე არ გადაწყდეს.

როცა მხარეებს არ გადაუწყვეტავთ კომპეტენციის საკითხი საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობის დროს, ან სასამართლომ ვერ მოუსწრო საბოლოო გადაწყვეტილებას, ან სასამართლომ უარყო არბიტრაჟის კომპეტენცია საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემდეგ, მათ შეუძლიათ აღძრან ეს საკითხი საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად ან მისი აღსრულების დროს.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არაქმედითია, მაშინ სასამართლო აღძვრას ყოველთვის მოსდევს შედეგი. თუ საარბიტრაჟო დებულების დადებისას მხოლოდ შეცდომაა დაშვებული და არბიტრაჟმა გარკვეულწილად გაარკვია საკუთარი კომპეტენცია, მაშინ შედეგი არ დადგება [68, 30-32].

ინგლისში კომპეტენციის კომპეტენციის კონცეფციის არსებობის აუცილებლობა ნაწილობრივ არ იყო დანახული, და საერთოდ არსებობს შეხედულება, რომ ინგლისურ სამართალში გადაწყვეტილება საარბიტრაჟო კომპეტენციაზე მუდმივად სახელმწიფო სასამართლოს ვალდებულებაა, თუმცა არბიტრაჟი უფლებამოსილია თავის კომპეტენციაზე მოსაზრებები წამოაყენოს და აქ მხარეთა უფლებები ზეგავლენას ვერ მოახდენენ. „competence of competence“-ის ქვეშ ინგლისურ სამართალში, განსხვავებით გერმანულისა, საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება არბიტრაჟის კომპეტენციაზე არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება წინასწარი (დროებითი) გადაწყვეტილება. ამ პოზიციის საფუძველი არის ლოგიკური მოსაზრება: „არბიტრაჟის გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს საბოლოო, იგი მხარეების საარბიტრაჟო შეთანხმების ბუნებიდან გამომდინარეობს, და საბოლოო გადაწყვეტილება დაკავშირებულია

სასამართლოსთან.“ არბიტრის უფლებამოსილებას - გადაწყვეტილება მიიღოს საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, - არ შეუძლია მისი არსებობა განსაზღვროს, რადგან ნეგატიურად წარმოდგება ეს გადაწყვეტილება, რისი უფლებაც არ აქვს.

უნდა განვასხვავოთ პრობლემატიკა ერთი მხრივ, საარბიტრაჟო დებულებების დამოუკიდებლობა მთავარი ხელშეკრულებისაგან და მეორე მხრივ - კომპეტენციის კომპეტენცია. მთავარ ხელშეკრულებასა და საარბიტრაჟო დათქმას შორის ერთგვარი დამოკიდებულება მდგომარეობს, ანუ საარბიტრაჟო დებულებას გააჩნია დამოკიდებული ან დამოუკიდებელი სამართლებრივი ბედი საარბიტრაჟო ხელშეკრულებასთან მიმართებაში. ეს საკითხი მნიშვნელოვანია დავისთვის, თუ სასამართლო განსაზღვრავს ძირითადი ხელშეკრულების სამართლებრივ ძალას. თუ ესენი ერთმანეთთან დამოკიდებულებაში არიან, მაშინ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ლოგიკურად შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში არბიტრაჟს არ გააჩნია ნეგატიური კომპეტენცია. მაგრამ თუ მთავარი ხელშეკრულება და მასში გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმა ცალ-ცალკე მოიაზრება, მაშინ ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილოს მთავარი ხელშეკრულების კანონიერება, არ არის პრობლემა.

კონცეფცია კომპეტენცია კომპეტენციაზე იმავე პრინციპით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში საკითხი ისაა, რომ არბიტრაჟი განიხილავს თავად საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას. აქაც ლოგიკური მოსაზრება უნდა ჩამოყალიბდეს, სადაც ისევ გვხვდება მოცილება-გაყოფის საკითხი, ამჯერად, საარბიტრაჟო დებულებებსა და კომპეტენცია კომპეტენციის დებულებებს შორის. ხშირად ეს პრობლემები ერთმანეთში არეულია. ეს გასაგებიცაა, რადგან როცა არბიტრაჟი განსჯის მთავარი ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენის კომპეტენციას, სადაც დამოკიდებულება უარყოფილია, დაისმის შემდეგი საკითხი, - შეუძლია თუ არა არბიტრაჟს თვითონ საარბიტრაჟო დებულებების ნამდვილობაზე იმსჯელოს.

ამ დოქტრინის განვითარების ამოსავალი წერტილი იყო ლორდთა პალატის 1942 წლის გადაწყვეტილება *Heyman vs Darwins* - ის საქმეში. ამ საქმეში არსებობდა ხელშეკრულება, რომელსაც გააჩნდა ფართოდ ფორმულირებადი საარბიტრაჟო დათქმა. ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ჰაიმანმა იჩივლა სავაჭრო სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. დარვინსი დაჟინებით აცხადებდა უარს ხელშეკრულების შესრულებაზე. დარვინსი

აპელირებდა, რომ პროცესი გამართულიყო ხელშეკრულებაში გაკეთებული საარბიტრაჟო დათქმის შესაბამისად. ლორდთა პალატაში აპელაცია დაშვებულ იქნა, რათა წინა გადაწყვეტილებებით საკითხის ირგვლივ წარმოქმნილი ყოყმანი დაერეგულირებინა. თუ ხელშეკრულებას დამატებითი გაუქმება მიყავს იქამდე, რომ მასში გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმა ძალას კარგავს, არბიტრი ამის შემდეგ არაკომპეტენტური ხდება [68, 39-40].

ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა არბიტრაჟის კომპეტენციის საფუძვლებს, არამედ ძირითად ხელშეკრულებასა და საარბიტრაჟო შეთანხმებას შორის დამოკიდებულებას. ლორდ-მოსამართლეებმა ამ საკითხთან დაკავშირებით დაადგინეს, რომ ხელშეკრულების მოშლა ვალდებულებების უარყოფისა და ჩაშლის გამო, საარბიტრაჟო დებულებების გაუქმება და ამით არბიტრაჟის კომპეტენციას არ უნდა ჰქონდეს ზეგავლენა.

#### 4.5. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა და აღსრულება

საარბიტრაჟო განხილვაში სასამართლოს ჩარევის კიდევ ერთი შემთხვევა უკავშირდება უზრუნველყოფის ზომების მიღებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ძალზე მნიშვნელოვანია. ზოგიერთ სიტუაციაში მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს, თუ ის სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი მესამე მხარის მიერ, ან შესაძლოა ერთ მხარეს დასჭირდეს, რომ მეორე მხარემ შეწყვიტოს გარკვეული ქმედებების განხორციელება დაუყოვნებლივ. ასევე შესაძლოა აქტივებს სჭირდებოდეს დაცვა. საარბიტრაჟო ცენტრების წესების მსგავსად, კანონი არბიტრაჟის შესახებ არბიტრაჟს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს სხვადასხვა უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ მომთხოვნი მხარე შეძლებს მათი საჭიროების დასაბუთებას.

არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, წარმოადგინოს აღნიშნული

უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტია [24, 250]. მას შემდეგ, რაც არბიტრაჟი მიიღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, მხარეს, რომელიც შუამდგომლობს აღნიშნული ღონისძიების გამოყენებაზე, შეუძლია მოითხოვოს ამ ღონისძიებების აღსრულება სასამართლოში. ქართულმა სასამართლოებმა უნდა აღასრულონ ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანაში იქნა იგი მიღებული, თუ ის არ არღვევს რომელიმე წინაპირობას, რომელთა რაოდენობაც არც თუ ისე დიდია და მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი. სასამართლოს ეკრძალება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებითი განხილვა. მხარეს ასევე შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს უშუალოდ სასამართლოს.

უნსიტრალის მოდელური კანონის მე-17 მუხლი საარბიტრაჟო შემადგენლობას ანიჭებს უფლებას მოსთხოვოს მხარეს უზრუნველყოფის იმ ზომების მიღება, რომლის გამოყენებასაც ის საჭიროდ მიიჩნევს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის (საარბიტრაჟო სარჩელის) უზრუნველყოფა არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის ან დააბრკოლებს მოპასუხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას [97].

თბილისის სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ხშირ შემთხვევებში, კრედიტორისათვის, რომლის სასარგებლოდაც გადაწყდება დავა, სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნას პრაქტიკული ღირებულება ეკარგება, რადგან აღმოჩნდება, რომ სასამართლოში საქმის განხილვის ხანგრძლივობის გამო ფაქტობრივი

ვითარება კრედიტორის საუარესოდ შეიცვალა, ან მოვალე ამასობაში გადახდისუუნარო გახდა, ან ქონება, რომლის დაბრუნებაც მოსარჩელეს სურს, ან რომელზეც უნდა მიქცეულიყო აღსრულება, მოვალემ გაასხვისა. სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას [111].

სათანადო უზრუნველყოფის წარდგენის მოთხოვნის უფლება აქვს როგორც არბიტრაჟს, ისე სასამართლოს, თუ მეორე მხარე ამას მოითხოვს. როგორც უნსიტრალის მოდელური კანონის, შვეიცარული საარბიტრაჟო რეგლამენტის, ისე საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ ევროპული კონვენციის თანახმად, სასამართლოსათვის უზრუნველყოფის ზომების მიღების მოთხოვნით მიმართვა არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას. თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნულის შესახებ მოსაზრება იყოფა. ერთნი მიიჩნევენ, რომ სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ეწინააღმდეგება ნიუ-იორკის კონვენციის მეორე მუხლის მესამე ნაწილს, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას მხარეები არბიტრაჟში გაგზავნოს დავის გადასაწყვეტად. ხოლო მეორენი მის საწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავენ.

ევროპის ქვეყნებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გასატარებელი უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. შვეიცარიის, გერმანიის, შვედეთის და საქართველოს კანონმდებლობა მხარეს აძლევს უფლებას უზრუნველყოფის ზომების მიღება მოითხოვოს როგორც სასამართლოში, ასევე არბიტრაჟში. ბელგიის კანონის თანახმად, არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება, გარდა ქონებაზე ყადაღის დადებისა. რაც შეეხება უნსიტრალის მოდელურ კანონს, უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ არბიტრაჟს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>18</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით,



მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. ანუ მხარეს უფლება აქვს პირდაპირ სასამართლოს მიმართოს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები [95].

2010 წლის 4 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ერთ-ერთმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება მოწინააღმდეგე მხარის კუთვნილ უძრავ ქონებაზე. განმცხადებელი უთითებდა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მას აუცილებლად. სასამართლომ მიუთითა, რომ თუ მას გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანდა განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ [113].

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა განცხადება, რადგან დაადგინა, რომ არსებული გარემოების გათვალისწინებით და საარბიტრაჟო სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დავის საგანი საჭიროებდა დაცვას, რადგან მოპასუხის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვერ განახორციელებდა მოპასუხისაგან საკრედიტო ხელშეკრულებით გაცემული თანხის დაბრუნებას და „უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობას შეიძლება გაეძნელებინა ან შეუძლებელი გაეხადა საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სასარგებლოდ მიღებული შესაძლო გადაწყვეტილების აღსრულება [113].“ სხვა საქმეში სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა და მასალები აკმაყოფილებს “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, წარმოდგენილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი, ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების სათანადოდ დამოწმებული ასლი. არ არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებაზე უარის

თქმის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საფუძვლები, რის გამოც შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს [106].

კიდევ ერთი პროცესის დროს სასამართლომ განუმარტა მხარეებს, რომ “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასამართლო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს [107].

2005 წელს ინგლისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს უზრუნველყოფის ზომები საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე. სასამართლოს მითითებით, როდესაც ასეთი ზომების მიღება აუცილებელია ქონების გადასარჩენად და ა.შ, მაშინ ზომების მიღებაზე უარი არ უნდა ითქვას. სასამართლოების ფუნქცია მდგომარეობს საარბიტრაჟო განხილვის ხელშეწყობაში და არა არბიტრაჟის უფლებამოსილების უზურპაციაში [25, 247].

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ კანონი კრძალავს უშუალოდ სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის, ანუ სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას [107].

თუ აღარ არსებობს სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გამძლეობისა ან აღუსრულებლობის საშიშროება, უზრუნველყოფისათვის ღონისძიებები უნდა მოიხსნას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი გადაწყვეტილება:

ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა. ყადაღა დაედო უძრავ ქონებას. მას შემდეგ, რაც მსესხებლის მიერ ვალდებულება სრულად იქნა შესრულებული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიმართა სასამართლოს ყადაღის მოხსნაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ აღარ არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, რადგან ვალდებულება შესრულებულია სრულად,

ამიტომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე განცხადება დააკმაყოფილა [110].

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

მხარის მიმართვის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, არბიტრაჟი წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ავალებს მხარეს:

- ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებას ან აღდგენას;
- ბ) ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;
- გ) ღონისძიებების განხორციელებას იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;
- დ) მტკიცებულებების შენახვასა და შენარჩუნებას, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავასა და მის გადაწყვეტას.

მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

- ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;
- ბ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის

ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;

გ) არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

აღნიშნული მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯებისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეულია მის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი შემდგომ დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.

არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოყენებული აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მხარე, რომელიც მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით არბიტრაჟის მიერ გამოყენებული

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა სასამართლომ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.

მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, მიმართავს სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:

ა.ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე უარი ეფუძნება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ გარემოებებს;

ა.ბ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის თაობაზე არ იქნა შესრულებული;

ა.გ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეაჩერა ან გააუქმა არბიტრაჟმა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ტარდება საარბიტრაჟო განხილვა, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ბ) სასამართლო მიიჩნევს, რომ:

ბ.ა) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითად შეცვლის გარეშე მისი ფორმის იმ ფარგლებში შეცვლის შესახებ, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულებისათვის;

სასამართლო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე, გადაწყვეტილების გამოტანისას არსებითად არ იხილავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

#### 4.6. სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში

საარბიტრაჟო განხილვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტადია არის მტკიცებულებების წარდგენა, მათი გამოკვლევა და შეფასება.

მას შემდეგ, რაც არბიტრაჟი მიმართავს სასამართლოს დაეხმაროს მტკიცებულებათა მოპოვებაში, სასამართლო იყენებს სამოქალაქო საპროცესო სამართალს. არც საქართველოს კანონმდებლობაა გამონაკლისი. საქართველოს საპროცესო კოდექსის 356<sup>19</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სასამართლოსთვის მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მიზნით მიმართვის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის თავი, რომელშიც დარეგულირებულია მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. აშშ-ში თუ არბიტრაჟის დადგენილება მტკიცებულებებთან დაკავშირებით არ შესრულდა, მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გერმანიის სამართლის მიხედვით მტკიცებულებებს საარბიტრაჟო პროცესში. სასამართლო შეიძლება დაეხმაროს არბიტრაჟს შემდეგი სახის მტკიცებულებების მოპოვებაში: უცხო ქვეყნიდან მტკიცებულებების გამოთხოვა, იძულებითი ღონისძიებების გამოყენება მოწმეების მოსაყვანად; მოწმეებისა და მხარეების ფიცის ქვეშ დაკითხვა და ა.შ. [82, 238].

გერმანულმა ორგანიზაციამ, რომელიც აწარმოებდა სამშენებლო მასალას, გააფორმა ხელშეკრულება სლოვენიურ ფირმასთან, რომელსაც უნდა მიეწოდებინა გერმანული საწარმოსთვის ფანჯრები. ხელშეკრულებაში მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულების შეწყვეტის წესები იმ შემთხვევისთვის, თუ კომერციული საქმე ცუდად წარიმართებოდა. მხარეები ასევე შეთანხმდნენ სამართლებრივი დავის შემთხვევაში მიემართათ მიუნხენის მრეწველობისა და სავაჭრო პალატისთვის (IHK). გერმანულმა მხარემ სამი წლის შემდეგ გაარკვია, რომ ფანჯრები არ იყო კონკურენტუნარიანი და ხელშეკრულება შეწყვიტა. მხარეებმა გააფორმეს საარბიტრაჟო შეთანხმება, თითოეულმა დანიშნა არბიტრი, ხოლო მრეწველობისა და სავაჭრო პალატამ შესაბამის საქმეზე - მომხსენებელი. სასამართლოს ზეპირ სხდომაზე საარბიტრაჟო სასამართლომ გამოაქვეყნა მტკიცებულებების დასაშვებობაზე გადაწყვეტილება, რომელიც ადგენდა მოწმის დაკითხვას. ფრანკფურტის მიდამოებში მცხოვრებმა მოწმემ მზაობა განაცხადა ჩვენების მიცემაზე. შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მოწმემ განაცხადა, რომ იგი არ აპირებდა არბიტრაჟის წინაშე წარდგომას. მოწმისათვის, რომელსაც არავითარი ინტერესი გააჩნდა პროცესის მიმართ, არბიტრაჟის წინაშე წარდგომა დროის დიდი ხარჯვა იყო. მხარეებმა მოსთხოვეს არბიტრაჟს შესაბამისი საპროცესო მოქმედების ჩატარება, რათა მოწმე დაკითხულიყო. მხარეების სახელითა და მათი ნების შესაბამისად მთავარმა არბიტრმა გააკეთა განაცხადი მიუნხენის რაიონულ სასამართლოში მოწმის დაკითხვის იძულებასთან დაკავშირებით. მიუნხენის რაიონულმა სასამართლომ არაკომპეტენტურად მიიჩნია თავი ამ გარემოებასთან დაკავშირებით და საქმე გადასცა ბოხუმის მიწის სასამართლოს. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმას, რომ სახელმწიფო სასამართლოს კომპეტენცია დავის საგნის გამო არ შეიძლება გადაეხედა. განსჯადი სასამართლო შეიძლება შეირჩეს საცხოვრებელი ადგილის ან საარბიტრაჟო პროცესის ადგილმდებარეობის მიხედვით. თუ მოცემულია რამდენიმე განსჯადი სასამართლო, მოსარჩელეს შეუძლია აირჩიოს თუ რომელი სასამართლო განიხილავს საქმეს [78, 273-274].

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არბიტრაჟის უფლებამოსილებას განეკუთვნება ნებისმიერი მტკიცებულების დასაშვებობის შემოწმება და მტკიცებულებათა შეფასება. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟი უფლებამოსილია:

- ა) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარუდგინოს მეორე მხარეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება;

ბ) გამოიძახოს ნებისმიერი მხარის მოწმე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს მისი დაკითხვა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე და გამოიყენოს მოწმის ჩვენება განხილვის დროს;

გ) საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსთხოვოს მხარეს, წარმოადგინოს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან ნივთმტკიცება.

არბიტრაჟს ან მხარეს არბიტრაჟის თანხმობით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული მტკიცებულებანი უნდა წარედგინოს მხარეს (მხარეებს) ან არბიტრაჟს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

ბუნებრივია, სასამართლოს ჩარევის შემთხვევები საარბიტრაჟო წარმოებაში ზემოაღნიშნულით არ შემოიფარგლება. კვლევის დროს შევეცადეთ გამოგვეყო მთავარი. ძირითად პრობლემებს მაინც ვაწყდებით გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს, ასევე მასზე უარის თქმის, გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და ბათილად ცნობის დროს, თუმცა მათზე ზევით გვქონდა დეტალურად საუბარი და ამ თავში აღარ გავიმეორებთ.

სახელმწიფო სასამართლოს საარბიტრაჟო საქმიანობაში ჩარევის საკითხების რეგულირებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ყველაზე მეტად სწორედ აქ ხდება სახელმწიფოსა და არბიტრაჟის ინტერესთა პირდაპირი გადაკვეთა და ვინაიდან სწორედ სახელმწიფოს ნება თამაშობს უდიდეს როლს არბიტრაჟთა წარმატებით ფუნქციონირებაში, ჩვენი მიზანია, რომ აღნიშნული ინტერესები არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, არამედ მოხდეს მათი თანხვედრა. ეს უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ინსტიტუტებთან მიმართებაში, საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან ჰარმონიზაციის გზით. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ ვისაუბროთ წარმატებულ არბიტრაჟებზე საქართველოში.



## თავი V დასკვნები და რეკომენდაციები

უდავოა არბიტრაჟის, როგორც კერძო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. საქმიანი წრის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან სამეწარმეო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების რაც შეიძლება სწრაფად და მათთვის სასურველი პროცედურების შესაბამისად გადაწყვეტით. ამ მხრივ, არბიტრაჟი უდავოდ მოქნილი და ეფექტური საშუალებაა. იგი თავისუფალია სასამართლოსათვის დამახასიათებელი საპროცესო ფორმალიზმისაგან. არბიტრაჟის გაძლიერება მეწარმეობისა და ეკონომიკური სფეროს წინსვლისა და ამ პროცესის დროს წარმოშობილი დავების ეფექტურად გადაწყვეტის ერთ-ერთი უპირველესი წინაპირობაა, ვინაიდან საარბიტრაჟო პროცესი „ურთიერთდაკმაყოფილების ეფექტის“ მატარებელია. მხარეები პროცესის მსვლელობისას ერთმანეთს მიიჩნევენ არა როგორც მტერს და მოწინააღმდეგე მხარეს, არამედ როგორც აუცილებელ მონაწილეს „მეგობრულ პროცესში“ გარკვეული უთანხმოების მოსაგვარებლად. აღნიშნული პრობლემის დროული და სამართლიანი გადაწყვეტა კი ორივეს წისქვილზე ასხამს წყალს, ამიტომ საარბიტრაჟო სამართალწარმოების შედეგი არის უფრო ერთობლივი და მშვიდობიანი. ამის საწინააღმდეგოდ კი სახელმწიფო სასამართლოებს მიიჩნევენ შედარებით „შეურაცხმყოფელად“. იგი მკაცრად გამოიწვევს გამარჯვებულსა და დამარცხებულს. ბიზნესგარემოში სასამართლოში ჩივილი არაპარტნიორულ და არამეგობრულ ტონად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი სამეწარმეო სფეროში წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ერთ-ერთ აღიარებულ და პოპულარულ მექანიზმად ითვლება. მხარეებს ნაკლებად აქვთ ხოლმე სურვილი, რომ მსხვილი ტრანსნაციონალური ეკონომიკური პროექტის წარმატება თუ წარუმატებლობა ერთი რომელიმე სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იყოს დამოკიდებული, ამიტომ საერთაშორისო არბიტრაჟი ასეთი პროექტებით დაინტერესებულ ბიზნესმენტა ყველაზე ხშირი არჩევანია.

ნაშრომში განხილული გვაქვს არბიტრაჟთა დადებითი მხარეები საერთო სასამართლოებთან მიმართებაში. აღნიშნული ფაქტორები ბიზნეს გარემოსთვის ძალიან მიმზიდველს ხდის დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიულ საშუალებას. მაშ რით არის გამოწვეული, რომ მიუხედავად ამდენი უპირატესობებისა, საქართველოში არბიტრაჟის როლი ერთგვარად დაკნინებულია? რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟების მეშვეობით საქმის განხილვა, აღიარებული მოსაზრების თანახმად, უფრო მოქნილი, ხანმოკლე და ნაკლებ ხარჯიანია, მსხვილი კომპანიები ქვეყნის შიგნით წარმოშობილი ქონებრივი დავების მოგვარებისას ხშირ შემთხვევებში უპირატესობას საერთო სასამართლოებს ანიჭებენ. მათ უფრო სტაბილურად და საიმედოდ მიაჩნიათ სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს, თავის მხრივ, იწვევს სახელმწიფო მართლმსაჯულების სისტემის გადატვირთვას და არბიტრაჟის ფუნქციის მოშლას. თუ საერთაშორისო მუდმივმოქმედი არბიტრაჟების რეიტინგი და პოპულარობა საგრძნობლად მატულობს, საქართველოში პირიქით, ქონებრივი დავების გადაწყვეტის ეს ალტერნატიული საშუალება მეტ - ნაკლებად დასუსტებულია და ნდობას კარგავს, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნეს გარემოს გაფართოების ფონზე ის მეტ მნიშვნელობას უნდა იძენდეს.

რაში გვჭირდება არბიტრაჟი? რატომაა აუცილებელი მისი არსებობა? პირველ რიგში, საარბიტრაჟო ინსტიტუტის ფუნქციონირების ხარისხი და მისი ავტორიტეტი ერთგვარი ინდიკატორია ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოსთან მიმართებაში, პირდაპირ კავშირშია ინვესტიციების მოზიდვასთან, სხვადასხვა დიდი თუ მცირე პროექტების განხორციელებასა და ბიზნესის განვითარებასთან. საერთაშორისო კანონმდებლობებთან ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ამ ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირება საერთაშორისოდ აღიარებული წესების მიხედვით ბიზნეს სისტემების განვითარებისა და ამ ინსტიტუტის სანდოობის მაჩვენებელია. არბიტრაჟების მეშვეობით დავის გადაწყვეტა არ იწვევს

სამეწარმეო კავშირების რღვევას მისი „მშვიდობიანი“ ხასიათის გამო და ხელს უწყობს ურთიერთობების გაღრმავებას. მისი სისწრაფე და მოქნილობა კი თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ტემპებს ესადაგება და გამოტანილი გადაწყვეტილება აქტუალურად რჩება.

მეორე ფაქტორი, რაც არბიტრაჟების საჭიროებას განაპირობებს, არის საერთო სასამართლოების სისტემის განტვირთვა. ქონებრივი დავები სახელმწიფო სასამართლოების მიერ განსახილველი დავების საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს. ეს, ბუნებრივია, დავის გადაწყვეტის დროსა და ხარჯებზეც აისახება. არბიტრაჟი ამ პრობლემიდან საუკეთესო გამოსავალია. იმ ფაქტსაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ როდესაც მთელი მსოფლიო აღიარებს ამ ინსტიტუტს, ცდილობს ხელი შეუწყოს მას და მაქსიმალურად განავითაროს, საქართველო ვერ დარჩება ამ პროცესებს მიღმა და ვერ მოჰყვება იზოლაციაში. მან ფეხი უნდა აუწყოს საერთაშორისო კანონმდებლობის სრულყოფას და საერთაშორისო ნორმები გადმოიტანოს და დაწეროს ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს ამ ინსტიტუტის განვითარებას.

მესამე, რაც გვინდა გამოვყოთ, არის ის, რომ თავად საარბიტრაჟო საქმიანობა კომერციული საქმიანობაა. იგი მოგების მიღებაზეა გათვლილი და ბიზნეს სფეროში ერთ - ერთ მნიშვნელოვანი სფეროა. მისი განვითარება პირდაპირ გულისხმობს ბიზნესის ამ სეგმენტის განვითარებას, რაც, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის დადებითი მოვლენაა. რაც უფრო ძლიერი და ავტორიტეტული იქნება არბიტრაჟი საქართველოში, მით მეტ მოდავე მხარეს მოიზიდავს დავის გადასაწყვეტად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რაც მეტი ფინანსების შემოდინებას და ქვეყნის ავტორიტეტის ზრდას გულისხმობს. მაგალითად, შესაბამისი ხელშეწყობისა და სწორი საკანონმდებლო პოლიტიკის შემთხვევაში საქართველოს აქვს დიდი რესურსი და პერსპექტივა გახდეს თუნდაც კავკასიის საარბიტრაჟო ცენტრი, რაც ქვეყნისთვის როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხით საკმაოდ მომგებიანი იქნება.

რა ხდის არბიტრაჟს მიმზიდველს? - სისწრაფე, მოქნილობა, მხარეთა ნების უზენაესობა, ეფექტურობა, ნაკლები ხარჯები, გასაჩივრების შეზღუდული შესაძლებლობა, სანდოობა და ავტორიტეტი. სამწუხაროდ, საქართველოში მოქმედ არბიტრაჟებს სხვადასხვა გარემო-ფაქტორის ზეგავლენით აღნიშნული თვისებები მეტ-ნაკლებად დაკარგული აქვთ: საკანონმდებლო ხარვეზები ხელს უშლიან საქმის სწრაფ და იაფ გადაწყვეტას, პრაქტიკაში

დამკვიდრებული ზოგიერთი ფაქტორი მიმზიდველობას უკარგავს მას. ბიზნეს წრეებში ხშირად საუბრობენ ე.წ. „ჯიბის არბიტრაჟებზე“, რაც ძალიან დიდი პრობლემა და სამწუხარო რეალობაა. ნაკლებად არის დაცული სუსტი მხარე ძლიერი მოწინააღმდეგისგან და სხვ. ეს საინტერესოა იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ უკანასკნელი წლების პრაქტიკის თანახმად, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვებში ქართული სახელმწიფოს ან მისი რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევები ხშირდება. მსოფლიო ბაზარზე ქართული საქმიანი წრეების ინტეგრაციის ინტენსივობის ზრდასთან ერთად საერთაშორისო არბიტრაჟის ქართველ მომხმარებელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. საკითხის აქტუალობას ამძაფრებს ის გარემოება, რომ ამ სფეროში მოქმედი თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიუხედავად, ქართულ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ აქვს საერთაშორისო არბიტრაჟის სრულად მარეგულირებელი კანონმდებლობა. საერთაშორისო არბიტრაჟთან დაკავშირებული იურიდიული ლიტერატურა თითქმის არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სტატიას, ქართულ ენაზე.

აღნიშნული მოსაზრების ლეგიტიმაციისთვის ჩვენს ნაშრომში გამოვყავით სხვადასხვა ხარვეზი და სიტუაცია როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული კუთხით და შევიმუშავეთ რეკომენდაციები კანონმდებლობის დახვეწის, საერთაშორისო ნორმებთან მისი ჰარმონიზაციის, სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარიზაციის მიზნით.

## 5.1. კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები

უპირველესი პრობლემა, რაც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესწავლის დროს გამოიკვეთა, საარბიტრაჟო შეთანხმებას უკავშირდება. კანონის თანახმად, „საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე“. პრაქტიკის შესწავლიდან გამომდინარე, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებაში ზუსტად არ არის

განსაზღვრული რომელ არბიტრაჟს უნდა მიმართონ დავის შემთხვევაში მხარეებმა, სახელმწიფო სასამართლო უარს ამბობს აღნიშნულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ მაშინაა კანონშესაბამისი, თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული არბიტრაჟი (არბიტრი), თანაც აღნიშნული დათქმა უნდა იყოს უალტერნატივო. წინააღმდეგ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმება ჩაითვლება შეუსაბამოდ კანონთან და ამის შემდგომ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე საუბარი, ბუნებრივია, ზედმეტია. ამ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ: “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ.ა ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა ნამდვილ ნებას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვაზე. თუ ასეთი დათქმა არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა, ხოლო დავის განხილვის შემთხვევაში არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები კონკრეტულ არბიტრაჟზე არ შეთანხმებულან, დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს. მოქმედი კანონმდებლობა უშვებს არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვას მხოლოდ კონკრეტულ არბიტრაჟზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. ამ პრაქტიკას აქვს თავისი უარყოფითი მხარე: ჯერ ერთი, კანონმდებლობაში არ არის ასახული აღნიშნული აკრძალვა. არსად არის ხაზგასმული, რომ მხოლოდ კონკრეტულ არბიტრაჟზე შეიძლება საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითება. საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება ვერ გაეცნონ სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით და „ხაფანგში“ აღმოჩნდნენ. მეორეც, როცა თუნდაც მხარეს გააზრებული აქვს ზემოთაღნიშნული, შეიძლება დაირღვეს თანასწორობის პრინციპი. როდესაც სუსტი საბაზრო პოზიციის მქონე მხარე შეთანხმებას დებს დომინანტ პარტნიორთან, ხშირად ისეა დაინტერესებული ამა თუ იმ კონტრაქტის გაფორმებით, რომ თანხმდება მეორე მხარეს მისთვის ხელსაყრელ არბიტრაჟზე. სწორედ აქ იჩენს თავს „ჯიბის არბიტრაჟების“ პრობლემა, რაზეც ხმამაღლა აცხადებენ ბიზნეს წრეებში. ფაქტობრივად, დომინანტი მხარე უპირატესობას იღებს,

ხოლო სუსტი მხარე იჩაგრება.

გასაგებია კანონმდებლის პოზიცია, თუ რატომ სურს საარბიტრაჟო შეთანხმებაში არბიტრაჟი კონკრეტულად იყოს მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის უკვე არსებობს დავა, რთულდება ნებისმიერ საკითხზე შეთანხმება, მით უმეტეს, თუ რომელმა ინსტიტუტმა უნდა გადაწყვიტოს დავა, ამიტომ საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რაც უდავოს გახდის მხარეთა ნებას.

მეორე მხრივ, გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო შემდეგი: თუ მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითებენ რამდენიმე ალტერნატიულ არბიტრაჟს, ხოლო დავის დაწყებისას ვერ შეთანხმდებიან კონკრეტულ არბიტრაჟზე, სწორედ აქ ჩაერიოს სასამართლო და დადგენილი წესით თვითონ შეურჩიოს მხარეებს შეთანხმებაში მითითებული არბიტრაჟებიდან ერთ-ერთი მისაღები. მიგვაჩნია, რომ ეს უფრო გაადვილებს პროცესს და ამასთანავე, თავიდან აგვაცილებს უკვე გადაწყვეტილი დავის თავიდან განხილვას, რაც დამატებით დროსთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული. ეს გასათვალისწინებელია იმ მხრივაც, რომ მართალია, ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ad hoc არბიტრაჟებს და არსადაა დარეგულირებული მათი შექმნისა და საქმიანობის წესი, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და უფრო მრავალფეროვანი ბიზნეს ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან ერთად, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობებთან ჰარმონიზაციის გზაზე, სხვადასხვა სპეციფიკური დავიდან გამომდინარე სიტუაციამ შეიძლება მოითხოვოს ad hoc ინსტიტუტის დანერგვა. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო გართულდება საარბიტრაჟო შეთანხმებაში ერთი რომელიმე კონკრეტული არბიტრაჟის მითითება და საბოლოოდ ამ მოთხოვნის აუცილებლობა აზრს დაკარგავს.

ამ ეტაპზე, თუ კანონმდებელი მზად არ არის გაითვალისწინოს ზემოთ მითითებული რეკომენდაცია, მეტი სიცხადისა და სადავო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ კონკრეტულ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.“

შემდეგი პრობლემა, რაც ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისა და გაუქმების შესაძლებლობას ეხება. გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ აღნიშნული საკითხები გადამწყვეტია არბიტრაჟის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის. განიხილავენ რა არბიტრაჟის უპირატესობას სახელმწიფო სასამართლოსთან მიმართებაში, ერთ-ერთ მთავარ დადებით მხარედ მეცნიერები არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრების შეზღუდულ შესაძლებლობას მიიჩნევენ. სწორედ ამ თავისებურებაზეა დამოკიდებული არბიტრაჟების სისწრაფე და სიიაფე. აღნიშნულის გამო კანონმდებელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს ამ სფეროს, რათა არ დაუკარგოს არბიტრაჟებს თავისი მიმზიდველი თვისება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისა და გაუქმების საკითხებს ეხება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 თავი. 42- მუხლში ზუსტად არის ჩამოყალიბებული ყველა ის პუნქტი, რომელიც შეიძლება გახდეს აღნიშნული პროცედურის საფუძველი. მათ შორის: სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. საჯარო წესრიგთან დაკავშირებული საკითხები ზევით გვქონდა დეტალურად განხილული. იგი საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა და არავინ იცის კონკრეტულად რას გულისხმობს. არც ქართულ, არც საერთაშორისო კანონმდებლობებში ზუსტად არაა განმარტებული საჯარო წესრიგის რაობა. ქართულ რეალობაში სააპელაციო სასამართლო ყოველი კონკრეტული საკითხის განხილვის დროს თვითონ საზღვრავს ესა თუ ის ფაქტი შეიძლება თუ არა ჩაითვალოს საჯარო წესრიგის დარღვევად. ეს ფორმალურად გულისხმობს, რომ სასამართლოს ნებისმიერი საფუძველით შეუძლია გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რასაც საჯარო წესრიგის დარღვევად მიიჩნევს. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ვინაიდან სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოში არ საჩივრდება, არ არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა ან მითითება. ბუნებრივია, სააპელაციო სასამართლოების კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანა დაუშვებელია, მაგრამ აღნიშნული პუნქტი სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს მოდავე მხარეებისთვის, მით უმეტეს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ საფუძველით გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა რიცხვი საკმაოდ დიდია. მათთვის არბიტრაჟისადმი მიმართვა დროის კარგვა გახდება, თუ სახელმწიფო სასამართლოს არ ექნება მკაცრად განსაზღვრული ინსტრუქცია, თუ რა პირობების დარღვევისას გააუქმოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება. განმეორებითი პროცესებისა და ხარჯების თავიდან აცილების მიზნით მოდავე მხარეები

თავიდანვე სახელმწიფო სასამართლოს მინიჭებენ უპირატესობას დავის გადასაჭრელად, მით უმეტეს, რომ აღნიშნული პუნქტი გათვალისწინებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების, აგრეთვე, მათზე უარის თქმისადმი მიძღვნილ მუხლებშიც.

გამოსავალი შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში: უფრო კონკრეტულად განიმარტოს საჯარო წესრიგის ცნება, მინიმუმ განისაზღვროს ის ძირითადი მიმართულებები, რომლებსაც იგი მოიცავს ან საერთოდ ამოღებულ იქნას და მოცემულ მუხლს დაემატოს გადაწყვეტილების გაუქმების კონკრეტულად იმ საფუძვლების ჩამონათვალი, რასაც კანონი საჯარო წესრიგის ცნებაში გულისხმობდა. მეორე მხრივ, კანონმდებელმა აღნიშნული ცვლილება შეიძლება ჩათვალოს საშიშად, ვინაიდან საჯარო წესრიგის ბუნდოვანი ცნება ერთგვარი დამცავი მექანიზმია საერთაშორისო არბიტრაჟების ისეთი გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევებში, რომელიც ქვეყნისთვის მისაღები არ არის და საზიანოა. მეცნიერთა აზრითაც, საჯარო წესრიგის ცნება ზოგ შემთხვევაში გამოსავალია, ე.წ. „უკან დასახევი გზა“. ასეთ მდგომარეობაში, თუ კანონმდებელი უარს იტყვის აღნიშნული ტერმინის განმარტებაზე, ერთიანი სასამართლო პრაქტიკა მკაცრად უნდა ჩამოყალიბდეს, როდესაც სააპელაციო სასამართლო საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს არა მხოლოდ საკუთარი შეხედულებით, არამედ სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მხარეებიც გაცილებით უკეთ იქნებიან ინფორმირებულნი, თუ რა შემთხვევაში უნდა ელოდონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას და რა პროცესუალური დარღვევები უნდა აიცილოს თავიდან არბიტრაჟმა. ეს უკვე ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრის პრობლემას. საჯარო წესრიგის ცნებასთან დაკავშირებული პრობლემა ვრცელდება ამ კანონის სხვა მუხლებზეც, რომლებიც ეხება გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას და მასზე უარის თქმის საფუძვლებს.

კიდევ ერთი ხარვეზი გამოიკვეთა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესწავლისას, რომლის თანახმადაც, გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით, შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა უმეტეს 30 დღით, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა. პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ საქმეებს, როდესაც აღსრულება განხორციელდება, ხოლო ამის შემდგომ გადაწყვეტილება უქმდება. ასეთ სიტუაციაში მეტად ძნელდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ხშირად ზიანის ანაზღაურება. დავის



გადაწყვეტის ნაცვლად მივდივართ უფრო დიდ სადავო სიტუაციამდე. ბუნებრივია, ნათელია, რატომ არ სურს კანონმდებელს შეაჩეროს აღსრულების პროცესი. ეს არბიტრაჟის სისწრაფესა და ეფექტურობაზე მოახდენს ზეგავლენას და აღსრულება გაიწელება დროში. მიგვაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის პასუხისმგებლობით შესაძლებელი უნდა იყოს აღსრულების შეჩერება სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანამდე, მით უმეტეს, რომ ძირითად შემთხვევებში გასაჩივრება უსაფუძვლოდ არ ხდება. ამით თავიდან ავიცილებთ აღსრულების შემდგომ პირვანდელი მდგომარეობის დაბრუნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლით, რომ 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება შეჩერდეს მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა.

ჩვენი მოსაზრებით, ერთგვარი ხარვეზია გაპარული „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში, რომლის თანახმადაც: „იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ:

ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ:

ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

ა.ბ) იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები;

ა.გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს;

ა.დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;

ა.ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი;

ბ) სასამართლო დაადგენს, რომ:

ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ.ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

საჯარო წესრიგის ბუნდოვანებასთან დაკავშირებულ საკითხებს აქ აღარ შევხებით, თუმცა გასარკვევია ამ საფუძვლების არსებობისას მხარეს „შეიძლება“ უარი ეთქვას, თუ ეს კანონის მოთხოვნაა და სავალდებულო ხასიათს ატარებს? როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ამასთან დაკავშირებით მოსაზრება, რომ ამგვარი განმარტება მხოლოდ ტექნიკური შეცდომაა. ნიუ-იორკის კონვენციის ოფიციალური ავთენტური თარგმანი არსებობს ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ჩინურ და რუსულ ენებზე. თითოეული მათგანი თანაბარი ძალის მქონეა. ამ მუხლთან დაკავშირებული ჩანაწერი ინგლისურ და ფრანგულ

ენებზე არსებულ დოკუმენტში ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, ინგლისური თარგმანი ითვალისწინებს დისკრეციულ ჩანაწერს, რომ მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, ხოლო ფრანგული ტექსტი გამორიცხავს ამგვარ დისკრეციას და სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას ყოველგვარი დისკრეციის გარეშე კონკრეტული საფუძვლის არსებობისას უარი თქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. სასამართლოსათვის დისკრეციის მინიჭება, ვფიქრობ, ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს, მივიჩნევ, რომ კონვენციით გათვალისწინებულია სასამართლოს ვალდებულება არ მოახდინოს კანონის დარღვევით მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. შესაბამისად, სასურველია, ამ მუხლში შევიდეს ცვლილება და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს უარი უნდა ეთქვას, თუ ...” და შემდგომ საფუძვლების ჩამონათვალი. ეს ცვლილება თავიდან აგვაცილებს კანონის არასწორად განმარტების შესაძლებლობას და მეტ სიცხადეს შეიტანს პროცესში.

ასევე მიგვაჩნია, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟს არა აქვს კომპეტენცია და როდესაც არბიტრაჟმა გადააჭარბა თავის კომპეტენციას. დღეს არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. მიგვაჩნია, რომ არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებული დავები უნდა განიხილოს და პრაქტიკა ჩამოაყალიბოს სააპელაციო სასამართლომ, ანუ იმ ინსტანციამ, რომელიც იხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხებს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მოსაზრებას ითვალისწინებს კანონში ახლახან შეტანილი ცვლილებებიც.

მივესალმებით იმ ფაქტს, რომ არბიტრაჟებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების სრულყოფის მიზნით კანონმდებლობაში 2015 წელს შეტანილ იქნა ცვლილებები. ცვლილებები ეხება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსს [98], [97]. ამ ცვლილებებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა კანონმდებლობის სრულყოფისკენ, თუმცა ზოგიერთი მათგანის შეტანის დადებით მხარეს და აუცილებლობას ვერ ვხედავთ.

ცვლილებების თანახმად, თუ მანამდე საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში

სასამართლო უარს ამბობდა სარჩელის მიღებაზე, ასევე იგი უფლებამოსილი იყო თავისი ინიციატივით შეეწყვიტა სარჩელთან დაკავშირებული საქმის წარმოება, დღეს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის მიუხედავად სასამართლო უარს არ იტყვის სარჩელის მიღებაზე, ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტა შესაძლებელი იქნება არა სასამართლოს ინიციატივით, არამედ - მხოლოდ მხარის განცხადების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებას არ ვეთანხმებით. ჩვენი აზრით, სასამართლომ მაქსიმალურად უნდა დაიცვას და გააძლიეროს საარბიტრაჟო შეთანხმების დამოუკიდებლობა და მისი არსებობის შემთხვევაში დავა გადასცეს არბიტრაჟს.

ცვლილებების შეტანამდე გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მიიღებოდა განჩინების ფორმით, ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა. ცვლილების შედეგად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე განჩინების გამოტანისთვის კანონით განსაზღვრული ვადა იზრდება 30 დღემდე, ვინაიდან დადგენილი ვადა იყო შეუსაბამოდ მცირე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო ხდებოდა ზეპირი მოსმენის დანიშვნა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე განჩინების გამოტანისთვის კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება არა შუამდგომლობის მიღების დღიდან, არამედ - ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების წარმოდგენიდან ან მისი წარმოდგენისთვის განსაზღვრული 7 დღიანი ვადის გასვლიდან. ცვლილებამდე - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის მიუხედავად, სასამართლო უფლებამოსილი იყო, იმავე საფუძვლებით გაუქმებინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ცვლილების შედეგად, აღარ იარსებებს ორმაგი სტანდარტი და იდენტური საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებით სასამართლო ვერ მიიღებს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. დაუშვებელია ცნობილი და აღსრულებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება იმავე საფუძვლით, რითაც მხარის მიერ მოთხოვნილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა და რაც არსებითად განხილულ იქნა სასამართლოს მიერ. დაუშვებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვა იმავე საფუძვლით, რომლითაც მხარე აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა, ან თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა კანონით დადგენილ ვადაში. სასამართლოსთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით მიმართვისას დგინდება სასამართლოს მიერ მხარის

ინფორმირების ვალდებულება, რაც მისცემს მას შესაძლებლობას, შეტყობინების მიღებიდან 7 დღის ვადაში, დამატებითი პროცედურების გარეშე, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმა. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში წერილობითი შეტყობინება მხარეებს ჩაბარდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებისა და დაბარებისთვის დადგენილი წესით, რაც აამაღლებს მხარეთა ინფორმირებულობის ხარისხს. სასამართლოსთვის მხარის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიმართვა საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდეც იქნება შესაძლებელი, რაც ხელს შეუწყობს შესაძლო ზიანის თავიდან აცილებას.

ცვლილებამდე არბიტრის/არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის წესი შემოთავაზებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როდესაც მათი დანიშვნის თაობაზე მხარეთა შეთანხმება არ არსებობდა. ცვლილების შედეგად, არბიტრების დანიშვნის კანონით შემოთავაზებული წესი იმ შემთხვევებზეც გავრცელდება, როდესაც არბიტრის/არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნა ვერ ხერხდება მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად. შედეგად, მხარეთა ნება, დაუქვემდებარონ დავა არბიტრაჟს, აღსრულებადი იქნება ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის განხორციელების შესაძლებლობა. მხარეს არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება წარმოეშობა არა ამ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, არამედ - მხარისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. მხარეთა მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორების, განმარტებისა და დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადა აითვლება ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით არბიტრაჟის მიერ გამოტანილი შესაბამისი გადაწყვეტილების მხარეთათვის ჩაბარებიდან, ნაცვლად თავდაპირველი გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტისა. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მცირდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის განხილვისათვის და ნაცვლად ნივთის ღირებულების 3%-ისა (მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა), განისაზღვრება 150 ლარით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მცირდება საარბიტრაჟო წარმოებაში მოწმის დასწრების უზრუნველყოფასა და მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარების თაობაზე განცხადებაზე და არბიტრის დანიშვნასთან, აცილებასთან, უფლებამოსილების შეწყვეტასთან, კომპეტენციასთან დაკავშირებულ განცხადებაზე და 100 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 50

ლართ. თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ორივე მხარე ფიზიკური პირია, აღარ იქნება სავალდებულო შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმება ან ადვოკატების ხელმოწერა, რაც შემამცირებს საარბიტრაჟო შეთანხმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია საქართველოსა და უცხო ქვეყნის არბიტრაჟის წევრებს ყველა სამოხელეო დანაშაულის სუბიექტად - მოხელესთან გათანაბრებულ პირად მიიჩნევს, რაც საფრთხეს უქმნის არბიტრის თავისუფლებას დავის განხილვის პროცესში [98].

ცვლილების შედეგად, საქართველოსა და უცხო ქვეყნის არბიტრაჟის წევრები იქნებიან არა ყველა სახის სამოხელეო დანაშაულის, არამედ - მხოლოდ ქრთამის აღებისა და ქრთამის მიცემის მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები/მოხელესთან გათანაბრებული პირები. შედეგად, შემცირდება სასამართლოში უსაფუძვლო საჩივრების წარდგენის შესაძლებლობა და არბიტრაჟი, როგორც დავის მოგვარების დამოუკიდებელი მექანიზმი, კიდევ უფრო გაძლიერდება.

აღნიშნული ცვლილებები, უდავოდ, ხელს შეუწყობს არბიტრაჟის გაძლიერებას, თუმცა კვლავ რჩება მოუგვარებელი საკითხები.

## 5.2. პრაქტიკულ საქმიანობაში გასატარებელი ზოგადი ღონისძიებები

ბუნებრივია, მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებით ძნელია მიაღწიო სასურველ შედეგს. სახელმწიფომ უნდა გადადგას აქტიური ნაბიჯები არბიტრაჟის პოპულარიზაციისკენ. პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სავაჭრო სამრეწველო პალატის რეალური უფლებამოსილებით აღჭურვა. მრავალი საერთაშორისო არბიტრაჟი შექმნილია სწორედ სავაჭრო სამრეწველო პალატასთან. ეს არის ის „ნახევრად სახელმწიფო“ ორგანიზაცია, სადაც მეწარმეები არიან გაერთიანებული (განსაკუთრებით ევროპაში) და ამ ორგანიზაციის მეშვეობით მუშაობენ

სახელმწიფოსთან ერთად სამეწარმეო კანონმდებლობის მნიშვნელოვან საკითხებზე. ისტორიულად, არბიტრაჟების მათ ბაზაზე ჩამოყალიბებას ჰქონდა ორი უპირატესობა, პირველი მდგომარეობს იმაში, რომ პალატაში გაწევრიანებული მეწარმეები დავების წარმოშობის შემთხვევაში უპირველესად მიმართავდნენ ამ არბიტრაჟს და მეორე, როგორც წესი ამგვარი ორგანიზაციები სახელმწიფოსთან საკმაოდ ახლოს დგას (მაგალითად, გერმანიაში ეკონომიკის სამინისტროს ერთეულია), რაც მისცემს მას შესაძლებლობას მოიზიდონ დაფინანსება აღნიშნული საარბიტრაჟო ორგანიზაციის, მისი მუდმივმოქმედი კანცელარიისა და მისთვის საჭირო მატერიალური რესურსების პირველ ეტაპზე დასაფინანსებლად.

მართალია არსებობს არბიტრაჟთა ასოციაცია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის. იგი უნდა აღიჭურვოს დამატებითი ფუნქციებითა და საშუალებებით, ან უნდა შეიქმნას ერთგვარი არბიტრაჟთა კავშირი, ან არბიტრთა კოლეგია (მსგავსად ნოტარიუსთა პალატის ან ადვოკატთა ასოციაციისა), რომელშიც გაწევრიანებული იქნებიან არბიტრაჟები. ეს ორგანო მჭიდრო კავშირში უნდა იყოს სახელმწიფო სტრუქტურებთან, როგორც არის იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და სხვა დაწესებულებები. აღნიშნულს უნდა გააჩნდეს თავისი სტრუქტურა, მონიტორინგის, პიარის, ტექნიკური მომსახურების, რეგისტრაციის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სხვა დანაყოფები. უნდა შეიქმნას შიდა ელექტრონული ქსელი (ე.წ Intranet), სადაც რეგისტრირებული და სისტემატიზებული იქნა ყველა საარბიტრაჟო საქმე რაც არბიტრაჟებში განიხილება კონფიდენციალობის სრული დაცვით. უნდა ზუსტად იქნეს შედგენილი და სისტემაში მოყვანილი არბიტრთა სიები არბიტრთა მონაცემების მითითებით. აღნიშნული ორგანიზაცია კონსულტაციებს გაუწევს მოდავე მხარეებს, მიუთითებს მათთვის შესაბამის არბიტრაჟებზე, იმუშავებს საარბიტრაჟო ინსტიტუტის პოპულარიზაციაზე როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული და საერთაშორისო კუთხით, მოიზიდავს სხვადასხვა დავას როგორც ქვეყნის, შიგნით ასევე საერთაშორისო მასშტაბით. აღნიშნული ორგანიზაციის არსებობა საშუალებას მოგვცემს არბიტრაჟებმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან. ელექტრონული წარმოება და შიდა ქსელი ხელს შეუწყობს საქმეების სისტემატიზაციას, ჩამოყალიბდება საერთო სტატისტიკა, რაც დღეს არ გაგვაჩნია. მოხდება არბიტრების უფრო მკაცრი მონიტორინგი ეთიკის კოდექსის თუ სხვა საკანონმდებლო დარღვევების კუთხით, მეორე მხრივ, ეს ორგანიზაცია იქნება არბიტრთა უფლებების დამცველი, საკანონმდებლო ინიციატივებით დაიცავს არბიტრაჟებს სასამართლოების ზედმეტი წნეხისგან. დროთა განმავლობაში მას შეუძლია სახელმწიფო

სასამართლო შეცვალოს კიდეც საარბიტრაჟო საქმიანობაში ჩარევის ზოგიერთ საფეხურზე (მაგ.: არბიტრთა შერჩევა).

როგორც ნაშრომში აღინიშნა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების გაუქმების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არბიტრთა არაპროფესიონალიზმია. უნდა დაწესდეს კვალიფიკაციის ერთგვარი სტანდარტი. აუცილებელია, რომ არბიტრთა და ექსპერტთა სიები დაკომპლექტებული იქნეს პროფესიონალი პირებით. ისინი უნდა წარმოადგენდნენ თავიანთი დარგის პროფესიონალებს და ჰქონდეთ შესაბამისი რეპუტაცია. აღნიშნულ პირთა სია შეიძლება ასევე მოიცავდეს საერთაშორისო დონის არბიტრებსა და ექსპერტებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქენი. ზოგიერთ შემთხვევაში არბიტრად იწვევენ პირს, რომელიც არ არის იურისტი, მაგრამ თავისი დარგის კარგი მცოდნე და ექსპერტია. ასეთი სიტუაციაში აუცილებელია აღნიშნული პირი გაერკვეს ელემენტარულ პროცესულურ ნორმებსა და საარბიტრაჟო კანონმდებლობაში, რათა პროცესში გაპარულმა თუნდაც პატარა ხარვეზმა არ გამოიწვიოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. ამისთვის ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციასთან უნდა შეიქმნას არბიტრთა მომზადებისა და კვალიფიკაციის საერთაშორისო ცენტრი, სადაც გამოცდილი არბიტრები და იურისტები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ კოლეგებსა და მსურველთ.

არბიტრაჟი საერთაშორისო მასშტაბით უნდა გახდეს პოპულარული. აღნიშნულის მიღწევა შეიძლება სპეციალური სემინარების, კონფერენციებისა და ფორუმების ჩატარებით, სხვადასხვა საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით.

საქართველომ გრძელი გზა განვლო არბიტრაჟის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების ქვეყანაში დამკვიდრებისათვის. დღეს ის ეტაპია, როცა არბიტრაჟი არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ან მცირე და ვიწრო პროფილის მეწარმეთა დავების გადაწყვეტის მექანიზმი უნდა იყოს, არამედ პროფესიონალიზმითა და პოპულარობით, თუნდაც ახლო მომავალში, კონკურენცია უნდა გაუწიოს ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტებს, როგორებიცაა სტოკჰოლმის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო ინსტიტუტი, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო, ჰოლანდიის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი, შვეიცარიის საარბიტრაჟო ასოციაცია და სხვა. ამ ყველაფრის მისაღწევად კონკრეტული არბიტრაჟების ძალისხმევა არ



კმარა. უნდა იყოს სახელმწიფოს ძლიერი ნება, რათა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა დაიკავოს ღირსეული ადგილი. საჭიროა დახმარება ფინანსური, ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული და ტექნიკური კუთხით, თუკი გვინდა, რომ მივიღოთ ღირსეული, ეფექტური არბიტრაჟები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვინდა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ნაშრომის აქტუალობას. ბუნებრივია, არბიტრაჟი არ წარმოადგენს პანაცეას ეკონომიკის განვითარებისთვის, მაგრამ ის ბიზნესის განუყოფელი ნაწილია. საარბიტრაჟო ინსტიტუტის განვითარება კი ქვეყნის წინსვლაში თავის წვლილს შეიტანს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ქართული რეალობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში დღეს მოქმედ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები, უნდა შეიქმნას მეგობრული გარემო არბიტრაჟებისთვის, უნდა გაიზარდოს არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, სანდოობა და პოპულარობა, აღმოიფხვრას საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარების შემაფერხებელი საკანონმდებლო ხარვეზები, უზრუნველყოფილ იქნეს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან სრული შესაბამისობა, დაზუსტდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების საფუძვლები, შეიქმნას არბიტრთა მაღალი საკვალიფიკაციო სტანდარტი, ჩამოყალიბდეს სასამართლო პრაქტიკა და დაიხვეწოს საარბიტრაჟო სამართალწარმოების კულტურა. აღნიშნული ღონისძიებების გატარებისა და სახელმწიფოს მხარდაჭერის ფონზე გაიზარდება არბიტრაჟებისადმი ნდობა და მათი პოპულარობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ნაშრომი.

## ბიბლიოგრაფია

### პერიოდული გამოცემები

1. ბინდერი პ., 2007, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, *ქართული სამართლის მიმოხილვა*, 10 (2-3) 182-203;
2. ბრანდტი ა., 1998, „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ახალი საარბიტრაჟო წესები“, *ქართული სამართლის მიმოხილვა*, (2-3) 84-87;

3. გოთუა ლ., 2007, კერძო დავების ალტერნატიული წესით განხილვის თავისებურებანი ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, *მართლმსაჯულება*, (2), 135-146;
4. კენკიშვილი ვ., 2002, სუბსიდიების საერთაშორისო-სამართლებრივი მოწესრიგება, *ადამიანი და კონსტიტუცია* 4;
5. კნიპერი რ., 1998, საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება, *ქართული სამართლის მიმოხილვა* 1, 66-68;
6. შაფაქიძე ი., 1998, „საერთაშორისო არბიტრაჟი: სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“, *ქართული სამართლის მიმოხილვა* 4, 23-28;
7. წკრიალაშვილი, გ., 1999, უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმები, *სამართალი*, (5), 51;
8. Anderson, A. M., Young C. A., Razavi B., 2008, International Arbitration: The Only Way to Resolve Multi-Jurisdictional Patent Disputes in a Single Forum, *Transnational Dispute Management*, 1;
9. Fry J. D., 2009, Désordre Public International under the New York Convention: Wither Truly International Public Policy, *Oxford Journals, Chinese Journal of International Law*, 8 (1), 81-134;
10. Hyder A. A., Baker M. C., 2002, A Cross-Comparison of Institutional Mediation Rules, *Dispute Resolution Journal*, 57 (2), 73-81;
11. Krause J., 2007, Settling in on the Web, *ABA Journal*, 40;
12. Pryles M., 2007, Reflection on Transnational Public policy, *Journal of International Arbitration*, 24 (1), 1-8;

## წიგნები და მონოგრაფიები

13. გაბისონია ზ., 2006, *ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი*, თბილისი, მერიდიანი;
14. გამყრელიძე ს., 2000, *საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი*, თბილისი, ბონა კაუზა;
15. გორგაძე გ., ბაძაღვა ვ., 2007, *კერძო არბიტრაჟი*, თბილისი, CIDR;
16. გოთუა ლ., 2010, *უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი;
17. დავითაშვილი გ., 2001, *სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში*, თბილისი თსუ;
18. დავითაშვილი გ., 2002, *სამედიატორო სასამართლო სვანეთში*, თბილისი, თსუ;
19. დავითაშვილი გ., 2004, *სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში*, თბილისი, თსუ;
20. ზამბახიძე თ., 2004, *საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი (პრობლემები და პერსპექტივა)*, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, მერიდიანი;
21. იოსელიანი ალ., 2010, *მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი;
22. ლილუაშვილი თ., 1992, *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი*, თბილისი, მეცნიერება;
23. ლილუაშვილი თ., 2001, *საერთაშორისო კერძო არბიტრაჟი*, თბილისი, ჯისია;

24. ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., 2014, *დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში*, თბილისი, მერიდიანი;
25. ცერცვაძე გ., 2002, *საერთაშორისო არბიტრაჟი*, თბილისი, ბონა კაუზა;
26. ცერცვაძე გ., 2008, *საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი)*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტი;
27. ცერცვაძე გ., 2010, *მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა)*, თბილისი, მერიდიანი.
28. ცერცვაძე გ., 2012, *საერთაშორისო არბიტრაჟი*, თბილისი, მერიდიანი;
29. ცისკაძე მ., 2012, *საქართველოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სფეროში სასამართლოს ჩარევის ფარგლები*, რომან შენგელიას 70 წლის საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, თბილისი, სამართალი;
30. Andrews N., 2008, *Mediation: A Pillar of Civil Justice in Modern English Practice*, *Zeitschrift fur Zivilprozess International*, Koln, Carl Heymann;
31. Antaki, N. N., 2006, *Cultural Diversity and ADR Practices in the World*, *Goldsmith, J.C./Ingen-3Housz, Arnold,/Pointon, Gerald H. (editors) ADR in Business, Practice and Issues across 33 Countries and Cultures*, New York, Kluwer Law International;
32. Bennett S. C., 2002, *Arbitration: Essential Concepts*, New York, ALM Publishing;
33. Born G., 2010 *International Arbitration and Forum Selection Agreements: Drafting and Enforcing*, 3rd Edition, Great Britan, Kluwer law International;

34. Berger K.P., 2006, *Private Dispute resolution in International Business, Negotiation, Mediation, arbitration*, case study, Alphen aan den Rijn, Kluwer Law International;
35. Briner R., 2006, Foreword, *Goldsmith, J.C./Ingen-Housz, Arnold/Pointon, Gerald, H (editors) ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures*, New York, Kluwer law International;
36. Buhning-Uhle, C., 1996, *Arbitration and Mediation in International Business*, The Hague, The Netherlands, Kluwer Law International;
37. Christopher t., 2005 *Introduction to alternative dispute resolution in: ADR in Asia solutions for Business*, Hong Kong, Euromoney Publications;
38. Cole S. R., Blankley K. M., 2005, *Arbitration, Handbook of Dispute Resolution*, Moffitt and Bordone Publishing;
39. Cohen, J.H., 1918, *Commercial Arbitration and the Law*, New York, London, Appleton and Company;
40. Connerty A., 2006, *Manual of International Dispute Resolution*, London, Commonwealth Secretariat;
41. Fisher R., Ury W., Patton B., 1991, *Getting to Yes, Negotiating Agreement Without Giving In, Second Edition, Harvard Negotiation Project*, New York, Penguin Books;
42. Fox W., 1998, *International Commercial Agreements, 3ED.*, The Hague, Kluwer Law International;
43. Goldsmith J.C., Ingen – Housz A., Pointon G. H. (Editors), 2006, *ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures*, New York, Kluwer law International;

44. Guillemin, J-F., 2006, *Reasons for Choosing Alternative Dispute Resolution*, in: Goldsmith J.C., Ingen – Housz A., Pointon G. H. (Editors), 2006, *ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures*, New York, Kluwer law International;
45. Haynes J.M., Haynes G. L., Fong L. S., 2004, *Meditation: positive conflict management*, New York, Alany;
46. Herrman, M, S., 2006, *The Blackwell Handbook of Mediation, Bridging Theory, Research and Practice*, Oxford, Blackwell Publishing;
47. Houtte H. V., 2002, *The Law of International Trade*, London, Sweet & Maxwell;
48. Jarrosson Ch., 2006, *Legal Issues Raised by ADR*, in: Goldsmith J.C., Ingen – Housz A., Pointon G. H. (Editors), *ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures*, New York, Kluwer law International;
49. Jenkins J., Stebbings S., 2006, *International Construction Arbitration Law, Arbitration context series*, Alphen aan de Rijn, Kluwer law International;
50. Kroll S., Mistelis L., Perales V., Rogers V., 2011 *International Arbitration and International Commercial Law: Synergy Convergence and Evolution*, Kluwer law International;
51. Kressel K., Pruitt D.G., 1989, *Mediation research The Process and Effectiveness of Third Party Intervention*, San Francisco, London, Jossey-Bass Publishers;
52. Lew J, D.M Mistelis, Loukas A, Kröll S., 2003, *Comparative international commercial arbitration*, The Hague, Kluwer law International;
53. Liebsher C., 2003, *The Healthy award Challenge in International Commercial Arbitration*, International Arbitration law library, Kluwer Law International;

54. Moses M. L., 2008, *The Principles and Practice of International Commercial Arbitration*, Cambridge, CUP;
55. Menkel – Meadow, Carrie J. L., Schneider L., Kupfer A., Jean, R., 2005. *Dispute Resolution Beyond the Adversarial Model*, New- York, Aspen Publishers;
56. Nunn P., 2005, *Time is money: strategies to ensure a spread resolution, ADR in Asia solutions for Business*, Hong Kong, Euromoney Publications;
57. Patterson S., Seabolt G., 2001, *Essentials of Alternative Dispute Resolution*, Toronto, Canada, Prentice Hall;
58. Pointon A., Gerald H., (editors), 2011, *ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures*, New York, Kluwer law International;
59. Reed L., Paulson J., Blackaby N., 2004, *Guide to ICSID arbitration*, The Hague/London/New-York, Kluwer Law International;
60. Redfern A., Hunter M., 2004, *Law and Practice of International Commercial Arbitration*, London, Sweet & Maxwell limited;
61. Roberts M., 2008, *Mediation in Family Disputes, Principles of Practice, Third Edition*, Padstow, Ashgate;
62. Schäfer E., Verbist H., Imhoos C., 2004, *ICC Arbitration in Practice*, Berne, Kluwer Law International;
63. Stitt A. J., 2004, *Mediation: a practical guide*, London/Sydney/Portland/Oregon, Cavendish Publishing;



64. Spencer D., Brogan M., 2006, *Mediation Law and Practice*, New York, Cambridge University Press;
65. Sanders P., 2004, *The work of UNCITRAL on arbitration and conciliation*, The Hague, Kluwer law International;
66. Wallgren C., 2006, *ADR and Business*, in: Goldsmith J.C., Ingen – Housz A., Pointon G. H. (Editors), *ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures*, New York, Kluwer law International;
67. Wolrich P. M., 2006, *ADR under the ICC ADR Rules*, *ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures*, New York, Kluwer law International;
68. Ahrendt A., 1996, *Der zuständigkeitsstreit im Schiedsverfahren*, Tübingen, Mohr Sieber;
69. Baumfalk W., 2002, *Erkenntnisverfahren, Vollstreckungsverfahren, Grundzüge des Insolvenzverfahrens*, Münster, MBH & Co. KG;
70. Gabriel S., 2008, *Die Haftung des Mediators im Schweizerischen Rechtssystem*, Bern, STÄMPFLI;
71. Girsberger D., 2005 *Internationale Schiedsgerichtsbarkeit*, in der: *Festschrift für Franz Kellerhals zum 65. Geburtstag, Rechtsetzung und Rechtsdurchsetzung Zivil- und schiedsverfahrensrechtliche Aspekte*, Bern, STÄMPFLI;
72. Günter H., 2000, *Schiedsverfahrensrecht: Handbuch für die Praxis*, Heidelberg, C.F Müller;
73. Haft F., 2000, *Verhandlung und Mediation Die Alternative zum Rechtsstreit*, München, beck;
74. Lionnet A., 2007, *Schiedsgerichtsbarkeit in Deutschland*, Nürnberg, Foerster Rutow;
75. Lüke S., 2003, *Punitive damages in der Schiedsgerichtsbarkeit*, Tübingen, Mohr Siebeck;

76. Musielak H.-J., 2002, *Grundkurs ZPO*, München, C.H.Bec;
77. Rechtberger W. H., 1994, *Kommentar zur ZPO*, New-York, Wien;
78. Rosener W., 1994, *Die Zuständigkeit des staatlichen Gerichts im Schiedsgerichtsverfahren*,  
 Festchrift für Ottoarndt Glossner zum 70. Geburtstag, Heidelberg, Recht u. Wirtschaft;
79. Sensburg R., 2003, *Mediation und ihre Implementierung in Deutschland und Europa*, Schieds VZ;
80. Schütze R, A., 1990, *Tscherning, Dieter; Wais, Walter; Handbuch des Schiedsverfahrens: Praxis der deutschen und internationalen Schiedsgerichtsbarkeit, 2., neubearb.*, Berlin, New York, de gruyte;
81. Schütze R, A., 1994, *Zur Präcedenzwirkung von Schiedssprüchen, Festchrift für Ottoarndt Glossner zum 70. Geburtstag*, , Heidelberg, Recht u. Wirtschaft;
82. Schütze R, A., 2009, *Rechtsverfolgung im Ausland, Prozessführung vor ausländischen Gerichten und Schiedsgerichten, 4. Auflage*, Berlin, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-Gmb;
83. Schwytz I., 1983, *Schiedsklauseln und Schiedsrichtervertrag mit einer Einführung in das schiedsgerichtliche Verfahren, 2., durchges. Aufl.*, Heidelberg, Recht u. Wirtschaft;
84. Söderlund C., 2004, *Vergleichender Überblick zur Schiedsgerichtsbarkeit in Deutschland, England, Russland und Schweden*, Stockholm, SchiedsVZ;
85. Stumpf C. A., 2006 *Alternative Streitbeilegung im Verwaltungsrecht*, Tübingen, Mohr Siebeck;
86. Thomas/Putzo, 2002, *ZPO Kommentar*, München, beck;

87. Бушев А.Ю., Макарова О.А., Попондопуло В.Ф., 2003, *Коммерческое право зарубежных стран*, Москва, Санкт-Петербург, Минск, „Питер.”
88. Бейкер и Макензи, 2001, *Международный коммерческий арбитраж*, Москва, ВЕК;
89. Богуславский М.М., 2002, *Международное частное право*, Москва, ЮРИСТЪ;
90. Дмитриева Г.К., 1997, *Международный коммерческий арбитраж*, Москва, ПРОСПЕКТ;
91. Ковалевский М., 1886, *Современный обычай и древний закон*, Т II, Москва;
92. Минаков А. И., 1985, *Арбитражное соглашение и практика рассмотрения внешнеэкономических споров*, Москва, Юрид. лит;

## ინტერნეტი

93. Blechman M. D., 2011, Assessment of ADR in Georgia, East West Management Institute, <http://www.ewmi-jilep.org/images/stories/books/assessment-of-adr-in-georgia.pdf>
94. Rohullah A., 2010, Grounds for Refusing Enforcement of Foreign Arbitral Awards under the New York Convention, <http://ssrn.com/abstract=1616746>

## სახელისუფლებო დოკუმენტები

95. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, კერძო არბიტრაჟის შესახებ (656, 17.04.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

96. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, არბიტრაჟის შესახებ (1280, 19.06.2009), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>
97. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1106, 14.11.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>
98. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2287, 22.07.1999), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>
99. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი, სახელმწიფო ბაჟის შესახებ (1363, 29.04.1998), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა; <https://matsne.gov.ge/>

### *სასამართლო პრაქტიკა*

100. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ივლისის განჩინება საქმე #28/1767-10;
101. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინება საქმეზე #28/1569-10;

102. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 აპრილის განჩინება საქმეზე #2ზ/1268-12;
103. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს 2010 წლის 09 თებერვლის განჩინება, საქმე #2/308-10;
104. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს 2010 წლის 01 მაისის განჩინება, საქმე #2/3520-10;
105. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ივნისის განჩინება, საქმე # 2/3524-10;
106. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე # 2ზ/149-10;
107. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 თებერვლის განჩინება, საქმე # 2ზ/413-10;
108. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 მარტის განჩინება, საქმე # 2ზ/552-10;
109. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის განჩინება, საქმე # 2ზ/259-10;
110. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის განჩინება, საქმე # 2ზ/1097-10;
111. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განჩინება, საქმე # 2ზ/1391-10;

112. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის განჩინება, საქმე # 28/992-10;
113. თბილისის სააპელაციო სასამართლო 2010 წლის 5 მაისის განჩინება, საქმე # 28/1572-10;
114. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის განჩინება, საქმე # 28/1658-10;
115. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 01 ივლისის განჩინება, საქმე # 28/803-10;
116. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის განჩინება, საქმე # 28/2277-10;
117. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე #28/294-10;
118. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, საქმე # 3კ-1461-02;
119. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის განჩინება, საქმე # ას-357-676-09;
120. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის განჩინება, საქმე # ა-2813-შ-90-09;

**სხვა წყაროები**

121. საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2007, *რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე*, თბილისი;
122. ჟენევის ოქმი, 1923, Geneva Protocol, adopted by The Assembly of League of Nations;  
[http://interarb.com/vl/g\\_pr1923](http://interarb.com/vl/g_pr1923)
123. ჟენევის კონვენცია, 1927, Convention on the Execution of Foreign Arbitral Awards;  
[http://interarb.com/vl/g\\_co1927](http://interarb.com/vl/g_co1927)
124. English Arbitration Act of 1996, Parliament of United Kingdom  
<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/23/introduction/enacted>
125. European Convention on International Commercial Arbitration, 1961, Geneva,  
[https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg\\_no=XXII-2&chapter=22&lang=en](https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXII-2&chapter=22&lang=en)
126. IBA rules, International Bar Association, founded in 1947, Guidelines on Conflicts of Interest in International Arbitration, adopted by IBA Council, in 2004 (revised in 2014);  
[http://www.ibanet.org/Publications/publications\\_IBA\\_guides\\_and\\_free\\_materials.aspx#](http://www.ibanet.org/Publications/publications_IBA_guides_and_free_materials.aspx#)
127. ICSID Arbitration Rules, Rules of Procedure for Arbitration Proceedings, adopted by International Centre for Settlement of Investment Disputes, Founded in 1818, Headquarters Washington D.C., Adopted in 2006, [http://www.sloarbitration.eu/Portals/0/Arbitrazno-pravo/CRR\\_English-final.pdf](http://www.sloarbitration.eu/Portals/0/Arbitrazno-pravo/CRR_English-final.pdf)
128. [ICC Rules](#), International Chamber of Commerce, Headquarters – Paris, Founded in 1919,  
<http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Arbitration-and-ADR/Arbitration/Rules-of-arbitration/Download-ICC-Rules-of-Arbitration/ICC-Rules-of-Arbitration-in-several-languages/>
129. ICDR rules, International Centre for Dispute Resolution, Headquarters – New York,

[https://www.icdr.org/icdr/faces/home?\\_afLoop=521233359236899&\\_afWindowMode=0&\\_afWindowId=ayxdfdewf\\_164#%40%3F%3D521233359236899%26%3D0%26adf.ctrl-state%3Dayxdfdewf\\_278](https://www.icdr.org/icdr/faces/home?_afLoop=521233359236899&_afWindowMode=0&_afWindowId=ayxdfdewf_164#%40%3F%3D521233359236899%26%3D0%26adf.ctrl-state%3Dayxdfdewf_278)

130. LCIA Rules, London Court of International Arbitration, Headquarters – London, Founded in 1883,  
[LCIA Arbitration Rules, effective 1 October 2014 \(PDF\)](#)  
[http://www.lcia.org/Dispute\\_Resolution\\_Services/lcia-arbitration-rules-2014.aspx](http://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/lcia-arbitration-rules-2014.aspx)
131. The New York Convention, The Convention on Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, concluded in 1958, entered into force in 1959, საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 02.06.1994 წელს, ძალაში შევიდა 31.08.1994 წელს.  
[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/NYConvention.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/NYConvention.html)
132. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985, Vienna, (amended in 2006), საქართველოში 2009 წლიდან მოქმედებს 2006 წლის ცვლილებებზე დაფუძნებული კანონმდებლობა.  
[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration\\_status.htm](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration_status.htm)  
[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html)
133. UNCITRAL Rules, United Nations Commission on International Trade Law, Adopted in 1976, Revised in 2010, adopted by UN General Assembly resolution 31/98;  
[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/2010Arbitration\\_rules.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/2010Arbitration_rules.html)
134. U.S. Federal Arbitration Act, Adopted in 1925, by US Congress;  
<http://www.gpo.gov/fdsys/pkg/USCODE-2011-title9/content-detail.html>
135. [Washington Convention](#), Convention on the Settlement of Investment Disputes Between States and nationals of Other States, Submitted to the governments by the executive directors of



the International central bank for reconstruction and development, 1965, საქართველო მისი წევრია 1992 წლიდან.

[https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=ShowHome&pageName=Rules\\_Home](https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=ShowHome&pageName=Rules_Home)

136. Arab African Energy Corp Ltd.v. Olieprodukten Nederland BV (1983)2 Lloyds' Rep.419
137. Gosset Case, Cour de Cassation, Ire Chamber, May 7, Dalloz,1963,p.545
138. Heyman v. Darwins 1942 AC 356
139. Hubco v.WAPDA (Redfern & Hunter page 412-413)
140. Kill v.Hollister 19, Geo.II 1746;
141. Mitsubishi Motors v.Solar Chrysler Plymouth Inc. 473 US 614; 105 S. Ct.3346 (1985)
142. Scott v. Avery (1856) 5 H.L.Cas.308
143. SGS v. Pakistan (Redfern & Hunter page 412-413)
144. Vimar Seguross S.A v.M/V Sky Reefer 115 S. Ct.2322
145. Vynior v. Wilde (Vynior's case) (1609)